საქართველოს ისტორია

10

სახელმძღვანელო



Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

თეგექულ ალიევი, როვშან ჰათამოვი, ნიამედინ კულიევი,
ფერვიზ აღალაროვი, შამილ ემრაჰოვი, ფაიგ ბაბაევი,
ელშენ კასიმოვი, ქამრან ასადოვი, ელნურ ჰუსეინოვი

საერთო ისტორია

10

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მე-10 კლასისათვის საერთო ისტორიის სახელმძღვანელო

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი
გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ
info@eastwest.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

ŞƏRQ-QƏRB
BAKI 2017

სარჩევი

I შუასაუკუნეები

1. პირველყოფილი თემური საზოგადოება 7
2. ძველი ეგვიპტე და შუამდინარეთი (მესოპოტამია) 12
3. ძველი ირანი და ინდოეთი 17
4. ჰუნთა დიდი იმპერია და ძველი ჩინეთი 22
5. ძველი საბერძნეთი და რომი 27
6. კულტურა 33

II ადრეული შუა საუკუნეები

7. კავკასია, წინა აზია, ინდოეთი და ჩინეთი 41
8. თურქული სახელმწიფოები 46
9. თურქული საზოგადოების ჩამოყალიბება 51
10. არაბები. ისლამის რელიგია. ხალიფატი 55
11. დასავლეთი ევროპა 60
12. ბიზანტიის იმპერია და სლავები 66
13. კულტურა 71

III კლასიკური შუა საუკუნეები

14. სელჩუკთა სასულთნო და ოსმალეთის იმპერია 77
15. მონღოლთა დიდი იმპერია. ოქროს ურდო 82
16. თემურელების სახელმწიფო. ინდოეთი და ჩინეთი 87
17. ჯვაროსნული ლაშქრობები აღმოსავლეთით. ქალაქების განვითარება ევროპაში ... 92
18. ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნა დასავლეთ ევროპაში 99
19. კულტურა 104

IV გვიანი შუა საუკუნეები და ახალი ხანის დასაწყისი

20. რეფორმაცია ევროპაში. პირველი ბურჟუაზიული რესპუბლიკა 109
21. ინგლისი და საფრანგეთი 114
22. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და კოლონიური დაპყრობები. აშშ-ის შექმნა ... 119
23. რუსეთის სახელმწიფო 124
24. ოსმალეთის სახელმწიფო 129
25. ჩინეთი, ინდოეთი, ცენტრალური აზია 135
26. კულტურა 140
გამოყენებული ლიტერატურა 144

პირობითი ნიშნები



შესავალი

ისტორია არის მეცნიერება, რომელიც შეიწავლის თუ როგორ ცხოვრობდნენ და რა მოვლენები მოხდა ადამიანთა ცხოვრებაში. მეცნიერები პირველი ადამიანის გაჩენიდან ქალაქების, სახელმწიფოებისა და დამწერლობის შექმნამდე არსებულ საფეხურს ანუ პირველყოფილ პერიოდს უწოდებენ. ამის შემდგომი საფეხური კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ნაყოფიერი მდინარეების ველებში წარმოშობილი პირველი ცივილიზაციების შექმნისა და განვითარების პერიოდად ხასიათდება. მეცნიერულ ლიტერატურაში ადამიანთა საზოგადოების ისტორია, როგორც წესი ოთხ დიდ ხანად იყოფა: ძველი მსოფლიო ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია და თანამედროვე - უახლესი ისტორია.

უძველესმა საცხოვრებელმა კერებმა შორეულ ათასწლეულებში, მათ შორის დამწერლობამდელი მცხოვრები ადამიანების "ნაკვალევი" შემოინახა. ამ ძეგლების არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ნაგებობების ნანგრევები, შრომის და საბრძოლო იარაღები, საყოფაცხოვრებო საგნები, ძვლებისაგან გამოთლილი პატარა ფიგურები და სხვ. მატერიალური წყაროებია. გარდა ამისა, ქვის დაფებზე, კედლებზე და თიხის ჭურჭელზე დახატული გამოსახულებებიც უძველესი ადამიანების ყოველდღიური ყოფის, საქმიანობისა და წესების შესახებ გვიქმნის წარმოდგენას. მატერიალური წყაროების საფუძველზე საზოგადოების ისტორიის შემსწავლელ მეცნიერებას არქეოლოგია (ბერძნულად "არქაუს" - უძველესი, "ლოგოს" - სიტყვას, სწავლებას ნიშნავს) ეწოდება. არქეოლოგები აწარმოებენ გათხრებს, აანალიზებენ საცხოვრებელი კერებიდან ან საფლავებიდან შეგროვებულ მატერიალურ მტკიცებულებებს, თანამედროვე ტექნოლოგიური ხერხების, მოწყობილობების გამოყენებით იკვლევენ იმ პერიოდს. თუმცა მატერიალურ წყაროებს ადამიანების ცხოვრების შესახებ სრული ინფორმაციის მოწოდება არ შეუძლია. ძველ დროში და შუა საუკუნეებში ისინი წერილობითმა წყაროებმა შეავსეს. მსოფლიოში უძველესი დამწერლობა ჩვ. წ. აღ-მდე IV ათასწლეულის ბოლოს ეგვიპტესა და შუამდინარეთში შეიქმნა. ამჟამად, უახლეს წარსულ დამწერლობასთან ერთად, აუდიოვიზუალური და ციფრული რესურსების, საბუთების საფუძველზე შეისწავლება.

ისტორიულ გამოკვლევებში ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა, ქრონოლოგია და სხვა დამხმარე საგნებიც გამოიყენება. ეპიგრაფიკა (ბერძნულად "ეპიგრაფ" - დამწერლობა სიტყვიდან წარმოიშვა) ქვაზე, ლოთონზე და სხვა ნივთებზე წარწერებს, ნუმიზმათიკა (ლათინურად "ნუმიზმა"- სიტყვა მონეტიდან წარმოიშვა) - ლოთონის ფულის მოჭედვისა და ბრუნვის ისტორიას შეისწავლის. ეთნოგრაფია და ეთნოლოგია (ბერძნულად "ეთნოს" - ხალხს ნიშნავს) სხვადასხვა ხალხების ადათწესებს, მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებას იკვლევს. ადამიანის შექმნისა და განვითარების შემსწავლელ მეცნიერებას ანთროპოლოგია (ბერძნულ ენაზე "ანთროპოს" - ადამიანს ნიშნავს) ეწოდება, დროს გაზომვის შესახებ მეცნიერება - ქრონოლოგია (ბერძნულად "ქრონოს" - დროს ნიშნავს) ისტორიულ მოვლენებზე თანმიმდევრული დაკვირვების საშუალებას იძლევა ბაბილონის, ათენისა და რომის მსგავს უძველეს ქალაქებში ყოველ წელს მომხდარ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს იწერდნენ და ქრონოლოგიას ადგენენ. დღეს ჩვენ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მორიგ წლისთავს, დაბადების დღეს, სკოლის დაარსების დღეს ავღნიშნავთ. ესენიც ქრონოლოგიური თარიღებია.

"პირველი ციფრის" აზრის მომცემი **ერა** ქრონოლოგიაში ისტორიის საწყის მომენტს და ამ მომენტიდან დღემდე განვლილ დროს გვამცნობს. მაგალითად, ქრისტიანული ერა იესო ქრისტეს შობიდან დღევანდლამდე განვლილ პერიოდს, მუსლიმანური ერა კი მუჰამედ ფეიღამბრისა (წინასწარმეტყველის) და მისი მომხრეების მექადან მადინაში გადასვლიდან განვლილ დროს მოიცავს. წლების იესო ქრისტესთან დაკავშირებულ ათვლას "მილადის", ხოლო ჰიჯრთან დაკავშირებულ ათვლას "ჰიჯრის კალენდარი" ეწოდება.

მოცემულ სახელმძღვანელოში ბოლო მეცნიერული მიღწევებიდან გამომდინარე გარკვეულმა ახალმა მასალებმა ჰპოვეს ასახვა, ზოგიერთი ისტორიული მოვლენა და პროცესი ტრადიციული სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებულად განიმარტება. ეს, ინტერაქტიული სწავლების, მოსწავლეებს ქვედა კლასებში მოპოვებული ცოდნის უფრო გაღრმავების შესაძლებლობას მისცემს.

შავ ველში ხანა

ძველი მსოფლიო ისტორია მოიცავს უძველესი დროიდან ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე არსებულ საფეხურს. ხანგრძლივი დროის – ორ მილიონ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში ადამიანებს პირველყოფილ თემურ წყობილებაში უცხოვრიათ. ეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი იყო. პირველყოფილი ადამიანები შრომის იარაღებს სრულყოფდნენ, შრომით ჩვეულებს იღებდნენ და შრომის შედეგად თვითონაც ვითარდებოდნენ. მოპოვებითი მეურნეობიდან წარმოებრივ მეურნეობაზე გადასვლა, ლითონის აღმოჩენა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება გახდა პასუხისმგებლობის ზრდისა და საზოგადოების ფენებად დაყოფის გაღრმავების მიზეზი და ამის შედეგად 6–7 ათასი წლის წინათ პირველყოფილმა თემურმა წესებმა რღვევა დაიწყო. ამ დროს ძველი აღმოსავლეთის ნაყოფიერი მდინარეების სანაპიროებზე სწრაფად ვითარდებოდა მიწათმოქმედება, ჩნდებოდა ახალ-ახალი საცხოვრებელი კერები. ეგვიპტესა და შუამდინარეთში პირველი ცივილიზაციების ჩამოყალიბებაც ამ დროს მოხდა. ადრეული მონათმფლობელური სახელმწიფოების შექმნამ, დამწერლობის შექმნამ ძლიერი ბიძგი მისცა კაცობრიობის შემდგომ განვითარებას. სხვა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზეც გაჩნდა სახელმწიფოები. ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეიქმნა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები. აპენინის ნახევარკუნძულზე, მდინარე ტიბრის სანაპიროებზე კი დაარსდა რომის რესპუბლიკა. მონათმფლობელობა პირველყოფილ თემურ წყობილებასთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მონებისა და უქონელთა შრომის შედეგად უდაბნოები, ჭაობები და ბუჩქნარები ზვრებად და ბაღებად იქცა, აშენდა ქალაქები და კოშკები, გაყვანილი იქნა გზები. ძველი მსოფლიოს კულტურის შექმნაში სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე მცხოვრებმა ყველა ხალხმა თავისი წვლილი შეიტანა.

ჩათალჰოიქი. არქეოლოგიური გათხრების ადგილი

1 პირველყოფილი თემური წყობილება

საკვანძო სიტყვები

- პირველი ადამიანი
- შრომის იარაღები
- პირველყოფილი თემი
- "ჭკვიანი ადამიანი"
- მიწათმოქმედება
- მესაქონლეობა
- საგვარეულო თემი

გასული საუკუნის 30-იან წლებში არქეოლოგმა ლუის ლიკიმ აღმოსავლეთ აფრიკაში, ოლდუვაის ხეობაში პირველყოფილი ადამიანების ნარჩენები აღმოაჩინა. დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ მცხოვრები ეს ადამიანები წვრილ ჯგუფურ ცხოვრებას ეწეოდნენ, ქვისაგან შარტიები იარაღების დამზადება იცოდნენ, ამიტომაც მეცნიერები ამ ადამიანებს "ჭკვიან ადამიანს" უწოდებენ.

თეორიები და მოსაზრებები ადამიანის წარმოშობის შესახებ. ადამიანთა საზოგადოების ისტორია დედამიწაზე პირველი ადამიანის გაჩენიდან იწყება. თუმცა ეს როდის, როგორ და სად მოხდა ყოველთვის დავის მიზეზი ყოფილა. პირველი ადამიანის წარმოშობასთან დაკავშირებით თქმულებითი, რელიგიური, *ევოლუციური** და კოსმოსური თეორიები არსებობს. პირველყოფილ პერიოდში უმრავლეს ტომსა და გვარს სხვადასხვა ცხოველები (დათვი, მგელი, ირემი, გველი და სხვა) თავიანთ წინაპრად მიაჩნდათ. მაგალითად, ძველი თურქების წინაპრად რუხი მგელი ითვლებოდა. ზოგი ხალხის ლეგენდების თანახმად ღმერთმა პირველი ადამიანი თიხისაგან შექმნა სხვა წარმოდგენებით მიწისაგან, წყლისაგან გაჩნდა ან ზეციდან ჩამოვიდა. ადამიანის წარმოშობა რელიგიურ წიგნებშიცაა ასახული.

ევოლუციური თეორიის თანახმად ყველა ცოცხალი არსება, მათ შორის ადამიანიც, ხანგრძლივი განვითარების, ცვლილებების შედეგადაა ფორმირებული. თუმცა არქეოლოგებმა მსოფლიოში რამდენიმე უძველესი ადამიანის ტიპის ნარჩენები აღმოაჩინეს, მათ შორის რამენაირი კავშირი და გადასვლა, ერთი ტიპის სხვა ტიპის ადამიანის ტიპზე გარდაქმნის მაჩვენებელი არსებითი დასაბუთება ვერ იპოვეს. არსებობს ადამიანის დედამიწაზე კოსმოსიდან, სხვა პლანეტებიდან მოსვლის შესახებ მოსაზრებებიც.

ადამიანის წარმოშობის შესახებ რომელ თეორიას ანიჭებთ უპირატესობას?

პირველყოფილი ადამიანები, უძველესი სადგომები. პირველყოფილი თემური საზოგადოება ისტორიის ყველაზე გრძელი ეტაპია. მეცნიერები მას ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანებად ყოფენ. ქვის ხანა, თავის მხრივ, პალეოლითის, მეზოლითის და ნეოლითის პერიოდებად იყოფა. ძველ ბერძნულ ენაზე "პალეო"–"ძველი", "მეზო" – "შუა", "ნეო" – "ახალი" "ლით" კი ქვის აზრს ატარებს.

დაახლოებით ორი მილიონი წლის წინათ უძველესი ადამიანები აფრიკიდან გამოვიდნენ, აზიასა და ევროპაში გაიშალნენ. აზერბაიჯანში აზიხის გამოქვაბულში და საქართველოში ბორჩალოს მაჰალეში (ახლანდელი დმანისი) უძველეს ადამიანთა სადგომებში ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებს, რომ სამხრეთი კავკასიაც ამ არეალს ეკუთვნის. ისინი უკვე

* **თეორია –** არაბულ ენაზე დანახვა, შეხედვა სიტყვისგანაა წარმოშობილი. განსაზღვრული რაიმე მოვლენის პირობასა და განმარტებაზე მიმართული შეხედულებების, იდეებისა და წარმოდგენების კომპლექსია.

* **ევოლუცია –** ბიოლოგიაში სხვადასხვა სახეების ისტორიული განვითარების გამაანალიზებელი იდეებისა და კონცეფციების ერთობლიობაა.

იუსიფ იუსიფოვის ნაწარმოებიდან "ძველი აღმოსავლეთის ისტორია"

შუმერებისა და აქადების მითებში, სამყაროსა და ადამიანის შექმნის, ამასთან დაკავშირებით ღმერთების ქმედებებია ასახული. ლეგენდის თანახმად, ზეცაში და მიწის ქვეშ ღმერთების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. სურსათი კი არ იყო საყოფი. ამიტომ მათ დახმარებისათვის წყლისა და სიმინდის ღმერთს ენკის მიმართეს. ენკი შთაყარ ღმერთთან ენლილთან და ზეცის ღმერთთან ანთან ერთად შუმერთა პანთეონში უმაღლეს საქმეულში შედიოდა. მან თიხისაგან ღმერთების მსგავსი ძლიერი და ჭკვიანი კაცი და ქალი შექმნა. თუმცა მათ მარადიული სიცოცხლე არ მისცა. ადამიანებს დვთაებები საჭმლით უნდა უზრუნველყოფდნენ და მუდმივად მათ მორჩილებაში უნდა ყოფილიყვნენ.

"თოფრათში" და "ეურანშიც" აღნიშნულია, რომ პირველი ადამიანი მიწისა და წყლისგანაა შექმნილი. ეს რელიგიური აზრი შუასდინარეთის თქმულებების გავლენით გაჩნდა.

ქვისგან დამზადებული შრომის იარაღები



ევოლუციური თეორიის თანახმად ადამიანების ფიზიკური განვითარება

გამართულად, ფეხზე მდგომნი დადიოდნენ, ქვისგან სამურველს, დანას, ისრის წვერს ამზადებდნენ. ინსტრუმენტის დამზადება და მისი სრულყოფა პირველყოფილი ადამიანის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ცეცხლის მოპოვებამ მათი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა: ცეცხლის გამოყენებით ცივ გამოქვებულებს ათბობდნენ, საჭმელს ხარშავდნენ, ველურ ცხოველებს მოინადირებდნენ. ცეცხლი, მის გარშემო შეკრებილ ადამიანებს ერთმანეთთან აახლოებდა. მსოფლიოში ცეცხლის გამოყენების უძველესი კვალი აღმოსავლეთ აფრიკაშია მიგნებული. მისი ასაკი დაახლოებით 1,5 მილიონი წელია.

რით განსხვავდებოდნენ პირველყოფილი ადამიანები ცხოველებისაგან?

100 ათასი წლის წინათ კლიმატი დედამიწაზე მკვეთრად შეიცვალა. აცივდა, დაიწყო ბოლო დიდი გამყინვარების ხანა. ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთი ათი ათასეული წლების განმავლობაში სქელი ყინულის ფენით იყო დაფარული. ზაფხულობით მცირე ხნით ყინული დნებოდა, დედამიწაზე მცენარეული საფარი ჩნდებოდა. მხოლოდ ყინვის გამძლე ზოგიერთმა ცხოველმა - მამონტმა, მარტორქამ, ბიზონმა, ჩრდილოეთის ირმებმა შეძლეს ამ კლიმატთან შეგუება. მონადირეობა ასეთ პირობებში მცხოვრებ და უფრო გამძლე ადამიანთა ძირითად ხელობად იქცა. მათი ძვლები პირველად 1856 წელს გერმანიაში ნეანდერტალის ველზე იქნა აღმოჩენილი.

მეცნიერთა გარკვეულმა ჯგუფმა ნეანდერტალები გადაშენებული ადამიანის სახეს მიაკუთვნეს. ნეანდერტალები შუა პალეოლითის ხანის მუსტიეს კულტურის მატარებლები იყვნენ. ისინი ძირითადად ბუნებრივ გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, მსხვილ ცხოველებზე ნადირობდნენ, ტყავის ტანსაცმელს ატარებდნენ, თავიანთი კოლექტივის ავადმყოფ და მოხუც წევრებზე ზრუნავდნენ, მიცვალებულებს ასაფლავებდნენ. ამ უძველეს ადამიანებში იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ უკვე მოხდა წარმოდგენების ფორმირება.

მართალია შუა და გვიანი პალეოლითის ხანების გადაკვეთისას ნეანდერტალებმა გარკვეულ ხანს ადამიანების ახალ სახეობასთან "ჭკვიანი ადამიანი" ("Homo sapiens") - კრომანიონების გვერდით იცხოვრეს, ჯერჯერობით უცნობი მიზეზების გამო გადაშენდნენ. საინტერესოა, რომ მათი უკანასკნელი ერთ-ერთი თავშესაფარი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე - ნახჩევანის მხარეში არსებული კაზმას გამოქვაბულის სადგომი იყო.

დაახლოებით 40 ათასი წლის წინათ ისტორიის სცენაზე გამოსული, ძირითადად საკვების შეგროვებითა და მონადირეობით დასაქმებული კრომანიონები (ეს სახელი საფრანგეთში არსებული კრომანიონის გამოქვაბულის სახელთან არის დაკავშირებული) თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპრებად ითვლებიან. ისინი გარეგნული შესახედაობითა და ტვინის მოცულობის მხრივაც ჰგავდნენ თანამედროვე ადამიანებს. პალეოლითის ხანის ბოლოსკენ ხელოვნების გაჩენაც მათ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ამ უძველესმა ადამიანებმა გამოქვაბულის კედლებზე დახატეს ცხოველების გამოსახულებები. ისინი ძვლებისაგან სხვადასხვა ფიგურებს ამზადებდნენ.

კრომანიონების სადგომი

პირველი მიწათმოქმედები და მეცხოველეები. დაახლოებით 12 ათასი წლის წინათ დასრულდა გამყინვარების პერიოდი. უძველესი ადამიანების მონადირებული ცხოველების ცალკეული სახეები (მამონტი, მარტორქა და სხვა) გადაშენდნენ. წვრილი და სწრაფი ცხოველების შუბით მონადირება ძნელი იყო, ამიტომაც უფრო სრულყოფილი იარაღი მშვილდისარი გამოიგონეს. ეს იყო მეზოლითური ხანის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა. მისი დახმარებით კარგ მონადირეს ცხოველის და ფრინველის შორი მანძილიდან მონადირება თავისუფლად შეეძლო. ისრისა და ქამანდის გამოგონებამ მონადირეებს უფრო მეტი ცხოველის მონადირების საშუალება მისცა. სურსათის მარაგის ზედმეტობის შემთხვევაში, ცხოველების ერთ ნაწილს სპეციალურად შემოღობილ ადგილას ინახავდნენ და კვებავდნენ. რძის, ხორცის, მატყლის მომცემ და ტყავის გამოსაყენებელ ცხოველებს აშინაურებდნენ. მუდმივი მონადირეობის აუცილებლობა აღარ იყო. ადამიანებმა დაიწყეს აუცილებელი პროდუქციის წარმოება.

ქვის ხანის ადამიანების რომელ მიღწევებს რა მნიშვნელობა ჰქონდა?

გერმანელმა არქეოლოგმა კლაუს შმიდტმა 1994 წელს თურქეთის ტერიტორიაზე - ანადოლუში, კერძოდ, გობაქლითეფეში უძველესი და საინტერესო ძეგლი აღმოაჩინა. ეს იყო 12 ათასი წლის ასაკის ტაძრის კომპლექსის ნარჩენები. საოცარი ის იყო, რომ ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ადამიანებს სახლის აშენება, მარტივი თიხის ჭურჭლის დამზადება არ შეეძლოთ, საკვების შეგროვებითა და მონადირეობით იყვნენ დაკავებულნი, ძველი ანადოლუს მოსახლეობამ თავისი ღმერთების პატივსაცემად ტაძარი აღმართა. აქ მსხვილ რიყის ქვებზე ტახის, ლომის, მელიის, გველის, ფრინველებისა და სხვა ცხოველების ნახატებია შესრულებული. მკვლევარების აზრით, ეს გამოსახულებები, რომლებსაც თვალი, პირი და სახე არ გაჩნდათ ღმერთებს ასახავს. საინტერესოა, რომ ჩვ.წ.აღ-მდე VIII ათასწლეულში ადამიანებმა გობაქლითეფეში ტაძრის აგება ქვითა და ხრეშით დაიწყეს და იქაურობა მიატოვეს. ალბათ, ეს წინა აზიაში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებთან იყო დაკავშირებული.

გობექლითეფეს ტაძარი
(შანლიურფა, თურქეთი)

ნეოლითის ხანის ნახატები კედელზე
(ჩათალჰოიუქი, თურქეთი)

წინა აზიის ველებში ველური ხორბალი და ქერი იზრდებოდა. ისინი მარცვალს ქვებით აქუცმაცებდნენ, წყალში არევით ცომად აქცევდნენ, შემდეგ გაცხელებულ ქვებზე პურს აცხობდნენ. ქალები დააკვირდნენ, რომ მიწაზე ჩამოვარდნილი მარცვლები მალე ღივდება, ამოდის, იზრდება და ჯეჯილად იქცევა. მათ მრუდწვერიანი ჯოხით ან ძვლისაგან დამზადებული თოხით მიწის ჩიჩქნა და მარცვლოვანი მცენარეების დათესვა და მოყვანა დაიწყეს. ამრიგად, წარმოიშვა მიწათმოქმედება. უკვე ადამიანები საჭმლის მოსაძებნად სხვა ადგილას აღარ მიდიოდნენ. თავიანთი ფართობების სიახლოვეს ალიზისაგან პატარა სახლების აშენება დაიწყეს.

არქეოლოგიური გათხრები უძველესი
მიწათმოქმედების კერაზე
(ყარაბაღის ვაკე, აზერბაიჯანი)

უძველესი მემინდვრეობის კერა ჩათალჰოიუქი თურქეთის ტერიტორიაზეა. აქ სიცოცხლე ნეოლითის ხანაზე ადრე დაიწყო. ჩვ. წ. აღ-მდე VI ათასწლეულის დასაწყისში ჩათალჰოიუქში ხუთი ათასამდე ადამიანი ცხოვრებდა. ისინი

საქონელს ინახავდნენ, ვაჭრობდნენ, მოჰყავდათ მარცვლე-ული მცენარეები, ნუში და ვაშლი. ქვისაგან, ძვლისაგან, მდინარის ქვისაგან და ობსიდიანიდან ინსტრუმენტებს ამზადებდნენ.

უძველესი მიწათმოქმედების კერა ჩათალჰეიქში ჩობექლითეფეში რომ იყო, შეაფასეთ სივრცის თვალსაზრისით. აღნიშნეთ ამ ძეგლების წინა აზიისათვის, მათ შორის თურქული სამყაროსათვის დადებითი მხარეები.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების კვალობაზე ადამიანები მომპოვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადავიდნენ. ნეოლითის ხანაში მომხდარი ეს მოვლენა უძველესი ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, ამიტომაც მას "ნეოლითის რევოლუციას" უწოდებენ.

თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ხანჯალი (ბრინჯაოს ხანა)

ამ პერიოდში ვითარდებოდა ხელოსნობაც. დაოსტატებული ხელოსნები შრომის ინსტრუმენტებს, იარაღს, ჭურჭელს და სხვას ამზადებდნენ. ამ ნაწარმს მიწათმოქმედისა და მესაქონლის წარმოებულ მოსავალზე ცვლიდნენ. თიხისაგან დამზადებულ ჭურჭელს მოხატავდნენ და სპეციალურ ადგილებში – მეჭურჭლეთა ქურებში გამოწვავდნენ. ჩვ.წ.აღ–მდე IV ათასწლეულში მეჭურჭლეთა დაზგის გამოგონებამ უფრო გლუვი და ლამაზი ჭურჭლის წარმოების შესაძლებლობა შექმნა. იმავე ათასწლეულის ბოლოს სპილენძში ტყვიისა და კალის შერევით ახალი ლითონი – ბრინჯაო მოიპოვეს. ბრინჯაოსაგან დამზადებულმა შრომის იარაღებმა მოსავლიანობა კიდევ უფრო გაზარდა.

პირველყოფილი თემები და წინარეისტორიული ხანის დასასრული. ისტორიაში ადამიანების პირველი გაერთიანება *"უძველესი თემი"* იყო. საკვების შეგროვებისათვის, ველური ცხოველებისაგან თავდაცვისათვის სტიქიურად წარმოშობილი ეს ერთობა მტკიცე და მუდმივი არ იყო. პალეოლითის ხანის ბოლო საფეხურზე უძველესი თემი *საგვარეულო თემმა* ე.ი. *ტომურმა თემმა* ჩაანაცვლა. ახლო ნათესავები, ოჯახები დედის ხაზით (მატრიარქატი) ამ თემში ერთიანდებოდნენ. მათ საცხოვრებელი ადგილი, შრომის იარაღები, საკვები მთელი თემისათვის საერთო ჰქონდათ. ტომს გამოცდილი და ასაკიანი წევრები – უხუცესები ედგნენ სათავეში. ისინი ტომის წევრებს შორის თანასწორობის უძველეს წესებს იცავდნენ, განსაზღვრული წესებით მოქმედებას აკონტროლებდნენ. „ჭკვიანი ადამიანები" საგვარეულო თემის პირობებში ცხოვრობდნენ. უძველეს ადამიანთა სადგომებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ასეთ თემებში დაახლოებით 100–150 ადამიანი იყო.

განსაზღვრეთ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები უძველეს თემსა და ტომურ თემს შორის.

ქაშანურის სადღვებელი. გვიანი ბრინჯაოს ხანა (ზეიამ ჩაის ნეკროპოლი, აზერბაიჯანი)

ტომური თემი ბრინჯაოს ხანამდე ადამიანების ერთობის ძირითად ფორმად რჩებოდა. ამ ხანაში მეურნეობის განვითარებამ, თოხით მიწათმოქმედების კავით მიწათმოქმედებით ჩანაცვლებამ, დიდმა საზოგადოებრივმა შრომის დანაწილებამ პირველყოფილ საზოგადოებრივ წყობაზეც მოახდინა გავლენა. პატრიარქატმა ჩაანაცვლა მატრიარქატი. თემებისაგან შემდგარი გვარები მსხვილ გვარებად გაერთიანდნენ. ცვლილებები მოხდა გვარების ცხოვრებაში, წარმოიშვა ტომთა კავშირი, მეზობლებს შორის კავშირები განმტკიცდა. ნათესი ფართობები, საქონლის საძოვრები მათი საერთო ქონება იყო. მეზობლები ახლად შექმნილ სოფლებში ერთად ცხოვრობდნენ. ტომური თემის ნაცვლად მეზობლური თემი გაჩნდა. საერთო ტერიტორიაზე მცხოვრები თემები პასუხისმგებლობას იღებდნენ მის ერთობლივ დაცვაზე. გაიზარდა საზოგადოებაში სამხედრო მეთაურის როლი. ისინი თემის წევრების მიერ აირჩეოდნენ და მოდიოდნენ ხელისუფლებაში. ასეთ მმართველობას "სამხედრო დემოკრატია" ეწოდა.

უხუცესთა საბჭო თემისათვის კუთვნილი მიწის ფართობებიდან მსხვილი ოჯახებისათვის მიწის წილს გამოყოფდა. ეს წილი თანდათანობით ოჯახის საკუთარ მფლობელობაში გადადიოდა. მოსავალსაც მთელი თემი კი არა, ოჯახი იღებდა. უნარიანი ოჯახები ქონებას აგროვებდნენ, ხოლო სხვები კი უქონელნი ხდებოდნენ. წარმოიშვებოდა ქონებრივი უთანასწორება.

როგორ გესმით "ქონებრივი უთანასწორობა?"

ჩვ. წ. აღ-მდე IV-III ათასწლეულებში ძველი აღმოსავლეთის უმრავლეს ქვეყნებში ახლად წარმოშობილმა ზედა ფენამ – ჯერ სამხედრო ტყვეები, შემდეგ კი თავის გვარის უქონელი წევრები მონებად აქცია. თანდათანობით მონათმფლობელებისა და მონების კლასები, მონათმფლობელური სახელმწიფოები შეიქმნა. წინარეისტორიული ხანა დასრულდა. საზოგადოებამ ისტორიის პირველყოფილი წყობიდან ცივილიზაციის შემდეგ წყობაზე გადასვლა დაიწყო – ჯერ ბრინჯაოს, ჩვ.წ.აღ–მდე I ათასწლეულის დასაწყისში კი რკინის დამუშავებამ საფუძვლიანი ბიძგი მისცა ძველი *ცივილიზაციების** ტექნიკურ განვითარებას.

* **ცივილიზაცია** - კაცობრიობის პირველყოფილი თემიდან მომდევნო მატერიალური და სულიერი კულტურის უფრო მაღალი განვითარების ეტაპია.



კითხვები და დავალებები

1. *რა თავისებური გზა გაიარა აზერბაიჯანმა ბრინჯაოს ხანაში?*
2. *დროის თვალსაზრისით დააკავშირეთ და განმარტეთ პირველყოფილ თემურ ხანაში ქვეყნად მოქმედი მოვლენები.*
3. *განმარტეთ პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ფაქტორები.*
4. *გააანალიზეთ პირველყოფილი ადამიანების რელიგიური წარმოდგენები თანამედროვე რელიგიურ შეხედულებებთან კავშირში.*
5. *ჩამოთვალეთ პირველყოფილ თემურ ხანაში მსოფლიოში და აზერბაიჯანში მოქმედი მსგავსი პროცესები, განმარტეთ მათი ერთდროულად მოხდენის მიზეზები.*
6. *სქემისა და ცხრილის სახით წარმოადგინეთ პირველყოფილი თემური წყობილების თავისებურებები.*

2 ძველი ეგვიპტე და შუამდინარეთი (მესოპოტამია)

საკვანძო სიტყვები

- ნილოსი
- ფარაონი
- თუტმოს III
- რამზეს II
- პტოლემეოსები
- შუმერები
- ბაბილონია
- ასურეთი
- ხამურაბი
- ასურბანიფალი

პირველყოფილი წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლისას პირველად სახელმწიფოების შემქმნელი ხალხები შუმერები და ეგვიპტელები ყოფილან. მათგან დარჩენილი მდიდარი კულტურა ამჟამინდელ თანამედროვე პერიოდშიც ინტერესს იწვევს. მაგრამ ამ ხალხების ბედი სხვადასხვა ყოფილა. ეგვიპტელებმა სახელმწიფო დამოუკიდებლობა და კულტურა ჩვ.წ.აღ მდე I ათასწლეულის შუა ხანებამდე შეინარჩუნეს.

ნილოსის ნობათი. ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ–მდე V საუკუნეში მცხოვრებმა ჰეროდოტემ ეგვიპტეს "ნილოსის ნობათი" უწოდა. გარშემო მყოფ მიწებისათვის ნაყოფიერების მბოძებელი, ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის ხელსაყრელი პირობების შემქმნელი მდინარე ნილოსი იყო.



ძველი ეგვიპტე

ეგვიპტელები ძირითადად მიწათმოქმედებით ყოფილან დასაქმებულნი. ნათესების მოსარწყავად გაიყვანეს სარწყავი არხები, ააგეს დამბები და მოაწყვეს წყალსაცავები. მიწათმოქმედებასთან ერთად იქმნებოდა და ვითარდებოდა მესაქონლეობა და ხელოსნობა. ნილოსის მდელოს მაცხოვრებლები ლერწმის (პაპირუსის) ნავების საშუალებით ერთმანეთთან ურთიერთობდნენ, მოსავალს უცვლიდნენ ერთმანეთს. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან ერთად მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, შეიქმნა თემები. თემების განთავსების ტერიტორია მსხვილ საცხოვრებელ კერებად, ხოლო გაცვლის პუნქტები კი თანდათანობით ქალაქებად იქცა. მსხვილი საცხოვრებელი პუნქტების, ქალაქების შექმნით მართვის სისტემისა და ხელისუფლების ფორმირებულ ტერიტორიებზე შეიქმნა პირველი სახელმწიფოები.

თქვენი აზრით, ეგვიპტისათვის "ნილოსის ნობათი" წოდება სწორია? დააკავშირეთ ეგვიპტის ბუნებრივ გეოგრაფიული პირობები მის მეურნეობასთან.

ეგვიპტის ერთიანი სახელმწიფო და მისი ძლიერი ხანა. ეგვიპტეში თავდაპირველად 40–მდე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არსებობდა. მათ შორის ურთიერთდაპირისპირებაში ერთი სახელმწიფო მეორეს ამარცხებდა, ტერიტორიას თვითონ იერთებდა. სახელმწიფების რაოდენობის შემცირებასთან ერთად იზრდებოდა მათი ტერიტორიები. ჩვ.წ. აღ-მდე IV ათასწლეულის შუა ხანებში მდინარე ნილოსის მიდამოებში ორი სახელმწიფო - ზემო (სამხრეთი) ეგვიპტე და ქვემო (ჩრდილოეთი) ეგვიპტის სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე 3000 წელს ზემო ეგვიპტის მმართველმა მინამ (ნაჰმერ) ქვემო ეგვიპტეზე გაიმარჯვა და ეგვიპტის ერთიანი სახელმწიფო შექმნა. ქალაქი მემფისი სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა.

ზემო ეგვიპტის ქვემო ეგვიპტეზე გამარჯვების ამსახველი გამოსახულება

ეგვიპტისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტის ერთიანი სახელმწიფოს შექმნას?

ძველ ეგვიპტეში ხელისუფალს ***ფარაონს*** (ძველ ბერძნულად ***"დიდი სახლი"***-სასახლე) უწოდებდნენ. მას შეუზღუდავი ძალაუფლება გააჩნდა.

ფარაონი სახელმწიფოს მართვისათვის მთავარ ვეზირს (ჩათი) და სხვა თანამდებობის პირებს ნიშნავდა. არმია მთლიანად ფარაონს ემორჩილებოდა. ის მთავარსარდლად ითვლებოდა.

ეგვიპტური პირამიდებისა და სფინქსის პირველი ფოტოსურათი. 1851 წელი

ძველი ეგვიპტის 3000 წლიანი სახელმწიფოებრიობის ისტორია იყოფა ძველი, შუა და ახალი მეფობის პერიოდებად. ძველ და შუა მეფობის პერიოდებში მეურნეობამ და კულტურამ ქალაქებში გარკვეულ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ეგვიპტის სახელმწიფომ თავისი პოლიტიკური სიძლიერის მწვერვალს ახალი მეფობის პერიოდში (ჩვ.წ. აღ-მდე XVI - ჩვ.წ. აღ-მდე XI საუკუნეებში) მიაღწია.

ეგვიპტის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა

ახალი მეფობის პერიოდში ეგვიპტე სამხედრო-პოლიტიკური ძალისა და ტერიტორიის მიხედვით იყო უდიდესი სახელმწიფო, იმპერიად იყო ქცეული. ფართომასშტაბიანი ლაშქრობები დაიწყო თუტმოს I-მა, თუტმოს III-ის ხელისუფლების პერიოდში კი დაპყრობები უფრო გაფართოვდა. მან მითანის და ბაბილონის სახელმწიფოებზე გაიმარჯვა და სირია, პალესტინა და ფინიკია ეგვიპტეს შეუერთა. ამ გამარჯვებების გამო თუტმოს III-ს "უძველესი სამყაროს ნაპოლეონს" უწოდებენ.

თუტმოს III

განსაზღვრეთ იმპერიის თვისებები?

ფაქტებით დაასაბუთეთ თუტმოს III-ის პერიოდში ეგვიპტის იმპერიად გადაქცევა.

ახალი მეფობის პერიოდის ბოლო ძლიერი მმართველი რამზეს II (ჩვ.წ.აღ-მდე XIII საუკუნე) იყო. მან ეგვიპტის წინა აზიაში არსებული პოზიციების, ავტორიტეტის აღდგენისათვის ხელისუფლების პირველ წლებში ხეთებთან ბრძოლა დაიწყო. მათ შორის ხანგრძლივად მიმდინარე ომი მხარეებს შორის მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებით (ზავი) დასრულდა. ეს ითვლება პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებად.

ძველი ეგვიპტის დაცემა. ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულში დაიწყო ეგვიპტის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება. ხელისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლები მმართველი დინასტიების ჩქარ-ჩქარი ცვლილების, ფარაონთა ავტორიტეტის დაცემის მიზეზი გახდა. დაპყრობილი ტერიტორიები ეგვიპტეს გამოეყო. ჩვ.წ. აღ-მდე 525 წელს ირანმა დაიპყრო ეგვიპტე და ის თავის პერიფერიად აქცია. ამით ძველ ეგვიპტის ცივილიზაციას ბოლო მოეღო. ჩვ.წ.აღ-მდე 332 წელს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობით მართალია ეგვიპტე ირანელების ხელისუფლებისაგან გათავისუფლდა, მაგრამ დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის რღვევის პერიოდში ეგვიპტეში ბერძნულ - მაკედონიური წარმოშობის პტოლემეუსთა (ჩვ.წ.აღ-მდე 323-ჩვ.წ.აღ-მდე 30 წლები) დინასტიის ხელისუფლება მოვიდა. ძველმა ეგვიპტელებმა კიდევ ერთხელ ვერ შეძლეს ხელისუფლებაში მოსვლა.

შუამდინარეთი (მესოპოტამია). შუმერები შუამდინარეთის მკვიდრი მაცხოვრებლები არ ყოფილან. მიღებულია მოსაზრება, რომ შუმერები ალტაის მთებიდან მოსული უძველესი თურქული ტომები არიან.

შუმერები მესოპოტამიაში ჩვ. წ. აღ-მდე VII-VI ათასწლეულებს შორის პერიოდში მოსულან და ამ მხარის სამხრეთ ნაწილში დასახლებულან, სადაც არც ტყე, არც მეტალი და არც სამშენებლო ქვა არ ყოფილა. მდინარე ევფრატისა და ტიგროსის წყალდიდობები მდინარე ნილოსისაგან განსხვავებით ძალიან დამანგრეველი იყო, ტერიტორიის დიდი ნაწილი წყლის ქვეშ რჩებოდა. შუმერების მოსვლამ კი მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა. მდინარეებზე აშენდა დამბები, გაიყვანეს სარწყავი არხები, შეიქმნა პირობები მიწათმოქმედებების განვითარებისათვის და ტერიტორია აყვავებულ მხარედ იქცა. მდინარეების, არხების სანაპიროებზე დაარსებული პატარა საცხოვრებელი დასახლებები დროთა განმავლობაში ქალაქებად იქცნენ. თითოეულ ქალაქს თავისი ღმერთი და პატივსაცემად აღმართული ტაძარი - ზიკურათი გააჩნდა.

პირველ ხანებში ქალაქებს ღმერთის სახელით მოლაპარაკე **ენ**ად წოდებული ქურუმები მართავდნენ.

შუმერების პირველი ქალაქი იყო ჩვ.წ. აღ-მდე IV ათასწლეულის ბოლოს აშენებული ერედუ. ერედუს შემდეგ ერთმანეთის მიმდევრობით ***ურ****, ურუკ, ლაკაშ, ქიშ, ნიპურ და სხვა ქალაქები აშენდა. უკვე ჩვ. წ. აღ-მდე IV ათასწლეულის ბოლოს ქალაქ ურუქში შუმერების პირველინ პიქტოგრამული წარწერები (წარწერა სურათებით) გამოჩნდა. ჩვ.წ. აღ-მდე III ათასწლეულის პირველ ნახევარში ქალაქები განვითარებული მართვის ორგანოებისა და კანონების მქონე ქალაქ-სახელმწიფოებად იქცნენ, რომლებსაც საკუთარი ჯარი ჰყავდათ. ამ პერიოდიდან დაწყებული სამხედრო მეთაურების ავტორიტეტმა დაიწყო ზრდა და ცოტა ხნის შემდეგ ისინი მმართველებად (ლუკალ) იქცნენ. ამის ძირითადი მიზეზი ქალაქ-სახელმწიფოებს შორის დაწყებული შეჯახებები იყო.

ხელისუფლები სახელმწიფოს მეთაურობასთან ერთად არმიის მეთაურისა და მთავარი ქურუმის თანამდებობებსაც ითავსებდნენ. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ომები შუმერების, როგორც ხალხის შემცირებისა და ქალაქი სახელმწიფოების დასუსტების მიზეზი გახდა.

ჩვ.წ. აღ-მდე III ათასწლეულის პირველ ნახევარში მიმდინარე უწყვეტ ომებში ჯერ ურუკ, შემდეგ ურ და ქიშ ქალაქ - სახელმწიფოებმა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, ვერც ერთმა სახელმწიფომ ხანგრძლივად მტკიცე ხელისუფლების შექმნა ვერ შეძლო. შუმერი მმართველები შემცირებულ ჯარში ბრძოლისუნარიან სამებს სულ უფრო მეტად იწვევდნენ. ასეთი ***სამი**** მებრძოლებიდან ერთ-ერთმა, სარგონმა ჩვ.წ.აღ-მდე XXIV საუკუნეში ურუკ სახელმწიფოს მეთაური მოკლა, ძალაუფლება ხელში აიღო. სარგონმა (შარრუკინ) ქალაქი აქადი თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა და რეზიდენცია აქ გადმოიტანა. **სამის ტომებიდან ძლიერი ჯარის შემქმნელმა სარგონმა დასუსტებული შუმერთა სახელმწიფოები ერთმანეთს მიყოლებით დაამარცხა და შუამდინარეთში პირველად შექმნა ერთიანი სახელმწიფო.**

შუმერების მიერ დიდი კულტურის შექმნის მიუხედავად, რაში ხედავთ მათი ისტორიიდან გაქრობის მიზეზს? ისტორიიდან მთლიანად წასულ კიდევ რომელ ხალხს (ხალხებს) იცნობთ?

* **ურ** - თორას თანახმად ქალაქი, რომელშიც დაიბადა იბრაჰიმ წინასწარმეტყველი.

შუმერების ნობათი

ისტორიაში პირველად: ლურსმული დამწერლობის სისტემა, საბურავი — ტრანსპორტი, ბრინჯაოს იარაღები, ფერადი მინა, თვლის სამოცობითი სისტემა (აშკარად გამოიყენება), ასტრონომია, მათემატიკა და გეომეტრია, სკოლა და სახელმძღვანელო, წელიწადის ზუსტი გაზომვა და თვეებად დაყოფა, სასამართლო სისტემა, გემთშეენებლობა და კიდევ ჩამოუთვლელი მეცნიერული, ტექნიკური, ეკონომიკური სიახლეები შუმერებს შეუქმნიათ. შემდგომში მსოფლიოს ბაბილონ – ასიური კულტურის სახელით ცნობილობის უკან შუმერების მეცნიერული მიღწევები დგას.

ახლანდელ დროში სად (ან რომელ ხელსაწყოში) გამოიყენება სამოცობითი სისტემა?

* **სამის ტომი** - არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები თანამედროვე არაბი და ებრაელი ხალხების წინაპრები ყოფილან.

აქადის სახელმწიფომ ერთ საუკუნემდე მთელი მესოპოტამიის თავის მმართველობის ქვეშ შენარჩუნება შესძლო. ჩვ.წ.აღ-მდე აქადის სახელმწიფოს ქუთი ტომების მხრიდან მარცხის განცდის შემდეგ, შუმერები ბოლოჯერ გამოჩნდნენ ისტორიაში. ქალაქი-სახელმწიფო ურის მესამე დინასტიის (ჩვ.წ.აღ-მდე XXI საუკუნეში) შუამდინარეთის უძლიერესი სახელმწიფო გახდა. ჩვ.წ.აღ-მდე 2003 წელს სახელმწიფო ელამისა და სამის ტომების ერთობლივი შეტევით ურის სახელმწიფო დამარცხდა. ამით შუმერთა ქალაქი-სახელმწიფოების არსებობას ბოლო მოეღო.

ბაბილონი. ბაბილონი მდინარე ევფრატის სანაპიროებზე მდებარე ძველი შუმერული ქალაქის ადგილას შეიქმნა. ქალაქს სახელი შუმერულ ენაზე ***ქა–დინგირა*** - ე.ი. "ღვთის ჭიშკარი" დაერქვა. ჩვ.წ. აღ-მდე III ათასწლეულის ბოლოს, ამ ქალაქის დამპყრობი ***ამორეი****- სამის ტომებმა მისი სახელი თავიანთ ენაზე ასოებით გადათარგმნეს და მას ბაბილი (ბაბილონი) -"ილლაჰის, ღვთის ჭიშკარი" დაარქვეს. ქალაქი ბაბილონი ჩვ.წ.აღ-მდე 1894 წელს სახელმწიფოდ გარდაიქმნა. სახელმწიფოს საფუძველი ამორეის ტომის მეთაურმა სუმუაბუმ ჩაუყარა. ძველი ბაბილონის სახელმწიფოს აღზევების დრო იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, უნარიანი დიპლომატის ხამურაბის (ჩვ.წ. აღ-მდე 1792 - ჩვ.წ. აღ-მდე 1750) მმართველობის პერიოდში.

ხამურაბიმ მთელი შუამდინარეთი ბაბილონელთა მმართველობის ქვეშ გააერთიანა. ამის შემდეგ შუამდინარეთს ბაბილონი ეწოდა. ხამურაბიმ ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა. მიწების მორწყვა, მორწყვის გზები და სავაჭრო ურთიერთობები ხამურაბის ყოველთვის ყურადღების ქვეშ ჰქონდა მოქცეული. მისი ბრძანებით გაიჭრა ახალი არხები. ხამურაბიმ აიღო რა შუამდინარეთი თავისი მმართველობის ქვეშ, მთელი ქვეყნისათვის ერთიანი კანონთა კრებული შეადგინა. ხამურაბის კანონთა კრებული ლურსმული დამწერლობით აქარდის ენაზე იყო დაწერილი. კანონების გამზადებისას ხამურაბიმ შუმერთა სამართლებრივი საკითხებითა და კანონებითაც ისარგებლა. კანონების ძირითადი ნაწილი სასამართლოს, კერძო საკუთრების დაცვას, ოჯახურ ურთიერთობებს, ქონებრივ და დანაშაულებრივ სამართლებრივ საკითხებს ეძღვნებოდა. კანონების შედგენის მიზანი არსებულ სამართლებრივ წესებში რეფორმის გატარების გზით მათთვის ერთიანი ფორმის მიცემა იყო.

თუმცა ხამურაბის მემკვიდრეებმა ბაბილონი არსებული საზღვრების ჩარჩოებში ვერ შეინარჩუნეს. ხეთთა სამეფოსთან წინააღმდეგობის გაწევის უუნარობის გამო ძველი ბა-ბილონის სამეფო დასუსტდა და ძველი ძლიერება დაკარგა. ჩ.წ. აღ-მდე I ათასწლეულში გაძლიერებულმა ასურეთმა ბაბილონი თავის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიერთა. ბაბილონი ასურეთის მმართველების მემკვიდრეების მხრიდან იმართებოდა.

რა გავლენა მოახდინა ხამურაბის კანონებმა შემდგომ კანონმდებლებზე?

ჩ.წ. აღ-მდე 626 წელს ასურეთის მემკვიდრეს ნაბუპალასარმა დამორჩილებაზე უარი გამოუცხადა და თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. ამ მოვლენით კი ბაბილონში ახალი მეფობის პერიოდი დაიწყო (ჩ.წ. აღ-მდე 626-539). ნაბუპალასარმა რამდენიმე ბრძოლაში ასურეთის ჯარები დაამარცხა და ბაბილონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი გაათავისუფლა. მიდიისა და ბაბილონის სახელმწიფოების ერთობლივი შეტევის შედეგად საუკუნეების განმავლობაში წინა აზიის თავისი უღელის ქვეშ შემნარჩუნებელი ასურეთი დამარცხდა. ასურეთის ტერიტორიის მიდიასთან გაყოფით ბაბილონი შუამდინარეთის წამყვან სახელმწიფოდ გადაიქცა. აქემენის მმართველმა კირ II-მ ჩვ.წ.აღ-მდე 539 წელს ბაბილონის, როგორც სახელმწიფოს, არსებობას ბოლო მოუღო.

ასურეთი (ასურია). ასურეთმა თავისი სახელი ჩვ.წ. აღ-მდე III ათასწლეულში ღვთაება აშურის პატივსაცემად დაარსებული ქალაქის სახელიდან აიღო. მდინარე ტიგროსის სანაპიროებზე დაარსებულ ქალაქს საფუძველი საბერძნეთის ნახევარკუნძულიდან მოსულმა აკადილებმა და იმავე ფუძის მქონე ტომებმა დაუდეს.

ძველი შუმერული თქმულება

დედამიწის დატბორვა ლეგენდა ჩ.წ. აღ-მდე III ათასწლეულში შექმნილ გილგამეშის თქმულებაშია ჩაწერილი. შემდგომში ეს თქმულება თორაში და სხვა რელიგიურ წიგნებშიც შევიდა.

* **ამორეი** - არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთიდან მოსული სამის ტომებისათვის აქადების მინიჭებული სახელი.

ასურეთის, როგორც სახელმწიფოს პირველი აღზევება ჩვ.წ. აღ-მდე XIV საუკუნიდან დაიწყო. ამ დროს ეგვიპტესთან პირველად დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. აშურის მმართველი ეგვიპტის ფარაონს "ჩემს ძმას" თავის თავს კი "ასურეთის ქვეყნის მმართველს" უწოდებდა. ადადნირარ I-ის (ჩვ.წ.აღ-მდე 1307-1275) მმართველობის დროიდან ქალაქის საბჭომ სახელმწიფოს მართვაში დაკარგა როლი, ხოლო მმართველი აბსოლუტურ ხელისუფლად იქცა.

რკინის ხანის პირველი იმპერია. ასურეთის სახელმწიფოს მორიგი აღზევება ჩვ.წ. აღ-მდე IX საუკუნიდან დაიწყო. ასურეთის ამ აღზევების უკან რიგი ფაქტორები იდგა სავაჭრო გზების გაკონტროლება ასურელთა ახალი აღზევების მიზეზთაგანია.

ჩვ.წ.აღ-მდე I ათასწლეულის დასაწყისში შესაძლებელი გახდა რკინის დამუშავების გაფართოება, ბრინჯაოს შედარებით ხარისხიანი შრომის იარაღებისა და საბრძოლო იარაღის დამზადება.

რა ცვლილებები შეიტანა ადამიანის ცხოვრებაში აზერბაიჯანში და მსოფლიოში რკინის აღმოჩენამ?

მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ასურეთზე გავლამ, ასურელი ვაჭრების ახლო აღმოსავლეთის მსხვილ ქალაქებში საყრდენი წერტილების არსებობამ გაზარდა რკინის შეძენა და ქვეყანაში შემოტანა. ასურელი მმართველები დამორჩილებული ხალხებისგანაც გადასახადის რკინით გადახდას მოითხოვდნენ. ასურეთის ეკონომიკის გაძლიერებამ შექმნა პირობები დაპყრობითი ომების დაწყებისათვის.

რატომ ეწოდება ასურეთს რკინის ხანის პირველი იმპერია? რა თავისებურებები ახასიათებდა ამ იმპერიას?

მოსახლეობის მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობის შეხვედრისას ასურელები არნახულ სისასტიკეს იჩენდნენ. დაპყრობილი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ყველაზე ველური ხერხებით ხოცავდნენ, ქალაქებს ანადგურებდნენ, ხილის ხეებს ჭრიდნენ, ქვეყნის ყველა მატერიალურ რესურსი ასურეთში მიჰქონდათ. ჩვ.წ.აღ-მდე VIII საუკუნის შუა ხანებში ხელისუფლებაში მოსულმა ტიგლატპალასარ III-მ პირველ რიგში მოუწესრიგებელი სამხედრო ძალები პროფესიული არმიით შეცვალა. საბრძოლო ურმები ცხენოსანი ჯარით შეცვალა. პირველად შეიქმნა საინჟინრო შეიარაღებული ნაწილები, დაზვერვისა და კავშირგაბმულობის განყოფილებები. ტიგლატპალას III-მ დაამარცხა ურარტუს სახელმწიფო, მან განამტკიცა წინა აზიაში ასურიის პოზიციები. მისი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული ნაბიჯი იყო დიპლომატიური გზით ბაბილონის ტახტის ხელში ჩაგდება.

ჩვ.წ.აღ-მდე VIII საუკუნის ისტორიაში ასურელების სხვა გამოჩენილი მმართველი იყო სარგონ II (ჩვ.წ.აღ-მდე 721-705). ჩვ.წ.აღ-მდე 720 წელს სირიის, ფინიკიისა და ეგვიპტის გაერთიანებული ჯარები დაამარცხა და ასურეთის დასავლეთის საზღვრები ეგვიპტემდე გააფართოვა. რკინის ხანის პირველი იმპერიის ბოლო ძლიერი მმართველი იყო აშურბანიფალი (ჩვ.წ. აღ-მდე 668-631). მის დროს ელამი განადგურებული იქნა, დედაქალაქი სუზი გაიძარცვა.

აშურბანიფალის შემდეგ მოსული მმართველების დროს აჯანყებებმა, ძალაუფლებისავის ბრძოლებმა შეარყია სახელმწიფოს საფუძვლები. განუწყვეტელი ომების შედეგად დაუძლურებულმა ასურეთმა მის წინააღმდეგ გაერთიანებული ძველი მტერის ბაბილონისა და ახლად გაძლიერებულ მიდიასათვის წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო.

კითხვები და დავალებები

1. *დროის თვალსაზრისით შეაფასეთ ეგვიპტისა და მესოპოტამიის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები.*
2. *ფაქტების ჩვენებით განმარტეთ ეგვიპტისა და მესოპოტამიის შექმნისა და განვითარების პროცესი და გეოპოლიტიკური ცვლილებები.*
3. *სისტემური სახით განმარტეთ ეგვიპტეში და მესოპოტამიაში შექმნილი სახელმწიფოების იმ ხანად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებთან კავშირის მნიშვნელობა.*
4. *რა კვალი დატოვეს ისტორიაში ეგვიპტემ და მესოპოტამიამ?*

3 ძველი ირანი და ინდოეთი

საკვანძო სიტყვები

- არიები
- სპარსები
- კირ II
- დარა I
- აქემენიები
- ჰარაფას კულტურა
- კასტა
- აშოკა

ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ევროპაში მცხოვრები ხალხების დიდი ნაკადები სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ მოედინებოდა. ამ ტომებმა საბერძნეთში მიქენას კულტურას მძიმე დარტყმა მიაყენეს, მცირე აზიაში ძლიერი ხეთის სამეფო დააშარცხეს და დაასუსტეს. ეგვიპტის სახელმწიფომ ამ ტომს "ზღვის ხალხი" უწოდა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის დიდი სიძნელეები გადაიტანა.

სპარსი და ინდოელი ხალხების წარმოშობა. ჩვ.წ. აღ-მდე II ათასწლეულში ევროპიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრავთა შორის იყო არის ტომიც. ინდოელი და სპარსი ხალხი არის ტომის შთამომავლად ითვლება.

მომთაბარე-მესაქონლეობით დაკავებული არის ტომები აღმოსავლეთ ევროპის მინდვრებში ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, ჩვ.წ.აღ-მდე II ათასწლეულში ევროპაში კლიმატის მკვეთრი ცვლილების შემდეგ, არის ტომებმა მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი ტერიტორიის მოძებნის მიზნით დაიწყეს ახალი ადგილების ძიება. გრძელი გზის გავლის შემდეგ არის ტომების ერთი ნაწილი სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის გავლით ირანში, დანარჩენები კი ინდოეთში დასახლდნენ.

არის ტომების ირანში მოსვლის დროს, ირანში ელამის სახელმწიფო და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომები ცხოვრობდნენ. დროთა განმავლობაში ადგილობრივმა მოსახლეობამ არის ტომთა ენა მიიღო, ამის შემდეგ შეიქმნა ირანულენოვანი ტომები.

სპარსულ ენაზე mader*–დედა,* fader*–მამა,* difai*–თავდაცვა, ინგლისურ ენაზე კი* mother*–როგორც დედა,* father *– მამა,* defence *– თავდაცვა წარმოთქმება. თქვენი აზრით ამ სიტყვების ფუძე და აზრის მსგავსება საიდან წარმოდგება?*

ასეთი ირანულენოვანი ტომებიდან ერთ-ერთი სპარსული ტომი იყო. სპარსების სახელი პირველად ჩვ.წ.აღ-მდე IX საუკუნეში ასურიის ნაწერებში მოიხსენიება. ჩვ.წ. აღ-მდე VIII საუკუნის დასასრულს სპარსული ტომების კავშირი შეიქმნა. ამ კავშირის მეთაური არჩეული იქნა აქემენი. კავშირის ცენტრი ქალაქ პასარკადა (ძველ სპარსულ ენაზე "სპარსული ბაღები") იყო.

თუმცა აქემენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული მისი შთამომავლობა (კირ I, კამბიზი I, კირ II) საკუთარ თავს სპარსეთის მეფედ აცხადებდნენ, სინამდვილეში ოლქის მმართველები იყვნენ. თავდაპირველად ასურიის, კიაქსარის ხელისუფლების პერიოდში მიდიას დაქვემდებარებაში ცხოვრობდნენ.

აქემენის სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ეჰემენის შთამომავალმა კირ II-მ (კურუში) მიდიას მმართველი ასთიაგისგან უკმაყოფილო ძალებთან ფარული კავშირი დაამყარა, სპარსები აჯანყა და ასთიაგა ჩამოაგდო.

"...მესამე წლის დასაწყისში ანშანის მმართველი კირა, მისი (ასთიაგის) უმცროსი მოსა მის წინააღმდეგ აღდგა... ასთიაგმა ძალები შეკრიბა, კირის წინააღმდეგ წავიდა, რომ ის დაეჭიროს... ასთიაგის არმია მის წინააღმდეგ აჯანყდა, ის (ასთიაგი) დაეჭირეს კირს გადასცეს... კირმა ეკბათანში, მიფის ქალაქში ვერცხლი, ოქრო, სიმდიდრე და მოსახლეობა ტყვედ აიყვანა, თავის ქვეყანაში წაიყვანა".

ბაბილონის მმართველი ნაბონიდის ეპიტაფიიდან

თქვენი აზრით, ბაბილონის ხელისუფალი მიდიაში მიმდინარე მოვლენებს რატომ ადევნებდა თვალს ახლოდან?

ჩვ.წ.აღ-მდე 550 წელს შეიქმნა აქემენის სახელმწიფო. კირ II-მ მიდიას სახელმწიფო არ გაუქმა და თავი მიდიის მმართველად გამოაცხადა. ექბათანმა დედაქალაქობა შეინარჩუნა. შემდგომ პერიოდებში ისიც აქემენის სახელმწიფოს ერთ-ერთ დედაქალაქად ითვლებოდა.

კირ II-ის მიერ მიდიელი მაღალი ფენის წარმომადგენლებისათვის თანამდებობის მიუცემლობის ერთ-ერთი მიზეზი სპარსელების მიერ სახელმწიფო და ადმინისტრაციული მართვის საქმეების არცოდნა იყო. მიდიის კულტურის ამთვისებელმა სპარსებმა სახელმწიფო წყობისა და მართვის სისტემა მთლიანად მიდიელებისაგან აიღეს.

! *განსაზღვრეთ კირ II-ის მიერ მიდიის სახელმწიფოსადმი პატივისცემით მოპყრობის მიზეზები.*

მცირე დროის განმავლობაში მიდიის შემადგენლობაში შესული ტერიტორიების საკუთარი მმართველობის ქვეშ მომქცევმა კირმა ჩვ.წ.აღ-მდე 547 წელს დაამარცხა ლიდია, რომელიც მცირე აზიაში ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა. ცოტა ხნის შემდეგ კირმა მცირე აზიაში მდებარე ბერძნული ქალაქებიც დაიპყრო. ჩვ.წ. აღ-მდე 539 წელს სპარსულმა ჯარმა წინა აზიაში დამოუკიდებლობის შემნარჩუნებელ ბოლო სახელმწიფოს - ბაბილონის სამეფოს წინააღმდეგ შეტევა დაიწყო და იმავე წელს კირი ზეიმით შევიდა ბაბილონში. ბაბილონის დაპყრობის შემდეგ მასზე დამოკიდებულებაში მყოფი სირია, პალესტინა, ფინიკია ნებაყოფლობით დაემორჩილნენ აქემენის სახელმწიფოს. აქემენის სახელმწიფოს დასავლეთმა საზღვრებმა ეგვიპტეს მიაღწია. კირმა ოდესღაც ბაბილონელი მმართველების მიერ ტყვედ აყვანილ იძულებით ბაბილონში გადმოსახლებულ ებრაელ ხალხს სამშობლოში დაბრუნებისა და ყუდსის (იერუსალიმის) ტაძრის აღდგენის უფლება მისცა.

მასაგეთების მმართველი ტომირისი

ჩვ.წ. აღ-მდე 530 წელს კირმა მასაგეთის ტომებზე გაილაშქრა. ეს გალაშქრება კირისათვის ტრაგიკულად დასრულდა. ძველი ბერძენი ისტორიკოსის ნესოდოტის ინფორმაციის თანახმად ქალის ტომირისის მეთაურობით მასაგეთელებთან ბრძოლაში სპარსული ჯარი განადგურდა, კირ II მოკლულ იქნა.

? *რით შეიძლება აიხსნას კირის დიდ სახელმწიფოებზე გამარჯვების მიუხედავად, მისი მასაგეთის ტომებთან დამარცხება?*

კირ II-ის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი უფროსმა შვილმა კამბიზ II-მ (ჩვ.წ. აღ-მდე 530-522) დაიკავა. კამბიზ II-მ დაქვემდებარებაში მყოფი ხალხების გამოსვლები ჩაახშო, ძმა ბარდიის ხელისუფლებაში მოსვლის სურვილებს ბოლო მოუღო, მისი მალულად მოკვლევინების შემდეგ, მამის მიერ მომზადებული ლაშქრობა განახორციელა და ჩვ.წ. აღ-მდე 525 წელს ეგვიპტე დაიპყრო.

ეგვიპტის ძველი დედაქალაქის მენფისის დამპყრობი კამბიზ II აქ ფარაონად გამოცხადდა. კამბიზ II-ის დიდი ხნით ეგვიპტეში დარჩენა და ეთიოპიაში წარუმატებელი ლაშქრობა ირანში ქაოსის მიზეზი გახდა. ჩვ.წ. აღ-მდე 522 წელს საკუთარი თავის კირ II-ის სხვა შვილად ბარდიდ წარმომდგენმა თვითმარქვია ქურუმმა კაუმათამ ძალაუფლება ხელში აიღო.

? *რატომ შეძლო კაუმათამ თავი ისე წარმოედგინა როგორც ბარდი?*

სახელმწიფო გადატრიალების გზით აქემენის ტახტ-გვირგვინის მომპოვებელი კაუმათა მდგომარეობიდან უკმაყოფილო ფენების თავის მხარეზე გადაბირებით ცდილობდა ხელისუფლების განმტკიცებას. კაუმათას რეფორმები მემკვიდრეობით წარჩინებულთა მმართველი პოზიციის გაუქმებისკენ იყო მიმართული. მოხდა მათი ქონების კონფისკაცია და თავისუფალი საზოგადოებისათვის დაბრუნება. სხვა ერთი ბრძანებით, მან აქემენის იმპერიაში შემავალი ხალხი 3 წლით გადასახადებისაგან და სამხედრო ვალდებულებისაგან გაანთავისუფლა. ამ ღონისძიებებმა ხალხის მასებში კაუმათას ავტორიტეტი გაზარდა და მთელმა ქვეყანამ მიიღო მისი ხელისუფლება.

შეიტყო რა ირანში მომხდარი ამბები, კამბიზ II ეგვიპტიდან უკან ბრუნდებოდა და გზაში გარდაიცვალა. კამბიზ II-ის სიკვდილის ამბავმა, მემკვიდრის არ ყოლამ სპარსი წარჩინებულები აიძულა, რომ ინიციატივა ხელში აეღოთ. გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსული კაუმათა 7 თვის შემდეგ გადატრიალების შედეგად მოკლული იქნა. თავისუფლად დარჩენილ მართველის ტახტზე ვინ უნდა ასული იყო, იმავე წარჩინებულებმა გადაწყვიტეს. მათ მბრძანებლად აირჩიეს განზრახვის ძირითადი ორგანიზატორი, აქემენიდთა დინასტიის მცირე შტოს წარმომადგენელი დარა I (დარიავაჰუში).

? *რატომ ითვლება კაუმათას მხრიდან ხელისუფლების ხელში ჩაგდება სახელმწიფო გადატრიალებად?*

ბისუთუნის ძეგლი

აქემენიდების იმპერიის ყველაზე ძლიერი პერიოდი. დარა I -მა (ჩვ. წ. აღ.-მდე 522-486) ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმა კაუმათას მიერ გაცემული განკარგულებები. ეს, სპარსთა დაქვემდებარებაში მყოფ ხალხთა კატეგორიულ წინააღმდეგობას წააწყდა. ჩვ.წ.აღ-მდე 522-521 წლებში აქემენიდების იმპერიის უმეტეს ნაწილში აჯანყებები დაიწყო. დარა I -მა თუმცა გაჭირვებით, მაინც შეძლო აჯანყებების ჩახშობა. ბისუთუნში (ირანი) გორაზე სამ ენაზე (ელამი, აქადი, ძველი სპარსული) დაწერილ დარა I-ის ეპიტაფიაზე მოცემულია ცნობები მისი ხელისუფლების პირველ წლებში მომხდარი მოვლენების შესახებ. ამ ნაწერებში პირველად იყო მითითებული ზოროასტრიზმის რელიგიის ძირითად ღმერთად ხსენებული აჰურამაზდას (ჰორმუზდი) სახელი.

დარა I-მა გაატარა განსაზღვრული რეფორმები, რომელმაც აღადგინა სტაბილურობა იმპერიის ფარგლებში და განამტკიცა საზღვრები. დააზუსტა სატრაპიები (მხარეები) და ისინი ადმინისტრაციულ-საგადასახადო ერთეულებად გადააქცია. იმპერიაში ყველა მოხელე და სატრაპი (ნაცვლები) მხოლოდ სპარსთაგან ინიშნებოდა.

დარა I-მა შექმნა ახალი საერთო სახელმწიფოებრივი საგადასახადო სისტემა. ყველა სატრაპიებში ნაყოფიერების გათვალისწინებით, მიწათა მეპატრონეებს ზუსტად განსაზღვრული ფულადი გადასახადი უნდა გადაეხადათ. პირველად იყო, რომ მორჩილებაში მყოფ ტერიტორიებზე მდებარე სამლოცველოებზეც კი გადასახადები იყო დადებული. სპარსები კი, როგორც მმართველი ხალხი, ფულადი გადასახადისაგან თავისუფლებული იყო. გადასახადების ძირითადი სიმძიმე ეკონომიკურად უფრო განვითარებული ქვეყნების - ბაბილონის, ეგვიპტისა და ფინიკიის ხალხებს აწევდათ.

დარიკი. ოქროს ფული

შაჰმა შექმნა მთელი იმპერიისათვის ერთიანი ფულადი სისტემა. ძირითად ფულად ერთეულს დარიკად (წონა 8,4 გრ.) წოდებული ოქროს ფული წარმოადგენდა. დარა I-ის მითითებით აშენდა ახალი დედაქალაქი პარსა (ბერძნულად პერსოპოლი). ქვეყანაში გატარებულ რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებასა და განვითარებას.

რა მნიშვნელობას ატარებდა ქვეყნისათვის დარა I-ის მიერ გადასახადებისა და ფულის სფეროში გატარებული რეფორმები?

დარა I-მა ჩვ.წ.აღ.-მდე 512 წელს გაილაშქრა შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები სკვითების წინააღმდეგ. რეტროგადმა სკვითებმა "გადამწვარი მიწის" ტაქტიკის გამოყენებით ერთ თვეზე მეტ ხანს "აიყოლეს" ირანის არმია. დაღლილი და დაუძლურებული ირანელების ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა.

რა საზიანო მხარეს მოიცავს "გადამწვარი მიწის ტაქტიკა" მისი გამომყენებელი სახელმწიფოსათვის?

დარა I-ის პერიოდში დაიწყო ირან-საბერძნეთის ომი. ომის საფუძველს მცირე აზიაში მდებარე ბერძნული ქალაქების აჯანყებები წარმოადგენდა. ჩვ.წ.აღ-მდე 500-493 წლებში ირანის არმიამ ფინიკიის ფლოტთან ერთად ჩაახშო აჯანყებები, რომლის შემდეგ დარა I-მა დაიწყო ლაშქრობები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ქალაქ-სახელმწიფოების წინააღმდეგ. ჩვ.წ.აღ-მდე 490 წელს ათენის წინააღმდეგ გაგზავნილი ირანული არმიის მარცხმა ბოლო მოუღო დარა I-ის მსოფლიოს დაპყრობის სურვილს. დარა I-ის

შემდეგ მოსულ აქემენიდ შაჰებს შორის ვერც ერთმა ვერ მიაღწია მის დონეს. ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნის დასასრულს დაიწყო აქემენიდების იმპერიის დაკნინება. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა კიდევ უფრო დააჩქარა იმპერიის დაშლა. ალექსანდრე მაკედონელისა და უკანასკნელი აქემენიდი შაჰის დარა III ის არმიებს შორის, ჩვ.წ.აღ-მდე 331 წელს კავკამელას ველზე შედგა გადამწყვეტი ბრძოლა. აქემენიდების არმიის მარცხით დამთავრებული ბრძოლის შემდეგ, ქვეყნის აღმოსავლეთით გადახვეწილი დარა III მოკლული იქნა მისი ახლობელი ადამიანების მხრიდან. ასე რომ, ჩვ.წ.აღ.-მდე 330 წელს აქემენიდების სახელმწიფო დაიშალა.

სცენა ძველი ინდური ლეგენდიდან

უძველეს მსოფლიო ისტორიაში თავისებური კულტურით გამორჩეულ ქვეყანათა შორის ერთ-ერთი ინდოეთია. ის ინდის მდინარის სახელის გამო ასე იქნა წოდებული. უძველესმა ინდოელებმა მსოფლიო კულტურის ხაზინას ციფრი 0, ჭადრაკი, პოემები მაჰაბ-ჰარატა და რამაიანა, ბუდას წვრთნა და სხვა დაუტოვეს.

ინდოეთი (ჩვ.წ.აღ.–მდე III-I ათასწლეულში). არქეოლოგიური გათხრები მიუთითებს, რომ ინდოეთი უძველესი ადამიანების ჩამოყალიბების ტერიტორიათაგან ერთ-ერთს წარმოადგენს. ქვის ხანის ყოველი ეტაპის აღმოჩენები ინდოეთში ადამიანთა საზოგადოების განვითარების შესწავლის საშუალებას იძლევა. ოღონდ ინდოეთის ნახევარკუნძულის სიდიდეს, ასევე სხვადასხვა გეოგრაფიული და ამინდის პირობების არსებობას, აქ მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფების განვითარების სხვადასხვა დონე ჰქონდა განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ტერიტორიებზე ადამიანები ნეოლითური კულტურით ცხოვრობდნენ, მდინარე ინდის აუზთან უკვე ბრინჯაოს ხანის განვითარებული ქალაქის კულტურა არსებობდა.

ჰარაპას კულტურა. არქეოლოგიური გათხრები ჩვ.წ.აღ-მდე III ათასწლეულში მდინარე ინდის აუზთან ხელოვნურ მორწყვაზე დაფუძნებული მიწათმოქმედების კულტურის, ხელოსნებისა და სავაჭრო ურთიერთობების უმაღლეს დონეზე მიუთითებს. ჩვ.წ.აღ.-მდე III ათასწლეულის პირველ ნახევარში, აქ ფართო ტერიტორიების მქონე ქალაქები იყო შექმნილი. მათ შორის ტერიტორიის მიხედვით ყველაზე დიდი ქალაქი ჰარაპა იყო. აქ ნაპოვნი იყო ორსართულიანი სახლები, საჯარო შენობები, რელიგიური რიტუალებისათვის გამოყენებული აუზები და ბეჭდები. ჰარაპას კულტურის პერიოდის მეორე დიდ ქალაქს მეჰენჯი-დაროდას, დასალევი წყლით მომმარაგებელი წყალსადენი და კანალიზაციის სისტემა გააჩნდა. ჰარაპელებს თავიანთი დამწერლობაც ჰქონდა. ოღონდ ამ დამწერლობის საიდუმლო ჯერ კიდევ არ არის გახსნილი. ჰარაპელებს ცენტრალურ აზიისა და მესოპოტამიის სახელმწიფოებთან შენარჩუნებული ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობები.

გამოიკვლიეთ ამ პერიოდში ინდოეთის მესოპოტამიასთან კავშირის დამადასტურებელი ფაქტები.

ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულის დასაწყისში დაეცა ჰარაპას კულტურა, გაურკვეველი მიზეზებით მოსახლეობამ დატოვა მდინარე ინდის აუზი და ინდოეთის შიდა ნაწილში გადავიდა.

ინდუზმში სპილოსთავა ღვთაება - "განეშა"

ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულის მეორე ნახევარში გადმოსახლებული არის ტომების მოსვლით, ინდოეთის ისტორიაში ახალი გვერდი გადაიშალა. ევროპიდან ინდოეთამდე დიდ გზა გამოვლილი არის ტომები ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთიდან შიდა მიმართულებით დაიძრნენ (ადგილობრივი მოსახლეობაც თან წაიყვანეს) და ჯუნგლებით გარშემორტყმული მდინარე განგის აუზთან დასახლდნენ. ადგილობრივი მოსახლეობაც მათ შეერია და შედეგად ინდოელი ხალხი ჩამოყალიბდა.

ჩვ.წ.აღ.-მდე XI საუკუნეში ინდო-არიელებმა რკინის დამუშავება ისწავლეს. რკინის ხელსაწყოებით განგის გარშემო არსებული ჯუნგლების გამწმენდმა ინდოელებმა, სათესი მინდვრები შექმნეს. მიწათმოქმედებასთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა მესაქონლეობა და ხელოსნობაც.

რაში გამოიხატება ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების ვავლენა დიდი ცივილიზაციების შექმნაზე?

ინდოელი ხალხის ჩამოყალიბების პერიოდში შეიქმნა იუდაიზმის რელიგია. იუდაიზმის უძველეს კანონთა კრებულს "ვედა" ("ცოდნანი", "სიბრძნენი") ეწოდება. "ვედას" ნაწერებში მოცემულია ცნობები მდიდრებისა და ღარიბების შესახებ.

* **კასტა** – შეუცვლელი, მემკვიდრეობითი უფლებებისა და მოვალეობის მქონე ადამიანთა ფენები

კიდევ რომელი ჯალხები განასახიერებდნენ ცხოველისთავა ადამიანის სურათში თავიანთ ღვთაებებს?

სათესი მინდვრების კერძო საკუთრებაში გადაცემა ზრდიდა ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას. მდიდარი, პრიორიტეტის მქონე ადამიანთა მიწებზე ბრძოლებში ხელთგდებული მონები მუშაობდნენ. მონებს "მტრებს" უწოდებდნენ. ადრე ტომის მეთაურები-რაჯაები ტომის წევრების მხრიდან აირჩეოდნენ. შემდგომში შთამომავლობით გადაცემადი ეს თანამდებობა, რაჯაების თანდათან მბრძანებლებად გადაქცევის საფუძველი გახდა. ამ პერიოდში უკვე ჩვ.წ.აღ-მდე XII - XI საუკუნეებში ინდოეთის 4 ძირითადი ***კასტა**** იყო შექმნილი: ბრაჰმანები - სასულიერო პირები, კაშტრი - მებრძოლები, ვაიში - გლეხები, შუდრა - ყველაზე ღარიბი და დამოკიდებული ადამიანები, მოსამსახურეები.

განსაზღვრეთ კასტასა და საზოგადოებრივ კლასებს შორის მსგავსი და განსხვავებული მხარეები.

ამრიგად, საზოგადოებაში არსებულმა ფენებად დაყოფამ, ხელისუფლების სხვადასხვა პირთა ხელში არსებობამ და მისი მემკვიდრეობით გადაცემამ ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულში საფუძველი ჩაუყარა ინდოეთში სახელმწიფოთა ჩამოყალიბებას. ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეში ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთში მდინარე ინდის აუზთან ლაშქრობის შედეგად დარა I-ის არმიამ დაამარცხა აქ მყოფი მცირე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები და ტერიტორიები აქემენიდების სახელმწიფოს შეუერთა.

ჩანდრაგუფთას არმიის საბრძოლო სპილოები

ალექსანდრე მაკედონელმა, რომელმაც ბოლო მოუღო აქემენიდების იმპერიას, ჩვ.წ.აღ-მდე 327 წელს ინდოეთისაკენ გაილაშქრა. ინდოელების ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ალექსანდრემ მდინარე ინდის აუზთან მყოფი ტერიტორიები თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა. ალექსანდრეს ინდოეთის სხვა ტერიტორიების დაპყრობაც სურდა. მაკედონელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ინდოელების ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უწყვეტი ბრძოლების შემდეგ უარი თქვეს ლაშქრობის გაგრძელებაზე. ჯარისკაცების კატეგორიულობის მნახველი ალექსანდრე იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, მაკედონიის იმპერიის დაშლის პერიოდში ინდოეთშიც დაიწყო ბრძოლა ბერძნულ-მაკედონური დაპყრობების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში გამოირჩეოდა მაურიას დინასტიის წარმომადგენელი ჩანდრაგუფთა. მან შეძლო მდინარე ინდის აუზთან მყოფი ტერიტორიების ერთი ნაწილის გათავისუფლება. მაურიანთა დინასტიის ყველაზე ძლიერ მბრძანებელმა აშოკამ ჩვ.წ.აღ-მდე III საუკუნის მეორე ნახევარში ინდოეთი ერთიან სახელმწიფოდ გააერთიანა. მთლიან ინდოეთზე ხელისუფლების გამაძლიერებელმა აშოკამ დაიწყო სხვადასხვა სფეროებში რეფორმების გატარება. რეფორმების ხალხისათვის მისაწვდინებლად, მას ინდოეთის სხვადასხვა მხარეებში 33 ეპიტაფია ჰქონდა გაკეთებული. ინდოეთის ისტორიაში ბუდიზმის ძირითად დამცველად და მქადაგებლად მეხსიერებას შემორჩენილი აშოკას სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო დასუსტდა. ჩვ.წ.აღ-მდე 180 წელს ბოლო მოეღო მაურიანთა დინასტიას და ინდოეთი კვლავ სხვადასხვა სახელმწიფოებად დაიყო.

კითხვები და დავალებები

1. *გამოიკვლიეთ ირანისა და ინდოეთის კულტურა და მოამზადეთ წარდგინება.*
2. *განმარტეთ აქემენიდების იმპერიის აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებზე პოლიტიკური გავლენა. განმარტებისას ისარგებლეთ რუკით.*
3. *რას გვატყობინებს ჰარაპას კულტურა? განმარტეთ ამ კულტურის ისტორიული მნიშვნელობა.*
4. *შეაფასეთ დროის მიხედვით, ირანსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მოძხდარი მსგავსი კულტურული მოვლენები და პროცესები. ამისათვის შეადგინეთ სქემა.*

4 ჰუნთა დიდი იმპერია და ძველი ჩინეთი

საკვანძო სიტყვები

- მეთე ხაკანი
- ქორწინების დიპლომატია
- "მებრძოლი სამფლობლოები"
- სინ შიხუანდი
- ხანის იმპერია

ჩვ.წ.აღ-მდე III–II ათასწლეულებში ჩინეთის ცივილიზაციამ გარკვეული სახე მიიღო. ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნეში ერთიანი სახელმწიფოს შექმნა კი, მის მწყერვალს წარმოადგენდა. მათი ჩრდილოეთ მეზობელი ჰუნები აზიასა და ევროპაში ძლიერი სახელმწიფოების შემქმნელი ძველი და ძლიერი თურქული ტომები იყვნენ.

თეომანი და ჩინეთის კედელი. ძველთაგან თურქები ცენტრალურ აზიაში, ალტაის მთების კალთებზე და მდინარე ენისეის გაყოლებაზე ცხოვრობდნენ. მათ მეურნეობაში სხვა შრომის სფეროებთან მიმართებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერდა მესაქონლეობა, რომელიც მათ მუდამ ახალი საძოვრების ძიებისაკენ უბიძგებდა. ჩვ.წ.აღ-მდე II ათასწლეულში აღმოსავლეთიდან დასავლეთითა და დასავლეთიდან აღმოსავლეთით მომხდარ თურქულ დინებას ძალიან დიდი არეალი ჰქონდა მოცული. აზერბაიჯანელი თურქები დროდადრო ამ ტერიტორიაზე გადმოსახლებულ მონათესავე ტომებთან შერეული აღმოჩნდნენ. ამას ნათელ ჰყოფს მატერიალურ-კულტურული ძეგლები (*ბანგუდაშები**, აღწერები გორაზე და ა.შ), ლეგენდები და ზღაპრები, ისეთი სახალხო ეპოსი, როგორიცაა "ქითაბი-დედე გორგუდი".

ჩვ.წ.აღ-მდე I ათასწლეულის შუა ხანებში ალტაის მთის კალთებზე ჩინეთიდან ჩრდილოეთით მცხოვრები გადმოსახლებული ჰუნთა ტომები კიდევ უფრო გაძლიერდნენ. ისინი მსხვილ ტომთა კავშირის სახით გაერთიანდნენ და ფართო ტერიტორიებზე გაიშალნენ.

ჩვ.წ.აღ.-მდე 220 წელს ჰუნების მეთაური თეომანი გახდა. მან ცალ-ცალკე მცხოვრები თურქი ტომების საერთო დროშის ქვეშ გაერთიანებით საფუძველი ჩაუყარა აზიის დიდი ჰუნთა სახელმწიფოს შექმნას. ამ პერიოდში ჩინეთში "მებრძოლი სამეფოების" პერიოდი ახალი დამთავრებული იყო და სინ ში ხუანდის ქვეყანა გაერთიანებული ჰქონდა. ჩინეთში არეულობა ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ჰუნებმა, რომლებმაც ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით, დაიწყეს ლაშქრობა ჩინეთის მიმართულებით. თეომანმა დაიმორჩილა ჩინეთის ზოგიერთი ტერიტორიული ნაწილები, არც ამის შემდეგ ჰუნთა დინება არ შეწყვეტილა. მზრძანებელმა სინმა ამ შეტევების მოსაგერიებლად ყალაები (ციხე-სიმაგრეები) ააშენა, რომლებიც შემდგომში გაერთიანებული იქნა კედლების საშუალებით. ასე ჩაეყარა საფუძველი ცნობილ ჩინეთის დიდ კედელს.

** **ბანგუდაში** – თურქი ბაჰადურების მარადიული ხსოვნისათვის აშენებული ქვის ძეგლი*

ჰუნთა დიდი იმპერია

ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა

** **თანჰუ** – ჰუნთა ენაზე "ზუმბერაზობა", "სიდიდე", "მბრძანებელი". შემდგომში "იაბღუს", "ქაღანისა" და "ხაკანის" სახე მიიღო.*

კიდევ რომელი თავდაცვის საშუალებით სარგებლობდნენ შუა საუკუნეებში უცხოელთა თავდასხმების მოსაგერიებლად?

მეთე ხაკანის წარმატებები. ჩვ.წ.აღ-მდე 209 წელს, დიდ ჰუნთა სახელმწიფოში მეთე ხანმა დაიკავა მამის თეომანის ადგილი და თავი *თანჰუ** გამოაცხადა. 35 წლიანი

მეთე ხაკანი (ოღუზ ხანი) ელჩების მიღებისას

მბრძანებლობის განმავლობაში მეთე ხაკანმა თავისი გამბედაობითა და ჭკვიანი ღონისძიებებით დიდი პატივი მოიპოვა. მან პირველ ყოვლისა ქვეყნის შიგნით სტაბილურობას მიაღწია. შექმნა ასიათასი მეომრისაგან შემდგარი მუდმივი არმია. ჯარისკაცები საბრძოლო წვრთნას გადიოდნენ და ფრინველების მიზანში ამოღებით ისრის მარჯვედ გასროლას სწავლობდნენ. თავის არმიის ძალაში დარწმუნებულმა მეთემ დაიწყო ჰუნთა სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება. ჰუნებს დაუმორჩილა მონღოლი და ტიბეტური ტომები. ჰუნთა არმიები ჩვ.წ.აღ-მდე 200 წელს გასცდნენ ჩინეთის კედლებს და ამ ქვეყნის შიდა მიმართულებით დაიძრნენ. ქალაქ პინჩენის სიახლოვეს ალყაში მოხვდნენ მრავალრიცხოვანი ჩინელი სამხედრო რაზმები. ხანის გვარის წარმომადგენელი, იმპერატორი ლიუ ბანი იძულებული გახდა მძიმე პირობებით სამშვიდობო ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი. ამ შეთანხმების მიხედვით, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი ჰუნელების განკარგულებაში გადავიდა. ჩინეთს მეთესათვის გადასახადი უნდა გადაეხადა, ასევე ოქრო, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებიც უნდა გაეგზავნა. ჰუნებმა ხელთ იგდეს კონტროლი მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე. ამ გზებზე 50-მდე თურქული ქალაქი (კაშგარი, იარქანდი და სხვა) მდებარეობდა.

თქვენი აზრით, რატომ ლაშქრობდნენ ჰუნები ხშირად სწორედ ჩინეთზე?

მეთე ხაკანის პერიოდში ჰუნთა დიდი იმპერიის საზღვრები აღმოსავლეთით წყნარ ოკეანემდე, ხოლო დასავლეთით კასპიის ზღვამდე და ურალის მთებამდე იყო გადაჭიმული. იმპერიის დედაქალაქი ქალაქი ოთუკანი იყო.

თქმულებაში "ოღუზ ხანი" მეთე "ოღუზის" სახელით მოიხსენიება და იგი მოგვითხრობს მის გმირობებზე. ჩინურ წყაროებში კი, მეთე "ღმერთის ყუთად", ანუ ღმერთის მიერ დედამიწის ზურგზე პოლიტიკურ ძალაუფლება მინიჭებულ ადამიანად მოიხსენიება.

იმპერიის დაქუცმაცება და დაშლა. ჩინელ მბრძანებლებს არ უნდოდათ ჰუნების გამარჯვებასთან შერიგება და გაურბოდნენ გადასახადების გადახდას. ისინი სწავლობდნენ ჰუნთა საბრძოლო ტაქტიკას და ცხენოსანთა რაზმებს აყალიბებდნენ. მოხერხებულად გამოიყენებოდა "ქორწინების დიპლომატია": ჩინელ მეთაურთა ასულების ჰუნელ მბრძანებლებთან დაქორწინებით ამ უკანასკნელებს თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევდნენ. ჰუნებს შორის შუღლის ჩამოგდებით, მათ შინაგანი მტრობისაკენ უბიძგებდნენ. ჩინეთის ამ პოლიტიკის შედეგად, ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნის შუა წლებში ჰუნთა დიდი სახელმწიფო ორად გაიყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვ.წ.აღ-ით I საუკუნის დასაწყისში ჰუნთა ერთობა და ძალა ხელახლა აღსდგა, მაინც დიდ ხანს არ გასტანა. 48 წელს ისინი კიდევ ორად გაიყვნენ. ჩრდილოეთ ჰუნელებმა ერთ საუკუნეზე დიდხანს დამოუკიდებლად იცხოვრეს. ამის შემდეგ ისინი მეზობელი ტომების მხრიდან დასავლეთით იქნენ შევიწროებულნი. ამ ჰუნთა ერთი ნაწილი აზერბაიჯანში იქნენ გადმოსულნი, რომლებიც აქაურ მონათესავე ტომებს შეერწყნენ. ევროპაში ჰუნთა სახელმწიფოს შემქმნელი და "ატილას ჰუნების" სახით ცნობილი ჰუნებიც, იმავე ჰუნების შთამომავლებს წარმოადგენდნენ.



ჰუნთა დიდი იმპერიის დროშა

დანაწევრების შემდეგ სამხრეთ ჰუნებმა ერთი პერიოდი შეინარჩუნეს თავიანთი შიგა დამოუკიდებლობა. მაგრამ 216 წელს ჩინეთმა მოსპო მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ხოლო მათი ტერიტორიები პროვინციებად დაყო და ჩინელი მეთაურების მმართველობაში გადასცა.

თქვენი აზრით, რა იყო დიდი იმპერიების დაშლის მიზეზები?

ადრეული ცივილიზაციის ფორმირება ჩინეთში. ჩინეთის აღმოსავლეთი, რომელიც ძირითადად მთიან მხარეს წარმოადგენს, ზომიერი ამინდისა და მდიდარი მცენარეული საფარის მქონე ვაკეს მოიცავდა. აქ ორი დიდი მდინარე ხუანხე და იანძი მიედინებოდა. ადამიანთა მჭიდრო დასახლებით გამორჩეული ხუანხეს ხეობა ძველი ჩინური კულტურის აკვანად ითვლება. ჩინელები ხუანხეს "ჩინეთის კატასტროფას", "გულის გამანაწყენებელ მდინარეს", "მოსიარულე მდინარეს" უწოდებდნენ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა ხუანხეს ხეობაში ცხოვრობდა და სხვადასხვა სამეურნეო სფეროებით იყო დაკავებული. უამრავ წყალსა და ნაყოფიერ მიწებს ხუანხეს ხეობის ძველი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ჰქონდა განსაზღვრული: ეს იყო მიწათმოქმედება. წყალს მოშორებით მყოფი მიწების მოსარწყავად არხები გაიყვანებოდა. ადრეულმა ცივილიზაციამ ჩინეთში III-II ათასწლეულში ხუანხეს ხეობაში იჩინა თავი. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ, ამ პერიოდის ჩინეთში ქვის შრომის ინსტრუმენტებთან ერთად, ლითონისაგან სხვადასხვა ნივთები მზადდებოდა, ასევე მზადდებოდა აბრეშუმის ქსოვილები, გამოიყენებოდა დამწერლობა. სახლები და სამლოცველოები თიხით, ხითა და გამომწვარი აგურით შენდებოდა. ბუნებრივი სტიქიის წინაშე უძლურად დარჩენილი ჩინელები ღმერთებს თაყვანს სცემდნენ და მათ ადამიანებსა და ცხოველებს მსხვერპლად სწირავდნენ. სასაფლაოს ძეგლთა შესწავლა იმ პერიოდში კლასობრივად დაყოფის არსებობას და მონათმფლობელური წყობის ჩამოყალიბებას მოწმობს.

ჩინურ მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი მეაბრეშუმეობას ეკავა. თუთის ფოთლით ნაკვები აბრეშუმის ჭიის პარკით აბრეშუმის ნაჭრები იქსოვებოდა. ძალიან განვითარებული იყო ლითონგადამუშავებისა და თიხით ჭურჭლის დამზადების ხელობა. ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე II ათასწლეულში ჩინეთში ქვისა და ძვლის გარდა ბრინჯაოთიც მზადდებოდა შრომის ხელსაწყოები და საყოფაცხოვრებო ნივთები. თეთრი ფერის თიხით ძვირფას ჭურჭელს ამზადებდნენ.

თუთის ფოთლების შეგროვება აბრეშუმის ჭიისათვის

ჩვ.წ.აღ-მდე VI-V საუკუნეებში ჩინეთში რკინის გადამუშავებამ ბიძგი მისცა მეურნეობის განვითარებას. სარწყავი არხების გათხრამ პირობები შეუქმნა ბრინჯის თესვის გაფართოებას. რკინის წვეტიანი გუთნით სარგებლობამ გააიოლა მიწის გაფხვიერება. მეურნეობაში ფართოდ გამოიყენებოდა მონათა შრომა.

როგორ მოქმედებდა ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობები ჩინეთის სამეურნეო სფეროებზე?

ჩინეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულის შუა ხანებში ჩინეთში მყოფი მონათმფლობელური სახელმწიფოები ერთმანეთთან სისხლიან ომებს აწარმოებდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ ძვ.წ.აღ-ით IV-III საუკუნეები ჩინეთის ისტორიაში "მებრძოლი სამეფოების პერიოდად" იწოდება. ეს ხანგრძლივი ბრძოლა სინის გვარის გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არმიის ახალი წესებით ორგანიზებამ: შემტევ რაზმებში მხოლოდ ახალგაზრდა მებრძოლები, ხოლო თავდაცვაში კი ასაკოვანები მონაწილეობდნენ. სინის მბრძანებელმა ქვეყანა ერთიან სახელმწიფოდ გააერთიანა და ჩვ.წ.აღ-მდე 221 წელს თავი ცინ შიხუანდიდ - "ცინის პირველ იმპერატორად" გამოაცხადა. ცინის დინასტიის სახელი შემდგომში მთელ ქვეყანას მიანიჭა.

ცინ შიხუანდიმ ქვეყანაში ერთიანი დამწერლობა, ზომის, წონისა და ფულადი სისტემა გამოიყენა. მიღებული იქნა ერთიანი კანონები მთლიანი ქვეყნისათვის. ქვეყანა პროვინციებად დაიყო. პროვინციის მეთაურები იმპერატორს ემორჩილებოდნენ. იმპერატორის მოწინააღმდეგეები სასტიკად ისჯებოდნენ. ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობაც სინ ში ხუანდის პერიოდში იქნა დაწყებული. ამ დიდი კედლის მშენებლობა შემდგომი ათასწლეულის განმავლობაშიც გრძელდებოდა. მისი სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 10-მეტრს, სიგრძე კი გარშემო განშტოებებიანად 6 ათას კილომეტრს აღწევდა. მაგრამ ქვეყნის გაძლიერების მიზნით გატარებული ამ ღონისძიებების მიუხედავად, ცინ შიხუანდის სიკვდილის შემდეგ სინის იმპერია დასუსტდა და დაიშალა.

დაასაბუთეთ, რომ ცინ შიხუანდის მიერ შექმნილი სახელმწიფო იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო.

1974 წელს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ცინ შიხუანდის მავზოლეუმი. შესაძლებელია ამ მავზოლეუმის შედარება ფარაონების პირამიდებთან. ის აშენებულია 720 ათასი ადამიანის მიერ 37 წლის მანძილზე ლის მთაზე. მარადიულ ძილში მყოფ მბრძანებელს ადამიანის სიმაღლის თიხით დამზადებული 7000-მდე მებრძოლი იცავდა. ისინი სამხედრო მდგომარეობაში იყვნენ გამწკვრივებულნი და სრულ სამხედრო ფორმაში იყვნენ.

მავზოლეუმის კედლები და იატაკი სხვადასხვა ფერის ქვის ფილებით იყო დაფარული. აქ იმპერატორის სასახლის დაპატარავებული მაკეტიც კი იყო დამზადებული. სასახლე ხელოვნურ მთებსა და ტყეებს, კაშკაშა ვერცხლისწყლით შევსებულ მდინარეებსა და ტბებს შორის მდებარეობდა. ტბაში ოქროთი და ვერცხლით დამზადებული ფრინველები "ცურავდნენ". იმპერატორთან ერთად მისი ცოლები, 10 და, მოსამსახურეები და ცხენებიც კი ამ მავზოლეუმში იყვნენ დასაფლავებულნი.

ცინ შიხუანდი სეირნობისას

თიხის მებრძოლთა ფიგურები
ჩვ.წ.აღ-მდე III საუკუნე

ხანის დინასტია და სახალხო აჯანყებები ჩინეთში. ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნის დასასრულს ჩინეთში ხელისუფლების სათავეში ხანის დინასტია მოვიდა, რომელიც 400 წელზე მეტ ხანს მბრძანებლობდა. ხანის იმპერატორები ცინის პერიოდის მმართველობის მეთოდების სრულყოფას, ჩინეთის მთლიანობის დაცვას, აგრეთვე ქვეყნის ჩრდილოელი ტომების თავდასხმებისაგან დაცვას ცდილობდნენ. მათ დამპყრობლური ომების წარმოებით ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ გაფართოებასაც კი მიაღწიეს. ხანის პერიოდში ჩინეთის მოსახლეობა ერთიან ხალხად გადაიქცა. ამიტომაც არის, რომ ჩინელები დღესაც თავს "ხანს" უწოდებენ.

ხანის დინასტიის დროს სოფლის მეურნეობის აღდგენისაკენ მიმართულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო. ხელახლა გამოცოცხლდა მიტოვებული სოფლები, დაიწყო ცარიელი მიწების გამოყენება. გაიზარდა მოსავლის წარმოება.



ჩინეთი ხანის იმპერიის პერიოდში

ჩვ.წ. აღ-მდე II საუკუნის დასასრულს ჩინეთიდან ჩრდილოეთ აფრიკასა და ესპანეთამდე ძალიან დიდ მანძილზე სავაჭრო გზები იყო გაყვანილი. იმის გამო, რომ ამ გზით შორეულ ქვეყნებში ძირითადად აბრეშუმის გადაზიდვა ხორციელდებოდა, მას დიდ აბრეშუმის გზას უწოდებდნენ. ეს გზა აზერბაიჯანზეც გადიოდა. ჩინური არმიები ამ გზით ზოგჯერ ძარცვის მიზნითაც სარგებლობდნენ.

თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა მოტანილი ყოფილიყო დასავლეთის ქვეყნებიდან ჩინეთში?

ხანის იმპერატორის მიერ წარმოებული ომების პერიოდში ქვეყანაში უამრავი მონა მოჰყავდათ. სამხედრო ტყვეების პარალელურად, საგადასახადო და იჯარის გადასახდელის გადაუხდელობის გამო, ჩინელი გლეხებიც მონებად იქცეოდნენ. გლეხთა და მონათა მძიმე მდგომარეობა აიძულებდა მათ აჯანყებულიყვნენ.

ჩვ. წ. აღ-ით I საუკუნის დასაწყისში ჩინეთში "წითელწარბიანთა" აჯანყება მოხდა. აჯანყებულებს, იმის გამო რომ, სხვებისგან განსხვავებულიყვნენ წარბები წითლად ჰქონდათ შეღებილი. ეს აჯანყება უმოწყალოდ იქნა ჩახშობილი.

ჩვ. წ. აღ-ით 184 წელს ქვეყანა უფრო დიდმა აჯანყებამ, "ყვითელმოსახვევიანების" აჯანყებამ მოიცვა. თავზე ყვითელ შემოსახვევ შემოკრულ აჯანყებულებს ძმები ჩჟანები მეთაურობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანი ჩინეთის მომცველი **ეს აჯანყება 20 წელს გაგრძელდა.** საბოლოო მარცხის მიუხედავად, ყვითელმოსახვევიანთა აჯანყებამ შეარყია საფადიშაჰოს ხელისუფლება და მონათმფლობელთა მბრძანებლობა. მალე დაეცა ხანის დინასტიის ხელისუფლება და ჩინეთში დაიშალა მონათმფლობელობა.

იმპერატორ ვან მანის რეფორმებმა გააღრმავა სოციალური წინააღმდეგობები. მისი კანონების დამრღვევი ყოველი პირი, ამის შესახებ ცნობების არ მიმწოდებელ ოთხ მეზობელთან ერთად სახელმწიფო ყმებად იქცეოდნენ. დაპატიმრებულ თავისუფალ პირებსაც ყმებსავით ყველაზე მძიმე სამუშაო უნდა შეესრულებინათ: უნდა გაეყვანათ გზები, გაეთხარათ არხები, აეშენებინათ ჩინეთის დიდი კედელი, აეშენებინათ კედელი ქალაქის გარშემო, ასევე გამოედნოთ რკინა. ასეთ მდგომარეობაში ყმები გლეხებთან ერთად აჯანყდნენ. აჯანყებას ლატაჯი ფან ჩუნი მეთაურობდა. ვან მანის მიერ მათ წინააღმდეგ გაგზავნილი არმია დამარცხდა. ვან მანმა დამწამაგვეები აჯანყებულებს შეუტია, მბრძანებლის სასახლეში მყოფი გარეული ცხოველებიც (ვეფხვი, ლეოპარდი და ა.შ) მათზე მიუშვა. მაგრამ ვან მანი დაეცა. ხანის მომხრეებმა აჯანყებით ისარგებლეს და ხელისუფლებაში მოვიდნენ. მოსახლეობის მდგომარეობა დროებით გაუმჯობესდა.

"წითელწარბიანთა" აჯანყების შესახებ ნაწარმოებში "ადრეულ ხანთა ისტორია"

რა უბიძგებდა აჯანყებისაკენ მონებსა და გლეხებს?

კითხვები და დავალებები

1. *რა ღონისძიებები გაატარა მეთე ხაკანმა ჰუნთა სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით?*
2. *რას ასაბუთებს ჰუნთა მიერ, ჩვ. წ. აღ-მდე 200 წელს განხორციელებული ლაშქრობის შემდეგ, ჩინეთთან მიღწეული შეთანხმების პირობები?*
3. *ისაუბრეთ დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელობის შესახებ.*
4. *განიხილეთ ჰუნთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩინეთის მიერ გატარებული პოლიტიკის მნიშვნელობა.*
5. *რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ყვითელმოსახვევიანთა აჯანყების შედეგად ჩინეთში?*

5 ძველი საბერძნეთი და რომი

საკვანძო სიტყვები

- პოლისის სისტემა
- სამოქალაქო საზოგადოება
- სოლონი
- რესპუბლიკა
- მილანის განკარგულება

თანამედროვე პოლიტიკური და იურიდიული კულტურა, ძველი ცივილიზაციის – ძველი ბერძნებისა და რომაელების დიდ მემკვიდრეობასა და მიღწევებს ეფუძნება.

პოლისის სისტემის შექმნა. ევროპაში სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის საფუძვლები კუნძულ კრიტსა და ქალაქ მიკენაში შეიქმნა, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ძველი საბერძნეთის ისტორიასა და კულტურას. ამის ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოყალიბება აღმოსავლურ ცივილიზაციას უკავშირდება.

ჩვ. წ. აღ-მდე XI-IX საუკუნეებში საბერძნეთში შეიქმნა ადრეული პოლისი - თანასწორუფლებიან მიწათმფლობელთა სამოქალაქო თემები. ჩვ. წ. აღ-მდე VIII-VII საუკუნეებში ისინი ქალაქ-სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. ამ სახელმწიფოებში ხელისუფლება უკვე დემოსი მმართველობისაგან სრულიად ჩამოცილებულ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. ათენში პოლიტიკური და სასამართლო ხელისუფლების თავის თავზე ამღები უხუცესთა საბჭო, პირებს თანამდებობაზე არისტოკრატიის წრიდან ნიშნავდა.

ძველი მიკენას გამოსახულება

გაიხსენეთ, ვის ეწოდებოდა ძველ საბერძნეთში არისტოკრატია და დემოსი?

რას უწოდებდნენ ათენში ჩამოყალიბებულ მმართველობის ფორმას?

აღნიშნულ პერიოდში მთლიანი ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზზე დაიწყო ბერძნული კოლონიების დასახლება. ამან კი თავის მხრივ ბიძგი მისცა გაყიდვის ბაზრობების გახსნასა და მეურნეობის განვითარებას. ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნეში ქვეყანაში მოიჭრა პირველი ლითონის ფული. ყოველივე ამან გააძლიერა დემოსის კლასებად დაყოფა. მათი რიგებიდან გამოსული "ახალი მდიდრების" მიერ ხელისუფლებაში მონაწილეობის მოთხოვნის დაყენებამ არისტოკრატიის უკმაყოფილება გამოიწვია. გლეხების უმიწოდ დარჩენამ საზოგადოებაში უფრო დიდი დაძაბულობა შექმნა. ასე, რომ მიწის ნაკვეთის დაკარგვას, შესაძლებელი იყო მოქალაქეობის დაკარგვა გამოეწვია. გავრცელებული იყო, ასევე ვალის გამო ყმებად გადაქცევა. მომხდარი ცვლილებების შედეგად გაძლიერდა დემოკრატიული მოძრაობები. არისტოკრატებმა მკაცრად უპასუხეს დემოსის გამოსვლებს. მაგალითად, ჩვ. წ. აღ-მდე 621 წელს ხელისუფალმა დრაკონმა ათენში მკაცრ კანონთა კოდექსი შეადგინა.

რა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვა ბერძნული კოლონიების შექმნას?

ძველი სპარტა. სპარტამ და ათენმა პოლიტიკური არეულობიდან გამოსვლის მიზნით სხვადასხვა გზები აირჩიეს. დორიელების შთამომავლების მიერ ჩამოყალიბებული სპარტა გასამხედროებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც პელოპონესის მიერ დამორჩილებულ მოსახლეობაზე მის ბატონობას უზრუნველყოფდა. სპარტაში მმართველობის საფუძვლები კანონმდებელი ლიკურგის მიერ განისაზღვრებოდა. მას 30 უხუცესისაგან შემდგარი საბჭო უმაღლესი ხელისუფლების ორგანოდ ჰქონდა დანიშნული. საბჭო აგვარებდა დავებს და არჩეულ ორ მმართველს მითითებებს ამლევდა. მმართველები უმაღლესი სარდლები და მოსამართლეები იყვნენ, რომლებიც სასულიერო პირთა მოვალეობებსაც ასრულებდნენ.

ხელისუფლებისათვის ბრძოლის თავიდან ასაცილებლად მიღწეული იქნა შეთანხმება მისი დაყოფის შესახებ. თავადებმა, რომლებიც კანონით უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, ლიკურგის სიკვდილის შემდეგ საბუთს ერთი პუნქტი დაუმატეს: "ხალხის (სახალხო კრების-რედ.) მიერ მცდარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უხუცესებსა და მბრძანებლებს შეუძლიათ ამ გადაწყვეტილების გაუქმება და სახალხო კრების გაშვება". ეს, სპარტას სრულიად *ოლიგარქული** ტიპის პოლისად გადაქცევას ნიშნავდა.

* **ოლიგარქია** – "უმცირესობათა ხელისუფლება", არა დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთი სახეობა

განსაზღვრეთ სპარტაში ოლიგარქული ტიპის მმართველობის ჩამოყალიბების ძირითადი მიზეზები.

პოლისის განვითარება ათენში. ათენში შეიქმნა მოქალაქეობის, კანონიერებისა და პოლიტიკური თავისუფლების პრინციპებზე დაფუძნებული პირველი დემოკრატიული სახელმწიფო. მისი შექმნის საფუძველი სოლონის მიერ ჩვ.წ. აღ-მდე VI საუკუნის დასაწყისში გატარებული რეფორმები გახდა.

* **ტირანია** – ერთიან დესპოტურ ხელისუფლებაზე დაფუძნებულ და ძალის გამოყენებით მართვადი სახელმწიფო ხელისუფლების ფორმა

სოლონის რეფორმებმა შეარყია დიდებულთა ეკონომიკური ძალა, შედარებით გააუმჯობესა ღარიბთა მდგომარეობა. მაგრამ რეფორმებმა ღარიბები ვერ უზრუნველყო აუცილებელი მიწით და ვერ შეუქმნა მათ თანამდებობის დაკავების საშუალება. ამიტომაც ღარიბები განაგრძობდნენ მოთხოვნებს მიწების დაყოფისა და მოქალაქეობრივი თანასწორობის განსაზღვრის შესახებ.

საზოგადოებაში შექმნილი დაძაბულობა ათენში ***ტირანიის*** შექმნის საფუძველი გახდა. ტირანებმა არ შეასრულეს პირობა დემოსის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნის დასასრულს აქ დადგენილი იქნა მონათმფლობელური დემოკრატია.

გამოთქმა "მონათმფლობელური დემოკრატია" თანამედროვე თვალსაზრისით შეუსაბამო ჩანს, მაგრამ იმ დროის შესახებ რას გვაცნობდა?

ჩვ. წ. აღ-მდე 500-449 წლებში აქემენიდების სახელმწიფოსა და ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ადგილი ჰქონდა ომებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ომებში ბერძნებმა დიდი დანაკარგი გაიღეს, საბოლოო ჯამში მათ შეძლეს თავიანთი სამშობლოს დაცვა და შენარჩუნება.

აქემენიდების წინააღმდეგ ომების დროს, დემოსმა კიდევ უფრო ღრმად გაიაზრა თავისი როლი საბერძნეთის ისტორიაში და ომის შემდეგ დაიწყო თავისი უფლებების გაფართოების მოთხოვნა. ამან სტრატეგიული, თანამდებობის დამკავებელი პერიკლეს (ჩვ. წ. აღ-მდე 443-428 წლებში) რეფორმებში ჰპოვა თავისი ასახვა. მისი წინადადებით დაიწყეს ღარიბებისათვის ხელფასის გაცემა სახელმწიფო მოვალეობების შესრულებისათვის. ამ ნაბიჯმა დემოსის სამოქალაქო აქტივობის გაძლიერება გამოიწვია. ამიტომაც არის, რომ პერიკლეს ხელისუფლება ათენის დემოკრატიის აყვავების პერიოდად ითვლება.

რომელმა მოვლენამ მისცა ბიძგი ათენის დემოკრატიის აყვავებას?



"დაე ... ხალხი დროდადრო მდინარე ევროტას სანაპიროზე შეიკრიბოს. დაე მასდ ხალხისთვის შეთავაზებული იქნას, მისთვის მისაღები ან მიუღებელი გადაწყვეტილებები. დაე ხალხიც უმაღლესი ხელისუფლება და ძალა გახდეს".

ლიკურგის "ხელისუფლების დაყოფის შესახებ კანონი" –დან

ასახავს თუ არა მოცემული წყარო, სპარტას სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობას? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

სოლონის ცვლილებების შესახებ



სოლონის ბარელიეფი აშშ-ის კონგრესში

"თუ სახელმწიფოში ყველაფერი შეშოატრიალეს, შეშდეგ ყველაფრის უკან დასაბრუნებლად ძალა არ ყოფათ".

როგორ ახასიათებს ეს განმარტება სოლონის პოლიტიკურ შეხედულებებს?

პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელება. მაკედონიის აღზევება. ჩვ. წ. აღ-მდე 431-404 წლებში საბერძნეთში ბატონობისათვის ადგილი ჰქონდა ათენსპარტას ომს. ამ ომის შედეგები საბერძნეთისათვის კატასტროფას წარმოადგენდა: პოლისებში გამწვავდა პოლიტიკური ბრძოლა ხელისუფლებისათვის, დემოკრატებისა და არისტოკრატების მომხრეთა შორის. რიგ პოლისებში ხელახლა დამყარდა ტირანია. ყოველივე ეს იტყობინებოდა პოლისის სისტემის კრიზისისა და მისი დაშლის დაწყების შესახებ.

ჩვ. წ. აღ-მდე 338 წელს ბერძნები განადგურებულნი იქნენ ხერონეასთან ახლოს, მაკედონიის მეფე ფილიპ II-ის არმიის მიერ.

ფილიპ II-ის შვილმა ალექსანდრემ, ჩვ. წ. აღ-მდე 334 წელს დაიწყო ლაშქრობა აქემენიდების სახელმწიფოს ტერიტორიების დასაპყრობად. მან გაიმარჯვა გრანიკისა და ისის ბრძოლებში.

ძეგლი ხერონეაში

"ხერონეაში დაღუპულებთან ერთად საბერძნეთის თავისუფლებაც იქნა დასაფლავებული".

წარწერა ძეგლზე

ფიველების აჯანყებისა და ათენელების მათთან კავშირში ყოფნის შესახებ შეტყობინების მიმღებმა ალექსანდრემ, თავის ჯარს სასწრაფოდ ფერმოპილიდან გადასვლა დაავალა ... ფიველებმა ბერძნებისაგან გათავისუფლების მსურველებმა მათ მხარეს გადასვლისაკენ მოუწოდეს. ამ დროს ალექსანდრემ მაკედონელებს ბრძოლის დაწყება უბრძანა. ფიველები თავიანთი ძალის აღმატებული გამბედაობითა და უნარებით იბრძოდნენ... ფიველების უმრავლესობა ალყაში მოხვდა და დაიღუპა. დაპყრობილი იქნა ქალაქი, რომელიც გაიძარცვა და აღიგავა პირისაგან მიწისა. ალექსანდრემ აჯანყების საწინააღმდეგო ხმის მიმცემებს აპატია, ხოლო დანარჩენები მონებად გაყიდა.

პლუტარქე. "რჩეული ავტობიოგრაფიები"

როგორ ახასიათებს ალექსანდრეს მოცემული წყარო?

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა

ჩვ. წ. აღ.-მდე 331 წელს კი კავკამელასთან სიახლოვეს გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა დარა III-ის ჯარები. წარსულში არსებული სიძლიერის აღარ მქონე აქემენიდების სახელმწიფო, ამ დარტყმების გაუსაძლისობის გამო დაიშალა. მაგრამ ალექსანდრემ თავი აქემენიდი შაჰების კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადა და გარკვეულ აღმოსავლურ ადათ-წესებს ერთგულება გამოუცხადა. ქალაქ ბაბილი თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა. ჩვ.წ.აღ.-მდე 323 წელს ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ დაიწყო ბრძოლები მის მებრძოლებს შორის. მაკედონიის უზარმაზარი იმპერია ეგვიპტისა და სირიის სამეფოებად დაიყო.

თქვენი აზრით, რატომ იყო, რომ ალექსანდრე თავს აქემენიდი შაჰების მემკვიდრედ და აღმოსავლურ ადათ-წესების გამგრძელებლად აცხადებდა?

მართვის სისტემა რომში. ქალაქის საფუძვლის ჩაყრის მომენტიდან რომი სამოქალაქო საზოგადოების (ლათინურად -"civitas") სახით რჩებოდა. მიწა მის თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენდა. მისი ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი პატრიციებს შორის იქნა განაწილებული, მეთემეებს მცირე წილობრივი ნაკვეთები მიეცათ.

პლებეი და პატრიცი

ჩვ. წ. აღ.-მდე VIII-VI საუკუნეებში რომში მხედართმთავარის, უმაღლესი სასულიერო პირისა და მოსამართლის უფლებამოსილების ხელთ მპყრობელი მმართველები ხელისუფლებაში იყვნენ. ისინი სახალხო კრების მიერ აირჩეოდნენ, მაგრამ მათ კანდიდატურას პატრიციების ზედა ფენის წარმომადგენელთაგან შემდგარი უხუცესთა საბჭო-სენატი განსაზღვრავდა. პატრიციებისაგან განსხვავებით, მეთემეები სახელმწიფოს პოლიტიკურ მართვასთან ახლოსაც კი არ მიიშვებოდნენ.

რაში გამოიხატებოდა პატრიციებისა და მეთემეების მდგომარეობაში არსებული ძირითადი სხვაობა? გაიხსენეთ ამ განსხვავების მიზეზი.

ჩვ. წ. აღ-მდე 509 წელს რომაელებმა წამოიწყეს აჯანყება ტირანიის მომხრე მბრძანებლის წინააღმდეგ. ხელისუფლება დაემხო და სახელმწიფო წყობილების ახალი ფორმა - რესპუბლიკა ("საერთო საქმე") ჩამოყალიბდა. მაგრამ მას, იმის გამო რომ უზრუნველყოფდა პატრიციების პლებეიებზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბატონობას, დაცული და შენაჩუნებული ჰქონდა თავისი არისტოკრატიული ხასიათი. მეთემეების უუფლებობა, მათი პატრიციების წინააღმდეგ ჯიუტი ბრძოლის საფუძველი გახდა. ცოტა ხნის შემდეგ, მეთემეებს მათი უფლებების სახელმწიფოს წინაშე დამცველი სახალხო ტრიბუნების არჩევისა და კონსულის თანამდებობის დაკავების საშუალება მიეცათ. თანამდებობისათვის ძველებურად ხელფასი ისევ არ ეძლეოდათ. ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნის დასასრულს გაუქმდა დამონება ვალის გამო და მოქალაქეთა მონებად გადაქცევა.

ჩვ. წ. აღ-მდე III- საუკუნეში რომი დაადგა ფართო დაპყრობით გზას. მან დაიმორჩილა იტალია და დაიწყო ხმელთაშუა ზღვის აუზის ხელში ჩაგდება. ახლო მომავალში მოსალოდნელი ომები სახელმწიფოს მთლიანი ძალების შეკრებას მოითხოვდა, რომლის მიღწევაც საშინაო დაპირისპირებების მოწესრიგების გარეშე შეუძლებელი იყო. ამის გამაცნობიერებელმა ხელისუფლებამ, ჩვ. წ. აღ-მდე 265 წელს მეთემეები სრულუფლებიან მოქალაქეებად აღიარა. ამით დამთავრდა რომში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

რომელ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ჩვ. წ. აღ-მდე V-III საუკუნეებში რომში არსებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში? განმარტეთ ამ ცვლილებების მიზეზები.

ჩვ. წ. აღ-მდე 264 წელს რომმა ფინიკიელების (პუნების) მიერ შექმნილ კართაგენის ძლიერ სახელმწიფოსთან დაიწყო ბრძოლა. პუნთა სამი ომი ჩვ. წ. აღ-მდე 146 წელს კართაგენის დანგრევითა და ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროებზე რომის ბატონობის დამყარებით დამთავრდა. შემდეგ რომი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა და ჩვ.წ. აღ-მდე II საუკუნის შუა პერიოდისათვის მაკედონია და საბერძნეთი დაიპყრო. ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნის შუა წლებში სირია, ჩვ.წ. აღ-მდე 30 წელს კი ეგვიპტე რომის პროვინციებად გადაიქცნენ.

დაპყრობების მასშტაბებმა რომში მონების უფრო მრავლად შემოსვლა და გლეხთა მასობრივი გაკოტრება გამოიწვია. გლეხების მიერ მიღებული მოსავალი მიწათმფლობელების მეურნეობაში მყოფ მონათა შრომით მიღებულ იაფიან მოსავალს კონკურენციას ვერ უწევდა. ახლა გაკოტრებულ და უმიწოდ დარჩენილ გლეხებს არ შეეძლოთ კანონის მოთხოვნისამებრ იარაღის თავიანთი ანგარიშით შეძენა. ეს კი, თავის მხვრივ რომის არმიის შემცირების მიზეზი გახდა, რაც, უწყვეტი ომების პირობებში ძალიან საშიში იყო. ასე რომ, აგრარული საკითხის ახალი გამწვავება, რომში რესპუბლიკური წყობის კრიზისის დასაწყისი გახდა. აგრარული რეფორმისათვის ბრძოლის მეთაურები ძმები გრაკხები ამ კრიზისის თავიდან აცილებას შეეცადნენ, მაგრამ მონათმფლობელებმა შეძლეს რეფორმატორებზე ზეგავლენა მოეხდინათ. თუმცა ამით კრიზისული პროცესის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

იული ცეზარის ტრიუმფის დროს ტრიბუნის ადგილების სიახლოვიდან გავლისას, ტრიბუნიდან ერთ-ერთის მის წინაშე ფეხზე არ წამოდგომის შნახვილი ისე გაბრაზდა, რომ ხმამაღლა წამოიძახა: "აქვთ სახალხო ტრიბუნა, შენ რესპუბლიკაც ხომ არ დაგიბრუნოთ"?

გაი სვეტონი ტრანკვილი "თორმეტი ცეზარის ცხოვრებიდან"

რა იყო რომში რესპუბლიკური წყობის კრიზისის დაწყების პირველი მიზეზი?

რესპუბლიკიდან იმპერიისაკენ. ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის დასასრულს დაიწყო პროფესიონალი ანაზღაურებადი არმიის ფორმირება. ამან მეთაურების პოლიტიკური ავტორიტეტის გაძლიერება და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მნიშვნელობის შესუსტება გამოიწვია.

რესპუბლიკური წყობის კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა სპარტაკის აჯანყებამ. ყოველივე ამან პირობები შეუქმნა რომის რესპუბლიკური საფუძვლებიდან მონარქიისაკენ მეტად მიმზიდავ სამოქალაქო ომის დაწყებას. **ჩვ.წ.აღ-მდე 49 წელს, რომში ჩამოყალიბდა ცეზარის დიქტატურა.** მაღალ ორგანოებში არსებულმა გამწვავებულმა წინააღმდეგობებმა დიქტატორის მკვლელობა გამოიწვია. მაგრამ რომი უკვე მონარქიისაკენ მიმავალ გზას გვერდს ვერ აუვლიდა.

წყაროს მიხედვით განსაზღვრეთ ცეზარის შეხედულება რესპუბლიკაზე.

გაიხსენეთ რომში არსებული სამოქალაქო ომის ძირითადი ეტაპები.

ჩვ. წ. აღ-მდე 30 წელს იული ცეზარის მემკვიდრემ, ოქტავიანმა მწყობრიდან გამოიყვანა თავისი კონკურენტები და რომის ხელისუფლება ხელში ჩაიგდო. მორჩილმა სენატმა ის "*პრინცეპს**"-ად ("პირველი") - სახელმწიფო საბჭოს მეთაურად გამოაცხადა. ამიტომაც ოქტავიანის მხრიდან ჩვ. წ. აღ-მდე 27 წელს შექმნილ წყობილებას *პრინციპათ**-ს უწოდებენ. მალე კი, **რომის მბრძანებელი** ღმერთების ტოლად ჩათვალეს და მისთვის "**ავგუსტის**" (სარგებელი, სარგებლის მომტანი) **ტიტული იქნა მინიჭებული.** ამავდროულად სენატს მისთვის იმპერატორის ტიტულიც ჰქონდა მინიჭებული. ადრე ეს ტიტული მხოლოდ *ტრიუმფის** ღირსად აღიარებულ მეთაურებს ენიჭებოდათ. ოქტავიანის პერიოდიდან კი ეს ტიტული მონარქიული ტიპის სახელმწიფოს მეთაურის ტიტულად იქცა.

მის მიერ შექმნილი მონარქია ინარჩუნებდა რესპუბლიკის ფორმალურ ნიშნებს. ამან, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის მანძილზე განამტკიცებდა იმპერიას, მაინც ვერ შეძლო მონათმფლობელური სისტემის დაშლის თავიდან აცილება. ამ დაშლის მოახლოებაზე მონათა შრომაზე დაფუძნებული მეურნეობის კრიზისი, ქრისტიანობის გავრ-

* **პრინციპათი** – მონარქია რომელიც ინარჩუნებს რესპუბლიკის გარეგან ნიშნებს; ახასიათებდა ძველი რომის ადრეულ პერიოდს.

* **ტრიუმფი** – ძველ რომში გამარჯვებული მეთაურის დედაქალაქში თავისი ჯარიანად ცერემონიულად შემოსვლა.

ცელება (რელიგია ქრისტიანობა ჩვ. წ. აღ-ის დასაწყისში დაიწყო და რომის პროვინციად არსებულ პალესტინაში იყო შექმნილი) და ბარბაროსების თავდასხმები მეტყველებდა.

როგორ იცვლებოდა ღარიბთა მოთხოვნები რომის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში?

რომის იმპერია

იმპერიის დაშლის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ძალიან მკაცრი ღონისძიებების გატარება. ამ ღონისძიებებმა თავისი ასახვა იმპერატორისათვის აბსოლუტური ხელისუფლების მიმნიჭებელი *დომინატის** რეჟიმის გამოვლენაში ჰპოვა. იმპერატორმა კონსტანტინემ 313 წელს გასცა მილანის განკარგულება, ქრისტიანებისათვის თავიანთი რელიგიის შესაბამისად რიტუალებისა და ლოცვების ჩატარების თავისუფლების შესახებ. ეს ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირის დასაწყისს ნიშნავდა. **330 წელს კონსტანტინემ იმპერიის დედაქალაქი აღმოსავლეთით გადაიტანა და ამით საფუძველი ჩაუყარა მეორე რომს – კონსტანტინოპოლს.** კონსტანტინეს მემკვიდრეები 395 წიოს იძულებულნი გახდნენ იმპერია ორად გაეყოთ. დაყოფის შედეგად შექმნილი დასავლეთ რომის იმპერია, 476 წელს ბარბაროსების დარტყმების ქვეშ დაიშალა. ეს მოვლენა ანტიკური ისტორიისა და მისი ცივილიზაციის დასასრული გახდა.

* **დომინატი** – ძველ რომში იმპერატორის შეუზღუდავი ხელისუფლების ფორმა.

ძველმა საბერძნეთმა და რომმა უდიდესი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა დატოვეს. ყველაზე მთავარი კი - ხალხის ძალა მის მაღალ სულიერ ღირებულებებსა და სახელმწიფო ხელისუფლების მტკიცე საყრდენებისაგან შედგება, ამ მემკვიდრეობას ეფუძნება.

კითხვები და დავალებები

1. *მოამზადეთ წარდგინება კრიტ-მაკენას ცივილიზაციის შესახებ.*
2. *შეადარეთ ერთმანეთს სპარტაში, ათენსა და რომში არსებული პოლისის სისტემების განვითარება.*
3. *განსაზღვრეთ პოლისის სისტემის დაშლის მიზეზები ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებსა და ძველ რომში.*

6 კულტურა

საკვანძო სიტყვები

- შამპოლიონი
- იეროგლიფები
- კალენდარი
- ჰომერი
- კოლიზეი
- პანთეონი
- აგორა
- თეატრი
- კომედია
- კონფუცი

ძველი ეგვიპტის პირამიდებიდან ჩინეთის დიდ კედლამდე შექმნილი არქიტექტორული ნამუშევრები მსოფლიო საოცრებების საფუძვლებს წარმოადგენს. დღეს თანამედროვე პერიოდში ადამიანების მიერ ხმარებაში არსებული დამწერლობა, ქალალდი, კომპასი, ჭადრაკი, კალენდარი და სხვ. სწორედაც, რომ ძველი პერიოდის ნაყოფია.

მეცნიერება და განათლება. ძველი სამყაროს უმაღლეს კულტურულ მიღწევათაგან ერთ-ერთი დამწერლობის აღმოჩენა იყო. ამ დიდი აღმოჩენით ადამიანებმა აუცილებელი ცოდნის თაობიდან თაობაზე გადასაცემად ერთ-ერთი შეუცვლელი საშუალება მოიპოვეს. ეგვიპტისა და შუმერების პირველი დამწერლობა ჩვ. წ. აღ-მდე IV ათასწლეულის დასასრულს იქნა გამოვლენილი. თავდაპირველად სურათიანი ნაწერის (პიქტოგრამის) ფორმაში მყოფი ნაწერები, შემდგომში, ეგვიპტეში იეროგლიფად, შუმერებში კი ლურსმნურ ნაწერებად გადაიქცა.

ეგვიპტური ნაწერები პირველად, 1822 წელს ფრანგმა მეცნიერმა ***შამპოლიონმა*** წაიკითხა.

ფინიკიელები ეგვიპტური იეროგლიფების საფუძველზე პირველი ანბანის შემქმნელი ხალხია. ფინიკიელების მიერ შექმნილი პირველი ანბანის საფუძველზე ჩვ. წ. აღ-მდე IX საუკუნეში ბერძნებმა 24 ასოსაგან შემდგარი ბერძნული ანბანი შეადგინეს.

ჩინურ დამწერლობასაც ძველი ისტორია აქვს. აქ ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულში იეროგლიფის წესის სისტემა იქნა შექმნილი.

ძველ ჩინურ დამწერლობაში ორი ათასამდე მინიშნება იყო. მათ დასაწერად სპეციალური ჯაგრისი ჰქონდათ გამოყენებული. ჩვ. წ. აღ-მდე III-I საუკუნეებში შედგენილი იქნა სხვადასხვა ლექსიკონები: ***სიუა შენის*** იეროგლიფების ლექსიკონს ჯერაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

რა გავლენა იქონია ძველი მსოფლიო ქვეყნების დამწერლობის სისტემამ ამ ქვეყნების განვითარებაზე?

ეგვიპტელებს ანგარიშისა და გეომეტრიის სფეროებში მარტივი ცოდნა გააჩნდათ. მათემატიკაში ყველაზე დიდი წარმატება ათობითი თვლის სისტემის შექმნა იყო. მილიონის შესახებ მაუწყებელი ნიშანიც კი იყო: ეს განცვიფრებით ხელებ აწეული ადამიანის სურათით გამოიხატებოდა.

ეგვიპტელები უკვე შეეძლოთ პლანეტის ვარსკვლავებისაგან განსხვავება. მათ წელიწადი 30 დღისგან შემდგარ 12 თვედ ჰქონდათ დაყოფილი. ბოლოს 5 დღე ერთვოდა და წელიწადი 365 დღისაგან შესდგებოდა. ეგვიპტელებს წყლისა და მზის საათები ჰქონდათ გამოგონილი.

ეგვიპტური იეროგლიფები

რა გავლენა მოახდინა იეროგლიფური დამწერლობის სისტემამ მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე?

დამწერლობის საიდუმლოს გამხსნელი პირი

შამპოლიონი დაიბადა 1790 წელს წიგნის გამყიდველის ოჯახში. 20 წლის ასაკში ისტორიის ფაკულტეტის პროფესორად იქნა დანიშნული. ეგვიპტური იეროგლიფებით ძალიან დაინტერესებულმა შამპოლიონმა, იეროგლიფების საიდუმლოს გასახსნელად, ნაპოლეონის ლაშქრობის პერიოდში ეგვიპტიდან წამოღებული როზეტის ქვის შესწავლა დაიწყო. მან, ეგვიპტურ ტექსტში სახელი პტოლომეი, სხვა ახლად ნაპოვნ ნაწერში კი სახელი კლეოპატრა ამოიკითხა. ასე რომ, მან განმარტა 12 ნიშნის მნიშვნელობა.

რა გავლენა მოახდინა ეგვიპტის ასტრონომიის განვითარებამ თანამედროვე ასტრონომიის მეცნიერებაზე?

ძველი რომის ტერიტორიაზე გამოიყენებოდა ლათინური ანბანი. მსოფლიოს თანამედროვე ენებში უმრავლესი მეცნიერული ტერმინი სწორედ ამ ენიდან არის შეტანილი. ამჟამად კათოლიკურ ეკლესიაში ლოცვა ლათინურ ენაზე ტარდება.

თავისუფალი ბერძნების ბავშვები 7 წლის ასაკიდან სკოლაში დადიოდნენ. ხელოსანთა და გლეხთა ბავშვები დაწყებით სკოლაში, სახელმწიფო მოხელეების ბავშვები კი 18 წლამდე გიმნაზიაში სწავლობდნენ. მათ ზეპირად იცოდნენ ***ჰომერის, ჰესიოდესა*** და სხვა მწერალთა ნაწარმოებები. მოსწავლეებს სურათის ხატვა, ცეკვას, სიმღერასა და ლირაზე (მუსიკალური ინსტრუმენტი) დაკვრას, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ქცევის წესებს ასწავლიდნენ.

ეგვიპტეში სკოლის მოსწავლეებს თავისუფალ წერას 5-6 წლის განმავლობაში ასწავლიდნენ.

ჩვ. წ. აღ-მდე VII-VI საუკუნეებში ქალაქ მილეტისა და ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე პროვინცია იონიაში მყოფი ქალაქები სამეცნიერო ცენტრებად გადაიქცა. იონიის მეცნიერები ბუნებრივი მოვლენების განმარტებასა და მიზეზების შესწავლას ცდილობდნენ, ამით კი მსოფლიოს წარმოშობის განმარტება სურდათ. ჩვ. წ. აღ-მდე V საუკუნეში ბერძნული მეცნიერების ცენტრი ათენი გახდა.

რომში მეცნიერების სხვადასხვა სფეროები იყო განვითარებული. ***ვარონის*** (ჩვ. წ. აღ-მდე II-I საუკუნეებში) ***"სოფლის მეურნეობის შესახებ"*** და ***"ლათინური ენის შესახებ"*** წიგნები, ხოლო ***ვიტრუვის*** (ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნეში) ***"არქიტექტურის შესახებ ათი წიგნი"*** ჰქონდათ დაწერილი.

დიდი პლინიუსის მიერ დაწერილი 37 ტომისაგან შემდგარი "***ბუნების ისტორიის***" ნაწარმოებში რომაელი, აღმოსავლელი და ბერძენი მეცნიერების ასტრონომიის, სოფლის მეურნეობის და მედიცინის შესახებ ნაწარმოებების შინაარსი იყო მოცემული. პლინიუსი ვულკან ვეზუვის შესასწავლად ძალიან მიუახლოვდა ამ ტერიტორიას და ამ დროს გარდაიცვალა.

ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნის მცხოვრებ ***ტიტ ლუკრეტსი კარს*** "***სხეულთა ბუნების შესახებ***" ფილოსოფიური პოემა ჰქონდა დაწერილი.

ჩინეთში ფილოსოფიის, მათემატიკის, ასტრონომიისა და მედიცინის მეცნიერების სფეროში დიდი წარმატებები იქნა მიღწეული. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ასტრონომიის მეცნიერებას, ჩინეთის მბრძანებლები კალენდარის დამზადებისათვის, აგრეთვე მზისა და მთვარის დაბნელების დროის განსაზღვრისათვის სპეციალურ კომისიებს ქმნიდნენ. ჩინელებმა პირველად ისარგებლეს ჩაის მცენარით, გამოიგონეს პირველი კომპასი და აწარმოეს აბრეშუმი.

ინდოეთს, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქვეყანათაგანს წარმოადგენს, უძველესი ცივილიზაციის სახით მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია. ძველი ცივილიზაციის განმავლობაში მოპოვებულმა მდიდარმა კულტურულმა მემკვიდრეობამ ჯერ არაბ და ირანელ ხალხებზე, შემდეგ კი ევროპაზე მნიშვნელოვანი

რომაული კალენდარი



იულიუს ცეზარის დავალებით ალექსანდრიაში კალენდარი იქნა შედგენილი. ეს კალენდარი ახლაც გამოიყენება გარკვეული ცვლილებებით. ამჟამად ჩვენს მიერ გამოყენებული თვეების სახელები ლათინური სიტყვებია.

გამოიცვლიეთ და დაადგინეთ ძველი რომაული კალენდრის საფუძველზე შექმნილი და ამჟამად სარგებლობაში მყოფი თვეების სახელების მნიშვნელობა.

ძველი ბერძენი მოაზროვნეები

დემოკრიტე

ატომის თეორიის საფუძვლის ჩამყრელი ძველი ბერძენი ფილოსოფოსია.

ჰეროდოტე

პირველი სრულმასშტაბიანი ისტორიის ნაწარმოების ავტორია. ისტორიის მეცნიერების მამად ითვლება.



ჰიპოკრატე

ბერძენი ექიმია. "ჰიპოკრატეს ფიცი" ექიმების მიერ შესასრულებელი მორალური საკითხთა კრებულია.

არისტოტელე

ძველი ბერძენი ფილოსოფოსია, ბერძნულ კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელია.

ზემოქმედება მოახდინა. ინდური ცივილიზაციის პერიოდში (ჩვ. წ. აღ-მდე III ათასწლეულში), მათ უკვე მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას ქალაქების დაგეგმვის და მონუმენტალური შენობების მოწყობის, ასევე ზომისა და წონის სისტემების გამოყენების სფეროში.

ინდოელებმა მცირე ცდომილებებით განსაზღვრეს დედამიწას, მთვარესა და მზეს შორის მანძილი, ასევე დედამიწის რადიუსი, "ნულის" ცნება, ციფრების თანამედროვე წერა და სხვა ასტრონომიული და მეცნიერული აღმოჩენები გააკეთეს.

ხელოვნება და არქიტექტურა. ძველი ეგვიპტის პირამიდები ამ ქვეყნის, როგორც მეცნიერების, ასევე ტექნოლოგიისა და ხელოვნების საერთო ნაყოფს წარმოადგენს. თითოეული პირამიდა დაახლოებით 2,5 ტონის სიმძიმის ქვებით არის აშენებული. პირამიდა ვის პატივისაცემადაც არის აშენებული, იმ ფარაონის მუმიის მყოფ ოთახში მზის სხივები წელიწადში ორჯერ - ფარაონის დაბადებისა და ტახტზე ასვლის დღეებში ხვდება.

სავარაუდოდ გიზას პირამიდები ჩვ. წ. აღ-მდე III ათასწლეულში არის აშენებული. აქ მდებარე ყველაზე დიდი პირამიდები ეგვიპტის ფარაონებს ***ხეოფსს, ხეფრენსა*** და ***მიკერინს*** ეკუთვნის.

ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნის ბოლოსა და V საუკუნეში, ძველ საბერძნეთში მეღვინეობის ღმერთის ***დიონისე*** საპატივსაცემოდ ორგანიზებული ზეიმითა და მის შესახებ ლეგენდების სცენაზე დადგმა-წარმოდგენებით საფუძველი ჩაეყარა ძველ ბერძნულ თეატრს. აქ თეატრს "უფროსებისათვის სკოლას" უწოდებდნენ.

როგორი გავლენა მოახდინა საბერძნეთის თეატრალურმა კულტურამ თანამედროვე მსოფლიო თეატრალური კულტურის განვითარებაზე?

ულამაზეს ქალაქთაგან ერთ-ერთის ათენის მთავარი მოედანი აგორა (ბაზრის მოედანი) იყო.

ჩვ. წ. აღ-მდე VI-V საუკუნეებში ბერძნულ არქიტექტურაში სვეტის ორი სახეობა იყო. დორიკის სვეტები თითქოს ქვის იატაკიდან ასული და ზემოთ უბრალო ქვის ფილით დასრულებული სვეტები იყო. მოჩუქურთმებულ სამლოცველო შენობაში იონური სვეტები გამოიყენებოდა. სვეტების თავისებურება იყო ის, რომ მათი ორივე მხარე სპირალისებური ორნამენტებისაგან შესდგებოდა.

ეგვიპტის პირამიდები

ათენის აკროპოლისში აშენებული შენობები და ძეგლები, ჩვ. წ. აღ-მდე V საუკუნეში ბერძნული ხელოვნების მწვერვალად ითვლებოდა. აქ ათენის სახელმწიფოს პატივსაცემო პართენონის ტაძარი იყო აშენებული. მოქანდაკე ფიდს პართენონში ათენის ქალღმერთის 12 მეტრის სიმაღლის ძეგლი ჰქონდა დადგმული.

რომაელებმა, მათ მიერ დამზადებული ბეტონის საშუალებით რთული აგებულების ნაგებობების აშენების შესაძლებლობა მოიპოვეს.



დორიკი იონიკი

რითი განსხვავდება ბერძნული არქიტექტურა ეგვიპტური არქიტექტურისაგან?

რა სიახლეები მოუტანა ბერძნული არქიტექტურის მეთოდებმა არქიტექტურის სფეროს?



ათენის აკროპოლისი



კოლიზეის მაკეტის სრული სურათი

პანთეონი

ძველ რომში შენობები დემონსტრირებას უკეთებს სახელმწიფოს ბრწყინვალებასა და ძალას. რომის ულამაზეს შენობათაგან ერთ-ერთად, I საუკუნეში აშენებული, 50 ათასი მაყურებლის ადგილის მქონე, გლადიატორთა ბრძოლების ჩატარების ცენტრად ცნობილი **კოლიზეი** ითვლება. გუმბათის ფორმით აშენებული **პანთეონის** ტაძარი (ყველა ღმერთის ტაძარი) მსოფლიო არქიტექტორულ ძეგლთა მარგალიტად ითვლება.

რომელმა ფაქტორებმა მისცა ბიძგი რომაული არქიტექტურის განვითარებას? რა როლს ასრულებდა რელიგია რომის არქიტექტურაში?

ჩინეთში, ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულის შუა ხანებში ჩამოყალიბდა არქიტექტურა და ადგილი ჰპოვა ქალაქთმშენებლობამ.

ძველ კულტურულ ძეგლთა შორის სპეციფიკური ადგილი უკავია ჩინეთის ათასობით კილომეტრის სიგრძის მქონე კედელს. დიდი კედლის ძირითადი ნაწილი ცინის სახელმწიფოს დროს, თავდაპირველად თიხისა და მიწის ნარევით იყო აშენებული, ხოლო შემდგომში კედელი აგურებითა და დიდი ქვების ფილებით იქნა გაფორმებული. ეს კედელი ჩრდილოეთიდან მომავალი ჯუნთა შემოსევებისაგან თავდაცვის მიზნით იქნა აგებული.

ძველ ხალხთა გამოგონებები უჩვენეთ ცხრილის სახით.

ლიტერატურა. ეგვიპტის უძველესი ზღაპრები და ლეგენდები ჩვ. წ. აღ-მდე V ათასწლეულს ეკუთვნის. ძველი მიწის მეპატრონენი ზღაპრების საშუალებით ადიდებდნენ სიბრძნესა და ჰუმანიზმს, ამით კი ცდილობდნენ უბრალო ადამიანების ინტელექტის, მებრძოლი ბუნებისა და სიმტკიცის ჩვენებას.

ზღაპრებში ღმერთისა და ფარაონების უძლეველობის იდეა იყო ასახული, აგრეთვე აღწერილი იყო მოხელეთა ბოროტება და სისასტიკე.

რა აზრები შეიძლება გამოითქვას ეგვიპტური ზღაპრებისა და ლეგენდების მიხედვით მისი ისტორიის შესახებ?

ათენში ტრაგედიის დამფუძნებელი ***ესქილი*** ყოფილა. მას დაწერილი ჰქონია ტრაგედია ***"მიჯაჭვული პრომეთე"***.

ბერძნული ლიტერატურის ძველ პერიოდს, ტროას ომის შესახებ დაწერილი ნაწარმოებები წარმოადგენს. ხალხს მრავალი საგა, თქმულება და ლეგენდა ჰქონია შეთხზული. უსინათლო პოეტს, ***ჰომეროსს*** ამ ლეგენდების საფუძველზე ჩვ. წ. აღ-მდე VIII საუკუნეში ეპიკური პოემები ***"ილიადა"*** და ***"ოდისეა"*** ჰქონდა შექმნილი, რომლებიც ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნეში წერილობით იქნა ასახული. ბერძნების ადათ-წესების, რწმენებისა და ცხოვრების წესის შესახებ ფართოდ მაუწყებელ ამ პოემებს, იმდენად დიდი ისტორიული მნიშვნელობა გააჩნდათ, რომ ჩვ. წ. აღ-მდე XI-IX საუკუნეებს ჰომეროსის პერიოდი ეწოდება.

მიჯაჭვული პრომეთე

ესქილის ნაწარმოებიდან ერთ-ერთი ტრაგედია "მიჯაჭვული პრომეთეა". პრომეთე კეთილშობილებას სჩადის და ღმერთების თანხმობის გარეშე ადამიანებს ცეცხლით ამარაგებს. ამით ინფორმირებული მთავარი ღმერთი ზევსი ბრაზდება. ის მჭედლობის ღმერთს, ჰეფესტოს ბრძანებს, რომ პრომეთე კაფის მთების გორებზე მიაჯაჭვოს. პრომეთე, რომელიც არ ნანობს თავის საქციელს, გაუკაცურად უძლებს ყველა წვალებას და კეთილშობილის სახით რჩება ადამიანთა მეხსიერებაში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დამტკიცებული იქნა, ჰომეროსის "ილიადა" და "ოდისეა" პოემებში აღწერილი მოვლენების ისტორიული სინამდვილე.

რომაული ლიტერატურაც ბერძნული ლიტერატურის საფუძველზე განვითარდა. ***ლიჳი ანდრონიკს*** "ოდისეა"-სთან ერთად ლათინურ ენაზე აგრეთვე სხვა ტრაგედიები და კომედიებიც ჰქონდა თარგმნილი. ეროვნული ეპოსის დამფუძნებელთაგან ***კვინტ ენისაც*** ბერძენ მწერალთა ნაწარმოებები ლათინურ ენაზე ჰქონდა თარგმნილი. ამ ნაწარმოებების საფუძველზე მას "ილიადა" და "ოდისეა"-ს ქადაგების მიზნით "სალნამე" სახელწოდების დიდი მოცულობის ლექსი ჰქონდა დაწერილი.

ოდისეა სირენების კუნძულზე.
ძველი ვაზა. ჩვ. წ. აღ-მდე 480-470 წლები

რა არის მოთხრობილი პოემებში "ილიადა" და "ოდისეა"?

ვერგილიუსს (ჩვ. წ. აღ-მდე 70-19 წლები), იმპერატორ ოქტავიან ავგუსტის დავალებით 12 ტომისაგან შემდგარი პოემა "***ენეიდა***" ჰქონდა დაწერილი.

მსოფლიოს უძველეს ლიტერატურულ ნიმუშთა შორის ჩინურ ლიტერატურასაც თავისი კუთვნილი ადგილი უკავია. ***შიძინი*** პირველ ჩინურ ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს. ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნის შუა ხანებში ჩუს დინასტიის დროს, სახალხო შემოქმედებაზე დაფუძნებული ჟანრი "***ჩუ სერი***" შეიქმნა. ამ ჟანრის თვალსაჩინო წარმომადგენელის ***ცუი უანის*** შემოქმედებაში ასახვა ჰპოვა ბოროტებისა და უსამართლობის დაგმობამ, აგრეთვე ხალხისადმი სიყვარულის გრძნობებმა.

რა უბოძა მსოფლიოს კულტურას ჩინეთმა?

რელიგია. უძველესი სამყაროს ხალხებს არ გააჩნდათ ცოდნა ბუნებრივი მოვლენების მიზეზების შესახებ, მათი რწმენით ყოველივე ეს ღმერთებისა და ქალღმერთების მხრიდან იმართებოდა.

ძველი ეგვიპტელების მსოფლმხედველობის საფუძველს რელიგია წარმოადგენდა. მათ გაღმერთებული ჰქონდათ ფარაონის პიროვნება. ფარაონს ემორჩილებოდნენ და თაყვანს სცემდნენ, როგორც სამყაროს ღმერთს. მათი აზრით, მრავალრიცხოვანი ღმერთები ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს არეგულირებდნენ. ჩვეულებრივ ეგვიპტელები ღმერთებს ცხოველთავა ადამიანის სახით განასახიერებდნენ.

როგორ ყალიბდებოდა ეგვიპტელების ცხოვრებისეული წესები, მათი მრავალღმერთიანობის რწმენით?

ბერძნების რწმენით, ღმერთები ოლიმპიური მთის მწვერვალზე ცხოვრობდნენ და ადამიანებს, ბუნებასა და მსოფლიოს მართავდნენ. ადამიანების ვალი კი მათი თაყვანისცემა იყო. საამისოდ ტაძრები და სხვა სამლოცველოები ფუნქციონირებდა. აქ იდგმებოდა ძეგლები, რომელთა წინაშე ლოცულობდნენ და მსხვერპლებს სწირავდნენ. ამის სამაგიეროდ კი, ადამიანები ღმერთებისაგან განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას მოითხოვდნენ.

ძველ ბერძნებს ერთიანი რელიგიური წვრთნა, წმინდა წიგნი და ცენტრი არ გააჩნდათ. ყოველ ადგილს თავისი ადათები და ასევე, ღმერთები გააჩნდათ, რომლებსაც უფრო წმინდანად თვლიდნენ. ბერძნები თავიანთ ცხოვრებაში უფრო დამოუკიდებელნი იყვნენ. მათ ძირითადად მორალური ფასეულობები, გმირობა და სამართლიანობა მიაჩნდათ. ამ დამოუკიდებლობამ, სხვათა შორის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფილოსოფიის წარმოშობასა და განვითარებაშიც. ბერძენთა რელიგიამ და მსოფლმხედველობამ შემდგომში რომზეც მოახდინა გავლენა.



ბერძნული	ზევსი	პოსეიდონი	არესი	დემეტრე	ჰეფესტი	აპოლონი	ჰესტა	ჰერმესი
რომაული	იუპიტერი	ნეპტუნი	მარსი	სერესა	ვულკანი	აპოლონი	ვესტა	მერკური

გამოიცანით, ზემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი რომელი სფეროს ღმერთად ითვლებოდა.

ადრეულ პერიოდში რომაელები ღმერთებს არ აღწერდნენ და მხოლოდ სპეციალური სიმბოლოებით განმარტავდნენ. მაგალითად, ბრძოლის ღმერთის ***მარსის*** სიმბოლო შუბი, ხოლო ელვისა და ცის ღმერთის ***იუპიტერის*** სიმბოლო კი ისარი იყო. ბერძნული კულტურის გავლენით რომში ღმერთთა პანთეონი იყო შექმნილი. ბერძნულ მთავარ ღმერთთან, ***ზევსთან*** გაიგივებული ***იუპიტერი*** პანთეონის თავში იდგა. სხვა რომაული ღმერთებიც ბერძნულ ღმერთებთან: ***ჰერა ითონასთან, პოსეიდონი ნეპტუნთან, ხოლო ვენერა აფროდიტესთან*** იყო გაიგივებული.

ჩინელების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კონფუცის ფილოსოფიამ. ***კონფუცი*** ახალგაზრდობისას მოხელე იყო, შემდეგ გადადგა და მასწავლებლობა დაიწყო. თქმულების მიხედვით, მისი ცოდნის შესახებ გამგონე და ძველი გამონათქვამების შესწავლის მსურველნი ყოველ მხრიდან მასთან ყოფილან წამოსულნი.

კონფუცის გამონათქვამები მისი სიკვდილის შემდეგ, მოწაფეების მიერ წიგნში ***"აზრები და აფორიზმები"*** იქნა თავმოყრილი. იმის გამო რომ, მეცნიერის ფილოსოფიური სისტემა შემდგომ ჩინელ მბრძანებელთა კლასის იდეოლოგიას შეესაბამებოდა, ქვეყნის უამრავ ქალაქებში მის საპატივსაცემოდ სამლოცველოები იყო აშენებული.

სხვა აღმოსავლურ ქვეყნებსავით, ინდოეთშიც განვითარებული იყო კულტურის სხვადასხვა სფეროები. აქ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სფეროში გარკვეული წარმატებების მიღწევასთან ერთად, სხვადასხვა რელიგიურ დოგმებსა და აღქმებსაც ჰქონდა ადგილი. ინდოეთის მოსახლეობა ადრეულ პერიოდებში მცენარეებს, მთავარეს, მზესა და მდინარეს თაყვანს სცემდნენ. ინდოელებს ირანელებთან მსგავსი რელიგიური შეხედულებები გააჩნდათ. ასე რომ, როგორც ინდურ ისე ირანულენოვანი ეთნიკური გაერთიანებები ცეცხლს, წყალს, წინაპრებს, იგივე სახელიან ღვთაებრივ ძალებს ნდობას უცხადებდნენ. ინდოელების პირველმა რელიგიურმა წარმოდგენებმა თავისი ასახვა ***რიგვედაში*** ჰპოვა.

ინდოელების რელიგიური წარმოდგენით, მკვდართა ღმერთად ცნობილი ***იამა*** იღებდა მიცვალებულებს და სიცოცხლეში ჩადენილი ქმედებებისათვის გასცემდა მათ დანიშნულებას (სამოთხე ან ჯოჯოხეთი).

კონფუცის ბედნიერების მოტანის რწმენის წესები



- *კაცთმოყვარეობა, ყველასადმი ისეთი თანაგრძნობით მოპყრობა, როგორც საკუთარი თავისადმი;*
- *ობიექტურად და მიუკერძოებლად ყველასათვის საკადრისი ჯილდოს მიცემა და სასჯელის მისჯა;*
- *კანონმორჩილება და მთავარი რელიგიით განსაზღვრული ადათ-წესების დაცვა;*
- *სანამდვილესთან შესაბამისობა, უფრო სწორედ ყოველგვარი ტყუილის დაგმობა;*
- *სისწორე და სისუფთავე, ყოველთვის და ყველგან.*

ცხოვრებაში მოღვაწეობის მიხედვით თანდათან შეიცვალა წარმოდგენები იმიერ სამყაროზე და ინდოელებმა ადამიანის მარადიული სიცოცხლისუნარიანობის ბუნება აღიარეს. ახალი ჰიპოთეზის თანახმად, ადამიანის სიკვდილის შემდეგ სული ცოცხლობს და ხელახლა იქმნება სხვა გამოსახულებით.

ინდოეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებული რელიგიის - ***ბუდიზმის*** სამშობლოს წარმოადგენს. ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნეში შექმნილი ბუდიზმის ფუძემდებელი ***სიდჰართა გაუტამაა***. ამ რელიგიაში არ არის რწმენა ერთღმერთიანობის შესახებ. ეს რელიგია არ ემსახურება ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირის დამყარებას. ბუდისტებს სწამთ, რომ ცხოვრებაში სტაგნაცია არ არსებობს და ყველაფერი უწყვეტად იცვლება. ბუდისტის აზრით, მორალური ევოლუციისაკენ მიმავალი გზა შინაგანი და პრაქტიკული ზნეობიდან, ***მედიტაციიდან**** და სხვათაგან გადის.

სამლოცველო სახლი ჩინეთში

ინდოელების სათაყვანებელ ღმერთთაგან ერთ-ერთი

* **მედიტაცია** – ადამიანის ფსიქიკის ღრმა ყურადღებიანობის მდგომარეობისაკენ გადამყვანი გონებრივი აქტივობა

რას უკავშირდება ინდოელთა რელიგიური შეხედულების ძველ დროიდან დღევანდელ დღემდე ჯერ კიდევ დაცულობა და შენარჩუნება?

კითხვები და დავალებები

1. *როგორ შეიქმნა საბერძნეთში პირველად თეატრალური თამაშები?*
2. *რა გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა იქონია გავლენა რომის კულტურის განვითარებაზე?*
3. *რა გავლენა მოახდინა ჩინეთის სოციალ-ეკონომიკურმა განვითარებამ კულტურის ჩამოყალიბებაზე?*
4. *ეგვიპტური ზღაპრებისა და ლეგენდების მიხედვით მოამზადეთ რეფერატი ძველი ეგვიპტის შესახებ.*
5. *შეადარეთ ერთმანეთს ძველი მსოფლიო კულტურები და შეადგინეთ ცხრილი.*
6. *შეაფასეთ პოემა "ილიადა"სა და "ოდისეა"ს მნიშვნელობა.*
7. *როგორი კვალი დატოვა ინდოეთის კულტურამ ისტორიაში? მოამზადეთ ბროშურები ძველი ინდური კულტურის შესახებ.*
8. *შეაგროვეთ დამატებითი მასალები საბერძნეთისა და რომის ძველი რელიგიური რწმენებისა და ღმერთების შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.*

ადრეული შუა საუკუნეები

ადრეული შუა საუკუნეები, რომელიც შუა საუკუნეების პირველ ეტაპს წარმოადგენს, მოიცავს III-XI ათასწლეულებს. ამ პერიოდის დასაწყისში დასავლეთ ევროპაში დაიწყო ქალაქების დაკნინება, დაკარგა მნიშვნელობა მონათმფლობელობამ, საზოგადო მიწები თანდათან ფეოდალების ხელში იყრიდა თავს. თავიანთი მიწებით ფეოდალებზე დამოკიდებული გლეხები მიწათმოქმედებას მისდევდნენ. მონის არახელსაყრელი შრომა გლეხის შედარებით ნაყოფიერი შრომით ჩანაცვლებას იწყებდა.

დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ბიზანტიაში და არაბების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ვითარდებოდა ხელოსნობა და ვაჭრობა, შენდებოდა ქალაქები. იმის გამო, რომ აღმოსავლეთში მიწები ძირითადად მმართველების განკარგულებაში იყო, ფეოდალური მიწათმფლობელობა ფართოდ არ იყო გავრცელებული.

ადრეულ შუა საუკუნეებში აღორძინების პერიოდის მქონე თურქებს ევრაზიის სივრცეში ათეული სახელმწიფო ჰქონდათ შექმნილი. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აღმოსავლეთის უამრავი მიღწევების ევროპისათვის მიწვდენაში, ასევე აღმოსავლური და დასავლური კულტურების შერწყმის საქმეში.

ადრეულ შუა საუკუნეებში ზოგიერთმა ხალხმა (გერმანელები, არაბები და სხვ.) პირველყოფილი საზოგადოებიდან პირდაპირ ფეოდალურ საზოგადოებაზე გადადგეს ნაბიჯი. უამრავმა სახელმწიფომ ფეოდალური დაშლისა და საშინაო დაპირისპირების შედეგად დატოვა ისტორიის სცენა.

ქალაქ ღაზნის ნანგრევები

7 კავკასია, წინა აზია, ინდოეთი და ჩინეთი

საკვანძო სიტყვები

- მიწათმფლობელობა
- ფეოდალური სახელმწიფოები
- გუპტას სამეფო
- ხარშის სახელმწიფო
- ჩინური დინასტიები
- ხუან ჩაოს აჯანყება
- ვან ანშის რეფორმები

ადრეულ შუა საუკუნეებში კავკასიისა და აზიის რიგ ქვეყნებში ფეოდალური ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ისტორიის სცენაზე ახალი სახელმწიფოები გამოვიდა, ასევე ფართოდ გავრცელდა ქრისტიანობა და ისლამი. შიშმილი და გვალვა, ასევე საშინაო დაპირისპირებები ათობით მილიონი ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა. სასწაულთა ქვეყანა ინდოეთში ერთ მხარეს სიმდიდრე და ფუფუნება, ხოლო მეორე მხარეს გაჭირვება და სიღარიბე სუფევდა. შიშმილი და გვალვები, მიდა აშლილობები ჩინეთში ათეულ მილიონობითი ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა.

კავკასია და წინა აზია. III-V საუკუნეებში კავკასიაში ძველმა სათემო წესებმა თანდათან დაშლა და ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება დაიწყო. საკუთრების შეგრძნებამ გლეხს საკუთარ შრომაზე ინტერესი გაუზარდა. შრომის მოყვარე გლეხები მდიდრდებოდნენ, ხოლო ახალ პირობებს შეუგუებელნი კი ღატაკდებოდნენ და მიწებს ჰყიდდნენ. სამხედრო სამოსისა და იარაღის ძალიან ძვირად ღირებულობის გამო, მას მხოლოდ შეძლებული პირები ყიდულობდნენ. მბრძანებლებიც არმიას, სწორედ ასეთი პირებით აკომპლექტებდნენ, სამსახურის სანაცვლოდ მათ მიწის ნაკვეთებთან ერთად გლეხებსაც აჩუქებდნენ. ასე, თავისუფალი გლეხები თანდათან დამოკიდებულ გლეხებად იქცნენ.

თქვენი აზრით, თავისუფალი გლეხების დამოკიდებულ გლეხებად ქცევის პროცესი კიდევ რომელი ხერხებით შეიძლება მოეხდინათ?

კავკასიურ ქვეყნებში ხელმწიფე სახელმწიფოს როგორც საერო, ასევე სასულიერო მეთაურად ითვლებოდა. მიწაზე ***ფეოდალური**** საკუთრება მემკვიდრეობით და პირობით ხასიათს ატარებდა. პირველი მმართველსა და მსხვილ ფეოდალებს, ხოლო მეორე წვრილ ფეოდალებსა და სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ. მიწათმფლობელები ძირითადად დამოკიდებული გლეხის შრომის გამოყენების ხარჯზე ცხოვრობდნენ. ***თოიჯუ**** და ***ბიარი**** თავდაპირველი გამოყენების ფორმა იყო.

ასე, რომ III-V საუკუნეებში კავკასიაში ახალი საზოგადოებრივი წყობილების ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ურთიერთობები შეიქმნა.

კავკასიაში ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება რთულად მიმდინარეობდა. მეზობელი სახელმწიფოების, ირანისა და რომის (შემდგომში ბიზანტიის) ინტერესები აქ ერთმანეთს ეჯახებოდა და არც მომთაბარე ტომების შემოტევები წყდებოდა. ეს ხელს უშლიდა კავკასიური სახელმწიფოების, მაგალითად, აზერბაიჯანის ჩრდილოეთით ალბანეთის სახელმწიფოს, ხოლო საქართველოში ლაზთა და ქართლის სამეფოების ნორმალურ და დამოუკიდებელ განვითარებას. ჯერ კიდევ III საუკუნეში ირანის ხელისუფლებაში მოსულ სასანებს დაპყრობილი ჰქონდათ ატროპატენა და ალბანეთიც თავიანთზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ჰქონდათ ჩაგდებული. VI საუკუნის დასაწყისში კი, ირანმა ალბანეთსა და ქართლში გააუქმა მმართველი ხელისუფლება და მათი მართვისათვის წარმომადგენლები - მარზბანები* გააგზავნა.

ალბანური ეპიტაფია. აზერბაიჯანის ეროვნული ისტორიის მუზეუმი

* **ფეოდალი –** მიწის მფლობელი. ფეოდი ლათინურად საძოვარს, მიწას, პირუტყვს ნიშნავს

* **თოიჯუ –** მიწით სარგებლობის სანაცვლოდ გლეხის მიერ მოსავლით გადახდილი გადასახადი

* **ბიარი –** დამოკიდებული გლეხის მიერ ბატონის მეურნეობაში შესრულებული არაანაზღაურებადი შრომა

* **მარზბანი –** საზღვრის დამცველი

ახალი ეპოქის დასაწყისში პალესტინიდან ჩამოსულმა ქრისტიანმა *მისიონერებმა**, კავკასიაში თავიანთი რელიგიის გავრცელება დაიწყეს. IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა ალბანეთის ოფიციალური სახელმწიფო რელიგია გახდა. აქ ეკლესიის მეთაურები კათალიკოსის ტიტულს ატარებდნენ. ჯერ მმართველები ეკლესიის სხდომებს იწვევდნენ და რელიგიურ სამუშაოებს ასრულებდნენ. შემდეგ კი დაიწყო კათალიკოსების როლის გაზრდა როგორც სასულიერო, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

* **მისიონერი** – თავისი რელიგიის მქადაგებელი, გამავრცელებელი პირი

ადრეულ შუა საუკუნეებში წინა აზიის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების-სასანელთა იმპერიის ხელმწიფეები ქრისტიანობას რომის (შემდგომში კი ბიზანტიის) ინტერესების დამცველ რელიგიად მიიჩნევდნენ. ისინი იმპერიაში შემავალ კავკასიის ტერიტორიებზე დევნიდნენ ქრისტიანობას და თავიანთი ოფიციალური რელიგიის, ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას ცდილობდნენ.

ნაკში რუსტამის ეპიტაფია.
შაპურ I-ის გამარჯვება რომის იმპერატორ ვალერიანეზე

IV-VII საუკუნეებში კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები ჰუნთა, საბითა, ხაზართა და სხვა ტომები უწყვეტად უტევდნენ სამხრეთ მხარეს. ეს სამხრეთ კავკასიის თავიანთი გავლენის სივრცეებად დამყოფ ბიზანტიასა და სასანთა სახელმწიფოსაც კი აღაშფოთებდა. დიდი ხნის მანძილზე ერთმანეთთან ნაომარმა ამ სახელმწიფოებმა მიაღწიეს შეთანხმებას დარიალისა და დერბენდის გადასასვლების ერთად დაცვის შესახებ. VII საუკუნეში კავკასიისათვის ბრძოლას კიდევ ერთი სახელმწიფო - არაბეთში შექმნილი ძლიერი არაბთა სახალიფოც შეუერთდა. აქ მყოფ პოლიტიკური არეულობის მნახველმა არაბებმა, VII საუკუნის შუა წლებში მდინარე არაქსის ჩრდილოეთით ლაშქრობები დაიწყეს. **705 წელს დაიპყრეს ალბანეთი, რომელიც ირანის პროვინციის სახელწოდებით სახელმწიფოს შეუერთდა.** VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბებმა დაიკავეს საქართველოს აღმოსავლეთი - სადაც თბილისის მუსლიმანთა საემირო შექმნეს. XI საუკუნეში ქართველების ზეწოლის შედეგად, შემცირდა საემიროს ტერიტორია და თიფლისითა და შემოგარენით განისაზღვრა იგი. 1122 წელს ქართველმა მეფემ, დავით IV-მ აიღო თიფლისის საემირო და საქართველოს სამეფო შექმნა.

არაბთა ბატონობის პერიოდში კავკასიურმა ხალხებმა სახალიფოს შემადგენლობაში მყოფ სხვა ქვეყნებთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები დაამყარეს. ისლამის მხარეში ფართო ფესვგადგმამაც აქ მცხოვრები ხალხები ერთმანეთს დაუახლოვა. მეურნეობაში, განსაკუთრებით კი ვაჭრობაში გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. ხალიფას კავკასიაში წარმომადგენლობის ცენტრი ბერდა, ამავდროულად დიდ სავაჭრო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. დებილი, თიფლისი, შამახი და სხვა ქალაქები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახალიფოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

რა იყო ქალაქ ბერდას სავაჭრო და კულტურულ ცენტრად გადაქცევის მიზეზები?

IX საუკუნიდან სახალიფოს დასუსტებით კავკასიაში, მათ შორის აზერბაიჯანშიც რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა. ამ სახელმწიფოების მეთაურები გაურბოდნენ სახალიფოს ხაზინაში ხარკის გადახდას. ისინი ხალიფას მხოლოდ რელიგიურ ხელმძღვანელად აღიარებდნენ.

ქიშის ტაძარი

აღვანი თავისი მდგომარეობითა და კავკასიის შთის ჯაჭვით გულის სახალისო ქვეყანაა. დიდი მტკვარი ნაზად მოუდინება და აქ ბევრი თევზი მოაქვს. თანდათან აზრდება და კასპიის ზღვაში ჩაედინება. მისი დინების გაყოლებაზე მდებარე ვაკეები ხორბლის ყანითა და გვინახუბით, აგრეთვე ნაგთობით, მარილით, აბრეშუმით, ბაშბითა და უთვალავი ზეთოვნის ხეებითაა საგსე. შთებიდან ოქრო, გვრცხლი, სპილენძი და ყვითელი ცვილი გამოაქვთ. მტაცებლებიდან ლომი, წურტილებიანი გეფხვი, ლეოპარდი და ყულანი; ფრინველებიდან არწივი და შევარდენი ბინადრობს. დედაქალაქი ქალაქი ბერდაა.

ალბანელი ისტორიკოსი მუსა ქალანქათლი აღვანის (ალბანეთის) ქვეყნის შესახებ

გუფთას დროინდელი ოქროს მონეტა

ინდოეთი. IV საუკუნის დასაწყისში ინდოეთის ჩრდილოეთით შეიქმნა გუფთას სამეფო. მისი აყვავების პერიოდი **IV-V საუკუნეები, "ინდოეთის ოქროს საუკუნეებად" ითვლება**. ამ დროს ქვეყანაში სტაბილურობა სუფევდა, დედაქალაქ პატალიპუტრაში მდიდრული სასახლეები და სამლოცველო სახლები აშენდა. მმართველობაში გადასახდების აკრეფის წესები ჩამოყალიბდა.

გუფთას მეფეები ახლო ადამიანებს, მებრძოლებსა და სამლოცველოებს მიწებს უხ-ვად ურიგებდნენ. ასეთ მიწებს საერთო გლეხები ამუშავებდნენ. შეზღუდული იყო თავისუფალი ადამიანების ყმებად გადაქცევა. ყმებს მოპოვებული ჰქონდათ საკუთარი მეურნეობის შექმნის შესაძლებლობა. ეს ინდოეთში ფეოდალური ურთიერთობების ჩა-მოყალიბებაზე მიუთითებდა.

რას ისახავდნენ მიზნად გუფთას მეფეები ახლო ადამიანებისათვის მიწების დარიგებით?

თქვენი აზრით, რატომ მიეცათ ყმებს თავიანთი მეურნეობის შექმნის საშუალება?

საგანმანათლებლო დაწესებულება ქალაქ ნალანდში (გუფთას პერიოდი)

510 წელს თეთრმა ჰუნებმა შეუტიეს გუფთას სამეფოს და ხელთ იგდეს ინდოეთის ჩრდილოეთი ნაწილი. დიდი ხნის ბრძოლების შემდეგ ჰუნები გაძევებულნი იქნენ ქვეყნიდან, დასუსტებული გუფთას სამეფო დაიშალა. ჩრდილოეთი ინდოეთი წვრილ სახელმწიფოებად დაიყო. პენჯაბისა და რაჯასტანის მმართველმა ხარშამ 606 წელს მათი გაერთიანება და დიდი სამხედრო ფეოდალური სახელმწიფოს (606-646) შექმნა შეძლო. განგის ხეობა, ასევე ბენგალია და ორისაც ხარშას დაქვემდებარებაში გადავიდა. გუფთას სამეფოსაგან განსხვავებით, ხარშას სახელმწიფოში მმართველობა ვასალების საშუალებით ხორციელდებოდა. ხარშას სიკვდილის შემდეგ, მის მიერ შექმნილი სახელმწიფოც დაინგრა.

VIII საუკუნის დასაწყისში ინდოეთში ერთმანეთთან მებრძოლი 70-მდე წვრილი სამთავრო არსებობდა. ასეთი მდგომარეობა უცხო ხალხებს ინდოეთის დასაპყრობად პირობებს უქმნიდა. 712 წელს ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობის გამტეხმა არაბებმა ხელთ იგდეს მდინარე ინდის ხეობა. ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილი სახალიფოს ბატონობის ქვეშ მოექცა.

რატომ იყო რომ, უცხო ჩალიჩებმა ინდოეთი ძოლად დაიპყრეს?



არაბული ბაზარი ინდოეთში

არაბებმა სინდის პროვინციაში ორი საფადიშაჰო შექმნეს. მათ არაბი ემირები მეთაურობდნენ. ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიწისა და სიცოცხლის გადასახადები იკრიფებოდა. სასამართლო საქმეებს ყაზიები განიხილავდნენ. თავდაპირველი ლაშქრობისას ინდური სამლოცველოების დამანგრეველმა არაბებმა, შემდგომში ადგილობრივი რელიგიებისა და ადათ-წესებისადმი პატივისცემით მოპყრობა დაიწყეს. არაბმა მხედართმთავარმა ასეთი განკარგულებაც გასცა რომ, ისევე როგორც ქრისტიანული ეკლესიები, ებრაული სინაგოგები და ცეცხლთაყვანისმცემელთა სამლოცველოები, ინდური სამლოცველოებიც ხელშეუხებელს წარმოადგენდა. ამის შემდეგ, სინდის მოსახლეობის ერთ ნაწილს თავიანთი ნებით ისლამი ჰქონდათ მიღებული.

გაზნელ სულთან მაჰმუდმა 1000-1026 წლებში 17-ჯერ წარმატებულად გაილაშქრა ინდოეთში. გაზნელთა სახელმწიფოს შეუერთა პენჯაბის პროვინცია. აქ ააშენებინა მეჩეთები ისლამის მიმდევრებთათვის. მოთმინებით ეკიდებოდა ინდურ რწმენებსაც. მათ გაზნაში აშენებულ სპეციალურ უბანში შეეძლოთ თავისუფლად შეესრულებინათ თავიანთი ლოცვები.

ჩინეთი. III-IV საუკუნეებში, ჩინეთში, თუმცა დაყოვნებით, მაგრამ მაინც ჰპოვებდა ჩამოყალიბებას ფეოდალური ურთიერთობები. ადრე არსებული და გაუმართლებელი სამხედრო დასახლებები თანდათან უქმდებოდა, ხოლო მის ადგილას მიწით სარგებლობის ახალი მეთოდი-მეწილეობა გამოიყენებოდა. 16 წლიდან 60 წლამდე ასაკის ყოველი მამკაცისათვის გამოყოფილი იყო მიწის წილი. სამაგიეროდ მათ უნდა გადაეხადათ გადასახადი და შეესრულებინათ სავალდებულო შრომა (მშენებლობაზე მუშაობა, არხის გათხრა და სხვ).

მეწილეობამ V-VI საუკუნეებში პოზიტიური გავლენა მოახდინა ჩინეთის მეურნეობის განვითარებაზე. ქვეყანაში აშენებული იქნა უამრავი ქალაქი, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერთიანი ენა, დამწერლობა და კულტურა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ჩინეთის გასაერთიანებლად. ამით ისარგებლა სარდალმა იან ძიანმა და 581 წელს ხელთ იგდო ჩრდილოეთი ჩინეთი, რომლითაც სათავე დაუდო სუის დინასტიას. 589 წელს კი ჩინეთის სამხრეთიც დაიმორჩილა. ასე რომ, ჩინეთი ხელახლა ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანდა.

ბრინჯის თესვა.
ძველი ჩინური გამოსახულება

ქვეყანაში რიგი რეფორმები იქნა გატარებული. გამოყენებული იქნა ერთიანი საზომი ერთეული და ფულადი სისტემა, შემცირდა გადასახადები. 605 წელს ხელისუფლებაში მოსული იან-დიმ (იან გუანმა) ქალაქი ლოიანი რეზიდენციად აირჩია. მისი ბრძანებით მდინარე იანძისა და ხუანხეს შემაერთებელი დიდი არხი იქნა გაყვანილი. აღდგენილი და განმტკიცებული იქნა ჩინეთის დიდი კედელი.

რომელი დინასტიის პერიოდს ეკუთვნის ჩინეთის დიდი კედელი, აბრეშუმის დიდი გზა და დიდი არხი?

გოითურქებსა და კორეას შორის მიმდინარე წარუმატებელმა ომებმა იან-დის წინააღმდეგ საერთო სახალხო უთანხმოება გამოიწვია. კორეასთან სასწრაფო შეთანხმების დამდებმა იან-დიმ შეკრიბა მთლიანი ძალები და სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულ გლეხებს. ათასობით ადამიანი სიკვდილით იქნა დასჯილი.

იან-დი. VII საუკუნე
(მხატვარი იან ლიბენი)

იან-დი 618 წელს მისი ახლო ადამიანების მიერ იქნა მოკლული. მმართველმა ლი იუანმა თავი იმპერატორად გამოაცხადა და ჩინეთში სათავე დაუდო ტანის დინასტიას. სახელმწიფო საწყობები ღარიბებისათვის გაიხსნა. ჯარისკაცებს აეკრძალათ მოსახლეობის ძარცვა. გაუქმებული იქნა ადრინდელი მკაცრი კანონები. გამოცოცხლდა აბრეშუმის დიდი გზა. ქვეყნის ტერიტორია პროვინციებად, წრეებად და ოლქებად დაიყო. მთლიანი ჩინეთი იმპერატორ ტანის ხელისუფლების ქვეშ იქნა გაერთიანებული.

როგორ იმართებოდა ჩინეთი ტანის პერიოდში?

ტანის სახელმწიფო აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა და კორეასა და ტიბეტთან მძიმე ომებს აწარმოებდა. 751 წელს მდინარე ტალასის ველზე შემდგარ ბრძოლებში არაბებმა დაამარცხეს ჩინეთის ჯარი. ამან აღკვეთა ტანის არმიის წინსვლა დასავლეთის მიმართულებით.

VIII საუკუნის შუა წლებში ჩინეთში ფეოდალებმა დაიწყეს სახელმწიფო მიწების თვითნებური მითვისება, მაშინ როდესაც ადრე ქვეყანაში მთლიანი მიწები იმპერატორის საკუთრებად ითვლებოდა, გლეხები კი, სახელმწიფოსაგან მცირე წილობრივ მიწებს იღებდნენ და სამაგიეროდ იხდიდნენ გადასახადს ხაზინის სასარგებლოდ. ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების მნახველმა ფეოდალებმა, ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და გლეხთა წილობრივ მიწებზეც დაპატრონება დაიწყეს.



ფაიფურის ჭურჭელი.
ტანის პერიოდი

მთლიან მოსახლეობას ეცნობოს: ახალი თუთისა და ხურმის ხეების დამრგვალი პირებისაგან გადასახადები ძველი წესით აიკრიფება. ცუდი ამინდის პირობების მქონე ადგილებზე დათესილი მარცვლეული მცენარეები, ავრეთვე უვარგის მიწებისა და სათესი მინდვრების გამო გადასახადები არ იქნება დაკისრებული.

უხვი მოსავლის წელში ხალხმა უნდა გაავსოს სახელმწიფო საწყობები და ეკონომიურად მოიხმაროს თვი. შეშად და საწვავად გამოყენების მიზნით თუთისა და ხურმის ხის მომჭრელი პირები მძიმედ დაისჯებიან.

იმპერატორის განკარგულება
სოფლის მეურნეობის შესახებ
(X საუკუნე)

განსაზღვრეთ სახელმწიფოს მიერ შესრულებული როლი მეურნეობის განვითარებაში.

ჩინეთი და მისი მეზობლები ტანის პერიოდში

ქვეყანაში რეალური ხელისუფლება თავს თანდათან უფრო ფეოდალური ქონების მეპატრონეთა ხელში იყრიდა. პროვინციების მმართველებსაც ადგილებზე გაზრდილი პატივი ჰქონდათ. ისინი ფორმალურად იმპერატორს ემორჩილებოდნენ, რეალურად კი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ. ფეოდალური ჩაგვრა გლეხთა გამოსვლების მიზეზი ხდებოდა.

რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ჩინეთში VIII საუკუნის შუა წლებში?

874 წელს ჩინეთში ერთ-ერთი დიდი გლეხთა აჯანყება დაიწყო. აჯანყების მეთაური ხუან ჩაო 880 წელს იმპერიის დედაქალაქ ჩანანში შევიდა და აქ თავი იმპერატორად გამოაცხადა, ორნახევარი წლის განმავლობაში ქალაქი ხელთ ეკავა. ასევე ხელთ იგდო დედაქალაქის მთლიანი სიმდიდრე, რომელიც ღარიბებს დაურიგა.

იმპერატორმა და ფეოდალებმა აჯანყების ჩასახშობად მეზობელ მომთაბარეთაგან დახმარება მოითხოვეს. მათ გაილაშქრეს ჩინეთში და დაამარცხეს აჯანყებულთა რაზმები. ხუან ჩაო დაიღუპა. მაგრამ ქვეყანაში გლეხთა გამოსვლები კიდევ 20 წელი გრძელდებოდა. ხუან ჩაოს აჯანყების შემდეგ ტანის სახელმწიფომ ვერ შეძლო ადრინდელი ძალის აღდგენა და 907 წელს მთლიანად დაიშალა. ქვეყანა შინაგანმა დაპირისპირებებმა მოიცვა. 50 წლის განმავლობაში ხუთი დინასტია შეიცვალა. როგორც იქნა, ერთმა ძლიერმა ჩრდილოელ ფეოდალთაგანმა გაიმარჯვა თავის კონკურენტებზე და სათავე დაუდო სუნის დინასტიას (960-1279).

რა გავლენა მოახდინა ხუან ჩაოს აჯანყებამ ჩინეთის ისტორიაზე?

ვან ანში

XI საუკუნის შუა პერიოდში ჩინეთში ზედიზედ რამდენიმეწლიან გვალვას ჰქონდა ადგილი. შიმშილითა და წყურვილით დაიღუპა ათასობით ადამიანი. პროვინციის მოხელის ვინ ანშის წინადადებით, იმპერატორმა ქვეყანაში რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. ყველა სოფელში სახელმწიფო საწყობები შენდებოდა, სადაც ვაჭართაგან მიღებულ ბრინჯს აგროვებდნენ. მშიერებს აქედან ბრინჯს უნაწილებდნენ. გლეხებს თესვის მიზნით ვალად თესლი ეძლეოდათ. სახელმწიფო გაჭირვებულებს ფულად სესხებს გასცემდა, რომლის სანაცვლოდ მცირეოდენ პროცენტს იღებდა. ეს გაუმაძღარი *მევახშეებისა** და მოხელეების უთანხმოებას იწვევდა. ხელახლა ყალიბდებოდა სახელმწიფო აპარატი, სოფლებში სკოლები, ხოლო ქალაქებში უნივერსიტეტები შენდებოდა. ვან ანშის რეფორმების შედეგად სუნის დინასტიამ კიდევ 200 წელი იარსება.

* **მევახშე** – პროცენტით ფულადი სესხის გამცემი პირი

კითხვები და დავალებები

1. *რა უშლიდა ხელს ადრეული ფეოდალური სახელმწიფოების განვითარებას კაგკასიაში?*
2. *რა იყო ისლამის რელიგიის ფართოდ გავრცელების მიზეზი?*
3. *რას ისახავდა მიზნად სულთან მაჰმუდი ისლამის სამხედრო მოღვაწეობებით?*
4. *რატომ იყვნენ მევახშეები და მოხელეები უთანხმონი ვან ანშის რეფორმებით?*
5. *ცხრილის ფორმით წარმოადგინეთ თქვენი ცოდნა ჩინეთის მმართველი დინასტიების შესახებ.*

8 თურქული სახელმწიფოები

საკვანძო სიტყვები

- ევროპული ჰუნთა სახელმწიფო
- ატილა
- გოითურქთა სახაკანო
- კასპიის სახაკანო
- ღაზნელთა სახელმწიფო
- სულთან მაჰმუდი

ადრეული შუა საუკუნეები თურქულენოვანი ხალხების აღორძინების პერიოდს წარმოადგენდა. მათ ჩინეთის საზღვრიდან ევროპის შიდა ტერიტორიებამდე, ფართო სივრცეზე დიდი-პატარა სულ ასზე მეტი სახელმწიფო ჰქონდათ შექმნილი. თურქის სახელის მატარებელი პირველი სახელმწიფო კი თურქთა სახაკანო ყოფილა. სიტყვა "გოი" ზეცის, ღმერთისა და ფერის, ხოლო სიტყვა "თურქი" ძლიერს, ძლევაძოსილის მნიშვნელობას ატარებდა.

ევროპული ჰუნთა სახელმწიფო. ორ ნაწილად გაყოფილმა ჰუნთა დიდმა იმპერიამ ახალი ეპოქის დასაწყისში ძველი ძალის აღდგენა ვეღარ შეძლო. დიდი ხნის მანძილზე მეზობელი ტომების ზემოქმედებისა და ჩინეთის გავლენის ქვეშ რჩებოდა. ასეთ პირობებში ალტაის მთების ფერდობებიდან დასავლეთით ჰუნთა გადასახლება დაიწყო. მეთე ხაკანის გვარის წარმომადგენელი ბალამირი 374 წელს ჰუნთა ტომის ერთობის მეთაური გახდა. მან დიდი ლაშქარით შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ გოთებს შეუტია და მძიმედ დაამარცხა ისინი. გოთებმა უკან დაიხიეს, დაიწყო ხალხთა დიდი გადასახლებები ევროპაში.

ჰუნები აზოვის ზღვის უკან ყინულოვან ოკეანემდე არსებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. მთლიანი მათი ცხოვრება ცხენის ზურგზე ტარდებოდა. ცხენის ზურგზე ასრულებდნენ ყიდვა-გაყიდვებს, ჭამდნენ და სვამდნენ, ცხენის კისრისკენ მოხრით ძინებდნენ კიდევაც. ისინი არც სახალხო კრებებზე არ ჩამოდიოდნენ ცხენებიდან. ისინი ყოველთვის თავიანთი ურმებით მოგზაურობდნენ, ეს ურმები მათი სახლები იყო, მათი ქალები მასში ისხდნენ, ტანსაცმელს კერავდნენ და ბავშვებს უვლიდნენ.

რომაელი ისტორიკოსი ამიან მარსელი (IV საუკუნე) ჰუნების შესახებ

რა იცით ჰუნთა დიდი იმპერიის შესახებ?

ჰუნთა ერთმა რაზმმა, ბალამირის მეთაურობით 378 წელს დუნაის სანაპიროებამდე მიაღწია, სხვა ჰუნები კი კავკასიის გავლით ანადოლუში შევიდნენ. **ამრიგად, IV საუკუნის 70-იან წლებში ურალის მთებიდან მდინარე დუნაიამდე ტერიტორიების დამპყრობმა ჰუნებმა ევროპაში თავიანთი სახელმწიფო შექმნეს.** ისტორიის ლიტერატურაში ეს სახელმწიფო ჰუნთა ევროპულ ან დასავლეთ ჰუნთა სახელმწიფოდ მოიხსენიება. პროვინცია პანონია (უნგრეთი) მის ცენტრად გადაიქცა.

ჰუნთა ევროპული სახელმწიფოს ყველაზე ძლიერი მმართველი ატილა (434-453) იყო. მის პერიოდში თურქებთან ერთად, ჰუნთა ხელისუფლების ქვეშ 45-მდე ტომი (გერმანელები და სხვ.) ყოფილა გაერთიანებული. ეს ტომები ჰუნთა სახელმწიფოს თავიანთი მეთაურების საშუალებით უკავშირდებოდნენ. ისინი იხდიდნენ გადასახადს და ინახავდნენ მზა არმიას ატილას ბრძანებისათვის. ჰუნთა სასახლეში თურქულ ენასთან ერთად გოთური და ლათინური ენებიც გამოიყენებოდა.

როგორ იყო ჩამოყალიბებული ჰუნთა ურთიერთობები დამოკიდებულ ხალხებთან?

- *ბიზანტია ჰუნებს დაქვემდებარებულ ტომებთან ურთიერთობას არ დაამყარებს.*
- *ჰუნებისავან გაქცეულთ არ მიანიჭებს თავშესაფრის უფლებას.*
- *საგაჭრო ურთიერთობები განსაზღვრულ სასაზღვრო დაბებში შედგება.*

434 წლის კონსტანტას შეთანხმების პირობებიდან

ატილამ რამდენიმეჯერ გაილაშქრა რომის, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ იმპერიაზე, აგრეთვე ბალკანეთზე. ბიზანტია კონსტანტას შეთანხმებით იძულებული გახდა მძიმე პირობები მიეღო. ატილამ დაიკავა პარიზთან ახლოს მდებარე ქალაქი ორლეანი, ჩაახშო ბურგუნდთა აჯანყება და გერმანია ჰუნთა ხელისუფლებას დაუქვემდებარა. იმპერიის ჩრდილოეთი საზღვარი ლამანშის სრუტეს სწვდებოდა. ატილა "მსოფლიოს მმართველად" ითვლებოდა. დასავლელები მას "ღმერთის მათრახს" უწოდებდნენ და ღმერთის მიერ მათი დასჯისათვის მისი მოგზავნილობა სჯეროდათ.

ატილას დასავლეთ რომის იმპერიასთან ყველაზე დიდი შეჯახება 451 წელს კატალაუნის ველზე (საფრანგეთი) შედგა. მისი თურქი, გერმანელი და სლავური ტომებისაგან შემდგარი 200 ათასიანი არმიის წინაშე, რომის მხედართმთავარმა აეტსიმ 200 ათასიანი ჯარი გამოიყვანა. ამ სისხლიან ბრძოლაში მხარეებიდან ვერცერთმა გადამწყვეტი გამარჯვება ვერ მოიპოვა. ორივე მხედართმთავარმა დიდი დანაკარგების შემდეგ უკან დაიხია.

ატილა

მომდევნო წელს ატილამ 100 ათასიანი ცხენოსნით რომის წინააღმდეგ გაილაშქრა. შეშინებულმა იმპერატორმა და სენატმა შეთანხმების მიზნით პაპის ლეონ I-ის მეთაურობით დიდი წარმომადგენლობითი დელეგაცია ატილას რეზიდენციაში გააგზავნა. პაპმა რომის პატიება მოითხოვა, რომლის სანაცვლოდ გადასახდელი ხარკის ყოველწლიური გაზრდისათვის და ჰუნთა მეთაურის ყოველი პირობების უსიტყვო შესრულებაზე მზადყოფნის შესახებ აცნობა. ატილამ მიიღო მისი თხოვნა, რომის მდიდარი ძეგლებისა და ბიბლიოთეკების მქონე ქალაქებს არ შეეხო.

რომელ ტერიტორიებს მოიცავდა ჰუნთა ევროპული სახელმწიფო?

453 წელს ატილა გარდაიცვალა. მისმა შვილებმა ვერ შეძლეს მისი პოლიტიკის გაგრძელება. 470 წელს ჰუნთა ევროპული სახელმწიფო დაიშალა. შავი ზღვის სანაპიროებზე გადასულ ჰუნთა ერთი ნაწილი ცენტრალურ აზიაში დაბრუნდა, დანარჩენები კი VI საუკუნის შუა წლებში ევროპაში 250 წლიანი იმპერიის შემქმნელ ავარებს მიეკედლ-შეუერთდნენ.

გოითურქთა სახაკანო. VI საუკუნის დასაწყისში ალტაის მთების აღმოსავლეთ ფერდობებზე მცხოვრები ჰუნები "ჟუჟანის" სახელწოდების ავარულ ტომებს ემორჩილებოდნენ. მათ ***აშინას**** გვარის წარმომადგენელი ბუმინი მეთაურობდა. **ბუმინმა კავშირი დაამყარა ჩინეთთან და 552 წელს დაამარცხა ავარები. ამით საფუძველი ჩაუყარა გოითურქთა სახელმწიფოს, რომლის დედაქალაქიც ოთუქანი გახდა.**


გოითურქთა სახაკანოს დროშა

როგორ შეიქმნა გოითურქის სახელმწიფო?

"ელ ხაკანის" ტიტულის მიმღებმა ბუმინის ხელისუფლებამ დიდ ხანს არ გასტანა. მისი სიკვდილის შემდეგ, მისი შვილი მუღანი (553-572) ხაკანად იქნა არჩეული. მან მოაწყო რამდენიმე ლაშქრობა აღმოსავლეთითა და დასავლეთით. შედეგად სახაკანოს ტერიტორია აღმოსავლეთით ყვითელი ზღვიდან დასავლეთით მდინარე დონამდე გადაიჭიმა, რომელმაც 10 მილიონ კვადრატულ კილომეტრს მიაღწია.

* **აშინა –** ჩინურ ენაზე "კეთილშობილი მგელი"

მუღანის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მისმა ძმამ, ტაპომ ქვეყანაში ბუდიზმის გავრცელება დაიწყო. მან ორად დაყო იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი. ეს თურქ დიდებულთა შორის უთანხმოების საფუძველი გახდა. ჩინეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და 630 წელს დაიმორჩილა ქვეყანა, რომელსაც ერთ დროს ბაჟს უხდიდა. დაიწყო ორმოცდაათ წლიანი ტყვეობის პერიოდი. მაგრამ გაბატონებული და თავისუფლების სულის მქონე გოითურქები ამ ტყვეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ხშირად აჯანყებებს ახდენდნენ. ასეთ აჯანყებათაგან ერთ-ერთი 639 წელს, ხაკანის შვილის ქურ შადის მიერ იყო ორგანიზებული.

გოითურქთა სახაკანო

682 წელს გოითურქებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ჩინეთის არმიებზე. კუტლუკი განთავისუფლებულ ოთუქანში ხაკანად იქნა გამოცხადებული. ხალხმა მას "ილთარიში" ანუ "ერის მარჩენალი" დაარქვა. ისტორიაში მეორე გოითურქის სახაკანო (682-744) შეიქმნა.

პირველი გოითურქთა სახელმწიფოდან რამდენი წლის შემდეგ შეიქმნა მეორე გოითურქთა სახელმწიფო?

გოითურქთა სახელმწიფოში კანონ-წესების განმტკიცების მსურველმა ახალგაზრდა მეთაურმა ქულ ტიგინმა 716 წელს ხელში ჩაიგდო ხელისუფლება და თავისი ძმა ბილგა ტახტზე დასვა. თვითონ მხედართმთავარი გახდა, ხოლო ტონიუკუკი მთავარ ვაზირად დანიშნა. ხელისუფლებაში ცოდნის, გამოცდილებისა და სიმამაცის გამაერთიანებელი ერთი ძლიერი სამეული შეიქმნა. საშინაო პოლიტიკაში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. შეურიგებელი დიდებულები ჩამოცილებულნი იქნენ მმართველობითი სამუშაოებისაგან. ქვეყანაში ჩახშობილი იქნა აჯანყებები. დაიწყო ეკონომიკური და პოლიტიკური აყვავება.

VIII საუკუნის 30-იან წლებში ერთმანეთის მიყოლებით ტონიუკუკის, ქულ ტიგინის და ბილგა ხაკანის სიკვდილმა შეარყია მეორე გოითურქთა სახელმწიფო. ქვეყანა აჯანყებებმა მოიცვა. გოითურქთა უკანასკნელი მეთაური 744 წელს უიღურებთან ბრძოლაში დაიღუპა. დიდ მინდორზე ორას წლამდე (552-744) მოფრიალე მგლისთავიანი დროშა დავარდა.

ხაზართა სახაკანო

ხაზართა სახაკანო. ძველი აშინას გვარის წარმომადგენელი ხაზარი თურქები კავკასიიდან ჩრდილოეთ ველებზე, კასპიის ზღვის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპიროებზე დასახლებულან. 448 წელს ატილას ხაზარები დამორჩილებული ჰყოლია, მაგრამ ჰუნთა ევროპული იმპერიის დაშლის შემდეგ მათ დამოუკიდებლობა ჰქონიათ მოპოვებული. ზუსტად ამ დროიდან დაიწყო მათი პოლიტიკური ავტორიტეტის გაზრდა. მაგრამ VI საუკუნის 70-იან წლებში ისინი გოითურქთა სახაკანოს მორჩილებაში აღმოჩნდნენ. გოითურქები ამ მებრძოლ ტომებს ბიზანტიისა და სასანების წინააღმდეგ ძირითად დარტყმის ძალად იყენებდნენ.

პირველი გოითურქთა სახაკანოს დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში ორი ახალი სახელმწიფოები: ბულგარეთისა და ხაზართა სახაკანო შეიქმნა. ხაზართა სახაკანო აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე ფეოდალური სახელმწიფოთაგანი იყო. მისი მართვა, მხოლოდ აშინას გვარის წარმომადგენელ ხაკანს შეეძლო. ხაზარები თავს გოითურქთა მემკვიდრედ თვლიდნენ და მათი დაკარგული ძალის აღდგენას ცდილობდნენ. 680 წლისათვის ქვეყნის საზღვრები ვოლგის სანაპიროებიდან დნეპრამდე, კიევიდან მდინარე სულაკამდე გრძელდებოდა.

ხაზართა სახაკანოს დროშა

განსაზღვრეთ თუ თქვენს საცხოვრებელ მხარეში ხაზარებთან დაკავშირებული რომელი ძეგლები არსებობს.

ხაზართა სახაკანოსთან ერთად ერთ პერიოდში არაბეთში არაბული სახელმწიფო იყო შექმნილი. კავკასიის მხარე ას წლამდე დროის მანძილზე ამ სახელმწიფოთა შორის ნამდვილი კონკურენციის მოედნად იყო გადაქცეული. ბოლოს ხაზარი ხაკანი იძულებული გახდა სამშვიდობო ზავი დაედო და ისლამი მიიღო. ხაზართა თავგამოდებული წინააღმდეგობის შედეგად აღმოსავლეთ ევროპის ხალხები არაბთა შემოტევებს გადაურჩნენ. ბიზანტიის იმპერატორი ყოველმხვრივ ცდილობდა ხაკანთან მეგობრული ურთიერთობები დაემყარებინა. მას, თავისი შვილი კონსტანტინე ხაკანის დასთან, ჩიჩაქ ხანუმთან ჰყავდა დაქორწინებული და მათი შვილი ზედსახელად "ხაზარი"-ლეონ VI შემდგომში ერთი პერიოდი ბიზანტიის იმპერიას მართავდა.

თურქი მებრძოლი

თქვენი აზრით, რა უბიძგებდათ არაბებსა და ხაზარებს კავკასიისაკენ?

VIII საუკუნიდან ხაზართა ერთი ნაწილი არამომთაბარეულ ცხოვრებაზე გადავიდა და მიწათმოქმედებას შეუდგა. სტაბილურობა და მეურნეობის განვითარება ქვეყანაში ქალაქების სწრაფი განვითარების ანუ ქალაქების შექმნის საფუძველი ხდებოდა. ხაზარი ხაკანი უზრუნველყოფდა სავაჭრო გზების უსაფრთხოებას, ასევე ქმნიდა გადასახადებისა და ***საფასურების****** აკრეფის კანონ-წესებს. ხაზართა ქალაქები სხვადასხვა ქვეყნებს შორის ხელსაყრელი საშუალო ბაზრის როლს ასრულებდნენ. მსხვილი ხელოსნობისა და სავაჭრო ცენტრქალაქები: ბალანჯარი, სამანდარი, სარქელი და იდილი სხვადასხვა დროს სახაკანოს დედაქალაქები იყვნენ.

რით ახსნით ხაზართა სახაკანოში ქალაქების სიმრავლეს?

ხაზართა საზოგადოების ჩამოყალიბება და მმართველობის სისტემა პირობებს უქმნიდა სხვადასხვა რელიგიების თავისუფალ ქადაგებას. ქალაქებში ერთად შენდებოდა მუსლიმანთა მეჩეთები, ბუდისტთა სამლოცველოები და ქრისტიანული ეკლესიები. VIII საუკუნიდან კი ქვეყანაში ახალი რელიგიის-მოსეიანობის (იუდაიზმის) გავრცელება დაიწყო.

რელიგიურმა განცალკევებამ და საშინაო დაპირისპირებამ ხაზართა სახაკანო დაასუსტა. X საუკუნეში მას უკვე აღარ გააჩნდა თავდაცვის შესაძლებლობა. ამით ისარგებლა კიევის მთავარმა სვიატოსლავმა, რომელმაც 965 წელს დიდი ჯარით გაილაშქრა ხაზარების წინააღმდეგ და გააპარტახა მათი მდიდარი ქალაქები. სახაკანო დაიშალა.

ღაზნელთა სახელმწიფო. არაბი ***ხალიფები**** ახალგაზრდა თურქი ტყვეებიდან "კულამებ"ად წოდებულ მუდმივ ცხენოსანთა გვარდიას აყალიბებდნენ. უნარიანი კულამები უმაღლეს სამხედრო და სახელმწიფო თანამდებობებზე წინაურდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი ალპტეკინი იყო. მას სამანიელთა სახელმწიფოსათვის 60 წლიანი სამსახურით დიდი პატივი ჰქონდა მოხვეჭილი. ეს აწუხებდა სამანიელ მმართველებს. ასეთ მდგომარეობაში ალპტეკინმა თავის ახლო კულამებთან ერთად დატოვა ხორასანი და ამჟამინდელი ავღანეთის მიმართულებით ლაშქრობა დაიწყო. **962 წელს ხელში ჩაიგდო ქალაქი ღაზნა და მის გარშემო ციხე-სიმაგრეები, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა ღაზნელთა სახელმწიფოს**.

ალპტეკინის სიკვდილის შემდეგ ღაზნას დიდებულებმა საბუკტაკინი (977-997) თავიანთ ემირად აირჩიეს. ოდესღაც ალპტეკინის მიერ შესყიდულ ოცდაათი თურქი ყმიდან ერთ-ერთი საბუკტაკინი ღაზნელთა დინასტიის ფუძემდებელი გახდა. მან წარმატებით გაილაშქრა ინდოეთში. ქვეყნის ტერიტორია სამხრეთით პიშავარამდე, ჩრდილოეთით კი ხორასანამდე გადაჭიმა.

სულთან მაჰმუდის პერიოდში (998-1030) სახელმწიფო უფრო გაძლიერდა. სამანის პროვინციები და ავღანეთი ღაზნელთა მიწებს შეუერთდა.

სულთან მაჰმუდმა 1000-1026 წლებში 17-ჯერ გაილაშქრა ინდოეთში და ხელში ჩაიგდო ჩრდილოეთ-დასავლეთი ინდოეთი. მებრძოლობის გამო მან ზედსახელი "***გაზი***"* მიიღო და "სულთანის" სახელის მიმღები პირველი მმართველი გახდა. ოფიციალურ მიმოწერებში ბაღდადის ხალიფასაც მისთვის ამ სახელით ჰქონდა მიმართული.

ღაზნელთა სახელმწიფო

* **საფასური** – სახელმწიფოში შემოტანილი და გატანილი საქონლიდან აღებული სახელწიფო გადასახადი

ხაზარი მებრძოლი
აღწერა ოქროს ჭურჭელზე

* **ხალიფა** – მოციქულის სახელით არაბული სახელმწიფოს მმართველი ხელმწიფე

* **გაზი** – მტრის წინააღმდეგ მებრძოლი. რელიგიისათვის ხმლის დამკრელი პირი.

ერთ დღეს სულთან მაჰმუდის სარეცელი ყურებისას, მისი ვაზირი აჰმედ ჰასანი ოთახში შემოდის. მაჰმუდი ვაზირს ეუბნება: "ვშიშობ ხალხს არ ვეყვარები, იმიტომ რომ ჩემი სახე არ არის მშვენიერი, ხალხს კი მხარული სახიანი მეთაურები უფრო მეტად უყვარს". აჰმედ ჰასანი მაჰმუდს რჩევას აძლევს: "ისეთი საქმე აკეთე, რომ ხალხმა შენ თავის თვალზე, საკუთარ თავზეც კი მეტად შეგიყვარონ, შენი ბრძანებით თავი ცეცხლს, წყალს დააჯახონ. თქრო საკუთარ მტრად სცანი, ხალხმაც შენ საკუთარ მეგობრად გაგიაროს". ეს სიტყვები მაჰმუდს ესიამოვნა. მან გულუხვი ხელი გაშალა და მოწყალების გაცემა და ქველმოქმედება დაიწყო. ხალხმაც ის შეიყვარა და მისი დალოცვა დაიწყო. მისი მოქმედება წარმატებული აღმოჩნდა. სამარყანდი, ისფიჯაბი და ირანი დაიპყრო.

ისლამის პერიოდში თავისი თავის სულთნად მომხსენებელი პირველი პირი მაჰმუდი ყოფილა. ის სამართლიანი, მეცნიერების მოყვარე, გულუხვი, ფიცხი და მორწმუნე იყო.

ნიზამულმულქის (XI საუკუნე) ნაწარმოების "სიასათნამე"ს ნაწყვეტი

სულთან მაჰმუდის ძირითადი საყრდენი თურქული კულამებისაგან შემდგარი რაზმები იყო. ისინი მხოლოდ სამხედრო საქმეებით იყვნენ დაკავებულნი. ჯარში ასევე მოწვეულნი იყვნენ გაზიდ წოდებული მოხალისეები. სამხედრო სამსახურიდან სრულიად განთავისუფლებული უბრალო ხალხი ვალდებული იყო დაემუშავებინა მიწა ან გადამამუშავებელ საამქროში ემუშავა.

თქვენი აზრით, რა იყო სულთან მაჰმუდის მიერ წარმატების მიღწევის ძირითადი მიზეზი?

სულთან მაჰსუდის პერიოდში (1030-1041) ღაზნელთა სახელმწიფო დასუსტდა. თურქ ***სელჩუკებ–მა**** დაიკავეს ნიშაპური (1038) და 1040 წელს მერვთან ახლოს, დანდანაქანის კოშკის წინ მძიმედ დაამარცხეს მასუდი. თურქული წარმოშობის კურელი ტომების მიერ ქალაქ ღაზნის აღებისას, ღაზნელებმა ინდური ქალაქი ლაჰორი თავიანთთვის ახალ დედაქალაქად აირჩიეს. მაგრამ კურელებმა 1187 წელს ისიც ხელში ჩაიგდეს. ღაზნელთა სახელმწიფო დაიშალა.

*** სელჩუკები –** XI საუკუნის შუა წლებში, წინა აზიაში დიდი სახელმწიფოს შემქმნელი თურქი-ოღუზი ტომები

ქალაქ ღაზნას ნარჩენები

განსაზღვრეთ წყაროს მიხედვით, შუა საუკუნეებში იდეალური მმართველის თვისობრივი ფასეულობები.

თურქების მიერ ადრე შუა საუკუნეებში შექმნილ სახელმწიფოთა შორის ევროპაში ავართა სახაკანო, დიდი ბულგარეთის, დუნაი ბულგარეთისა და ვოლგის ბულგარეთის სახელმწიფოები, აზიაში კი თეთრი ჰუნების, უიღურთა, ოღუზის, კარახანელების, ხარაზმისა და სხვა სახელმწიფოებიც არსებობდა.

კითხვები და დავალებები

1. *ძველი და შუა საუკუნეების რომელ მხედართმთავარებთან შეადარებდით ატილას?*
2. *მოამზადეთ პრეზენტაცია ტექსტში ხსენებულ თურქულ სახელმწიფოთაგან ერთ–ერთის შესახებ.*
3. *რომელი მსგავსი მხარეები გააჩნიათ გოითურქთა სახაკანოსა და ხაზართა სახაკანოს დაშლას?*
4. *თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა რელიგიური სხვადასხვაობა ადამიანებს შორის მტრობის მიზეზი გახდეს?*
5. *შეადარეთ ერთმანეთს ღაზნელ მეთაურთა მოღვაწეობები.*

9 თურქული საზოგადოების ჩამოყალიბება

საკვანძო სიტყვები

- მეჯლისი
- იაბღუ
- ტიგინ
- შადი
- ქალთა უფლება
- თურა
- ღმერთი
- თუღი

ძველი თურქები, ისე როგორც სხვა ხალხები დაბადებიდან სიკვდილამდე ერთი და იმავე სახელს ატარებდნენ. თურქის სახელი მითითებდა მის მდგომარეობაზე საზოგადოებაში. ბავშვობის ასაკში მას მეტსახელი, ახალგაზრდობისას წოდება, ხანში შესვლისას კი ტიტული გააჩნდა. თურქი ქალების უფლებები სერიოზული და მტკიცე კანონებით იყო დაცული. ყველას უნდა დაეცვა კანონი, მათ შორის ხაკანსაც.

ხალხისაგან მოსული ხელისუფლება. ძველ თურქულ საზოგადოებასა და სახელმწიფოებს თავისებური წყობილება გააჩნდათ. ოჯახთა ერთობით ბოილებისა და "*ბუდუნის**" სახელწოდების თავისუფალი მოსახლეობა, მათი ერთობიდან კი ხალხი წარმოიშობოდა, რომელიც ხელისუფლების წყაროს წარმოადგენდა. ხალხი და მის წარმომადგენელი მეჯლისი (თოი) მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის მართვაში. "ელ" სახელწოდების სახელმწიფოს მეჯლისის მხრიდან არჩეული ხაკანი მეთაურობდა. ხაკანი ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ატარებდა. ყოველგვარ წარუმატებლობაში, მათ შორის სტიქიური უბედურების დროსაც კი ხაკანი ბრალეულად ითვლებოდა. მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას ხალხის მოწოდებით ის ჩამოშორდებოდა ხელისუფლებას.

ქვეშევრდომებისაც–(ვეზირებს) მეჯლისი ირჩევდა. მთავარ ვეზირს კი ხაკანი თვითონ ნიშნავდა. ხაკანის განკარგულებებს იარლიყი ეწოდებოდა. ხელისუფლების ნიშნები კარების აღმოსავლეთით მქონე სახაკანო კარავის, ტახტის, დროშის, ნაღარის, პომპონისა და მშვილდისაგან შესდგებოდა. ხაგანის თუღუნის დროშაზე მოოქროვილი მგლის თავი იყო წამორიგებული.

სახელმწიფო მმართველობის აპარატში ხაკანის შემდეგ მეორე პირი *იაბღუ** ითვლებოდა. ის ხელისუფლებაში მყოფი დინასტიის წარმომადგენლებისაგან ინიშნებოდა. მაგალითად, გოითურქთა ხაკანის ბუმინის პერიოდში მისი ღვიძლი ძმა ირტემი ხანი იაბღუ იყო. მხარეების მმართველნი და ხაკანის სისხლით მონათესავე უფლისწულები "შად"-ად იწოდებოდნენ. ხანთან ნათესაური კავშირის მქონე ახალგაზრდები "*ტიგინის*"* სამხედრო წოდებით ჯილდოვდებოდნენ. აშინის გვარიდან არ მყოფთ მეორე ხარისხოვანი თანამდებობები ეძლეოდათ.

* **ბუდუნი** –ძველ თურქებს შორის ხალხის მნიშვნელობას ატარებდა.

* **იაბღუ** – ხაკანის შემდეგ ტახტგვირგვინისმემკვიდრე

* **ტიგინი** – ხაკანის გვარიდან მყოფ ახალგაზრდებისათვის მინიჭებული სამხედრო წოდება

თურქთა უმრავლესობა სამხედრო საქმით იყო დაკავებული და შადთა მებრძოლ რაზმებში მსახურობდა. შადები სამხედროებს ხელისუფლების საყრდენად მიიჩნევდნენ და მათ ანგარიშს უწევდნენ. ამიტომაც იყო, რომ ხაკანისა და შადების წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალებებს ადგილი არ ჰქონდა.

არმია და ოჯახი თურქული საზოგადოების ორ მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენდა. ძირითადად ცხენოსანთაგან დაკომპლექტებულ არმიაში ქვეითთა რიცხვი ცოტა იყო. ცხენოსანი მებრძოლები ცხენების ფერის მიხედვით მწკვრივდებოდნენ და მათ მხრიდან წმინდად მიჩნეული თუღუნის-დროშის წვერზე აბრეშუმის ლენტებს აბამდნენ. არმიის წინა ნაწილები მშვილდ-ისრებით იყო შეიარაღებული. ისინი მტერს 200-300 მეტრ მანძილზე ისარს აწვიმებდნენ და ანადგურებდნენ მათ რიგებს. სხვადასხვა ძალის მშვილდები გააჩნდათ. ყველაზე საშიში ისარი ხმაურიანი, მოწრიალე ისარი იყო. ასეთი ისრები მეთე ხანის დროიდან გამოიყენებოდა.

ჯავშნიანი თურქი მებრძოლები. გამოსახულება კლდეზე

ხანგრძლივ ბრძოლებში თურქები "თურანის ტაქტიკას" იყენებდნენ. ეს ტაქტიკა განზრახ უკან დახევისა და მახისაგან შესდგებოდა. ამას "მგელთა თამაშსაც" უწოდებდნენ. ჯარი თითქოს გაიქცეოდა მტრისგან, რომელსაც დაიდევნებდა და ხელსაყრელ ადგილას მიიყვანდა, აქ კი შეუტევდა მათ და ჟლეტდა.

თურქთა საზოგადოებაში უბრალო ხალხისა და დიდებულთა გარდა, სამხედრო ტყვეებისაგან შემდგარი ყმათა ჯგუფებიც მონაწილეობდნენ. თურქები ყმებს განსაზღვრულ ადგილას ასახლებდნენ, ასაქმებდნენ მათ სამეურნეო სამუშაოებზე და ახდევინებდნენ გადასახადს. ყმა ქალებს ძირითადად სახლის მოსამსახურეებად იყენებდნენ.

შეადარეთ ერთმანეთს თურქული სახელმწიფოს მმართველობის მეთოდები რომის რესპუბლიკასთან.

ძველ თურქებში ხაკანის არჩევა ძალიან რთულ და საზეიმო ცერემონიას წარმოადგენდა. სახაკანო კანდიდატს ხალიჩაზე აბრძანებდნენ. მას მოსამსახურეები მქუხარე ტაშის ქვეშ ცხრა ჯერ გარსს უვლიდნენ. შემდეგ ცხენზე შესვამდნენ, კისერზე აბრეშუმის ნაჭერს შემოახვევდნენ და მის "დახრჩობას" იწყებდნენ, უცებ კვანძს უშვებდნენ და ეკითხებოდნენ, თუ რამდენ წლიანი ხანობა სურდა. მიღებული პასუხით ხაკანის ხელისუფლების პერიოდი განისაზღვრებოდა.

უფლებრივად აღზევებული ქალი. ძველ თურქებში ქალს დიდად პატივს სცემდნენ. ოჯახში დედისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობდა. ***იურთში**** შემოსული შვილი ჯერ დედის და მხოლოდ მის შემდეგ მამის წინაშე თავს იხრიდა. თურქი ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დასავლეთ ევროპელ ქალებთან შედარებით უფრო აქტიურ როლს ასრულებდნენ. ისინი თავისუფალნი და დამოუკიდებელნი იყვნენ. ჰუნთა ქალები ცხენზე ჯდებოდნენ და ბრძოლებშიც მონაწილეობდნენ. ორხონის წარწერებში ნაამბობია, თუ როგორ იცავდნენ თურქი ქალები სამშობლო მამულს. ბრძოლისას ქალის ტყვედ ჩავარდნა დიდ შეურაცხყოფას ნიშნავდა. ოჯახში ქალს საკმაოდ დიდი პატივისცემა ჰქონდა. თანამდებობის განაწილების საქმეშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დედის ხაზსა და შთამომავლობას.

რათა არ გაქრეს თურქი ხალხი, რათა იყოს ის თავისუფალი ხალხი, ღმერთმა მამაჩემი ილთარიშ ხანი და დედაჩემი ილბილგა ხათუნი განამაძილა. ხანი მამაჩემი 17 ადამიანთანად დახსნილი იქნა ტყვეობიდან და გარშემო უამრავი მებრძოლი შემოიკრიბა. იმის გამო, რომ ღმერთს მათთვის ძალა ჰქონდა მიცემული, მამაჩემის, ხანის ჯარი მგელივით უშიშარი, ხოლო მტერი კი ცხვარივით შემცრთალი გამხდარა. ხანს მოკლებული ხალხი, დამონებული ხალხი, გვარ დაფანტული თურქი ხალხი მამაჩემს, ხანს ზეძოთ აუწევია და ადრინდელი ძალა მისთვის დაუბრუნებია.

VIII საუკუნეში ქულ ტიგინის საპატივსაცემოდ დაწერილი ძეგლის ნაწილი

რომელი სახაკანის ისტორიას მოგვითხრობს ეს წყარო?

სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, თურქი ქალები სამეურნეო საქმიანობასაც მისდევდნენ. ისინი ამზადებდნენ რძისა და მაწონის ნაწარმს, ასევე ამუშავებდნენ ბამბას და ამზადებდნენ ძაფს, ქსოვილებს და ***ქილიმებს****. მაგრამ ქალთა ძირითადი მოვალეობა ბავშვების აღზრდა, მათი გარე პირობების შესაბამის ძლიერ, მებრძოლ და ძლიერი ნებისყოფის მქონე ახალგაზრდებად მომწიფება იყო. თურქი ბავშვები, ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში ცხვარზე ჯდებოდნენ და ისრით ფრინველზე ნადირობდნენ. სრულწლოვანებას მიღწეულნი შეჯიბრებზე ცხენის გაჭენებისა და ისრის გასროლისას ოსტატობას, ძალასა და მოქნილობას ავლენდნენ.

მომთაბარე თურქების იურთები

* **იურთი** – მომთაბარე თურქების სახლი. ძირითადად წრიული ფორმის ყოფილა, სქელი ჯოხებით შენდებოდა და ზემოდან ხალიჩა გადაიფარებოდა

* **ქილიმი** – მატყლისა და ბამბისაგან დამზადებული ზოლებიანი ნოხის სახეობა

გოითურქებში ქალთა უფლებები ძალიან სერიოზული და მტკიცე კანონებით იყო დაცული. ქალის წინააღმდეგ ძალადობა ძალიან მძიმე დანაშაულებს - აჯანყებას, ღალატს, მკვლელობასა და შეკაზმული ცხენის ქურდობას უტოლდებოდა. ქვრივი ქალები ბედის ამარად არ რჩებოდნენ. ადათ-წესები ცხოვრების თანამგზავრის დამკარგავი ქალის უფლებების დაცვას მოითხოვდა.

თურქი დიდებული ქალის ქვის ბიუსტი

როგორ იყო დაცული ქალთა უფლებები ძველ თურქულ საზოგადოებაში?

ხაკანისაგან დიდი თურა. ძველი თურქები კანონს თურას უწოდებდნენ. ქვეყანაში ყველა, მათ შორის ხაგანიც ვალდებული იყო შეესრულებინა თურას წესები. სამართლიანობა, ქველმოქმედება, სარგებლიანობა და სიმართლე თურას მტკიცე საფუძველს წარმოადგენდა.

თურას წინააღმდეგ გამომსვლელნი სასტიკად ისჯებოდნენ. თურას მიხედვით სიკვდილით ისჯებოდნენ მკვლელები. თუ ქურდები და მძარცველები დანაშაულის ჩადენისას ზედ წასწრებულნი იქნებოდნენ, ისინი იღებდნენ სასიკვდილო სასჯელს და მათი ქონება კი კონფისკაციას ექვემდებარებოდა. მშვიდობიან პერიოდში იარაღის გამომყენებნი, ხალხის ნამუსის შემლახავნი და დეზერტირებიც სიკვდილით ისჯებოდნენ. მცირე დანაშაულისათვის ათ დღიანი პატიმრობის სასჯელი გამოიყენებოდა. აკრძალული იყო სისხლის აღებით სამაგიეროს გადახდის წესი.

სამხედრო დანაშაულები ხაკანის მეთაურობის ქვეშ მოქმედ სახელმწიფო სასამართლო - იარღუში განიხილებოდა. სხვა სასამართლო პროცესებს კი ხაკანის სახელით ხეობები, (ყადები) აწარმოებდნენ.

რა როლს ასრულებენ კანონები საზოგადოების მართვის საქმეში?

თურქის მფარველი დიდი ღმერთი. მიუხედავად იმისა, რომ ძველ თურქებს სხვადასხვა რწმენა გააჩნდათ, ისინი კერპებს არასდროს სცემდნენ თაყვანს. ცხენის ზურგზე სიცოცხლის გამტარებელი ხალხის მიერ ცხენის შეყვარება და მისადმი სიყვარულით მოპყრობა კი ნორმალურ მოვლენას წარმოადგენდა. ზოგიერთი თურქი ტომები ცხენს ძეგლს უდგამდნენ და საფლავს უშენებდნენ.

თურქები არწივსაც პატივისცემით ეპყრობოდნენ და მას ძალის, ხელისუფლებისა და უხარის სიმბოლოდ თვლიდნენ. მგელი კი ძალას, მოქნილობასა და გამბედაობას განასახიერებდა. მთელი ისტორიის განმავლობაში თურქ ჯარისკაცებს მგლებს ამსგავსებდნენ, თავად თურქებიც ამ მსგავსებას აღიარებდნენ.



მმართველობის სისტემა თურქულ სახელმწიფოებში

რომელ ცხოველებს ენიჭებოდათ დიდი მნიშვნელობა თურქების ცხოვრებაში?

თურქები ცის ღმერთს სცემდნენ თაყვანს. მზე, მთვარე და ვარსკვლავები არა ღმერთად, არამედ ძვირფას არსებებად ითვლებოდნენ. ღმერთი კი ძალის მქონეს, მთელი სამყაროს შემქმნელი უზენაესის მნიშვნელობას ატარებდა. ბიზანტიელი ისტორიკოსი სიმოკატა წერდა, რომ ძველი თურქები მხოლოდ სამყაროს შემქმნელად აღიარებულ და ერთადერთ უზენაესი ძალის მატარებელს, ცის ღმერთს თაყვანს სცემდნენ. თურქების რწმენით, ცის ღმერთი მცენარეებსა და ადამიანებს სიცოცხლეს ანიჭებდა. ხაკანიც თურქი ხალხის სათავეში მას მოჰყავდა, ასევე ხაკანის ძლიერებით უზრუნველყოფაც მის მიერ ხდებოდა. ძველი თურქები ცის ღმერთს კერპივით არ ამცირებდნენ და მას სამლოცველოს არ უშენებდნენ. თურქებს, ღმერთი დიდ მორალურ საყრდენად ჰქონდათ მიღებული. ბიზანტიელებთან შეთანხმების დადებისას ავარ ხანს ღმერთზე ფიცი დაედო. სიტყვა "თანრი" დღესაც თურქულ ენაზე გამოიყენება.

* **თუთუგი** – ტომის ნაწილის უფროსებისათვის ან სატრაპებისათვის მინიჭებული წოდება

ქულ ტიგის საპატივსაცემოდ დადგმული ძეგლი

თურქთა რწმენის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მამათა კულტს. ისინი ღრმა პატივისცემას გამოხატავდნენ, როგორც მამის, ასევე დედის წინაშე. მამების საპატივსაცემოდ აშენებდნენ საფლავებს და დგამდნენ ძეგლებს. მიცვალებულთა ყველა ძვირფას ნივთებს, ძვირფასეულობებსა და ცხენებსაც კი მათთან ერთად კრძალავდნენ. საფლავის გამხსნელთათვის სასიკვდილო სასჯელი იყო გათვალისწინებული. თურქებს, მათი წინაპართა საფლავების მძარცველ მეზობელ სახელმწიფოებთან, მაგალითად მონღოლებთან და ჩინელებთან ომი ჰქონდათ წარმოებული.

ისლამამდელ თურქებში ცის ღმერთის გარდა სხვა რელიგიის მიმდევრებიც არსებობდნენ. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ არსებობაზე, რამაც გამოიწვია მათი სხვა ხალხებთან შერწყმა და საბოლოოდ გაქრობა. მხოლოდ ისლამი შეესატყვისებოდა თურქების ძველ რწმენას და შეესაბამებოდა მათ სულს. ამან კი დახმარება გაუწია საუკუნეების განმავლობაში თურქების ცხოვრება - განმტკიცებასა და მათი ეროვნული ვინაობის დაცვა - შენარჩუნებას.



თურქი თავკაცი. კედლის სურათი

ჰუნთა პერიოდში სახელმწიფოს მეთაურ თანჰუს, ხოლო მის ცოლს იენ-შიჰს ეძახდნენ. შემდგომში კი მათ ხაკანი და ხათუნი დაერქვათ.

ხაკანის სიკვდილის შემდეგ მის ადგილს, მისი უფროსი შვილი იკავებდა. მაგრამ ეს რაიმე შეუცვლელ კანონს არ წარმოადგენდა. თუ უმცროსი ძმა უფრო კეთილსინდისიერი აღმოჩნდებოდა, მამის ადგილს ის იკავებდა. იმიტომ რომ, თურქების რწმენის მიხედვით, ღმერთის მიერ მიცემული ხელისუფლება მამისაგან ყველა უფლისწულებზე გადადიოდა. უცხოელი დედის მქონე უფლისწული ხაკანი ვერ ხდებოდა.

ძველ თურქულ სახელმწიფოებში ქვეყანა ნაწილებად ან მხარეებად იყოფოდა. ერთი მხარე მეორეს, მაგალითად, დასავლეთი აღმოსავლეთს ეშორჩილებოდა.

ჯავად ჰეიათის "თურქების ისტორიისა და კულტურის მიმოხილვა" სახელწოდების ნაწარმოებიდან.

წყაროს მიხედვით, ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო ხაკანი თურქულ სახელმწიფოებში?

კითხვები და დავალებები

1. *რა მსგავსებას ჰქონდა ადგილი ძველი სპარტელებისა და თურქების ცხოვრების წესებს შორის?*
2. *რომელი დანაშაულისათვის ითვალისწინებდა ყველაზე მძიმე სასჯელს თურა?*
3. *რატომ იყო, რომ ძველ თურქთა უმრავლესობა ცის ღმერთს სცემდა თაყვანს?*
4. *ტექსტის მიხედვით განსაზღვრეთ თურქი ქალების უფლებები და მოვალეობები.*
5. *აღწერეთ ძველი თურქების ცხოვრების წესები და ყოფაცხოვრება.*

10 არაბები. ისლამის რელიგია. ხალიფატი

საკვანძო სიტყვები

- არაბები
- ქაბე
- ფეიღალმბერი
- ყურანი–ქერიმი
- მუსლიმანი
- ხალიფა

ისლამის რელიგიის გავრცელებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა არაბულ საზოგადოებაში ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი. VII-VIII საუკუნეებში არაბული დაპყრობების შედეგად ახალი იმპერია–არაბთა ხალიფატი შეიქმნა. ეს ახიის, აფრიკისა და ევროპის რიგი ხალხების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მობრუნების წერტილი გახდა. ისლამი მოკლე დროში ფართო ტერიტორიებზე გავრცელდა და მსოფლიო რელიგიად გადაიქცა.

ისლამამდელი არაბების ცხოვრება. არაბთა დედა სამშობლო აზიის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე არაბეთის ნახევარკუნძულია. აქ მოსახლეობა ადრე, ისევე როგორც ახლა, ზღვის სანაპიროებზე და უდაბნოთა ნაპირებზე ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ძველთაგან ამ ტერიტორიაზე, რამდენიმე მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო შექმნილი. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქალაქ მექასა და იასრიბს. ამ ქალაქებში ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა, ხოლო გარშემო მიწებზე კი, მოსახლეობა მიწათმოქმედებითა და მებაღეობით იყო დაკავებული. ადგილობრივი არაბებისაგან განსხვავებით, "ბადავი" სახელწოდების მომთაბარე არაბები უდაბნოში ცხოვრობდნენ და მესაქონლეობას მისდევდნენ. მშვიდობიან პერიოდში მათ უხუცესები მართავდნენ. ომის პერიოდში კი, ბადავები თავის რიგებიდან სპეციალურ ხელმძღვანელს - შეიხს ირჩევდნენ.

არაბული ბაზარი

ისლამამდელ პერიოდში, არაბეთში სხვადასხვა რელიგია, სარწმუნოება არსებობდა. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული კერპთაყვანისმცემლობა. ყოველი ტომი თავის კერპს ეთაყვანებოდა. ისინი ღმერთად თვლიდნენ მზეს, მთვარესა და ქვებს, მათ მიერ ნათაყვანები კერპების საპატივსაცემოდ სამლოცველოებს აშენებდნენ. ძველი კერპთაყვანისმცემლური სამლოცველოებიდან ერთ-ერთი მექაში მდებარეობდა. "ქაბე" სახელწოდების ამ სამლოცველოში მრავალი არაბული ტომების კერპები ინახებოდა. ამიტომაც იყო, რომ ქაბე არაბთა ძირითად სიწმინდედ იყო გადაქცეული.

კიდევ რომელი ხალხები სცემდნენ თაყვანს მზეს, მთვარესა და ბუნების სხვა ძალებს?

VI საუკუნის დასასრულს მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, არაბულ საზოგადოებაში ცვლილებები მოხდა: ტომს შიგნით ღრმავდებოდა უთანასწორობა, ცხოველთა დიდი ფარებისა და ნახირების მეპატრონეთა თავკაცები ვლინდებოდნენ. სუსტი ტომები ძლიერი და მდიდარი ტომების შემადგენლობაში შედიოდა. უფრო და უფრო მძაფრდებოდა ბრძოლები ნაყოფიერი მიწებისათვის. ამ დროს გამოჩნდა ისლამის რელიგია.

ისლამის რელიგია და არაბული სახელმწიფოს შექმნა. ისლამის რელიგიის ფუძემდებელი მექას მაცხოვრებელი მუჰამმადი (570-632) იყო. ის დაიბადა ქალაქ მექაში, რომელმაც ბავშვობის პერიოდში მამა აბდულლა და დედა ამინა დაკარგა. მუჰამმადის აღზრდაზე ჯერ პაპამისი, ხოლო შემდეგ ბიძამისი ზრუნავდა.

ახალგაზრდობიდანვე ვაჭრობის წამოწყება მუჰამმადი სხვა ვაჭრებს შორის კეთილსინდისიერ და სანდო ვაჭრად სახელდებოდა. ამან მდიდარი ქალის ხადიჯას ყურადღება მიიქცია, რომელმაც მუჰამმადისაგან სავაჭრო საქმეებში დახმარება მოითხოვა. მალე მათ ოჯახი შექმნეს. 40 წლის ასაკში ყოფნისას მუჰამმადის ცხოვრებაში ფართო ადგილი ჰპოვა რელიგიურმა აზრებმა. ამის შედეგად, 610 წელს მას ალლაჰის მიერ

მოევლინა პირველი *ვაჰი** და მიეცა ფეიღამბერობა. მუჰამმადი მოუწოდებდა ამ რელიგიის მიმღებთ, რომ გაერთიანებულიყვნენ და ყოფილიყვნენ ერთადერთი ალლაჰისა და მისი ელჩის ამყოლნი. მუჰამმადის მოწოდების მიმღებთ არაბულად "მუსლიმი", ანუ "ალლაჰის მორჩილი" ეწოდებოდა. სიტყვა "მუსლიმანიც" აქედან არის წარმოშობილი. მუსლიმანთა წმინდა წიგნი ყურანი-ქერიმია.

* **ვაჰი** – ალლაჰის მხრიდან ფეიღამბერზე გაცემული ბრძანება

მექას თავკაცები შიშობდნენ, რომ ახალი რელიგია ქაბეს რეპუტაციას შეასუსტებდა. ამიტომაც იყო, რომ ისინი მუჰამმადს წინაპართა სარწმუნოების ღალატში ადანაშაულებდნენ და დევნიდნენ. მდგომარეობის გაუსაძლისობის გამო მუჰამმადი იძულებული გახდა 622 წელს თავის მომხრეებთან ერთად მექადან იასრიბში გადასულიყო. მუსლიმანთა მიერ "ჰიჯრათად" (გადასვლა) წოდებულ ამ მოვლენით ამავდროულად სათავე დაედო ისლამურ კალენდარს.



მექა. XVIII საუკუნის გრავიურა

ქალაქი იასრიბი მუჰამმადს მეგობრულად დახვდა. იმის გამო, რომ მუჰამმადმა ისლამური ლოცვის წესები პირველად აქ გამოაცხადა, პირველი მუსლიმანური მეჩეთიც ამ ქალაქში იქნა აშენებული. დაიწყო იასრიბის ისლამის აკვანად და "ფეიღამბერის ქალაქად" გადაქცევა. მას მადინა დაერქვა.

არაბთა ტრიუმფალური მარში. შუა საუკუნეების მინიატურა

624 წელს მუსლიმანებმა მათზე გაცილებით მეტ მტერზე ბადრად წოდებულ ადგილას გაიმარჯვეს. ამ მოვლენის შემდეგ მუსლიმანური საზოგადოების ძალამ და რეპუტაციამ დაიწყო გაზრდა.

630 წელს მუჰამმად ფეიღამბერი მომხრეების თანხლებით ისე შევიდა მექაში, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ დახვედრია. არაბული ტომების უმრავლესობამ აღიარა მისი ხელისუფლება და მიიღო ისლამი. ქაბე განწმენდილი იქნა კერპებთაგან და ერთადერთი ალლაჰის მთავარ სამლოცველოდ იქნა გადაქცეული. მექა კი მთლიან მუსლიმანთა წმინდა ქალაქი გახდა. მუჰამმადის მექაში დაბრუნებით, შეიქმნა ისტორიაში პირველი მუსლიმანური სახელმწიფო.

ისლამური კალენდრის მიხედვით, რომელ წელს შეიქმნა პირველი არაბული სახელმწიფო?

წამოწყებული მოვალეობის შემსრულებელი ფეიღამბერი გარდაიცვალა 632 წელს. მისი საქმე ხალიფებმა (მოადგილეებმა) განაგრძეს. არჩევითი გზით ხელისუფლებაში მოსული პირველი ოთხი ხალიფა, მუსლიმანთა შორის დიდი პატივით მოიხსენიებოდა, ისინი "სწორ გზაზე მიმავლის", "სამართლიანის" სახელს ატარებდნენ. მათ პერიოდში ისლამი მსოფლიო რელიგიის დონეზე ავიდა და განმტკიცდა.

როდის ავიდა ისლამი მსოფლიო რელიგიის დონეზე?

632–661 წლებში ხალიფატის მმართველი პირველი ხალიფები

აბუ ბაქირი | ომარი | ოსმანი | ალი

არაბთა ლაშქრობები და სახალიფოს აყვავება. ფეიღამბერის გარდაცვალებისთანავე მუსლიმანებმა თავიანთი გავლენა მთლიან არაბეთზე განავრცეს. ჩრდილოეთით მათი მიწები ირანისა და ბიზანტიის საზღვრებს აღწევდა. ამ სახელმწიფოებს შორის არსებული ხანგრძლივი ომი ახალი დამთავრებული იყო. ისინი დაუძლურებულნი და ხაზინა დაცარიელებულნი იყვნენ. შექმნილი იყო პირობები არაბული დაპყრობისათვის.

რატომ იყო, რომ არაბული დაპყრობები ბიზანტიისა და ირანის მიწებიდან დაიწყო?

პირველი ხალიფების პერიოდში არაბებმა დაიწყეს უწყვეტი ლაშქრობები მეზობელ ქვეყნებზე. მსუბუქ ცხენოსანთა რაზმებისაგან შემდგარმა არაბულმა ჯარმა მოკლე დროში დაიპყრო სირია, პალესტინა და ეგვიპტე. 651 წელს დასრულდა სასანიდების იმპერიის დაპყრობა. ხმელთაშუა ზღვაზე ძლიერი სამხედრო ფლოტის შემქმნელმა არაბებმა, გააძლიერეს თავიანთი გავლენა ბიზანტიელებზე. ხმელეთიდან და ზღვიდან ალყაში მოხვდა კონსტანტინოპოლი. მაგრამ ბიზანტიამ *"ბერძნული ცეცხლის"** დახმარებით დაამარცხა არაბული ფლოტი და თავისი დედაქალაქი დაიცვა დაპყრობისაგან.

აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილის დამპყრობი არაბები 711 წელს *ჯაბალლუ ტარიკის** სრუტის გავლით სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში შევიდნენ. აქ გაანადგურეს ვესტგოთის არმია. მთიან ქვეყანა ასტურიის გარდა, პირენეის მთელი ნახევარკუნძული არაბებს დაქვემდებარებული აღმოჩნდა. ამან ევროპა პანიკაში ჩააგდო. ფრანგებმა შეკრიბეს მთელი თავიანთი ძალები და არაბების პირენეის გავლით გალიაში შესვლა აღკვეთეს, 732 წელს პუატიესთან ახლოს ბრძოლაში დამარცხებული არაბული არმია იძულებული გახდა უკან დაეხია.

აღმოსავლეთით ცენტრალური აზიის დამპყრობელ არაბებს ინდურ ხეობასა და ჩინურ საზღვრებამდე ჰქონდათ მიღწეული. 751 წელს მდინარე ტალასის სანაპიროზე დაამარცხეს ჩინური ჯარი, მაგრამ უფრო აღმოსავლეთით ვეღარ წაიწიეს.

* **ბერძნული ცეცხლი** – ნავთისა და ჩაუმქრალი ცაცხვის ნარევით დამზადებული საწვავი ნივთიერება

* **ჯაბალ ტარიკის სრუტე** – არაბი სარდლის ჯაბალ ალ-ტარიკის სახელთანაა დაკავშირებული

ბიზანტიის მმართველმა ირაკლიმ 200 ათასიანი ჯარი შეკრიბა. მისი ახლო ადამიანთაგან ერთ-ერთი ამ ჯარის მეთაურად დანიშნა. მდინარე იარმუკის სანაპიროზე ორი მტერი ერთმანეთს დაუბრისპირდა. ალ-ლაჰის დახმარებით მუსლიმანებმა მათგან 70 ათასი გაწყვიტეს, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ. იარმუკის ბრძოლაში მუსლიმანი ქალებიც მონაწილეობდნენ. ამბობენ, რომ ამ სისხლიანი ბრძოლის შესახებ შეტყობინების მიღება ირაკლი თურმე ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში გამგზავრებულა. მას სასაზღვრო ხაზის გადალახვისას უთქვამს: მშვიდობით სირია! რა მშვენიერი ქვეყანაა ეს ჩვენი მტრებისათვის! ამ სიტყვების დაძახებისას, ირაკლი სირიის მშვენიერ სანაპიროებზე მიუთითებდა. იარმუკის გარშემო ბრძოლები 15 წელს მოხდა.

არაბი ისტორიკოსი ბალაზური (IX საუკუნე) სირიის დაპყრობის შესახებ

გრიგორიანული კალენდრით რომელ წელს შედგა იარმუკის ბრძოლა?

ამრიგად VII საუკუნეში და VIII საუკუნის პირველ ნახევარში წარმოებული წარმატებული ომების შედეგად შეიქმნა ახალი იმპერია - არაბთა ხალიფატი. მისი საზღვრები ატლანტიკური ოკეანის სანაპიროებიდან ჩინეთსა და ინდოეთამდე აღწევდა.

მდიდარი ქვეყნების დაპყრობამ გავლენა მოახდინა არაბთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ წყობაზე. ფართო ტერიტორიები და სიმდიდრე ხალიფების ხელში გადავიდა. ისინი ნათესავებსა და ახლობლებს პროვინციებში წარმომადგენლად ნიშნავდნენ. ასეთ წარმომადგენელს "ემირი" ეწოდებოდა. ემირი ადგილობრივი მოსახლეობისაგან გადასახადს კრეფდა, რომლის ხარჯზეც მოხელეებსა და პროვინციაში მყოფ ჯარს უზრუნველყოფდა. ხალიფასაგან დიდი მიწის ნაწილების შემსყიდველი არაბები მსხვილ ფეოდალებად იქცეოდნენ. სოფლელები იხდიდნენ სხვადასხვა გადასახადს მიწითა და წყლით სარგებლობისათვის. არამუსლიმანებს კი მიწის გადასახადის (ხარჯის) გარდა, სიცოცხლის გადასახადიც (ჯიზია) უნდა გადაეხადათ.

არაბების შეტევა სასანიდების ციხე-სიმაგრეზე
შუა საუკუნეების მინიატურა



ბაღდადი

ომეიადების პერიოდში (661-750) დედაქალაქი მადინადან დამასკოში იქნა გადატანილი. აბბასიდელებმა, რომლებმაც ისარგებლეს ხალხის ომეიადების წინაშე არსებული უთანხმოებით, 750 წელს ბოლო მოუღეს მათ ბატონობას. დედაქალაქი ქალაქ ბაღდადში იქნა გადატანილი. დაახლოებით ერთი მილიონი მოსახლეობის მქონე ბაღდადი, იმ დროის ყველაზე დიდ და მდიდარ ქალაქთაგანი იყო. ქალაქში მშვენიერი მეჩეთები, მედრასები და ბიბლიოთეკები მოქმედებდა. "მსოფლიო ქალაქად" წოდებულ მადინას მშვენიერი შენობები, გრანდიოზული ბაზრები, ბაღები და შადრევნები მხილველებს ხიბლავდა.



არაბთა სახალიფო

ხალიფატის დაკნინება და დაშლა. სახალიფოში ხშირად ჰქონდა ადგილი აჯანყებებს არაბთა ბატონობისა და ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ აჯანყებებში გლეხებსა და ქალაქელ ღატაკებთან ერთად ფეოდალებიც მონაწილეობდნენ. ცენტრალურ აზიაში მომხდარმა ***შუგანას**** აჯანყებამ, ასევე აზერბაიჯანში ბაბექის მეთაურობით ***ხურამიების**** მოძრაობამ სახალიფო კიდევ უფრო შეარყია. პროვინციების

* **შუგანა** – პირბადიანი, ნიღბიანი, მოსასხამიანი.

* **ხურამი** – განიმარტება როგორც: ცეცხლი, მზე, სიხარული და სხვა



კორდოვას მეჩეთი

მეთაურებიც ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ.

არაბთა სახალიფოს დაშლა ესპანეთიდან დაიწყო. 756 წელს აქ დამოუკიდებელი კორდოვას სახალიფო შეიქმნა. IX საუკუნეში ეგვიპტე, შუა აზია, ირანი და ავღანეთი სახალიფოს გამოეყო. სახალიფოს შემადგენლობაში მარტო არაბეთისა და მესოპოტამიის მიწები რჩებოდა. XI საუკუნის შუა წლებში თურქ სელჩუკებმა ამ ტერიტორიებზე შეტევა დაიწყეს. 1055 წელს ხელში ჩაიგდეს ბაღდადი. აბბასიანი ხალიფები სელჩუკ სულთანზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ხალიფამ მხოლოდ სარწმუნოებრივი ხელისუფლება შეინარჩუნა.

შიდა დაპირისპირების, მსხვილი ფეოდალების გაძლიერებისა და სხვადასხვა ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად არაბთა ხალიფატი დაიშალა. XIII საუკუნის შუა წლებში ბაღდადის დამპყრობმა მონღოლებმა ტახტიდან ჩამოაგდეს უკანასკნელი აბბასი ხალიფა და ბოლო მოუღეს ხალიფატის არსებობას.

ესპანეთის არაბული მმართველობა

კორდოვას მეთაურმა, აბდურრაჰმან III-მ პოლიტიკურ თვალსაზრისით აბბასიანთაგან სრულიად გამოყოფილი და დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა. ეს სახელმწიფო შეიძლება X საუკუნეში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ევროპის ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ ჩაითვალოს. მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკურმა და რელიგიურმა შემადგენლობამ კორდოვას სახალიფოში გამძლეობის განმტკიცება გამოიწვია. მაშინ, როდესაც მთელი ევროპა უმეცრების, ძმათა მტრობის, ეპიდემიისა და ინკვიზიციის ბრჭყალებში კვნესოდა, ესპანეთი არაბთა მბრძანებლობის ქვეშ აღორძინებისა და ბრწყინვალე განვითარების პერიოდს ვადიოდა. მუსლიმანებისა და არამუსლიმანების მიერ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში ერთობლივმა მონაწილეობამ, სახელმწიფოში სრულიად განსხვავებული, ორიგინალური კულტურის ჩამოყალიბება გამოიწვია.

X საუკუნეში ქალაქ კორდოვას მოსახლეობამ ხუთასი ათასს მიაღწია, მაშინ როდესაც იმ პერიოდში პარიზში ოცდათვრამეტი ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ამ დროს ქალაქში შვიდასი მეჩეთი, სამოცი ათასი სახლი, სამოცდაათი ბიბლიოთეკა (ერთ-ერთ მათგანში ხუთასი ათასი ხელნაწერი წიგნი იყო) და ცხრაასი აბანო იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპაში პირველად, ბნელ ქუჩებში ლამპრები სწორედაც რომ ამ ქალაქში იყო ჩამოკიდებული.

ფასის, კორდოვასა და გამათის უნივერსიტეტებმა დიდი გავლენა მოახდინეს დასავლეთში მეცნიერული ცოდნის გავრცელებაზე. დღეს არსებულმა პოზიტიურმა შედეგებმა, წინსვლებმა და მრავალმა მეცნიერებამ დასაბამი სწორედაც რომ კორდოვიდან აიღო.

არაბთა ისლამური სახელმწიფოს მართვა

მუჰამმად ფეიღამბერი	პირველი ხალიფები	ომეიდებთა დინასტია	აბბასიანთა დინასტია
630–632	632–661	661–750	750–1258

კითხვები და დავალებები

1. *რომელი ფაქტორები გახდა არაბთა ხალიფატის დაშლის მიზეზი?*
2. *თანამედროვე აზიის რომელი სახელმწიფოები შედიოდა ხალიფატის შემადგენლობაში, VIII საუკუნეში?*
3. *რომელი ბრძოლების შემდეგ შეწყდა არაბთა შეტევები დასავლეთ ევროპაზე და აღმოსავლეთით?*
4. *უწყვნეთ არაბთა გაერთიანების დამაჩქარებელი ფაქტორები.*

11 დასავლეთ ევროპა

საკვანძო სიტყვები

- "ხალხთა დიდი გადასახლება"
- ხლოდვიგი
- "სალიკის კანონები"
- კარლოს დიდი
- ჰუგო კაპეტი
- "წმინდა რომის იმპერია"
- "ვიკინგთა პერიოდი"

თანამედროვე ევროპული ხალხებისა და სახელმწიფოების უმრავლესობის ისტორია შუა საუკუნეების პერიოდშია დაწყებული. ევროპის კონტინენტის დასავლეთი, ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდში გერმანულ ტომთა დასახლების ტერიტორიად იყო გადაქცეული. შექმნილი ბარბაროსული სამეფოები შემდგომში ევროპის ძლიერი სახელმწიფოების საწყის საყრდენს წარმოადგენდნენ.*

"ხალხთა დიდი გადასახლება". ამ ოთხ საუკუნიან (IV-VII) და ევროპის ისტორიაში "ხალხთა დიდი გადასახლების" პერიოდად შესულ ეტაპზე კონტინენტის ეთნიკური, კულტურული და პოლიტიკური თავისებურება საფუძვლიანად შეიცვალა. ამ პერიოდში მოისპო ანტიკური ცივილიზაცია და გამოვლინდა ახალი საზოგადოებების ნიშნები. "ხალხთა დიდი გადასახლების" მიზეზებს შორის აღსანიშნავია ბარბაროსულ ტომებს შიგნით ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის გაღრმავების, აღმოსავლეთიდან ველის მომთაბარეთა გავლენისა და II საუკუნიდან დაწყებული ევრაზიაში ამინდის კატეგორიული შეცვლის ფაქტორები.

რომელია "ხალხთა დიდი გადასახლების" მიზეზები?

რაში გამოიხატებოდა "ხალხთა დიდი გადასახლების" გავლენა ევროპის ისტორიულ განვითარებაზე?

"ხალხთა დიდ გადასახლებაში" თავდაპირველ როლს ჯერ გერმანული და თურქული, ხოლო შემდეგ სლავური და ფინ-უკორი ტომები ასრულებდნენ. თავდაპირველად მესაქონლეობითა და მენადირეობით დაკავებული გერმანული ტომები, ჩვ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეებამდე, ძირითადად მომთაბარე ხალხებად ცხოვრობდნენ. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს თინგად წოდებული სახალხო კრება წარმოადგენდა. არაუგვიანეს წელიწადში ერთხელ მოწვეულ თინგში ომისა და მშვიდობის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა, მებრძოლთა რიგებში მიღებისა და ტომის მეთაურთა არჩევის საკითხები წყდებოდა.

რომელი საკითხები წყდებოდა თინგში?

ახალი წ. აღ-ით II საუკუნის მეორე ნახევრიდან გერმანელებმა პირველად გადალახეს რომის იმპერიის თავდაცვის ხაზი, სადაც ტერიტორიების დაპყრობა და საცხოვრებლების აშენება დაიწყეს. ადრეულ შუა საუკუნეების დასაწყისში აქ თანდათან თავიანთი პირველი სახელმწიფოები შექმნეს.

* **ბარბაროსები** – ძველი ბერძნებისა და რომაელების მიერ მათთვის უცხო ენისა და კულტურის მქონე სხვა ტომებისა და ხალხებისათვის წოდებული სახელი

გერმანის ტომის წევრები

...ტომი სვევი ყველა გერმანულ ტომთაგან ყველაზე დიდი და მებრძოლია... მაგრამ მისნი მათთან არ არის დაყოფილი და არც კერძო საკუთრებაშია, მისნის დასამუშავებლად ისინი ერთ ადგილას ერთ წელზე დიდხანს ვერ გაჩერდებიან... მათი შეჩვეულებით, უნაგირის გამოყენება ყველაზე დიდი სირცხვილია და მშიმრობაა...

გაი იულიუს ცეზარი. აღნიშვნები "გალიას ომების შესახებ"

გერმანული ტომები ხუთ ჯგუფად იყოფიან... მისნის უფრო მეტ ნაყოფიერებას მისი სასუქით უზრუნველყოფის გზით აღწევენ.

დიდი პლინი: "ბუნებრივი ისტორია"

V საუკუნის პირველ ნახევარში ვესტგოთებს ***გალიის**** სამხრეთ-დასავლეთში, ხოლო ვანდალებს ჩრდილოეთ აფრიკაში თავიანთი სამეფოები ჰქონდათ შექმნილი. 476 წელს იმპერატორის სამსახურში მყოფმა გერმანელი დაქირავებულების მეთაურმა, ოდოაკრმა ტახტიდან ჩამოაგდო დასავლეთ რომის იმპერატორი და თავისი ჯარის მიერ იტალიის მმართველად იქნა გამოცხადებული. **თურქული ტომების მხრიდან ევროპაზე ხშირი შეტევები, აქ დასაფლეთ ჰუნთა და აგართა სახაკანოს შექმნით დამთავრდა**. სლავებმა და ფინუგორებმა ამ პერიოდში ვერ შეძლეს თავიანთი სახელმწიფოების შექმნა.

გალია – ძირითადი ნაწილით თანამედროვე საფრანგეთის შემდგენი დასავლეთ ევროპის ისტორიული მხარე

V საუკუნის დასაწყისში, რომის ლეგიონებმა, იმის გამო რომ, ბრიტანეთის დატოვების შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობაზე ირლანდიიდან და შოტლანდიიდან კელტთა ტომების შეტევები დაიწყო, გერმანული ტომებიდან საქსები, ანგლები, იუტები და ფრიზები ქვეყანაში მიიწვიეს. ბრიტანეთში V საუკუნის მეორე ნახევრიდან VII საუკუნის დასაწყისამდე ანგლოსაქსების შვიდი სამეფო არსებობდა. ტომთა სამეფოების ადრეულ ფეოდალურ სახელმწიფოებად გადაქცევას მათ შორის უმაღლესი მეფის ტიტულისათვის ბრძოლაც მოჰყვებოდა.



"ხალხთა დიდი გადასახლება"

რუკაზე უჩვენეთ "ხალხთა დიდი გადასახლების" პერიოდში შექმნილი სახელმწიფოები.
რატომ იყო რომ, ამ პერიოდში ბარბაროსების ტომთაგან ზოგიერთმა ვერ შეძლო თავისი სახელმწიფოს შექმნა?

ხლოდვიგი

ფრანკთა სახელმწიფოს შექმნა. ხლოდვიგის მეთაურობით ფრანგთა ერთმა ნაწილმა 486 წელს, სუასონთან ახლოს შემდგარ ბრძოლაში გალიის ჩრდილოეთ ნაწილში, ხელისუფლების დამცველი და შემნარჩუნებელი რომის იმპერიის წარმომადგენლის ჯარი დაამარცხა. ხლოდვიგის დაპყრობების გამაიოლებელი მთავარი ფაქტორი ადგილობრივი მოსახლეობის რომის ხელისუფლებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას უკავშირდებოდა. ხლოდვიგმა ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული რელიგია ქრისტიანობა მიიღო. შემდგომში მან სხვა ფრანკი ტომები თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა.

ფრანკთა საზოგადოების ფენები

ხლოდვიგის რომელმა ღონისძიებამ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, ადგილობრივ მოსახლეობაზე ხელისუფლების განმტკიცებაში?

ფრანკების საზოგადოებრივი წყობის შესასწავლად VI საუკუნის დასაწყისში, ხლოდვიგის დავალებით ლათინურ ენაზე შემდგარი და შემდგომ მეფეთა მიერ ტექსტში ნაწილობრივი დამატებების მქონე "სალიკის კანონები" მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ამ პერიოდში ფრანკების წარმატება მეურნეობაში, არა მხოლოდ ფრანკული საზოგადოების სამინაო განვითარების შედეგი იყო, არამედ იმპერიის ტერიტორიაზე არსებული მოწინავე მეთოდების შესწავლასა და ათვისებასთან იყო დაკავშირებული. მეურნეობაში ნაკლებად გამოიყენებოდა ყმათა შრომა. VI-VII საუკუნეებში ფრანკული საზოგადოების უმრავლესობას თავისუფალი მოსახლეობა წარმოადგენდა.

ადრე, ტომის მეთაურ ხლოდვიგს თანდათან მმართველობის ყველა ფუნქცია მითვისებული ჰქონდა. მეფე მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებს მსხვილ მიწათმფლობელებთან ერთად წყვეტდა. ხლოდვიგიდან მოყოლებული ფრანკი მეფეები თავიანთი ხელისუფლების გაძლიერების მიზნით დაპყრობილ მსხვილ მიწის ნაკვეთებს, თავიანთ ახლობლებსა და ეკლესიებს ურიგებდნენ. მათ საკუთრებაში ასევე ყმები, ნახევრად დამოკიდებული და დამოკიდებული მოსახლეობაც გადაეცემოდა. ამის შედეგად, გაძლიერებულ მსხვილი მიწათმფლობელების სეპარატისტული მცდელობების წინააღმდეგ ბრძოლაში დასუსტებული მეფეთა ხელისუფლება თანდათან უფრო ფორმალურ სახეს იღებდა. ქვეყანა სხვადასხვა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ტერიტორიებად დაიყო.

? *რა იყო მსხვილი ფეოდალების გაძლიერების მიზეზი?*

VII საუკუნის დასასრულს მსხვილ მიწათმფლობელთაგან ერთ-ერთმა შეძლო ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის თავისი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება. კაროლინგთა გვარის ხელისუფლების პერიოდში (IX საუკუნე), ფრანკთა სამეფოში მტკიცედ დამკვიდრდა ფეოდალური წყობის საფუძვლები. VIII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა მსხვილ მიწათმფლობელთა და მათზე დამოკიდებულ გლეხთა ფენები. კარლ მარტელი 732 წელს, პუატიეს ბრძოლის დროს შეიჭრა გალიის სამხრეთით და დაამარცხა ფრანკთა სახელმწიფოსათვის სერიოზული საფრთხის შემქმნელი არაბული ჯარი, რომლის შემდეგ სამხედრო რეფორმა გაატარა. ჯარი ძირითადად ფეოდალურ ცხენოსანთა ჯგუფებად ჩამოყალიბდა. მისი მემკვიდრე 751 წელს პაპის თანხმობით დედაქალაქ სუასონში მეფედ გამოცხადდა.

! *გაანალიზეთ პუატიეს ბრძოლის შედეგების მნიშვნელობა.*

კარლოს დიდის დაპყრობები. ფრანკთა სახელმწიფოს ყველაზე დიდი ძლევამოსილება კარლოსის (768-814) პერიოდს ემთხვევა. მან აწარმოა ბრძოლა არაბებთან ესპანეთში და ხელთ იგდო მცირე ტერიტორია. ასევე ჰქონდა წარმატებული ლაშქრობა იტალიაში.

კარლოსს 30 წლის განმავლობაში მოუწია მძიმე და უმოწყალო ბრძოლების წარმოება კერპთაყვანისმცემელი საქსების წინააღმდეგ. ძლიერი და მრავალრიცხოვანი საქსი ტომების ფრანკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლით დასაბამი მიეცა მომავალი გერმანული სახელმწიფოსა და ხალხის ჩამოყალიბებას.

ფრანკთა სამეფოს ტერიტორიის გაფართოვება

"სალიკის კანონები"

1. თუ ვინმე მეფის კანონების საფუძველზე სასამართლოში არ გამოცხადდება, 15 სოლიდის მოქცული 600 დენარი* უნდა გადაიხადოს.*

2. თუ თავისუფალ ადამიანთაგან ვინმე სახლის გარეთ 2 დენარის ფასის მქონე რაიმეს მოიპარავს, 600 დენარი უნდა გადაიხადოს. თუ ყმა სახლს გარეთ 2 დენარის ფასის მქონე რაიმეს მოიპარავს, მან უკან უნდა დააბრუნოს მოპარული ნივთი და გალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. გარდა ამისა, ის 120 ჯერ დარტყმით უნდა იქნას გამათრახებული.

* **სოლიდ** – ლათინურად "მაგარი", "მტკიცეს" ნიშნავს. რომისა და ბიზანტიის ხანაში ოქროს ფული (4,55 გრ)

* **დენარი** – ლათინურად "ათიანს" ნიშნავს. რომის რესპულიკის დროს მოჭრილი ვერცხლის ფული

ცოტა ხნის შემდეგ სამხრეთ სლავიანების დახმარებით კარლოს დიდმა შეძლო ავართა სახაკანოსა და ბავართა საჰერცოგოს დაშლა. ხელისუფლების დასასრულს ფრანკთა სახელმწიფოს ტერიტორია დაახლოებით დასავლეთ რომის იმპერიას უტოლდებოდა.

კარლოსმა ისარგებლა პაპის თხოვნით დახმარების შესახებ და რომზე გაილაშქრა. პაპი ლეო III ამის სანაცვლოდ 800 წელს იძულებული გახდა იმპერატორად გამოეცხადებინა იგი. სახელმწიფოს დედაქალაქი ქალაქი აახენი იყო. ბიზანტიის იმპერატორი, რომელიც თავს რომის იმპერატორის ერთ-ერთ მემკვიდრედ თვლიდა, 812 წლამდე უარს ამბობდა კარლოს დიდის საიმპერატორო ხელისუფლების აღიარებაზე.

კარლოს დიდის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასულმა მემკვიდრემ, უმაღლესი ხელისუფლების შენარჩუნებით იმპერია სამართავად სამ შვილს გაუყო. 840 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ, შვილებს შორის წამოწყებული გარდამავალი ომები 843 წელს ვერდენში დადებული ხელშეკრულებით იმპერიის სამ ძმას შორის ოფიციალური გაყოფით დამთავრდა.

კარლოსის იმპერატორად გამოცხადება

ფრანკთა იმპერიის გაყოფა

843 წელს კარლოს დიდის სამმა შვილიშვილმა: დაზ კარლმა, გერმანელმა ლიუდოვიკომ და ლოტარ ვერდენდამ დადეს ხელშეკრულება ფრანკთა იმპერიის სამ ნაწილად გაყოფის შესახებ. ამ განაწილების შედეგად შეიქმნა იმპერიის ტერიტორიაზე სამი დიდი სამეფო – საფრანგეთის, იტალიისა და გერმანიის სახელმწიფოები წარმოიქმნა.

რა პირობები იყო შექმნილი კარლოს დიდის იმპერატორად გამოცხადებისათვის?

დასავლეთ ევროპაში ფეოდალური არეულობის პერიოდი (IX-XI საუკუნეები). X საუკუნის დასასრულს ხელისუფლების სათავეში ახალი დინასტიის წარმომადგენლის ჰუგო კაპეტის მოსვლის შემდეგ, პარიზი საფრანგეთის სამეფოს მუდმივი დედაქალაქი გახდა. XII საუკუნის დასაწყისამდე მეფეთა ხელისუფლება მხოლოდ პარიზსა და ორლეანს შორის მყოფ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. მსხვილი ფეოდალები სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ. კლასიკურ-ფეოდალურ სახელმწიფოდ წოდებულ საფრანგეთში IX-XI საუკუნეებში დასრულდა ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

განსაზღვრეთ საფრანგეთში მეფის ხელისუფლების თავისებურებანი.

იტალიაში პოლიტიკური გათიშულობა ბატონობდა. უნგრები, არაბები და გერმანელები ხშირად თავს ესხმოდნენ იტალიელებს და იპყრობდნენ მათ სხვადასხვა ტერიტორიებს. ფრანკთა დაპყრობებმა საკმაოდ დააჩქარა ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბება ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილებში. სამხრეთ იტალიაში ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილთან შედარებით ერთი საუკუნის შემდეგ, X საუკუნის ბოლოს დამთავრდა.

როგორ დააჩქარეს ფრანკთა დაპყრობებმა იტალიის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბება?

გერმანიაში ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი გერმანულ ტომთა საშინაო განვითარების ევოლუციის გზით ხდებოდა. უნგრების ლაშქრობებმა დასაბამი მისცა ხუთი გერმანული საჰერცოგოს ერთიან სამეფოდ გაერთიანებას. 919 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ჰენრი I-მა ბოლო მოუღო გარდამავალ ომებს და ქვეყანაში სტაბილურობა დაამყარა. ოტო I რთულ მდგომარეობაში მყოფი პაპის მიწვევით რომში ჩავიდა და 962 წელს აქ იმპერატორად გამოცხადდა. სახელმწიფოს კი "წმინდა რომის იმპერია" ეწოდა.

დაზ კარლი

ლოტარი

ალმან ლუდოვიკი



ფრანკთა იმპერიის დანაწევრება

განსაზღვრეთ გერმანიაში ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

829 წელს მეფე ეკბერტმა ყველა ანგლოსაქსური საგრაფო ერთიან ადრე ფეოდალურ სახელმწიფოდ გააერთიანა. სახელმწიფოს შექმნით, დაინტერესებულნი იყვნენ როგორც ფეოდალები, ასევე უბრალო მოსახლეობაც. VIII საუკუნის დასასრულიდან ინგლისი აწარმოებდა ბრძოლებს ნორმანთა თავდასხმების წინააღმდეგ. X საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა ნორმანების ქვეყნიდან გაძევება. XI საუკუნის შუა წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში ჩამოყალიბდა ფეოდალური ურთიერთობები, უამრავ ადგილას ჯერ კიდევ რჩებოდა თავისუფალი თემები.



ვიკინგთა სამშობლო
დაპყრობილი და დამოკიდებული ტერიტორიები
თავდასხმების ქვეშ მოქცეული სანაპირო რაიონები
ძირითადი ლაშქრობები
1 ნორმანდია (911)
2 ნორმანთა სიცილიის სამეფო (1130-1190)

ვიკინგების ლაშქრობები

ჩამოთვალეთ ინგლისში ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მიზეზები.

IX-XI საუკუნეები ჩრდილოეთ ევროპის ისტორიაში "ვიკინგების ეპოქად" მოიხსენიება. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა სკანდინავიური ტომების ფართომასშტაბიანი ლაშქრობების ორგანიზებას, ახალი ტერიტორიების აღმოჩენასა და ამ ტერიტორიებზე დასახლებას, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. ევროპის დასავლეთში მათ ნორმანებს ("ჩრდილოელი ადამიანები"), ხოლო ბიზანტიასა და რუსეთში ვარიაგებს ("ფიცის ერთგული ადამიანი") უწოდებდნენ. ნორვეგიელი ვიკინგები XI საუკუნის დასაწყისში მისული და დასახლებულნი იყვნენ ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროებზე.

კითხვები და დავალებები

1. *რომელ საუკუნეებს მოიცავს "ხალხთა დიდი გადასახლება"? რუკაზე განსაზღვრეთ ამ პერიოდში სხვადასხვა ტომთა გადასახლებების მიმართულებები.*
2. *რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, ანტიკური ავტორების მიერ გერმანული ტომების შესახებ მოწოდებული ინფორმაციით?*
3. *გაანალიზეთ 843 წელს დადებული ვერდენის ხელშეკრულების არსი.*
4. *შეაგროვეთ დამწვრილებითი ცნობები ვიკინგთა შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.*
5. *შეადარეთ ერთმანეთს IX - XI საუკუნეებში დასავლეთ ევროპასა და აზერბაიჯანში მომხდარი პოლიტიკური პროცესები.*

12 ბიზანტიის იმპერია და სლავები

საკვანძო სიტყვები

- ბიზანტია
- "იუსტინიანეს კოდექსი"
- "ნიკას" აჯანყება
- სლავები
- სლავური სახელმწიფოები
- კიევის რუსეთის სახელმწიფო
- ჩეხეთის სამთავრო

აღმოსავლეთ რომის იმპერიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რომის იმპერატორის ფეოდოს I-ის 395 წლის გადაწყვეტილებამ. ევროპელი ჯვაროსნების დარტყმების ქვეშ, XIII საუკუნის დასაწყისში ერთი პერიოდით დაშლილი იმპერია, თავისი ხელისუფლების ხელახალ აღდგენასა და ძველი ძლევამოსილების დაბრუნებას ცდილობდა.

"ხალხთა დიდ გადასახლებაში" მონაწილე სლავებმა, მხოლოდ რამოდენიმე საუკუნეების შემდეგ დაიწყეს თავიანთი სახელმწიფოს შექმნა.

სამ კონტინენტზე მდებარე სახელმწიფო. ბიზანტიელები თავიანთ სახელმწიფოს რომეას (რომის) იმპერიას უწოდებდნენ. იმის გამო, რომ აქ მოსახლეობის უმრავლესობას ბერძნები წარმოადგენდნენ, დასავლეთ ევროპაში მიღებული იყო, როგორც ბერძნული იმპერია. დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, ადრე *ვიზანტიად** წოდებულ ადგილას იყო აშენებული.

* **ვიზანტია** – ძველი ბერძნული ქალაქი, უკავშირდება ლეგენდარული მეფის ბიზანტის სახელს.

რომელი მოვლენით ჩაეყარა საფუძველი ბიზანტიის სახელმწიფოს?

როდის ჰქონდა დროებით დაკარგული თავისი არსებობა ბიზანტიის სახელმწიფოს? რა იყო ამის მიზეზი?

კონსტანტინოპოლი

დასავლეთ რომის იმპერიისაგან განსხვავებით, ბიზანტიის სახელმწიფომ "ხალხთა დიდი გადასახლების" პერიოდში შეძლო თავისი საზღვრების დაცვა. იმპერიის პროვინციები უფრო ხელსაყრელი კლიმატის ზონაში მდებარე ნაყოფიერ მიწებს მოიცავდა. VII საუკუნის შუა წლებამდე, ეგვიპტის იმპერიის საწყისს "ხორბლის საწყობი" წარმოადგენდა. სუბტროპიკულ რაიონებში მევენახეობა, მებაღეობა ხოლო მთიან ტერიტორიებზე მესაქონლეობა იყო განვითარებული. საკმაოდ შენელებულად მიმდინარეობდა ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი. VI საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა მეაბრეშუმეობის მეურნეობას. ქვეყნის ტერიტორიაზე მდიდარი და სასარგებლო მინერალები (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა), მარმარილოს საბადოები, ნავთობის მარაგი და სხვ. არსებობდა. ხელოსნობა მრავალფეროვანი და უმაღლეს დონეზე განვითარებული იყო. ხელოსნები, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ, მუშაობდნენ დამოუკიდებლად და ასევე დასაქმებულნი იყვნენ სახელმწიფო მეურნეობაში. იმპერიის ტერიტორია, განსაკუთრებით მისი დედაქალაქი მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე მდებარეობდა. მონათა შრომა IX-XI საუკუნეებამდე არსებობდა

რა იყო ბიზანტიის ეკონომიკური განვითარების მიზეზები?

ბიზანტიის იმპერატორი მთელი ქრისტიანული სამყაროს ერთადერთ კანონიერ მმართველად ითვლებოდა. ადრე იმპერატორის ხელისუფლება მემკვიდრეობით ხასიათს არ ატარებდა. მაგრამ შემდგომი იმპერატორები თავიანთი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით მას თავიანთ კანონიერ მემკვიდრეებს გადასცემდნენ. XII-XIII საუკუნეებში იმპერატორი უკვე აბსოლუტურ ხელისუფლებას ფლობდა.

ბიზანტიის "ოქროს ხანა". იმპერატორ "იუსტინიანეს" (527-565) პერიოდში აღმოსავლეთ რომის იმპერია ძლიერების პერიოდში იმყოფებოდა. ამ პერიოდში აშენებული სოფიას ტაძარი ბიზანტიის იმპერიის "ოქროს ხანის" სიმბოლოდ ითვლება.

იუსტინიანემ გააძლიერა მმართველობის სისტემა. ასე რომ, მან დაასუსტა მსხვილი მიწათმფლობელობა, წარმოშობით არა თავადი, მაგრამ უნარიანი და ერთგული პირები მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშნა. მის დროს მიღებული "იუსტინიანეს კოდექსი" საუკუნეების განმავლობაში ევროპაში რომის სამართლის ძირითად წყაროდ რჩებოდა. აქ სოციალური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, იმპერატორის დაქვემდებარებაში მყოფნი კანონის წინაშე თანასწორნი იყვნენ.

იმპერატორ იუსტინიანე თავისი გარშემო მყოფებთან ერთად

"ნიკას" აჯანყება კონსტანტინოპოლში ამ საცხენოსნო მოედანზე მოხდა

რა მნიშვნელობას ატარებდა ქვეყნისათვის, იუსტინიანეს მიერ საშინაო პოლიტიკის სფეროში გატარებული ღონისძიებები?

532 წელს გადასახადების სიმძიმე, ხელისუფლების ზეწოლები, ასევე იმპერატორის მიერ გატარებული საეკლესიო პოლიტიკასთან დაკავშირებული უთანხმოებები კონსტანტინოპოლის მოსახლეობის ნიკას ("გაიმარჯვე!") აჯანყების მიზეზი გახდა. აჯანყება უმოწყალოდ იქნა ჩახშობილი და მოკლული იქნა 30 ათასამდე აჯანყებული.

იუსტინიანე ყველა საშუალებით ცდილობდა რომის იმპერიის ერთობის აღდგენას. მან დაპყრობითი პოლიტიკა ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფ ვანდალთა სამეფოს დაპყრობით დაიწყო. შემდგომ აწარმოა წარმატებითი ბრძოლები იტალიასა და ესპანეთში. ამავდროულად აღმოსავლეთ საზღვრებზე ბრძოლების განმგრძობმა იმპერატორმა ფართო ტერიტორიები დაიპყრო. მაგრამ ეს დაპყრობითი ომები, იმის გამო რომ დიდ საშუალებასა და ცოცხალ ძალას მოითხოვდა, დიდ ხანს არ გაგრძელდა.

"ნიკას" აჯანყების დროს, იუსტინიანეს მხრიდან რჩევების მიცემის შესახებ. ბიზანტიელი მწერლის, პროკოპი კესარიელის მოგონებები

ამ დროს მეფესთან თათბირი მიმდინარეობდა: რომელი იყო უკეთესი, აქ დარჩენა თუ გემებზე გადახვეწა. ბევრი საუბარი შედგა ყოველ აზრზე. როგორც იქნა დედოფალმა ფეოდორამ თქვა: "ჩემი აზრით, ახლანდელ მდგომარეობაში გაქცევა რომ იყოს გადარჩენისაკენ მიმყვანი, ჩვენთვის მაინც არაა ხელსაყრელი. ყველა ვინც ამ ქვეყნად მოსულა, ყველა უნდა მოკვდეს, მაგრამ ერთხელ მმართველად მყოფი პირის მაწანწალობა აუტანელია. ასე რომ მმართველო! თუ გაქცევა გსურს ეს ძნელი არ არის. ჩვენ ბევრი ფული გვაგვაჩნია, აგერ ზღვა, აგერ გემები. მაგრამ შენ გადარჩენის შემდეგ ეცადე, რომ სიკვდილი გადარჩენაზე მაღლა აროდეს გეჭიროს..."

გაანალიზეთ მოცემული წყარო.

ბიზანტიის იმპერია იუსტინიანეს მმართველობის დროს (527–565)

სლავური და თურქული ტომების თავდასხმებმა იუსტინიანე აიძულა დათმობებზე წასულიყო. ასე რომ, ის ამ ტომების გავლენის ქვეშ იძულებული გახდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ მხარეში მათ დასახლებაზე ნებართვა გაეცა. VI საუკუნის შუა წლებიდან სლავების იმპერიის ტერიტორიაზე განთავსებამ, ბიზანტიაში მონათმფლობელური წესების ფეოდალური წესებით ჩანაცვლების პროცესი დააჩქარა.

უჩვენეთ რუკაზე იუსტინიანეს დაპყრობები.

იმპერიის დაკნინება. იუსტინიანეს სიკვდილის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული მისი მემკვიდრე დაცარიელებული ხაზინით, გაკოტრებული მოსახლეობითა და შერყეული ჯარიანად რამდენიმე მტრის ალყაში უმწეო აღმოჩნდა, რომლის შედეგად დაკარგული იქნა ესპანეთსა და იტალიაში დაპყრობილი მიწები. VII საუკუნის პირველ ნახევარში იმპერია აღმოსავლეთიდან არაბთა შემოსევების წინაშე აღმოჩნდა. დაკარგა თავისი ყველაზე მდიდარი პროვინციები: ეგვიპტე, სირია, ჩრდილოეთი მესოპოტამია და პალესტინა. არაბულმა არმიამ რამდენიმეჯერ ალყაში მოაქცია კონსტანტინოპოლი. ამავე საუკუნის ბოლოს ახლად შექმნილმა ბულგარეთის სახელმწიფომ იმპერიის საზღვრებზე საშიში თავდასხმები განახორციელა. აღმოსავლეთ რომის იმპერია შემდგომშიაც უცხო ხალხების (უნგრები, ნორმანები, სელჩუკები, ჯვაროსნები, ოსმალები) მრავალჯერადი თავდასხმების წინაშე აღმოჩნდა. ეს თავდასხმები ცვლიდა იმპერიის საზღვრებს. რაც უფრო ძნელდებოდა სახელმწიფო საზღვრების დასუსტებული ჯარით დაცვა, დიპლომატიური უნარ-ჩვევები მისი მთავარი იმედი ხდებოდა. ბიზანტიელი დიპლომატები დახელოვნებულნი იყვნენ მოლაპარაკებების წარმოების, კავშირების დამყარებისა და მტრების ურთიერთდაპირისპირების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდებში იმპერია ხელახლა ძლიერდებოდა, XII საუკუნის დასასრულიდან იმპერატორები უკვე სახელმწიფოს არა ადრინდელი ძალის აღდგენას, არამედ შემორჩენილი ნაწილობრივი გავლენის შენარჩუნებას ცდილობდნენ.

გაანალიზეთ იუსტინიანეს შემდგომი ბიზანტიის მდგომარეობა.

სლავური სახელმწიფოების შექმნა. სლავური ტომები VI-VII საუკუნეებში დასავლეთში მდინარე ელბა და ოდერიდან მოყოლებული, აღმოსავლეთით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. დასავლეთით სლავების მეზობლები გერმანელები და კელტები; ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ბალტები და ფინო-უგორები; აღმოსავლეთით სკვითები, სარმატები, ბულგარები და ხაზარები; სამხრეთით კი ბერძნები და რომაელები იყვნენ.

სლავების შესახებ პირველი წერილობითი ცნობები VI საუკუნის შუა წლების ბიზანტიურ წყაროებში გვხვდება. სლავები ძირითადად მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მენადირეობას და მეთევზეობას მისდევდნენ. განვითარებული იყო ასევე სახლის ხელოსნობა. ომში დატყვევებული პირები მეურნეობაში ყმებად გამოიყენებოდნენ. მაგრამ სლავური ტომები ერთმანეთს ყმებად არ აქცევდნენ.

სლავური დრუჟინის მებრძოლი

ტომთა გაერთიანებებს მმართველობისა და სამხედრო ფუნქციის შემსრულებელი და დრუჟინაზე დამყრდნობი მთავრები მეთაუროობდნენ. მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ვეჩედ წოდებულ სახალხო კრებაზე ხდებოდა. თავიანთი სახელმწიფოს შექმნის მიჯნაზე სლავები სამეზობლო თემის ყოფაში ცხოვრობდნენ. ყოველ ოჯახს თემის მეურნეობაში სათესად ვარგისი მიწის ნაკვეთი გაჩნდა. სლავები კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და მათ შორის ფართოდ გავრცელებული იყო ტოტემის რწმენა. VI-VII საუკუნეებში სლავები გადაადგილდნენ დასავლეთის, აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით. ისინი აქ ახალ ტერიტორიებზე დასახლდნენ. ამის შედეგად ჩამოყალიბდა სლავების სამი ჯგუფი: დასავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი სლავები.

რა როლი შეასრულა სლავების სამ ჯგუფად ჩამოყალიბებამ თანამედროვე სლავების ცხოვრებაში?

დასავლეთი სლავების მიერ შექმნილი **სამოს სახელმწიფო** პირველ სლავურ სახელმწიფოდ ითვლებოდა. VII საუკუნის პირველ ნახევარში წარმოშობილი ეს სახელმწიფო ამჟამინდელი ჩეხეთისა და ავსტრიის ტერიტორიების ერთ ნაწილს მოიცავდა. ის 30 წლამდე პერიოდში განაგრძობდა თავის არსებობას და ბოლოს ავარების მიერ იქნა დაშლილი.

სლავების ძლიერი სახელმწიფო IX საუკუნის დასაწყისში შექმნილი **მორავიის სამთავრო** იყო. IX საუკუნის მეორე ნახევარში მთავარმა **სვიტოპოლკმა** შეძლო საკმაოდ გაეფართოებინა სახელმწიფო ტერიტორიები.

X საუკუნის დასაწყისში უნგრელების დარტყმების ქვეშ დაშლილმა ამ სახელმწიფომ დიდი გავლენა მოახდინა მთლიანი სლავური სამყაროს კულტურულ განვითარებაზე.

სლავები და მათი მეზობლები VII-VIII საუკუნეებში

როგორი ასახვა ჰპოვა სლავების კულტურულ განვითარებაზე გავლენის მოხდენამ ამ სახელმწიფომ, მომავალ სლავურ სახელმწიფოებრივ ტრადიციებში?

882 წელს, ნოვგოროდის ვარიაგი წარმოშობის მთავრის ***ოლეგის*** მიერ კიევის ხელში ჩაგდებით **საფუძველი ჩაეყარა ძველ რუსულ სახელმწიფოს**. ამ სახელმწიფოს, ასევე დედაქალაქის სახელთან დაკავშირებით ***კიევის რუსეთის სახელმწიფოსაც*** უწოდებდნენ. სახელმწიფოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს აღმოსავლეთ სლავები და ფინო-უგორული ტომები შეადგენდნენ. ის აწარმოებდა ბრძოლებს ბიზანტიის იმპერიისა და ხაზართა სახაკანოს წინააღმდეგ. IX-XI საუკუნეებში, რუსების სამხედრო რაზმები ძარცვის მიზნით თავს ესხმოდნენ აზერბაიჯანის კასპიის ზღვისპირა ტერიტორიებს.

რუსები ქრისტიანობას იღებენ

მთავარი **ვლადიმირი** ხელისუფლების განმტკიცებისათვის ერთღმერთიანობაზე დაფუძნებული ახალი რელიგიის მიღებას ცდილობდა. მან რამდენიმე რელიგიური სარწმუნოების შესწავლის შემდეგ შესაბამისად ჩათვალა ბიზანტიის ქრისტიანული ეკლესია. 988 წელს კერპთაყვანისმცემელი ძველი რუსეთის სახელმწიფო ქრისტიანულ სახელმწიფოდ გადაიქცა. XI საუკუნის პირველ ნახევარში მთავარ **იაროსლავ ბრძენის** ხელისუფლების წლებში ძველი რუსული სახელმწიფო თავის ყველაზე ძლიერ პერიოდში იმყოფებოდა. XII საუკუნის მეორე მეოთხედიდან ძველი რუსული სახელმწიფო დამოუკიდებელ სამთავროებად დანაწილდა.

რა როლი შეასრულა კიევის რუსეთის სახელმწიფოს შექმნამ აღმოსავლეთ სლავების ისტორიაში?

თქვენი აზრით, რას ისახავდა მიზნად მთავარი ვლადიმირი ქრისტიანობის მიღებით?

X საუკუნის დასაწყისში რამდენიმე ჩეხმა მთავარმა წარმატებით მოიგერია უნგრების შემოსევები და საფუძველი ჩაუყარეს დამოუკიდებელი **ჩეხეთის სამთავროს**. 1086 წელს ჩეხეთის მთავარმა მეფის ტიტული მიიღო. XI საუკუნის დასასრულს ჩეხეთი რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. X საუკუნის შუა წლებში შეიქმნა **პოლონოთის სამთავრო**. X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში პოლონეთის მთავრებმა ხელში ჩაიგდეს კიევის რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიების ერთი ნაწილი. 1025 წელს მთავარი **ბოლესლავ მამაცი** დედაქალაქ **გნეზნოში** ხელმწიფედ იქნა გამოცხადებული.

რით განსხვავდებოდა ჩეხეთის სამთავრო სხვა სლავური სახელმწიფოებისაგან?

კითხვები და დავალებები

1. *გამოჰყვნეთ ერთმანეთისაგან ბიზანტიისა და დასავლეთ რომის იმპერიები.*
2. *განმარტეთ VI-VII საუკუნეებში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გავლენა ბიზანტიის იმპერიის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე.*
3. *განსაზღვრეთ, XI საუკუნეში ჩეხეთისა და პოლონეთის სახელმწიფოების ისტორიაში მომხდარი მსგავსი მოვლენები.*

13 კულტურა

საკვანძო სიტყვები

- ცოდნის სახლი
- ალ-ბირუნი
- დედაქალაქის ამბები
- ორხონ-ენისეის ძეგლები
- უნივერსიტეტი
- ბიზანტიური არქიტექტურა

ანტიკური კულტურა დაიშალა და მისი ადგილი შუა საუკუნეების კულტურამ დაიკავა. ადრე შუა საუკუნეებში, დასავლეთში კულტურის დაკნინების პერიოდში, აღმოსავლეთში თავი იჩინა ისლამის ცივილიზაციამ, დაიწყო მეცნიერებისა და კულტურის აყვავება.

მეცნიერება და განათლება. არაბებმა, დიდი ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ, ისარგებლეს აქ მაცხოვრებელ ხალხთა კულტურით და მდიდარი ისლამური კულტურა შექმნეს. საერთო ენა - არაბული, უამრავ ხალხებს ერთმანეთის კულტურული მიღწევების შესწავლის საშუალებას აძლევდა. არაბულ ენაზე თარგმნილი და ფართოდ გავრცელებული იყო ანტიკურ მოაზროვნეთა ნაწარმოებები. **805 წელს ბაღდადში შექმნილ "ცოდნის სახლში" სხვადასხვა ენაზე შემდგარი ხელნაწერები ინახებოდა**. იმ დროს პოპულარულ სამეცნიერო ცენტრთაგან ერთ-ერთი კორდოვის სახალიფოში მოქმედებდა. აქ არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არა მარტო მუსლიმანური სამყაროდან, არამედ ქრისტიანულ ქვეყნებიდანაც ახალგაზრდები ცოდნის შესაძენად მიემგზავრებოდნენ.

რა როლი შეასრულა ისლამურმა ცივილიზაციამ ანტიკური დროის კულტურის დღევანდელ დღემდე მოღწევის საქმეში?

როგორ წარმოიდგენთ "ცოდნის სახლს"?

სახალიფოში სამი სახის სკოლა მოქმედებდა. დაწყებით სკოლებს მოლლახანები ეწოდებოდა. აქ მოსწავლეებს ყურანს, სუნნასა და შარიათის საფუძვლებს ასწავლიდნენ, ასევე აძლევდნენ პირველ დაწყებით ცოდნას სხვადასხვა მეცნიერებების შესახებ. მდიდრების შვილები განათლებას სახლში იღებდნენ. ქალაქებში უმაღლესი სასწავლებლები-მედრასები მოქმედებდა. მედრასებში თეოლოგიას, ლოგიკას, აღმოსავლურ ენებს, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ასწავლიდნენ. სწავლების ენა არაბული იყო. ყველაზე პოპულარული მედრასები მექაში, კაიროში, სამარყანდსა და ბაღდადში მდებარეობდა. კონდოვაში გახსნილი იყო სპეციალური მუსიკალური სკოლა. ნიჭიერი აზერბაიჯანელი ახალგაზრდებიც უმაღლესი განათლების მისაღებად ამ ქალაქებში მიდიოდნენ. თვალსაჩინო აზერბაიჯანელი პოეტი ხათიბ თებრიზი 40 წლის განმავლობაში ბაღდადის ნიზამიას მედრასაში ასწავლიდა. სახალიფოში განვითარებული იყო მათემატიკის, ***ასტროლოგიის****, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა მეცნიერებები. VIII-IX საუკუნეებში ძველ ბერძენ, ინდოელ და ირანელ მეცნიერთა ნაწარმოებების არაბულ ენაზე თარგმნის მიზნით, მსხვილ ქალაქებში "სიბრძნის სახლად" წოდებული სპეციალური ცენტრები იყო შექმნილი.

გაკვეთილის დრო მადრასაში

* **ასტროლოგია** – ციური სხეულებითა და მათი მოძრაობით ადამიანების ხასიათისა და სოციალური კავშირების განმსაზღვრელი, მაპროგნოზირებელი და სისტემაში მომყვანი ადათებისა და რწმენების დასახელება

გაანალიზეთ სახალიფოში მეცნიერებისა და განათლების განვითარების კავშირი ისლამის რელიგიასთან. რა სიახლეები შემოიტანა ისლამის რელიგიამ განათლების განვითარებაში?

კულტურისა და სავაჭრო ცენტრების მქონე მსხვილ ქალაქებში ცნობილი მეცნიერებები ცხოვრობდნენ. ევროპაში ავისენას სახელით ცნობილ იბნ სინას მედიცინის შესახებ 100-მდე ნაწარმოები ჰქონდა დაწერილი. მის მიერ მომზადებულ "სამედიცინო ენციკლოპედიას" მთელ მსოფლიოში პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული.

იბნ სინა

არისტოტელეს შემდეგ მეცნიერების კლასიფიკაციის წარმომდგენი მეორე მეცნიერი მაჰამმად ელ ფარაბი იყო. მან ისტორიაში "მეორე მასწავლებლის" სახელი მოიხვეჭა.

მსოფლიოში პირველი გლობუსის დამზადება აბუ რეიჰან ალ-ბირუნის სახელს უკავშირდება. ბირუნიმ პირველმა წარმოადგინა აზრი დედამიწის მზის გარშემო ტრიალის შესახებ.

ალ-ბირუნი

თურქულ ხალხებს კუთვნილი ყველაზე მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროები V-X საუკუნეებში ქვებზე დაწერილი ორხონ-ენისეის ძეგლებია. ამ ძეგლების შესახებ პირველი მონაცემები XII საუკუნის ავტორის ალ-ადინ ათა მალიქის ნაწარმოებში გვხვდება. ჩრდილოეთის ომის დროს რუსებთან ტყვედ ჩავარდნილმა ფილიპ სტრალენბერგმა, ციმბირის ტობოლის პროვინციაში გადასახლებაში ყოფნისას ჩუვაშების, იაკუტებისა და თათრების საფლავებზე არსებული წარწერები გადაიწერა და შემდგომში ევროპაში წაიღო. თურქული ნაწერები პირველად დანიელმა მეცნიერმა ვილჰელმ ტომსელმა წაიკითხა. მის შემდეგ ეს ნაწერები რუსმა მეცნიერმა რადლოვმა და სხვებმა გამოიკვლიეს.

თქვენი აზრით, რატომ იყო თურქულ ნაწერთა ნიმუშები აღმოჩენილი რუსეთის ტერიტორიაზე?

ორხონ-ენისეის ძეგლთა უმრავლესობა 38 ასოსგან შემდგარი გოითურქული ანბანით იყო დაწერილი. ისინი მარჯვნიდან მარცხნივ და ზემოდან ქვევით იწერებოდა.

ორხონ ენისეის ძეგლი

VI საუკუნემდელ თურქებს თავისებური კალენდარი გააჩნდათ. დროს, მხოლოდ ბალახების ფერებით განსაზღვრავდნენ. VIII საუკუნეში თურქებმა "ცხოველური კალენდარი" მიიღეს. ამ კალენდრის მიხედვით ყოველი წელი სხვადასხვა ცხოველთა სახელებს (ძაღლი, ცხვარი, გველი და სხვ.) ატარებდა, რომელიც ყოველ თორმეტ წელიწადში მეორდებოდა. თურქები ამავდროულად "ცოცხალ ქრონოლოგიასაც" იყენებდნენ. მაგალითად "როცა ქულ ტიგინი 26 წლის იყო, ჩვენ ყირღიზებზე გავილაშქრეთ", ან "ქულ ტიგინი ამ ბრძოლაში 30 წლის იყო" და ა.შ.

შუა საუკუნეებში თურქი ხალხების კულტურის განვითარება ისლამის რელიგიისა და არაბული ენის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. ცენტრალური აზიის ქალაქები ურგენჯი, მერვი, ბუხარა და ხორეზმი თურქთა ძირითად სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდა. ქალაქ მერვში 10 დიდი ბიბლიოთეკა იყო.


ვილჰემ ტომსენი


ვასილი რადლოვი

ამჟამად, რომელი ქვეყნის ტერიტორიის შემადგენლობაში შედის ქალაქი მერვი?

ძველ თურქებს უცხო კულტურების მიმართ არა ერთნაირი შეხედულება გააჩნდათ. ბრძენი ტონიუკუკი, ისტორიკოსი და მწერალი იოლუგტაქინი, აგრეთვე სხვა გოითურქი განათლებულნი ერიდებოდნენ ჩინეთის კულტურული ზეგავლენის ქვეშ მოხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ ტონიუკუკი აღიარებდა ჩინეთში განათლების მიღებასა და თავის ჩინური კულტურის გავლენის ქვეშ ჩამოყალიბებას,

მაინც განათლება-კულტურის ამ წყაროს წინააღმდეგ გამოდიოდა. სხვა სიტყვებით, არა მარტო სახელმწიფოებს შორის, არამედ კულტურებს შორისაც კი ბრძოლებს ჰქონდა ადგილი.

თქვენი აზრით, რაში გამოიხატებოდა ძველ თურქ განათლებულთა ჩინური კულტურის გავლენის ქვეშ მოხვედრისაგან გაქცევა?

ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნეში ჩინეთში გამოგონილი ქაღალდის წარმოება, შემდგომში ადრე შუა საუკუნეებში, არაბთა საშუალებით ევროპაში იყო გავრცელებული. **VIII საუკუნეში პეკინში "დედაქალაქის ამბების" სახელწოდების ყოველდღიური გაზეთი გამოიცემოდა**. ამ გაზეთში იმპერატორის განკარგულებები და სხვა მნიშვნელოვანი ცნობები ქვეყნდებოდა. XI საუკუნეში "აკრეფის შრიფტის" დახმარებით საფუძველი ჩაეყარა წიგნის ბეჭდვას, მაგრამ იეროგლიფების სიმრავლის გამო, ამ მეთოდებმა სასარგებლო შედეგი ვერ გამოიღო. VII საუკუნეში ჩინეთში "მეცნიერთა პალატის" შექმნა, აქ მეცნიერული ცოდნის მაღალ დონეზე მეტყველებდა.

ჩინეთში გამოგონილ რომელ სიახლეებს იცნობთ?

ჩინეთში დაბეჭდილი ყველაზე ძველი გვერდი

ჩინეთში დიდ ყურადღებას აქცევდნენ განათლებას. მხოლოდ დედაქალაქში 8 სხვადასხვა სკოლა არსებობდა. ძირითად საგანმანათლებლო დაწესებულებად არა სახელმწიფო სკოლები, არამედ კერძო სკოლები ითვლებოდა. სამსახურებრივ საფეხურებზე ასვლისათვის საჭირო ხდებოდა რთული გამოცდების ჩაბარება. მას, ვისაც მოხელეობა სურდა, კარგად უნდა სცოდნოდა ისტორია და ფილოსოფია, ასევე უნდა ჰქონოდა ხატვისა და გალექსვის უნარი.

ჩინეთში განათლების სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად ვითარდებოდა მეცნიერებაც. ექიმები ამზადებდნენ წამლებს სხვადასხვა მცენარეებით და ატარებდნენ რთულ ქირურგიულ ოპერაციებს. აქ ჩინური მედიცინის დიდ წარმატებათაგანი ყვავილას მიმართ აცრის ჩატარება იყო.

გაანალიზეთ და შეაფასეთ ჩინეთის განათლებაში არსებული განვითარება როგორც მეცნიერული წარმატებების შედეგი.

წმინდა წიგნების ასლების გადაღება

დასავლეთ ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ადრე შუა საუკუნეების დასაწყისში ბიზანტიური კულტურა არ დაკნინებულა, პირიქით, უფრო განვითარებული აღმოჩნდა. ქვეყანაში ბევრი განათლებული ადამიანი იყო. საეკლესიო სკოლებთან ერთად, კერძო და სახელმწიფო სკოლებიც მოქმედებდა.

IX საუკუნეში, კონსტანტინოპოლში მოქმედი უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც ცნობილი მეცნიერი ლევ მათემატიკი მოღვაწეობდა, განთქმული იყო მთელ ევროპაში. ამ მეცნიერს, იმპერატორის სასახლეში წყლით მომუშავე ლიფტი ჰქონდა დამზადებული. VII საუკუნეში გამოგონილ "ბერძნულ ცეცხლს" საკმაოდ განემტკიცებინა ბიზანტიის არმია.

1045 წელს ევროპის კულტურის ისტორიაში ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას - გაიხსნა ბიზანტიის უნივერსიტეტი. ბიზანტიისაგან განსხვავებით დასავლეთ ევროპაში განათლებისა და მეცნიერების დონე არ იყო მაღალი. ქვეყანაში ძალიან ცოტა განათლებული იყო. ჭკვიანებად ძირითადად ეკლესიის მსახურნი ითვლებოდნენ, რადგან მათ წერა-კითხვა შეეძლოთ. კარლოს დიდის მიერ შექმნილი ფრანკთა იმპერიას ჭკვიანი მოხელეები და მოსამართლეები ესაჭიროებოდა. ამიტომაც იყო, რომ იმპერატორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა განათლებას, მეცნიერებასა და კულტურას. კარლოს დიდმა რელიგიის მსახურების მოსამზადებლად მონასტრებში გახსნა სკოლები. მან ქალაქ აეხენში შექმნა ლიტერატურული ასოციაცია - "სასახლის აკადემია".

მისი დავალებით ქალაქ აეხენში სასახლეები და ეკლესიები იყო აშენებული. ეკლესიასა და მონასტრებში წიგნების ასლებად გამრავლებას უზრუნველყოფდნენ. ტექსტები ხშირად ფრინველის ბუმბულით პერგამენტზე იწერებოდა. კარლოს დიდის პერიოდში ფრანკთა იმპერიაში მომხდარი სიახლეები ისტორიაში "კაროლინგის გამოფხიზლებად" მოიხსენიება.

რატომ იყო რომ, შუა საუკუნეებში ევროპაში ძირითადად რელიგიის მსახურები იყვნენ განათლებულნი?

ინდოელ მათემატიკოსებს შეეძლოთ წილადებზე მოქმედებების შესრულება, რიცხვის პროცენტის გამოთვლა, ფიგურის ფართობისა და სხეულის მოცულობის გამოანგარიშება. V-VI საუკუნეებში მცხოვრებმა ცნობილმა მეცნიერმა არიაბჰატამ π (პი) რიცხვი განსაზღვრა მაღალი მიახლოებით. ისინი გამოთქვამდნენ მოსაზრებებს დედამიწის საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვის შესახებ, დამუშავებული და გამზადებული ჰქონდათ თეორიები მზისა და მთვარის დაბნელების შესახებ. ინდოელი ასტრონომები ამბობდნენ, რომ დედამიწა ბირთვის ფორმისაა და მისი წრეწირის სიგრძე 48 ათას კმ-თან ახლოსაა. ინდოელებს ვარსკვლავების თანავარსკვლავედებად დაჯგუფებაც შეეძლოთ.

სასახლის აკადემიის მეთაურის ალკუინის (IX -საუკუნე) გრამატიკის სახელმძღვანელოდან

რა არის ასო?–ისტორიის გუშაგი.
რა არის სიტყვა? – სულის განდგომილება.
რას ჰგავს ადამიანი? – ღუმელს.
რა ჰქვია სიტყვას? – ენა.
რა არის ენა? – ჰაერიდან მოსული კატასტროფა.
რა არის სიცოცხლე? – ბედნიერი თათვის სახარული, ხოლო უბედურთათვის მწუხარება – ლოდინია სიკვდილისა.

შეავროვეთ დამატებითი ცნობები ინდოეთში მათემატიკისა და ასტრონომიის მეცნიერებების განვითარების შესახებ.

ინდოელი ექიმები ავადმყოფობას სხეულის სიცხის, პულსის ცემის, აგრეთვე კანისა და ენის ფერის მიხედვით განსაზღვრავდნენ. ისინი ხვდებოდნენ, რომ ავადმყოფის გამოჯანმრთელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სუფთა ჰაერი, მზის შუქი, ფიზიკური ვარჯიში და სწორი კვება. ექიმები რთულ ქირურგიულ ოპერაციებს ატარებდნენ. იმ პერიოდში 200-მდე ქირურგიული ხელსაწყო და უამრავი ტკივილგამაყუჩებელი წამლები გამოიყენებოდა.

დიდი ბაზრის მეჩეთი

ხელოვნება და არქიტექტურა. სახალიფოს ქვეყნებში ხელოვნების ყველაზე განსაკუთრებული სახეობა არქიტექტურა იყო. იმიტომ, რომ ისლამის გავრცელების თავდაპირველ პერიოდში ცოცხალი არსებების გამოსახულებების დახატვა აკრძალული იყო. ეს კი აფერხებდა მხატვრობისა და მოქანდაკეობის განვითარებას.

თურქებმა ისლამური რელიგიის მიღების შემდეგ, მეჩეთების, მინარეთების, მედრასებისა და ქარვასლების მშენებლობა დაიწყეს. ღაზნის სახელმწიფოს არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დიდი ბაზრის მეჩეთს ეკავა.

აზერბაიჯანში შუა საუკუნეებში აშენებული ისლამის კულტურას კუთვნილი ძეგლებიდან, რომლების ჩამოთვლას შეძლებთ?

ინდოელ ხალხსაც, ისევე როგორც ჩინელებს ძველთაგანვე თავიანთი შრომისმოყვარეობით დიდი პატივი ჰქონდათ მოპოვებული. ჭკვიანი ინდოელი ხელოსნები თიხით, ოქროთი და ვერცხლით თვალსაჩინო ჭურჭლებს ამზადებდნენ. სპილოს ძვლით და ხით დამზადებული ნივთები მეზობელ ქვეყნებშიც უმაღლეს შეფასებას ჰპოვებდა. დახვეწილი და ელეგანტური ქსოვილები ინდოელი მქსოველების ნიჭიერებაზე მეტყველებდნენ.

ბიზანტიის არქიტექტორულ ძეგლებს შორის ქრისტიანული ძეგლები უმრავლესობას წარმოადგენდა. ეკლესია თან მსოფლიოს მცირე მოდელად და თან ღმერთის სახლად ითვლებოდა.

ეკლესიები ბიბლიიდან მოყვანილი სიუჟეტებითა და ხატებით იყო შემკობილი. VI საუკუნეში ბიზანტიაში იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით "სოფიას" სამლოცველო იქნა აშენებული. ეს პოპულარული ძეგლი 10 ათასი ადამიანის 5 წლიანი მუშაობის შედეგად იქნა დასრულებული. მას "სასწაულთა სასწაულს" უწოდებდნენ.

ამ პერიოდში, როგორც ბიზანტიაში, ასევე დასავლეთ ევროპაში "წმინდათა ცხოვრების" შესახებ უამრავი ნაწარმოები იყო გავრცელებული. ამ ნაწარმოებების ძირითადი იდეა სარწმუნოება და შეწყალება იყო.

წმინდა სოფიას ტაძარი



აახენის ეკლესია

ადრეულ შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში აშენებულ არქიტექტორულ ღირსშესანიშნაობებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი კარლოს დიდის იმპერიის დედაქალაქ აეჰანში მდებარე მთავარ ეკლესიას ეკავა.

მიტოვებული წყალსაცავი

წყალსაცავის აშენება, იმპერატორ კონსტანტინე I-ის ხელისუფლების პერიოდში (306–337 წლები) დაიწყო და იმპერატორ იუსტინიანე I-ის ხელისუფლების პერიოდში, 532 წელს იქნა დასრულებული.

აქ გვალვისა და ალყის შემთხვევისათვის ქალაქის წყლის რეზერვი ინახებოდა. ამ წყალსაცავში წყალი ქალაქიდან 20 კმ. ჩრდილოეთით მდებარე ტყეში არსებული წყაროებიდან, წყლის მილის საშუალებით მიეწოდებოდა.

წყალსაცავით XVI საუკუნიდან სარგებლობდნენ. სასახლის ბაღის სარწყავად წყალი აქედან მიეწოდებოდა. თუმცა გინაიდან მუსლიმანი თურქები გამდინარე წყლებს ანიჭებდნენ უპირატესობას, წყალსაცავი გამოუყენებელი დარჩა და მოუვლელობისაგან თანდათან დაიავსწყეს.

კითხვები და დავალებები

1. *რას ნიშნავს "კაროლინგის გამოფხიზლება"? რა არის მისი ისტორიული მნიშვნელობა?*
2. *შეაფასეთ ორხონ-ენისეის ძეგლთა მნიშვნელობა თურქი ხალხებისათვის.*
3. *გამოთქვით თქვენი აზრი გამოთქმა "ძველი დამწერლობის სახეობები თანამედროვე ანბანების საფუძველია"-ს შესახებ.*
4. *რა კვალი დატოვა შეცნიერებისა და განათლების განვითარებამ ადამიანთა ცხოვრებისეულ წესებზე? რა სახის ფუნდამენტალურ საყრდენს წარმოადგენს ეს კვალი თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში? შეაფასეთ.*

კლასიკური შუა საუკუნეები

შუა საუკუნეების XI-XV საუკუნეების მომცველ მეორე ეტაპს ხშირად კლასიკურ შუა საუკუნეებს უწოდებენ. ყოველივე ეს კი, იმ პერიოდის საზოგადოებაში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებთან და ფეოდალური წესების განმტკიცებასთან იყო დაკავშირებული. ამ პერიოდში დაიშალა მსოფლიოს ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე ბიზანტიის იმპერია. აზიაში შეიქმნა ახალი და ძლიერი – სელჩუკთა, დიდ მონღოლთა, ოსმალების, თეიმურთა და სხვათა იმპერიები.

კლასიკურ შუა საუკუნეებში ევროპაში აყვავდა ძველი ქალაქები. ასევე იქმნებოდა ახალი ქალაქებიც. ქალაქებსა და სოფლებს, ასევე პროვინციებსა და ქვეყნებს შორის იზრდებოდა ქონებრივი გაცვლა, ხოლო ნატურალური მეურნეობა თანდათან იშლებოდა. ქალაქების გამრავლებამ და ვაჭრობის განვითარებამ ხელი შეუწყო ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. შეიქმნა სახელმწიფოები საფრანგეთსა და ინგლისში. გაძლიერდა მეფის ხელისუფლება. ფეოდალური არეულობის პერიოდში, ევროპაში შემცირდა ერთადერთი ორგანიზებული ძალის მქონე ეკლესიის გავლენა სახელმწიფო საქმეებზე. ქალაქების მომატებამ და ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებამ ბიძგი მისცა კულტურის აყვავებას.

კონსტანტინოპოლის დაპყრობა. 1453 წელი

14 სელჩუკთა სასულთნო და ოსმალეთის იმპერია

საკვანძო სიტყვები

- "აღმოსავლეთისა და დასავლეთის მმართველი"
- უჯები
- "ანკარის კატასტროფა"
- "კანუნნამე"

მიუხედავად იმისა, რომ არაბთა ხალიფატის დაშლის შემდეგ ბიზანტიამ და დასავლეთ ევროპამ აყვავება დაიწყო, მათმა სიხარულმა დიდ ხანს ვერ გასტანა. იმიტომ, რომ აღმოსავლეთიდან ევროპისაკენ დაიწყო ახალი ლაშქრობები.

"აღმოსავლეთისა და დასავლეთის მმართველი". X საუკუნის მეორე ნახევარში, თურქთა ქვეყანაში კინიკის მეთაური სელჩუკ ბეგის მხრიდან შექმნილი იქნა ოღუზელთა ტომების კავშირი. ამ კავშირის წარმომადგენლები ისტორიაში თურქ-სელჩუკთა სახელწოდებით შევიდნენ. ისლამის რელიგიის მიღებამ, თურქთა ქვეყანაში მათი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა.

სელჩუკთა იმპერიის გერბი

რატომ იყო, რომ სელჩუკთა მიერ ისლამის მიღებამ გაზარდა მათი ავტორიტეტი თურქთა ქვეყანაში?

სელჩუკ ბეგის სიკვდილის შემდეგ ღაზნელთა მმართველებმა დაიწყეს სელჩუკთა შევიწროება. სელჩუკთა მიერ, ასეთ დროს სელჩუკ ბეგის შვილიშვილის, თოღრულის გარშემო შეკრებით შექმნილმა ძლიერმა არმიამ ღაზნელთა ვეზირი აიძულა შემდგომი სიტყვები ეღიარებინა: "დღევანდელ დღემდე ჩვენ მწყემსებთან ვიყავით დაპირისპირებულნი, ახლა ჩვენ ძნელი გამოცდები გველის, იმიტომ რომ უკვე დამპყრობლების პირისპირ ვდგევართ".

გამოთქვით თქვენი აზრი ვაზირის სიტყვების შესახებ.



სელჩუკთა იმპერია

დედაქალაქები



ნიშაპური
(1038–1043)

რეი
(1043–1073)

ისფაჰანი
(1073–1157)

1038 წელს სელჩუკებმა შეუტიეს და დაიკავეს ხოროსანი, რომლითაც საფუძველი ჩაუყარეს იმპერიას. ამასთან შეუთანხმებელი ღაზნელი მეთაური მასუდი, 1040 წელს მარვის მიმართულებით დაიძრა. თოღრულ ბეგმა გაასწრო თავის კონკურენტს და ხელთ იგდო ქალაქი მარვი. ამით ღაზნელებს ქალაქში არსებული დიდი სურსათის რეზერვები და წყალ კანალები გამოაცალეს. შექმნილმა მდგომარეობამ სულთან მასუდი აიძულა უკან, დანდანაქანის ციხე-სიმაგრისაკენ დაეხია. სულთან მასუდი მისთვის მოულოდნელ მახეში მოხვდა და განადგურებული იქნა სელჩუკთა მიერ. ამის შემდეგ თოღრულ ბეგმა სულთნის ტიტული მიიღო.

წლების შემდეგ სულთან თოღრულ I-ის წარმატებები ბაღდადის ხალიფას მხრიდანაც იქნა აღიარებული. 1055 წელს თოღრულ I წელზე პირადად ორი ხმლის შემომრტყმელმა ხალიფამ იგი "აღმოსავლეთისა და დასავლეთის მმართველად" გამოაცხადა. ამ დროიდან ისლამის სამყაროში პოლიტიკური ხელისუფლება არაბული დინასტიიდან ოღუზთა თურქების ხელში გადავიდა.

განმარტეთ სულთან თოღრულის, ხალიფას მხრიდან აღიარების მნიშვნელობა სელჩუკთა სახელმწიფოსათვის.

იმპერიის აყვავება და დაშლა. აღმოსავლეთში გაძლიერებულმა სელჩუკებმა დაიწყეს მზადება ბიზანტიასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის, კავკასიისა და ანადოლუს ხელში ჩასაგდებად. სულთან ალპ არსლანისა და იმპერატორ რომან დიოგენის არმიები 1071 წელს მალაზგირდთან ახლოს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმების მეთაურის ალპ არსლანის მიერ ბიზანტიელების მარჯვენა მხარზე განხორციელებულმა დარტყმამ ისინი შეარყია. შექმნილი მდგომარეობის შეფასების უნარს მოკლებულმა იმპერატორმა თავისი სარეზერვო ძალები ამ მიმართულებით გააგზავნა. ამ დროს სელჩუკებმა განზრახ უკან დახევა დაიწყეს. მოწინააღმდეგე არმიის ძირითადი ძალები აყვნენ მათ და ჩასაფრებულ მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსანთა დარტყმებს წააწყდნენ. ამ მომენტში რომან დიეგოს არმიაში მყოფი ოღუზები და პეჩენეგები სულთანის მხარეს გადავიდნენ. ბიზანტიის არა მარტო სელჩუკების, არამედ მთლიანი თურქების მტრად ყოფნის მიმხვედრი და მოვლენების ასეთი დინების მნახველი დიეგოს სომეხი "მოკავშირეები" ბრძოლის მოედნიდან გაიქცნენ.

ალპ არსლანი

ამბავი "ქითაბი დედე გორგუდი"ს რომელმა იდეამ ჰპოვა თავისი ასახვა მალაზგირდის ბრძოლის ამ ეპიზოდში?

ალპ არსლანი დატყვევებულ რომან დიეგოს მოეპყრო სამართლიანად და მხარეებს შორის ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ანადოლუს დიდი ნაწილი სელჩუკთა ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა.სულთან მალიქშაჰ I-ის პერიოდში დასრულდა ახალი მიწების დაპყრობა. სასულთნოს მიერთებული იქნა სირია და პალესტინა.

იმპერიის სამართავად ხელისუფლების განვითარებული სისტემა იყო საჭირო. მისი ჩამოყალიბება თოღრულ I-ის დროს დაიწყო და მალიქშაჰ I-ის დროს დასრულდა. არაბთა სახალიფოსა და ღაზნელთა სახელმწიფოს გამოცდილების საფუძველზე შექმნილი ეს სისტემა, მმართველობის სხვადასხვა სფეროებით დაკავებული დივანებისგან შედგებოდა. პროვინციებში წარმომადგენლის (ჯანიშების) თანამდებობაზე პირები მმართველი ან ადგილობრივი დინასტიიდან ინიშნებოდნენ. ცენტრალურ ხელისუფლებასა და მათ შორის მხოლოდ ვასალური ურთიერთობები არსებობდა.

მალიქშაჰ I-მა ფულადი, სავაჭრო და სამხედრო რეფორმები გაატარა. სამხედრო რეფორმის მნიშვნელობა "ყოველი ტომიდან ერთი რაზმი"ს პრინციპის "ყოველი მფლობელიდან ერთი რაზმის" პრინციპით ჩანაცვლებაში გამოიხატებოდა. ამრიგად, ტომის პრინციპზე დაფუძნებული არარეგულარული ჯარი რეგულარულ არმიაზე გადავიდა.

სელჩუკთა არმიის ჯარისკაცები

რომელი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას უკავშირდებოდა მალიქშაჰის სამხედრო რეფორმა?

სელჩუკთა იმპერიის საზღვრების დამცველ მებრძოლებს **უჯად** წოდებული მიწის პირობითი საკუთრება ეძლეოდათ. ამის შესაბამისად, XI-XII საუკუნეებში თურქ მესაზღვრეებს უკვე უჯს უწოდებდნენ.

მალიქშაჰ I-მა ვერ შეძლო სახელმწიფოს ცენტრალიზაციის ბოლომდე მიყვანა. მისი სიკვდილის შემდეგ დაწყებულმა პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ (1096-1099) სასულთნოს დარტყმა მიაყენა. მალიქშაჰის მემკვიდრეები მთელი ძალით შეეცადნენ იმპერიის ერთობის შენარჩუნებას, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს ისტორიის დინების შეცვლა. 1157 წელს დიდი სასულთნო დაიშალა. გავიდა წლები და მისი ნანგრევებზე ახალი თურქული იმპერია შეიქმნა.

ახალი თურქული სახელმწიფოს შექმნა. ჩინგიზ ხანის თურქთა ქვეყანაზე პირველი ლაშქრობისაგან გადარჩენის მსურველმა ოღუზებმა თავშესაფარი ანადოლუში ჰპოვეს. მრავალწლიანმა სიღატაკემ და დევნამ გაზარდა მათი საბრძოლო სულისკვეთება. XIII საუკუნის დასასრულს, ოღუზებმა განამტკიცეს თავიანთი ხელისუფლება ანადოლუში. **1299 წელს კაის ტომის ბეგლადმა ოსმან ბეგმა დარტყმა მიაყენა კონიის სასულთნოს და საფუძველი ჩაუყარა ოსმალეთის სახელმწიფოს**. ხელისუფლების ხელში ჩამგდებმა ოსმან ბეგმა მაშინვე დაიწყო ბიზანტიური მიწების დაპყრობა. 12 წლიანი ალყის შემდეგ მან დაიპყრო ქალაქი ბურსა. მისი მემკვიდრე ორხან გაზის პერიოდში ეს ქალაქი ოსმალეთის დედაქალაქი გახდა. აქ პირველი ოსმალური მონეტები მოიჭრა. ქალაქი იზმითი კი ოსმალური ფლოტის პირველ აკვანს წარმოადგენდა. ორხან გაზის ყველაზე დიდ წარმატება კი ბიზანტიელების ანადოლუდან გაძევება იყო. 1354 წელს ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს ბალკანებზე შეტევისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე გელიბოლუს ციხესიმაგრე.

რომელი სახელმწიფოს გამოცდილება გახდა სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი? შეაფასეთ ამ გამოცდილების როლი ოსმალეთის სახელმწიფოს შექმნაში.

ოსმალების დინასტიიდან სულთანის ტიტულის პირველად მიმღები მმართველი მურად I იყო. მან 1361 წელს ხელში ჩაიგდო ედირნე, რომელიც ერთი წლის შემდეგ დედაქალაქად გამოაცხადა. მცირე დროში განმტკიცდა სასულთნო, რომელმაც მისადმი დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენა ბიზანტია, ბულგარეთი და სერბეთი.

1389 წელს შედგა კოსოვოს ბრძოლა ოსმალებსა და სერბებს შორის. ბრძოლის დროს მურად I ერთ-ერთი სერბი მთავრის მიერ მუხანათურად იქნა მოკლული. მაგრამ ოსმალები არ შედრკნენ. კატეგორიულობა გამოიჩინა მურად I-ის შვილმა ბაიაზიდმა, რომელმაც შეძლო ხელში ჩაეგდო სასულთნოს მართვის სადავეები, ასევე გამკლავებოდა ომის მსვლელობას. მან მაშინვე სულთნად გამოაცხადა თავი და გაანადგურა მტერი. ამ ბრძოლის შემდეგ სერბეთი ოსმალეთის სახელმწიფოზე იქნა მიერთებული. ილდირიმ ბაიაზიდის ყველაზე დიდი წარმატება 1396 წელს შემდგარი ნიკბოლის ბრძოლა იყო. ამ ბრძოლაში განადგურებული იქნა უნგრელი, ჩეხი, პოლონელი, ფრანგი და სხვა რაინდთაგან შემდგარი არმია. ამ ბრძოლით დასრულებული იქნა ბულგარეთის დაპყრობა.

ოსმალეთის იმპერიის დროშა,
1453–1844

რა მნიშვნელობა ჰქონდა ბულგარეთის დაპყრობა ოსმალეთის სახელმწიფოსათვის?

მურად I-ის მკვლელობა კოსოვოს ბრძოლის დროს

განსაზღვრეთ ილუსტრაციაში ასახული შესაბამისობა ისტორიულ სინამდვილესთან.



ოსმალეთის სახელმწიფო XIII–XV საუკუნეებში

კონსტანტინოპოლის დაშლა. მეჰმეთ II. ოსმალეთის ყოველი გამარჯვება პანიკას იწვევდა მთელ მსოფლიოში. კათოლიკურმა ევროპამ მტრის თავდასხმების წინაშე უძლურად აღმოჩენილი და განადგურებული ბიზანტიის თხოვნებს ყურადღება არ მიაქცია. მხოლოდ 1402 წლის "ანკარის კატასტროფის" შესახებ გავრცელებულმა ამბავმა, ბიზანტიელებს გადარჩენის იმედი მისცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენამ კონსტანტინოპოლის დაშლა 50 წელზე დიდი ხნით დააგვიანა, ამის თავიდან აცილება მაინც შეუძლებელი გახდა. ძალების აღდგენის შემდეგ ოსმალებმა განაგრძეს შეტევები "მეორე რომად" წოდებულ კონსტანტინოპოლზე.

დედაქალაქები

სოღუთი (1299–1329)	**ედირნე** (1362–1453)
ბურსა (1329–1362)	**სტამბოლი** (1453–1922)

1453 წლის 29 მაისს ორთვიანი ალყის შემდეგ, მეჰმეთ II–ის ჯარები კონსტანტინოპოლში შევიდნენ. ბიზანტიის იმპერია დაიშალა. სოფიის ეკლესიაში შესულმა მეჰმეთ II-მ აქვე შეასრულა ლოცვა. ამ დღიდან ოსმალეთის სასულთნო მსოფლიოს დიდ სახელმწიფოდ გადაიქცა, ხოლო კონსტანტინოპოლს სტამბოლი დაერქვა და მისი დედაქალაქი გახდა. ასეთი იყო მუჰამმად ფეიღამბერის წინასწარმეტყველება, რომ მუსლიმანები "კონსტანტინიას (კონსტანტინოპოლს) დაიპყრობენ. ასეთ წარმატებას მიმღწევი მმართველი და მისი არმია პატივში გაეხვევიან".

რა სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებდა კონსტანტინოპოლი (სტამბოლი) ოსმალეთის სახელმწიფოსათვის?

ფათიჰის მეტსახელის მომხვეჭი მეჰმეთ II, წესით შეიძლებოდა კანონმდებლადაც მოხსენიებულიყო. იმიტომ რომ, 1476 წელს მან "კანუნნამე"დ წოდებული კანონთა კრებული შექმნა. ამ კრებულით სახელმწიფო მოხელეთა მოვალეობები, მიწის საკუთრების წესები, სასამართლოთა უფლებამოსილებები და ყველა რელიგიური საზოგადოებების

უფლება-მოვალეობები იყო განსაზღვრული. მეჰმეთ II-ის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა ამ დიდი იმპერიის შემდგომი მმართველებისათვის მაგალითს წარმოადგენდა.

მეჰმეთ II

უზუნ ჰასანი

სულთან მეჰმეთ II-ის მიერ, თეთრბატკნიანთა მოკავშირის, ტრაბიზონის იმპერიის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის საპასუხოდ უზუნ ჰასანმა თავისი ელჩი თანამშრომლობის წინადადებით ვენეციაში გაგზავნა. უზუნ ჰასანის ამ მოლაპარაკებაში ძირითადი იარაღი ემირ თემურის გამარჯვების გამოყენებით ოსმალეთის სახელმწიფოს დაშლის შესახებ შეხება იყო. ვენეცია კი თავის მხრივ, აღიარებდა უზუნ ჰასანის მიერ მცირე აზიაში ხელში ჩაგდებული ტერიტორიების შენარჩუნების უფლებას. უზუნ ჰასანს ასევე სურდა მუსლიმანების ერთადერთი მმართველი გამხდარიყო. ეს კი, სულთან მეჰმეთ II-ის მუსლიმანთა საქმეთა სამსახურის ლიდერობის პრეტენზიის პასუხს წარმოადგენდა. უზუნ ჰასანის ეს პრეტენზია მეჰმეთ II-ს არც თუ ისე აწუხებდა. მას უფრო უზუნ ჰასანის მეხსიერებაში ემირ თემურის სულის გაცოცხლება აშინებდა.

კეროლაინ ფინკელი
წიგნიდან "ოსმალეთის იმპერიის ისტორია"

შეაფასეთ ისტორიული პოზიციიდან ოსმალეთის იმპერიასა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს შორის არსებული დაპირისპირება.



ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მმართველობა

კითხვები და დავალებები

1. *გაანალიზეთ მალაზგირდის ბრძოლის მსვლელობა და დაადგინეთ მისი კავშირი ძველი თურქების "თურანის ტაქტიკასთან".*
2. *განიხილეთ თემა "დიდი სელჩუკთა სასულთნო და მისი გავლენა ისტორიის მსვლელობაზე". გამოიყენეთ აზერბაიჯანის ისტორიის კურსიდან შეძენილი ცოდნა.*
3. *გაანალიზეთ ფეოდალური იმპერიების დაშლის მიზეზები.*
4. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი ტექსტში მოცემული მოვლენების შესახებ.*
5. *აზერბაიჯანის ისტორიის კურსის საფუძველზე ჩამოთვალეთ ომების მიზეზები ოსმალეთის იმპერიისა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს შორის. განსაზღვრეთ ვენეციის პოლიტიკის როლი ამ ომებში.*

15 დიდი მონღოლეთის იმპერია. ოქროს ურდო

საკვანძო სიტყვები

- "ღმერთის მიერ მოვლენილი ხანი"
- "დიდი იასა"
- ულუსი
- მონღოლთა გათურქება
- ბრძოლა მდინარე თერგის სანაპიროზე

ძველი ნათქვამია: "სამყაროს შექმნის შემდეგ, ღმერთის ძალით ამ ქვეყნად მოვიდა ცის, მგლისა და თეთრი ირემის შვილი. ეს ბავშვი მონღოლების წინაპარი გახდა". ძველი 24 წინაპარი თაობის შემდეგ ერთი ვაჟიშვილი დაიბადა. სახელად თემუჩინი დაარქვეს. ის და მისი მეომრები ისტორიაში შევიდნენ, როგორც შუა საუკუნეების დიდი იმპერიების ჩამოყალიბებლები.

მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მონღოლთა ველები ტომთაშორისი სისხლიანი შეჯახებების მოედნად იყო გადაქცეული. ეს ბრძოლა ხელისუფლებისათვის მიმდინარეობდა. თემუჩინიც ხელისუფლებისაკენ მიილტვოდა. ამ გზაზე მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, ასევე იწვნია მარცხის სიმწარეც.

1206 წელს მდინარე ონონის ხეობაში მოწვეულმა ყრილობამ, თემუჩინი დიდ ხანად გამოაცხადა და მას, "ღმერთის მიერ მოვლენილი ხანის" მნიშვნელობის მატარებელი, ჩინგიზ ხანის სახელწოდება მიანიჭა. ყველამ დადო ფიცი "დიდი იასა"დ წოდებული კანონთა კრებულის შესრულების თაობაზე. კრებულში იარლიკები(ბრძანებები), აკრძალვები (კანონები) და ცოდნანი (ჩინგიზ ხანის რჩევები) შედიოდა.

ჩინგიზ ხანი (თემუჩინი)

რომელ მოვლენასთან იყო დაკავშირებული თემუჩინისათვის ჩინგიზ ხანის დარქმევა?

"დიდი იასა"ს გარკვეული დებულებები, სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის შექმნას უკავშირდებოდა. ეს სისტემა დაპყრობითი ომების პირობებში, მოკლე დროში არმიის სალაშქროდ მობილიზებას უზრუნველყოფდა და ჰუნთა მიერ გამოყენებულ ჩვეულებრივ "ათობით სისტემას" წარმოადგენდა.

რა იყო ჩინგიზ ხანის სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმების ძირითადი მიზანი?

ჩინგიზ ხანმა უარი თქვა არმიის ტომის პრინციპის მიხედვით ჩამოყალიბებაზე. სამაგიეროდ, მან ისარგებლა ტომთა სხვადასხვაობის პრინციპით. ახლა დაიწყო დიდი ადმინისტრაციული ერთეულების ან კიდევ მონღოლური არმიის ნაწილების შეკრება სხვადასხვა ტომთა წარმომადგენელთაგან. ამ ნაბიჯით ჩინგიზ ხანმა გატეხა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტომთა კავშირები. ტომები ტერიტორიული ერთობით იქნა ჩანაცვლებული. ამან, როგორც ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მნიშვნელოვანმა ფაქტორმა, საფუძველი დაუდო მონღოლ ხალხს.

"დაცვის თვინებურად მიმტოვებლის სიკვდილით დასჯა"

"...არავინ არ უნდა მიატოვოს მიმაგრებული ათასეულები, ასეულები და ათეულები და არ უნდა მიიმალოს სხვაგან. ის ადამიანი არავინ არ უნდა დაიმალოს. თუ ვინმე ამ ბრძანებას დაარღვევს, დატოვებს თავის პოზიციას და გაიქცევა, საჭიროა ამ ადამიანის სიკვდილით დასჯა ხალხის წინაშე, ხოლო მისი შეიფარებელის შებორკვა და დასჯა".

"დიდი იასა"

მონღოლურ საზოგადოებაში არსებულ, რომელ სოციალ-ეკონომიკურ პროცესს განმარტავს "დიდი იასა"?

რას ისახავდა მიზნად ჩინგიზ ხანი ტომური პრინციპის ჩანაცვლებით ტომთა სხვადასხვაობის პრინციპით?



მონღოლური დაპყრობები XIII საუკუნეში

მოკლე დროში აღმოსავლეთ თურქისტანმა და სამხრეთ ციმბირის თურქებმა ცნეს ჩინგიზ ხანის ხელისუფლება და ამ მოვლენამ კიდევ უფრო განამტკიცა მისი არმია. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს თურქ-მონღოლთა იმპერიად ჩამოყალიბებისათვის. საჭირო იყო ამ უზარმაზარი ძალის სასარგებლო გამოყენება.

მონღოლების ციხე-სიმაგრის ალყაში აღება
სურათი რაშიდედდინის ნაწარმოებიდან "ჯამე-ათ-თავარიხ"

ჩინგიზ ხანის რეფორმები. ჩინგიზ ხანის სახელმწიფოს სამხრეთით დიდი და მდიდარი ჩინეთი მდებარეობდა. დინასტიებს შორის არსებული მტრობა შლიდა ამ ქვეყანას. ჩინგიზ ხანმა საფუძვლიანად დაიწყო სამზადისი ჩინეთის დასაპყრობად: შეისწავლა ქვეყნის რელიეფი, აგრეთვე ჯარებისა და ციტადელების მდებარეობა. 1211 წელს ჩინგიზ ხანი შეიჭრა ჩრდილოეთ ჩინეთში, სადაც ჯურჩენის დამპყრობთა მიერ შექმნილი ძინის იმპერია მდებარეობდა. იმპერიას შეეძლო მონღოლების წინააღმდეგ ერთ მილიონიანი არმია გამოეყვანა, მაგრამ ჩინგიზ ხანმა ეს წინასწარ გაითვალისწინა და ჯურჩენების ხელისუფლების ქვეშ დარჩენილი, ამ ქვეყნის ყოფილი მეთაურებისა და კიდანის ტომების აჯანყება მოაწყო. ომი 4 წელს გაგრძელდა და 1215 წელს ჯუნდიის (ამჟამინდელი პეკინი) ხელში ჩაგდებით დამთავრდა. ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობა მონღოლებისათვის არა მარტო მატერიალურ ინტერესს წარმოადგენდა, არამედ ისინი გაეცნენ ჩინეთის სახელმწიფოებრივ წყობას, რამაც თავის მხრივ გააძლიერა ჩინგიზ ხანის ხელისუფლება.

“ბოლომდე მებრძოლი”



სამარყანდისა და ბუხარის დაშლის შემდეგ განსვენებული ხვარაზმშაჰის შვილმა და მემკვიდრემ ჯალალედინმა ხელმძღვანელობა დაუწყო ბრძოლას მონღოლების წინააღმდეგ. მისმა წარმატებებმა ჩინგიზ ხანი აიძულა პირადად გამოსულიყო დაუმორჩილებელის წინააღმდეგ. მათ შორის გადამწყვეტი ბრძოლა შედგა მდინარე ინდის სანაპიროზე. განადგურებული იქნა ხვარაზმშაჰის არმია. ტყვედ არ ჩაგვარდნის მიზნით ჯალალადინი იძულებული გახდა ცხენით მდინარეში გადამხტარიყო. მან გადაცურა მდინარე და გადარჩა, ამის შემდეგ კიდევ ათი წელი გაწარმძობდა ბრძოლას.

ლეგენდის მიხედვით, ჩინგიზ ხანმა თავის ჯარისკაცებს აუკრძალა ჯალალედინის კვალში ჩადგომა. მტრის მიერ მდინარიდან გადასვლის შემყურე დიდმა ხანმა შვილებს ასე უთხრა: “უყურეთ, მამის შვილი ასე უნდა იყოს. თუ ასეთი ომიდან ცოცხლად გავიდა და უფსკრულს გადაურჩა, მისგან უფრო დიდი მოქმედებები და შრომალი არეულობებია მოსალოდნელი”.

ფაზლულლაჰ რაშიდადდინის
“ჯამე-ეთ-თავარიხ” ნაწარმოებებიდან

როგორ გესმით ჩინგიზ ხანის სიტყვები? გაამართლა თუ არა ის ისტორიამ?

ჩინგიზ ხანის წარმატებები აწუხებდა ხვარაზმშაჰ ელედდინ მაჰამმადის. მმართველები ერთმანეთს ელჩებს უგზავნიდნენ. ჩინგიზ ხანის ელჩმა ხვარაზმშაჰისათვის საჩუქრების მირთმევის შემდეგ, მას თავისი მმართველის სიტყვები გადასცა: “მე მინდა მშვიდობიანი ცხოვრება შენთან. შენ ჩემთვის ყოველთვის ჩემი საყვარელი შვილივით იქნები”. ამ ბოლო სიტყვებმა ალაედდინის განრისხება გამოიწვია: მოკლული იქნა ელჩი, რომლის თავიც მონღოლთა საზღვრებზე იქნა გადასროლილი. ეს მოვლენა ჩინგიზ ხანისათვის ომის დაწყების მიზეზი გახდა. 1219-1221 წლებში მონღოლთა არმიამ ხელში ჩაიგდო ხვარაზმი, რომლის მეთაურმა მთელი თავისი სიცოცხლე კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გაატარა.

რატომ გახდა ჩინგიზ ხანის სიტყვები ხვარაზმშაჰის გაბრაზების მიზეზი?

თქვენი აზრით, ვინ იყო ამ ომის ინიციატორი?

მონღოლი მხედართმთავრები ჯაბა და სუბუტაი, ხვარაზმშაჰის არმიის ნარჩენების კვალდაკვალ კავკასიაში შეიჭრნენ. 1223 წელს შედგა ბრძოლა მდინარე კალკასთან ახლოს: განადგურებული იქნა რუს-ყივჩაყთა ჯარი. ეს ამბავი მსოფლიოს სწრაფად მოედო. კონსტანტინოპოლში დაიწყო პანიკა. ბიზანტიელებს მოეჩვენათ, თითქოს ალპ არსლანისა და მალიქშაჰის ჩრდილები იმპერიას უბრალოდ წაწყდნენ. მაგრამ ეს სადაზვერვო შეტევა იყო და მონღოლები მალე უკან დაბრუნდნენ.

თავისი სიცოცხლის ბოლოსათვის ჩინგიზ ხანს ანდერძი ჰქონდა შედგენილი. ამ საბუთის მიხედვით მისი იმპერია შვილებს შორის ულუსებად უნდა დაყოფილიყო. ამ ნაბიჯით ის, შვილებს შორის მოსალოდნელი მტრობისა და შექმნილი სახელმწიფოს დაშლის საფრთხის თავიდან აცილებას ცდილობდა. მაგრამ ეს ნაბიჯი მოხუცი ხანის სიცოცხლეში პირველი და უკანასკნელი შეცდომა გახდა. XIV საუკუნის დასაწყისში დიდი სახაკანო დაიშალა.

ოქროს ურდოს შექმნა. ჩინგიზ ხანის ანდერძის მიხედვით მისი შვილიშვილის - ჯუჩის შვილი ბათო იმპერიის “დასავლეთ ტერიტორიებს, მათ შორის ხვარაზმს, ყივჩაყის ველსა და მზის ჩასვლის ქვეყნებში” მომავალში დასაპყრობ მიწებს უნდა დაუფლებოდა. 1235 წელს იმპერიის დედაქალაქ ყარაყორუმში მოწვეულ ყრილობაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ლაშქრობის დაწყების შესახებ “ბოლო ზღვაზე” მიწვდომის მიზნით.

რა ფულისხმობა გამონათქვამში “ბოლო ზღვა”?

ბათო ყაენის მეთაურობით განხორციელებული ამ ლაშქრობის შედეგად, დაპყრობილი იქნა იდილის (ვოლგის) ბულგარეთი. რუსმა სამთავროებმა კი აღიარეს თავიანთი ვასალური დამოკიდებულება. ამის

ჩინგიზ ხანი თანამედროვეების თვალით

“ჩინგიზ ხანი ომში მოქნილი და ოსტატობის მქონე, მსოფლიო ვაჭრობის ფასეულობების, საერო სამართლისა და საერთაშორისო კანონმდებლობის ერთგული, თანამედროვე ადამიანი ყოფილა.

...მონღოლთა ჯარებმა დაშალეს ერთი ცივილიზაციის მეორისაგან გამომყოფი კედლები და ცივილიზაციების განადგურებით მოსპეს თავიანთ ვარშემო ცივილიზაციების უნიკალურობა”.

აშშ-ელი მეცნიერი ჯეკ უეზერფორდი

ბრძოლა ლეგნიცთან ახლოს

შემდეგ ბათო ყაენის არმიამ ქარიშხალივით გადაუქროლა უნგრეთსა და პოლონეთს და ადრიატიკის ზღვას მიაღწია. 1241 წელს ლეგნიცთან ახლოს შემდგარ ბრძოლაში მონღოლებმა გაანადგურეს პოლონეთის ჯარები და შეუჩერებლად, მოჰაჩთან ახლოს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს უნგრელებს. მაგრამ დიდი მონღოლთა იმპერიის მეთაურის სიკვდილის ამბავმა და ახალი მეთაურის არჩევაში მონაწილეობის აუცილებლობამ ბათო ყაენი აიძულა შეეწყვიტა ლაშქრობა. მალე მან საფუძველი ჩაუყარა მდინარე იდილის სანაპიროებზე ახალი სახელმწიფოს - ოქროს ურდოს სახელმწიფოს შექმნას.

მოსულმა მონღოლებმა აითვისეს მათი დაქვემდებარებაში მყოფი ბულგარების, ყივჩაყებისა და ხვარაზმელთა ენა, აგრეთვე კულტურა. XIV საუკუნის პირველ ნახევარში უზბეკ ხანის ხელისუფლების პერიოდში ისლამის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებით ოქროს ურდოში დასრულდა გათურქების პროცესი.

რატომ იყო, რომ მონღოლმა დამპყრობლებმა, მათ მიერ დამარცხებულ ხალხებს თავიანთ რელიგიაზე არაფერი მოუთხრო, მაგრამ მათი რელიგია მიიღო?

ოქროს ურდოს სახელმწიფო მმართველობის სისტემა თავის თავში როგორც ჩინგიზ ხანის ანდერძებს, ისე მუსლიმანურ პოლიტიკური კულტურის ჩვეულებებს აერთიანებდა. მაგალითად, სასამართლო და სამოქალაქო საქმეები სახელმწიფოში განიხილებოდა როგორც რელიგიური წესების, ასევე “დიდი იასა”ს საფუძველზე.



რატომ იყო, რომ ასახვა ჰპოვა მუსლიმანურმა წეს-ჩვეულებებმა ოქროს ურდოს სახელმწიფო მმართველობაში?

დიდი იმპერიის დაშლა. 1359 წელს დასრულდა ჯუჩის დინასტიის ხანების მმართველობა და ხელისუფლება ჩინგიზ ხანის სხვა მემკვიდრეებზე გადავიდა. ამ პერიოდიდან დაიწყო ოქროს ურდოს დაშლა. ამ პროცესს კიდევ უფრო აჩქარებდა სხვადასხვა პროვინციების გამოყოფა მეურნეობის მიხედვით, ასევე მრავალი დამოუკიდებელი ულუსების გამოყოფა და მემკვიდრეებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლა.

შეადარეთ ერთმანეთს ოქროს ურდოს დაშლის მიზეზები სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებთან და გააკეთეთ დასკვნა.

თოხთამიშის მიერ მოსკოვის დაპყრობა

ოქროს ურდოს დასუსტებასთან ერთად დაიწყო მოსკოვის სამთავროს გაძლიერება. ამ სამთავრომ გააერთიანა რუსული მიწები და დაიწყო გაძლიერებული გამოსვლა ოქროს ურდოს წინააღმდეგ.

1380 წელს, კულიკოვოს ველზე რუსმა ჯარმა მამაის მეთაურობით დაამარცხა მონღოლთა ჯარი. მაგრამ სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. 1382 წელს თოხთამიშ ხანმა დაანგრია მოსკოვი და ხელახლად დაიმორჩილა რუსი მთავრები. მაგრამ მან ვერ შეძლო კულიკოვოს ბრძოლის შედეგების სრული აღმოფხვრა. იმიტომ რომ, რუსებს უკვე გაცნობიერებული ჰქონდათ ხალხის გაერთიანების მნიშვნელობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ოქროს ურდოს შემარყეველი დარტყმა ემირ თემურმა მიაყენა. 1395 წელს მდინარე თერგთან ახლოს შემდგარ ბრძოლაში ემირ თემურმა გაანადგურა თოხთამიშის ჯარები და დაჩქარა ოქროს ურდოს დაშლა. XV საუკუნეში, ამ სახელმწიფოს დაშლის შედეგად შეიქმნა ყაზანის, ასტრახანის, ყირიმის სახანოები და ნოგაის ჯარი.

რომელმა საგარეო ფაქტორებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი ოქროს ურდოს დაშლაში?

იმპერიის ძალის აღდგენისა და რუსი მთავრების მასზე დამოკიდებულების უზრუნველყოფის მიზნით ბოლო მცდელობა აჰმად ხანმა გააკეთა. 1480 წელს მან გაილაშქრა მოსკოვის სამთავროზე. მდინარე უგრას სანაპიროზე მას რუსი მთავრების გაერთიანებული ჯარი დახვდა. ხანის ჯარი, რომელმაც ვერ გაბედა მდინარიდან გადასვლა, უკან დაბრუნდა. "მდინარე უგრაზე გაჩერებამ" ბოლო მოუღო რუსული მიწების დამოკიდებულებას ოქროს ურდოზე. XVI საუკუნის დასაწყისში ბოლო მოეღო ოქროს ურდოს არსებობას.

კითხვები და დავალებები

1. *განსაზღვრეთ აღმოსავლეთ თურქისტანისა და სამხრეთ ციმბირის თურქების მხრიდან, ჩინგიზ ხანის ხელისუფლების აღიარების მნიშვნელობა.*
2. *გაანალიზეთ ჩინგიზ ხანის მიერ ჩინეთთან და ხვარაზმთან ბრძოლისათვის მზადებისას გატარებული ზომები. ანალიზის საფუძველზე გამოყავით ჩინგიზ ხანი, როგორც დიპლომატი და მხედართმთავარი.*
3. *აღნიშნეთ ფაქტორები, რომლებიც ოქროს ურდოს გათურქების მიზეზი გახდა.*
4. *დაასრულეთ ცხრილი:*

ოქროს ურდოს დაშლის მიზეზები	
საშინაო	საგარეო

16 თემურიანთა სახელმწიფო. ინდოეთი და ჩინეთი

საკვანძო სიტყვები

- სერბედარები
- თურანის სულთანი
- "თემურის კანონები"
- ელედდინ ჰილჯის რეფორმები
- "წითელი შემოსახვევიანები"

გულად მებრძოლს, ერთგულ ყმას, სახალხო მოძრაობის მეთაურს... ერთი მეორის არა მსგავს ამ ადამიანებს რა გააერთიანებთ? ყოველმა მათგანმა თავიანთი ბედის შეცვლით, ისტორიის მსვლელობაც შეცვალა.

თურანის სულთანი. დიდი მონღოლთა იმპერიის დაშლის შედეგად შექმნილი ჯაღათაის სახანოში, XIV საუკუნის შუა წლებში, ერთმანეთთან მებრძოლ მოგოლისტანისსა და მავერანაჰრის სახელმწიფოებად დაიყო. ამ ბრძოლაში ჩართული იყო ჯერ კიდევ სრულიად უცხო პიროვნება, რომელსაც თემური ერქვა.

1365 წელს მოგოლისტანის ხანმა სამარყანდს შეუტია. მმართველების მიერ მიტოვებული ქალაქის დასაცავად ***სერბედარები**** ამხედრდნენ. შედეგად მტერი დამარცხებული იქნა. სერბედარების ხელისუფლება მავერანაჰრის დიდ ნაწილზე გავრცელდა. ამ მოვლენამ დიდი პრეტენზიები წარმოშვა ქვეყნის ფეოდალურ დიდებულებს შორის. მომდევნო წელს ბელხინის მმართველმა ემირ ჰუსეინმა და მისმა მოკავშირე თემურმა დაიპყრეს სამარყანდი და ჩაახშეს სერბედარების აჯანყება.

* **სერბედარები** – შევიწროებულნი. ირანსა და ცენტრალურ აზიაში მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ თავისუფლების მოძრაობის მონაწილენი

რატომ გახდა სერბედარების წარმატება ფეოდალი დიდებულების შეშფოთების საფუძველი?

ერთი პერიოდი მოკავშირეები ქვეყანას ერთად მართავდნენ. მაგრამ ერთპიროვნული მმართველობის სურვილმა ისინი შეურიგებელ მტრად გადააქცია. თქმულების მიხედვით, თემურს პოპულარული სიტყვები: "მთლიანი დედამიწის სივრცე, ორი მმართველის ყოფნისათვის არ არის საკმარისი" ჰქონდა ნათქვამი.

ემირ თემური

მის რომელ პრეტენზიებზე მიანიშნებდა თემურის ეს სიტყვები?

1370 წელს ომში გამარჯვებულმა თემურმა მიიღო "ემირის" ტიტული და საფუძველი ჩაუყარა ახალ სახელმწიფოს. რამდენიმე წლის შემდეგ მან თავის სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება ***თურანი**** მიანიჭა, თავი კი სახელმწიფოს სულთნად გამოაცხადა.

* **თურანი** – სამხრეთ თურქისტანის ძველი სახელი

რაზე მიანიშნებს თემურის მიერ თავისი სახელმწიფოსათვის დარქმეული სახელი?

ბრძენი მმართველი თემური ხვდებოდა, რომ ხმლის ძალის საფუძველზე შექმნილი სახელმწიფოს დაცვა, მხოლოდ კანონით იქნებოდა უზრუნველყოფილი. ამიტომაც იყო, რომ მან "თემურის კანონების" სახელწოდების კანონთა კრებული მიიღო. ამ კანონების ძირითადი იდეა კანონის უზენაესობის პრინციპის დასტური იყო.კანონების შესრულება მმართველებისა და მოხელეებისათვის, ასევე ჯარისკაცებისა და უბრალო ხალხისათვისაც სავალდებულო იყო.

თქვენთვის ცნობილი მმართველებიდან, რომლების მოღვაწეობა იყო დაკავშირებული კანონთა კრებულის მიღებასთან?

თემურის ლაშქრობები. XIV საუკუნის 80-იანი წლებიდან, ჩინგიზ ხანის შთამომავლობისა და ტერიტორიების მემკვიდრედ ყოფნის უფლების მიხედვით, ემირ თემურის ძირითადი მეტოქე ოქროს ურდოს ხანი, თოხთამიში იყო. ამაზე ცოტათი ადრე ის მხო-

ლოდ, ძლიერი ემირის ქვეშევრდომი იყო. მაგრამ თოხთამიში გაძლიერდა და თავისი პრეტენზიები აზერბაიჯანსა და სხვა კასპიისპირა ქვეყნებს წაუყენა.

რა იყო ემირ თემურსა და თოხთამიშს შორის დაპირისპირების მიზეზი?



თემურელების სახელმწიფო

1395 წელს მდინარე თერგის სანაპიროზე შემდგარ ბრძოლაში თემურმა გაანადგურა თოხთამიშის ჯარი და დაანგრია მისი დედაქალაქი სარაი-ბერქა. ამ მოვლენამ მოსკოვის სამთავროს ოქროს ურდოს ზეწოლისაგან მალე განთავისუფლების იმედი გაზარდა. მაგრამ მალე რუსეთი საგანგაშო ამბავმა მოიცვა: მის საზღვრებზე აღმოსავლელი მმართველის არმია შემოვიდა. ურთიერთ დაპირისპირებულმა მთავრებმა, ამ საფრთხისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს. ყველა ეკლესიებში ტარდებოდა ლოცვები "რუსეთის ტამერლანის თავდასხმისაგან გადარჩენასთან" დაკავშირებით. მართლაც, მალე ემირ თემური უკან დაბრუნდა: ცენტრალურ აზიაში გამწვავებულმა მდგომარეობამ ის აიძულა ეს ნაბიჯი გადაედგა.

რა უარყოფითი შედეგები გამოიწვია მდინარე თერგზე ოქროს ურდოსათვის ბრძოლამ?

"თემური მდინარესთან დაახლოებისას ხედავს, რომ თოხთამიში მდინარის გასასვლელს იცავს. დილით თემური თავისი ჯარიანად მდინარის ზემო სათავეებისაკენ დაიძრება. თათართა ხანი თოხთამიში კი თავის ჯარითურთ მდინარის მეორე სანაპიროს გაყოლებით მიიწევდა წინ. ასე რომ, ისინი სამი დღე მიიწევენ წინ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი მეორეს ვერ უსწრებს. მესამე დღეს თემური ბრძანებს, რომ ქალებმა კაცების სამოსი ჩაიცვან, კაცები კი რაც შეიძლება მალე მდინარის გადასასვლელთან დაბრუნდნენ. თემური თავისი ჯარიანად გადასასვლელს ერთი დამეში აღწევს, მდინარეზე გადადის და თოხთამიშს უტევს, 3 საათიან ბრძოლაში თემური ანადგურებს მტერს და ხელთ იგდებს უამრავ ტყვეს".

მდინარე თერგის სანაპიროზე ემირ თემურსა და თოხთამიშ ხანს შორის შემდგარი ბრძოლის, ესპანეთის ელჩის კლოვიხოს მიერი აღწერა

როშელი ტაქტიკა გამოიყენა ემირ თემურმა მდინარე თერგთან ახლოს შემდგარ ბრძოლაში?

XV საუკუნის დასაწყისში, თემურის, წინა აზიის სავაჭრო გზებისა და ცენტრების დაკავების სურვილმა ოსმალეთის სულთან, ბაიაზიდ I-თან ურთიერთობა გაამწვავა. ეს მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების წყაროთაგან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. მეორის მხრივ, ბაიაზიდ I-ის მიერ ემირ თემურის მტრების - სულთან აჰმად

ჯალაირისა და შავბატკნიანელი კარა იუსუფის მფარველობამ ომი გარდაუვალი გახადა. 1402 წელს ანკარის ბრძოლაში თემურმა ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ემირ თემურის უკანასკნელი სამხედრო კამპანია, ჩინეთში დიდი ლაშქრობის სამზადისი გახდა. მაგრამ 1405 წელს ის დასახული მიზნის მიუღწევლად გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა რომ, თემურმა მის შემდეგ უზარმაზარი იმპერია და დიდი შთამომავლობა დატოვა, მის მემკვიდრეებს დიდი მხედართმთავრის შესაძლებლობის რაიმე ნიშანწყალიც კი არ გააჩნდათ. შინა დაძაბულობა უფრო და უფრო ასუსტებდა სახელმწიფოს და იწვევდა მისი მიწების თანდათან დაკარგვას. 1507 წელს უზბეკთა მმართველმა, შეიბანი ხანმა ხელთ იგდო თემურის უკანასკნელი საკუთრება ხორასანი. ამით ოდესღაც ძლიერ იმპერიას ბოლო მოეღო.

დელის სასულთნო. ადრე თურქთა მსახურად მყოფმა კუტბადდინ აიბაკმა 1206 წელს საფუძველი ჩაუყარა დელის სასულთნოს. ამ სახელმწიფოში სამხედრო ხელისუფლება თურქებს, ხოლო სასულიერო და ადმინისტრაციული ხელისუფლება ტაჯიკებსა და სპარსებს ეკუთვნოდათ.

ანკარის ბრძოლის მიჯნაზე

ბაიაზიდის ელჩებთან შემდგარი მოლაპარაკებებისას ემირ თემურის განცხადებიდან: "ჩვენ გვეცნობა რომ, თქვენი ბატონი ევროპაში ქაფირებს ებრძვის. ამიტომაც ჩვენ თქვენს ქვეყანაში ჯარით არ შემოგალთ, იმიტომ, რომ ჩვენ მუსლიმანური ქვეყნის დარღვევა და ამით მტრის გახარება არ გვსურს".

რაზეა საუბარი თემურის განცხადებაში?

თქვენი აზრით, რა იყო თურქებსა და სპარსებს შორის ხელისუფლების ასეთი დაყოფის მიზეზი?

მოკლე დროში მთელი ინდოეთი სასულთნოს მორჩილებაში აღმოჩნდა. სწორედ ამ შექმნილმა მდგომარეობამ დელის სასულთნოს შეუქმნა პირობები წინააღმდეგობა გაეწიათ ჩინგიზ ხანის დაუმარცხებელი ჯარისკაცების პირველი ლაშქრობისათვის.

სასულთნომ თავის ძლიერების მწვერვალს, ნიჭიერი მხედართმთავრისა და მმართველის ელედდინ ჰილჯის ხელისუფლების პერიოდში მიაღწია. მისი ხელისუფლების პერიოდის დასაწყისში მონღოლთა თავდასხმების გაძლიერების მიუხედავად, ხელისუფლების დასასრულისათვის სასულთნოს მთლიანი ინდოეთი ჰქონდა მოცული.



დელის სასულთნო

რატომ ვერ შეძლეს მონღოლებმა ინდოეთის დაპყრობა?

მიზნის მისაღწევად სულთან ელედდინს ხელისუფლების ძირითადი საყრდენი, ძლიერი ჯარი და დიდი ხაზინა სჭირდებოდა. მათ მოსაპოვებლად სულთანს უამრავი რეფორმა ჰქონდა გატარებული. თავდაპირველად ***ზემინდარებისათვის**** სამხედრო სამსახურის სანაცვლო იქტას მაგივრად, ხაზინიდან ფულადი ხელფასის დარიგება დაიწყო. შემდეგ ყოფილი მფლობელებისაგან ჩამორთმეული მიწები სახელმწიფო მიწების ფონდში გადავიდა და გლეხებს იჯარით გადაეცათ. ამან შექმნა დღითიდღე მზარდი ჯარის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და დიდი სურსათის რეზერვების ჩამოყალიბების პირობები.

* **ზემინდარი –** იქთა მიწების მეპატრონე თურქი სარდლები და მოხელეები

თქვენი აზრით, შეარყია თუ არა გატარებულმა რეფორმებმა ქვეყანაში არსებული ფეოდალური წყობილების საფუძვლები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

ადრინდელი სამხედრო დიდებულები სულთანის რეფორმებით უკმაყოფილო იყვნენ. 1316 წელს მოკლული იქნა სულთანი ელედდინი, შესაბამისად გაუქმდა მისი რეფორმებიც. დაიწყო დელის სასულთნოს ხანგრძლივი დაშლის პერიოდი. 1398 წელს ემირ თემურის ინდოეთზე ლაშქრობა, ყოველთვის ქვეყნის გაერთიანების ცენტრად მყოფი, ჩრდილოეთ ინდოეთის ეკონომიკური კრიზისის მიზეზი გახდა. გამწვავდა ბრძოლა ინდუს და მუსლიმან ფეოდალებს შორის. ჩრდილოეთით მყოფ მუსლიმან ემირებს დაკარგული ჰქონდა წარსულში არსებული ავტორიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთით მყოფი ინდური რაჯები ძლიერდებოდნენ, ისინი არ იყვნენ ქვეყნის გასაერთიანებლად ძლევამოსილნი. ამ ჯგუფების ხანგრძლივი ბრძოლა ინდოეთს გარედან ჩარევების საფრთხეს უქმნიდა.

აღნიშნეთ ემირ თემურის ინდოეთზე ლაშქრობის ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები.

იუანის დინასტიიდან მინის დინასტიისაკენ. 1211 წელს ჩინგიზ ხანის მიერ წამოწყებული ჩინეთის დაპყრობა, იუანის დინასტიის (1264-1368) ფუძემდებლის, ხუბილაი ხანის ხელისუფლების პერიოდში 1279 წელს დასრულდა.

იუანის დინასტიის ხელისუფლება მონღოლთა ჯარსა და დამპყრობთა მსახურ ჩინეთის ადმინისტრაციული მმართველობის აპარატს ეფუძნებოდა.

განმარტეთ ჩინეთში შექმნილი მმართველობის სისტემის თავისებურებანი.

შუა საუკუნეების ჩინეთის ბაზარი

ჩინეთი მინის იმპერიის დროს

ჩინეთის მონღოლთა სახელმწიფოების სისტემაში შესვლა, მას საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის უფრო მეტ გასაქანს აძლევდა. მოიმატა ქვეყანაში თურქი, ინდოელი, არაბი და ირანელი ვაჭრების დინებამ. ჩვეულებრივი ჩინური პროდუქტი - აბრეშუმი, ჩინური ჭურჭელი და ჩაი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას გადაიზიდებოდა. დაიწყო დიდი აბრეშუმის გზის აყვავება ისე, როგორც არასდროს. მაგრამ ამ აყვავებით უფრო მეტად მონღოლი დიდებულები და უცხოელი ვაჭრები სარგებლობდნენ.

ამ დროს შეზღუდული იქნა ჩინელი მოხელეებისა და ვაჭრების ინტერესები. გლეხთა და ხელოსანთა მდგომარეობა ყოველ მომდევნო ათ წელიწადში უფრო და უფრო გამწვავებული აღმოჩნდა. ყოველივე ეს, ჩინეთის საზოგადოების ყველა კლასის მომცველი ეროვნული სულისკვეთების წარმოშობის მიზეზი გახდა.

ყოველ ოკუპანტ ხელისუფლებას თავისი დასასრული გააჩნია. ქვეყანაში ფეოდალური ზეწოლის მომატებამ პატრიოტული ძალების გაზრდა გამოიწვია. XIV საუკუნის შუა წლებში, ჩინეთში დაიწყო "წითელი შემოსახვევიანების" აჯანყება, რომელიც მალე ქვეყნიდან მონღოლების გაძევებით დამთავრდა. აჯანყების მეთაური იმპერატორად იქნა გამოცხადებული. ასე დაიწყო მინის დინასტიის (1368-1644) მმართველობა.

ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ახალი დინასტია, თავდაპირველად გლეხებისა და ხელოსნების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და ჩინეთის მეურნეობის განვითარებისაკენ მიმართულ პოლიტიკას ატარებდა. მონღოლი თავადებისაგან ჩამორთმეული მიწები მინის დინასტიის მომხრეებს გადაეცათ. მაგრამ ვერც ამ დინასტიამ ვერ შეძლო რაიმე სოციალური რევოლუციის მოხდენა. ჯერ კიდევ რჩებოდა მსხვილი მიწათმფლობელობა, რომელიც უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა.

რატომ არ შეცვალა მინის დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლამ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური წყობა?

ჩინელი მებრძოლები

მინის დინასტია აქტიურ დაპყრობით პოლიტიკას ატარებდა. ამან, მინთა სახელმწიფო თანდათან მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ იმპერიად გადააქცია. რაც უფრო ფართოვდებოდა სახელმწიფოს ტერიტორიები, მით უფრო იზრდებოდა შინაგანი დაპირისპირებები და ხშირდებოდა გარე მტერთა თავდასხმები. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ არც ამ იმპერიის ხელისუფლება დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

“რათა მუდმივად იფიქრო მათი, შრომის შესახებ”

ერთხელ ცისა და მაწისათვის მსხვერპლის შეწირვისას, იმპერატორს მისი მემკვიდრე დაჰყვება, მმართველი ქვეშევრდომებს ავალებს თავისი მემკვიდრის პლანტაციებსა და გლეხთა სახლებში მიყვანას, ასევე იმის დანახებას, თუ როგორ ცხოვრობდნენ, იცვამდნენ, იკვებებოდნენ და რა ხელსაწყოებს იყენებდნენ გლეხები. მემკვიდრის დაბრუნების შემდეგ იმპერატორი ეკითხება მას: “გქონდა ცნობა გლეხთა მძიმე შრომის შესახებ? მათ მოჰყავთ მარცვლეული და მათი სხეული არიდეს სუფთავდება ტალახისაგან. ისინი მთელი წლის განმავლობაში ცდილობენ: ისინი არც სიცივეში და სიცხეში, არც წვიმაში გუთნიდან ხელს არ იღებენ. მათი ლერწამით დამზადებული სახლები და ლოგინები არც ქარისაგან და არც მზისაგან არ იცავს. მათ ჩასაცმელად უბრალო სამოსი და გასაძღომად უბრალო საკვები არ ჰყოფნით. მაგრამ მათ უწევთ სახელმწიფოს მთლიანი ხარკების გაწევა. ამიტომაც დავაგვალე მათი ცხოვრების გაცნობა. ეს იმიტომ, რომ მსურს შენ მუდმივად მათ მძიმე შრომაზე ფიქრობდე, იყო ეკონომიური და არ დაუშვა მფლანგველობა”.

შუა საუკუნეების მატიანედან

განმარტეთ მინის დინასტიის თავდაპირველი წარმომადგენლების მმართველობის პერიოდში ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზეზები.

კითხვები და დავალებები

1. *განსაზღვრეთ სერბედარებისა და "წითელი შემოსახვევიანების" მსგავსი და განმასხვავებელი მხარეები.*
2. *უჩვენეთ "თემურის კანონების" ძირითადი იდეა და მისი, თანამედროვე ცივილიზაციების ცხოვრებაში კანონის როლის შესახებ წარმოდგენებთან კავშირი.*
3. *შეავსეთ ცხრილი: ემირ თემურის ლაშქრობები*

წლები	სახელმწიფოები, რომლებიც თავს დაესხნენ	ლაშქრობების შედეგები

4. *განსაზღვრეთ ელედდინ ჰილჯის მიერ ინდოეთში გატარებული რეფორმების მიზნები.*

17 ჯვაროსნული ლაშქრობა აღმოსავლეთით. ქალაქების განვითარება ევროპაში

საკვანძო სიტყვები

- "უპატრონო მიწა არ არის!"
- ურბან II-ის მოწოდება
- იერუსალიმის კონსტიტუცია
- სალაშქრდიან ათუბი
- ლათინთა იმპერია

XIII საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ერთერთის, აღმოსავლეთით განხორციელებული ჯვაროსნული ლაშქრობები ასე ჰქონდა დახასიათებული: "ჩვენი სიტყვები ღმერთის სიტყვებია, ხოლო ჩვენი საქციელი ეშმაკის საქციელია".

მიწა, რომელზედაც თქვენ ცხოვრობთ, მოსახლეობის მომატებასთან ერთად შეგიწროვდა. ეს მიწა არც თუ ისე ნაყოფიერია და მის დამუშაგებლებსაც კი ძლივს ამარებს. სწორედაც ამ მიზეზით ერთმანეთს ერკინებით, გლეჯთ და ებრძვით: ერთმანეთს სასიკვდილოდ ჭრით. ახლა კი დაცხრება თქვენი სიბრაზე, აღმოიფხვრება მტრობა და შენელდება ომები და შეჯახებები. დაიკავეთ გზა წმინდა სასაფლაოსაკენ, ჩამოართვით მიწები არარელიგიურებს და დაიქვემდებარეთ. ამ მიწებზე თაფლი და რძე მიედინება. იერუსალიმი მსოფლიოს ყველაზე ბარაქიანი მარგალიტია, მეორე სამოთხეა...

კლერმონის ეკლესიის ყრილობაზე
ურბან II-ის გამოსვლიდან

ნათქვამია, რომ "საგარეო პოლიტიკა, საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა". დაასაბუთეთ ეს დებულება, პაპის ურბან II-ის გამოსვლის საფუძველზე.

როგორ ასაბუთებდა პაპი ურბან II იერუსალიმზე ლაშქრობას? შეიძლება თუ არა ეს იდეოლოგიური ბრძოლის ნიმუშად ჩაითვალოს?

აჟიოტაჟი ქალაქ კლერმონში. XI საუკუნეში, დასავლეთ ევროპაში "უპატრონო მიწა არ არის!" განჩინება უკვე კატეგორიული გადაწყვეტილების სახით იყო განსაზღვრული. მიწის ნაკვეთები და თავისუფალი გლეხები აღარ იყო დარჩენილი, იმიტომ რომ მთლიანად დაკავებული და ფეოდალებს შორის განაწილებული იყო. ჩვეულების თანახმად, რაინდების ფეოდი, მემკვიდრეებიდან მხოლოდ ერთზე გადადიოდა. რაინდების სხვა წარმომადგენლები მიწის ნაკვეთებზე დაუფლების მიზნით, მათ დაუფლებული ტერიტორიებიდან ხმლის ძალით აძევებდნენ, რომელიც ფეოდალებს შორის განხეთქილების გამწვავების საფუძველი ხდებოდა.

XI საუკუნეში, საკმაოდ მომატებული იყო თავადთა მიდრეკილება ფუფუნებისაკენ. მხოლოდ ყმა გლეხებისაგან აკრეფილი შემოსავლები მომატებულ ხარჯებს ვერ ფარავდა. ფეოდალური ზეწოლის მომატება ზრდიდა გლეხთა ბრძოლის წამოწყების საფრთხეს ევროპაში.

უჩვენეთ XI საუკუნეში ევროპაში შინა დაპირისპირებების გამწვავების მიზეზები.

1054 წელს, ქრისტიანული ეკლესია ოფიციალურად დაიყო აღმოსავლურ (მართმადიდებლურ) და დასავლურ (კათოლიკურ) ეკლესიებად. შინა დაპირისპირებების გაზრდა დიდად აწუხებდა კათოლიკური ეკლესიის მაღალი ფენის წარმომადგენლებს.

თქვენი აზრით, რატომ აწუხებდა ეს მდგომარეობა კათოლიკური ეკლესიის მაღალი კლასის წარმომადგენლებს?

ამ შექმნილმა მდგომარეობამ, ისინი აიძულა ცბიერი პოლიტიკისათვის მიემართათ. ამ იდეის არსი, ურჩი ბარონებისა და რაინდების, აგრეთვე პრეტენზიის მქონე გლეხების აღმოსავლეთ ქვეყნების დასაპყრობად გაგზავნა იყო. ასეთი ნაბიჯი ევროპას არასასურველი ელემენტებისაგან ასუფთავებდა, ამასთან ეკლესიას უხსნიდა გზას რეალური სარგებლის მოპოვებისაკენ. დანაწევრებულ ევროპაზე ხელისუფლება, მართლმადი-

დებელი ქრისტიანებისა და აღმოსავლეთ მუსლიმანების გაკათოლიკება თვით პაპსაც გაამდიდრებდა.

დიდი და "მოხერხებული" ფანდის გამოყენებისათვის მზადებაში მყოფმა ეკლესიამ, რელიგიური მიზეზით ისარგებლა. ეს უკვე მრავალჯერ გამოცდილი "ჯვრისა და ნახევარმთვარის ბრძოლის" იდეა იყო. 1095 წელს ქალაქ კლერმონში, პაპმა ურბან II-მ ყველა რელიგიურნი "იესოს საფლავის" ქრისტიანებისათვის დაბრუნებისა და "წმინდა მიწის" პალესტინის მუსლიმანებისაგან განთავისუფლებისათვის ლაშქრობისაკენ მოუწოდა. მისი ეს მოწოდება სწრაფად მოედო მთელ ევროპას და სათავე დაედო აღმოსავლეთისაკენ მრავალი გზის ჯვაროსნულ ლაშქრობას. ხუმრობის სახით დაწყებული ეს მოძრაობა, მოკლე დროში დიდ კატასტროფად გადაიქცა.

რა პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა ქრისტიანული სამყარო იესოს საფლავის განთავისუფლებით?

იერუსალიმის სამეფოს შექმნა. 1096 წლის გაზაფხულზე დაიწყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა. სუსტად შეიარაღებული, არაორგანიზებული გლეხთა რაზმები "წმინდა მიწებისაკენ" გაეშურნენ. წინვლასთან ერთად, რელიგიურ აღტაცება შენელებულ გლეხებს თანდათან, ნადავლის სურვილი ეზრდებოდათ. განვლილ გზაზე გაწყვეტებისა და ძარცვის ჩადენა ამის მკაფიო მტკიცებულებაა. როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლს მიაღწიეს, ბიზანტიის იმპერატორმა ისინი ბოსფორის მეორე მხარეს გადაიყვანა. მცირე აზიის ნახევარკუნძულის სანაპიროზე მისული ჯარი განადგურებული იქნა სელჩუკების მხრიდან.

1096 წლის შემოდგომაზე, დაიწყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მეორე ტალღა. ამჯამად ლაშქრობაში საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის ფეოდალები მონაწილეობდნენ. სომხები, რომლებიც ჯვაროსნებს თავიანთ საყრდენად თვლიდნენ, ეხმარებოდნენ მათ სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე, ხმლისა და ხრიკების გამოყენებით ჯვაროსნები იერუსალიმის უძველეს კედლებს მიუახლოვდნენ.

ლეგენდის თანახმად, იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლისას, მას ადამიანები გახარებული და ხელში მოფრიალე ხურმის ტოტებით დახვედრიან. იმ დღიდან ათასი წლებია გასული... ისინი, ვინც მის მიმდევრებად ეწერებოდნენ, ქალაქში ხელში ხმლით სისხლის ტბის გავლით შედიოდნენ. **ეს მოვლენა 1099 წლის 15 ივლისს მოხდა**.

დაპყრობილ მიწებზე ჯვაროსნებმა იერუსალიმის სამეფო, ანტიოქიის სამთავრო, აგრეთვე ედესას და ტრიპოლის საგრაფოები შექმნეს.

იერუსალიმიის აღებისას ქალაქის ქუჩებში ჯვაროსნების მხრიდან 10 ათასამდე მუსლიმანი და იუდეველი იქნა მოკლული

დახმარება ვერ შეძლო

პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილე გლეხთა რაზმის მეთაური, ვირზე მჯდომი ასკეტი პეტრე იყო. ბევრნი მას მორწმუნედ თვლიდნენ და ვირის თმიდან წაწკნიდნენ, ნაწიწკნს კი, სასწაულმოქმედი თილისმის სახით მკერდზე ინახავდნენ. ლაშქრობის ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ვირის თმა სრულიად გაყვლეფილი აღმოჩნდა, ამ რწმენამ ლაშქრობის მონაწილეებს გვერავითარი დახმარება ვერ გაუწია.

ყველას მიერ უარყოფილი

ქალაქ ანტიოქიის ჯვაროსნების მხრიდან დაპყრობაში ძირითადი როლი, ისლამის რელიგიის ახლად მიმღებმა, მოღალატე სომეხმა შეასრულა. შეპირებული ჯილდოს სანაცვლოდ, მან მიიღო ქრისტიანობა და პირობები შეუქმნა ჯვაროსნების ქალაქში შესვლას. ამ საქციელის გამო, მან ყველას სიძულვილი მოიპოვა.

ჯვაროსნული ლაშქრობები აღმოსავლეთით

უჩვენეთ რუკაზე, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად, ახლო აღმოსავლეთში მოძმდარი პოლიტიკური ცვლილებები.

იერუსალიმის სამეფო სამაგალითო ფეოდალური სახელმწიფო იყო: აქ ფეოდალური *იერარქია** ევროპასთან შედარებით თავს უფრო სრულად გამოხატავდა. ჯვაროსნების აღმოსავლეთში არასტაბილური მდგომარეობა, ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა. ერთის მხრივ "*სარასინების**" ზეწოლის ქვეშ აღმოჩენილ "დამპყრობ ფრანკებს", მეორის მხრივ, ადგილობრივ მოსახლეობას: მუსლიმანებს, იუდეველებს და ქრისტიანებსაც სძულდათ ისინი. ყოველივე ეს, ჯვაროსნებს აიძულებდა უფრო მტკიცედ გაერთიანებულიყვნენ.

* **იერარქია** – ერთიანი მთლიანი სისტემის ნაწილების, ან ელემენტების მტკიცე დაქვემდებარების წესის საფუძველზე, ქვემოდან ზემოთ მოწყობა.

* **სარასინები** – ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში, ევროპაში არაბებსა და ზოგიერთ სხვა მუსლიმან ხალხებს.

იერუსალიმის მეფე პალესტინას მართავდა, ხოლო ანტიოქიის, ედესასა და ტრიპოლის მმართველები კი მის ვასალებად ითვლებოდნენ. გარდა ამისა, ყოველი მათგანი რამდენიმე საბარონოებად, ესენი კი, თავის მხრივ რაინდთა სამფლობელოებად იყოფოდნენ. იერუსალიმის სამეფოს პოლიტიკური წყობა "იერუსალიმის კონსტიტუციად" ცნობილ კანონთა კრებულით განისაზღვრებოდა. ამ აქტის თანახმად, მეფე "უმაღლეს პალატად" დასახელებულ მთავრებისა და ბარონებისაგან შემდგარ საბჭოს მხრიდან აირჩეოდა. ამ პალატის თანხმობის გარეშე, მეფე ვერავითარ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. პალატა, ამავდროულად უმაღლესი ფეოდალური სასამართლოს ფუნქციასაც ახორციელებდა. მეფის შემდეგ მეორე ოფიციალური პირი, იერუსალიმის კათოლიკური ეკლესიის მეთაური იყო.

რა როლს ასრულებდა სამეფოს განმტკიცებაში, იერუსალიმის სამეფოში გამოყენებული მმართველობის სისტემის თავისებურებანი?

“იერუსალიმის კონსულტაცია” ვასალებსა და სენიორებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებდა. აქ არა მარტო ფეოდის მემკვიდრეობით გადაცემის საკითხი რეგულირდებოდა, არამედ ისიც კი განისაზღვრებოდა, თუ რაინდი თავისი სენიორისათვის წელიწადის განმავლობაში რამდენი დღე უნდა ყოფილიყო სამხედრო სამსახურში. ეს ფაქტი ამტკიცებს რომ, აქ ფეოდალურ ურთიერთობა თავის კლასიკურ ფორმას უახლოვდებოდა.

სალაჰედდინ აიუბი

რას ეწოდება კლასიკური ფეოდალიზმი?

რაინდები და ბარონები თავიანთ სამფლობელოში არავითარ მეურნეობას არ ეწეოდნენ, მაგრამ გლეხებისაგან მაღალ რენტას მოითხოვდნენ.

რომელი ქვეყნის ფეოდალური ურთიერთობისათვისაა უფრო დამახასიათებელი ეს ფაქტორები?

“მათ ამქვეყნიური სიკეთე ღვთაებრივ სიკეთეზე მაღლა დაიჭირეს...” ჯვაროსნების მიერ შექმნილი სახელმწიფოების მდგომარეობა არასტაბილური იყო. მალე ედესა აღებული იქნა მოსულის ემირის მიერ. ამის საპასუხოდ დაიწყო მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა. მაგრამ ქრისტიან მმართველებს შორის არსებული დაპირისპირებები, ამ ლაშქრობის მარცხის მიზეზი გახდა.

1187 წელს ევროპის შემაძრწუნებელი ამბავი გავრცელდა: “სულთან სალაჰედდინ აიუბმა ტაბარიას ტბასთან ახლოს გაანადგურა ჯვაროსნები და გაანთავისუფლა იერუსალიმი”. ამის გამგონე ქრისტიანმა ევროპამ ახალი, მესამე ლაშქრობისათვის (1189-1192) მზადება დაიწყო. ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მეფეთა მიერ ორგანიზებული ლაშქრობაც წარუმატებელი აღმოჩნდა. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი პაპი ინოკენტი III იყო. ამჟამად ჯვაროსნებმა გადაწყვიტეს ახლო აღმოსავლეთის ყველაზე ძლიერ სახელმწიფო ეგვიპტისათვის დარტყმა მიეყენებინათ. მათ სურდათ ეგვიპტემდე ზღვის გავლით მიეღწიათ და ამ მიზნით ვენეციისაგან გემები იქირავეს. მაგრამ ვენეციამ შეცვალა პირველი მარშრუტი და ჯვაროსნების მიმართულება, ვაჭრობაში მისი ძირითადი კონკურენტის, კონსტანტინოპოლის დაპყრობისაკენ გადაიტანა. ჩანდა, რომ ჯვაროსნებიც ეგვიპტის გზის შორეულობასა და სიმნელეს, ბიზანტიის სიმდიდრის კი ახლო და უფრო ხელმისაწვდომობას ასკვნიდნენ.

რა წარმოდგენებს აყალიბებს კონსტანტინოპოლზე შეტევა ჯვაროსნული ლაშქრობების ძირითად მნიშვნელობაზე?

1204 წელს ჯვაროსნებმა ხელში ჩაიგდეს კონსტანტინოპოლი და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით, ლათინთა იმპერია შექმნეს. მაგრამ 1261 წელს “ლათინები” (კათოლიკები) გაძევებულნი იქნენ და ხელახლად აღდგენილი იქნა ბიზანტიის იმპერია. მიუხედავად ამისა, ამ იმპერიამ ვეღარ აღიდგინა ყოფილი ძლევამოსილება. ამის შემდეგ 4 ჯვაროსნული ლაშქრობა შედგა. ბოლო მე-8 ლაშქრობა XIII საუკუნის ბოლოს დაემთხვა და ადრინდელივით ისიც წარუმატებლად დამთავრდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები დასავლეთ ევროპისთვის. ჯვაროსნულმა ლაშქრობამ მარცხი განიცადა არა მარტო სამხედრო ლაშქრობის სახით, არამედ კათოლიკური ეკლესიის მხრიდან ორგანიზებული პოლიტიკური კამპანიის სახითაც. მეორე ლაშქრობის შემდეგ, გლეხებმა ჯვაროსნული მოძრაობის უმაღლეს მისიაზე რწმენა დაკარგეს: იმიტომ რომ, “წმინდა მიწაზეც” ისინი ფეოდალების თვითნებობის მარწუხებში იყვნენ აღმოჩენილნი. გლეხებმა უპირატესობა არა თავისუფლებისა და მიწების უცხოეთში ძებნას, არამედ მათი თავიანთ სამშობლოში მოპოვებისათვის ბრძოლას მიანიჭეს. ფეოდალებსაც ახალი ლაშქრობისათვის ინტერესი აღარ ჰქონდათ. ამას რამდენიმე მიზეზი გააჩნდა. პირველი, XIII საუკუნის ბოლოს ევროპაში სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი ომები დაიწყო და ფეოდალებმა თავიანთი ძალების გამოყენების გზა გამონახეს. მეორე, სამეურნეო და ქონებრივ-ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, სამფლობელოებში გლეხებისაგან აკრეფილი შემოსავლები მატულობდა. ფეოდალებს, “ოცნებითი იდეების” სამიებლად მსოფლიოს შორეულ მხარეში წასვლას, უფრო თავიანთ ქვეყანაში დარჩენა ერჩივნათ. გარდა ამისა, გარე სამყაროშიც ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. მაგალითად, მონღოლთა ლაშქრობების შედეგად სრულიად გაპარტახებულობის გამო, ახლო აღმოსავლეთი ევროპელი ფეოდალებისათვის უკვე მასტიმულირებელ

სამლოცველოს რაინდები თუ ბანკირები?

ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიაში საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ბერი რაინდების ერთიანობების (ორდენების) შექმნა. ერთ-ერთი მათგანი ტაძრის რაინდთა ორდენი იყო.

ეს სახელი, მათი თავდაპირველი რეზიდენციის იერუსალიმში, სულეიმანის სამლოცველოს ადგილას მოწყობასთან იყო დაკავშირებული. ევროპაში მათ ტაძრისიერებს (ტაძარი) სიტყვიდან) უწოდებდნენ. მათ შანავანწესში ეწერა, რომ ტაძრისიერებს იერუსალიმში მოსანახულებლად მიმავალი მომლოცველები, ქურდებისა და ყაჩაღთა თავდასხმებისაგან უნდა დაეცვათ. მაგრამ ამ მღვდელ-რაინდებმაც მალე დაკარგეს თავიანთი რელიგიური ინტერესი და მატერიალურ სარგებელს უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭეს. აღმოსავლეთში ვაჭრობის ნიუანსების ამთვისებელი ტამპლიერები დიდ სიმდიდრეს დაეუფლნენ.

ნადავლის წყაროს აღარ წარმოადგენდა. ყველაზე მთავარი კი იყო ის, რომ "ჯვარსა" და "ნახევარ მთვარეს" შორის ბრძოლის ძირითადი ცენტრი პირენეის ნახევარკუნძულზე იყო გადასული. აქ, აღმოსავლეთით ჯვაროსნული ლაშქრობის ლოგიკური გაგრძელების სახით, მოძრაობა ***რეკონკისტა**** იყო დაწყებული.

* **რეკონკისტა** – მუსლიმანური მოსახლეობის პირენეის ნახევარკუნძულიდან გაძევების მიზნით, XI-XV საუკუნეებში განხორციელებული მოქმედება.

დასავლეთ ევროპის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა. ამ ლაშქრობებმა პირობები შეუქმნა ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობის განვითარებას. აქ არაბი და ბიზანტიელი ვაჭრების გამკოტრებელ ვენეციას, თავისი მონოპოლია ჰქონდა დამყარებული. ევროპელებმა აღმოსავლეთისაგან ქსოვილის, რკინის, წამლისა და სუნამოს წარმოების, აგრეთვე ზაფარანის, ბრინჯისა და წიწიბურას მოყვანისა და სხვა ხერხები შეისწავლეს.

ევროპამ აითვისა ეტიკეტისა და ჰიგიენის წესები. შემოვიდა სიახლე აბანოსა და აბაზანის სახით. შესაძლებელი იყო ჭადრაკის მოთამაშეთა ხშირი ნახვა. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, აღმოსავლეთის მომნახულე და ისლამურ კულტურას გაცნობილი ევროპელების, ქრისტიანობის ზოგიერთი დოგმებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და რელიგიური ცრურწმენისაგან მოშორება იყო. ამან კი, თავის მხრივ ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის ხალხების მორალურ განვითარებას.

თქვენი აზრით, რა ცვლილებები მოხდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად?

ქალაქების განვითარება შუა საუკუნეების ევროპაში. შუა საუკუნეების დასაწყისში, სოფლები სოციალ-ეკონომიკური თავლსაზრისით ქალაქებზე უფრო განვითარებული იყო. ანტიკური პერიოდის ქალაქები დაკნინების პროცესში იყვნენ. იმდენად, რომ რომის ყოფილი ბრწყინვალების ნიშნების დანახვა მხოლოდ მისი ძეგლების ნანგრევებზე იყო შესაძლებელი.

IX საუკუნის შუა წლებიდან, ქალაქების განსაზღვრული გამოცოცხლება დაიწყო. ეს, მათი კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ შექმნილი, დამოუკიდებელი ფეოდალური სამფლობელოების ცენტრებად გადაქცევასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ქალაქების ნამდვილი აყვავება X-XIII საუკუნეებს ემთხვევა. ეს ჯვაროსნული ლაშქრობით იყო სტიმულირებული. ამ ლაშქრობის დროს, ჯვაროსნები მუსლიმანური აღმოსავლეთის ქალაქურ ცხოვრებას, მის ხელოსნურსა და სოფლის მეურნეობის ტექნიკას გაეცნენ. მათ იქ მიღებული გამოცდილება და ცოდნა, შემდგომში თავიანთ ქვეყნებში გამოიყენეს.

რა სახის გავლენა მოახდინა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, დასავლეთ ევროპის ქალაქების აღმავლობაზე?

ცნობილია, რომ უძველესი პერიოდიდან მიყოლებული, ყველა სოფელში არსებობდა სახლის ხელოსნობა. ამ პერიოდში, გლეხები თავიანთთვის და თავიანთი ბატონებისათვის საჭირო უამრავ ნივთებს ამზადებდნენ. სოფლელი ხელოსნების გვერდით, ფეოდალურ სამფლობელოებში თავიანთი ბატონების გემოვნებისამებრ, მოწყობილობის დამზადების უნარის მქონე ოსტატებიც მუშაობდნენ. მაგრამ ისინი ფეოდალურ სამფლობელოებს მიმაგრებულნი იყვნენ და მათი პროდუქცია ბაზრისათვის გათვალისწინებულ ქონებას არ წარმოადგენდა. ასე რომ, ხელოსნობა ჯერ კიდევ ხანგრძლივ პერიოდში, დასავლეთ ევროპაში, დომინირებული ნატურალური მეურნეობის შემადგენელ ნაწილად რჩებოდა.

რატომ რჩებოდა ფეოდალურ სამფლობელოებში არსებული ხელოსნობა ნატურალური მეურნეობის შემადგენელ ნაწილად?

ხელოსნურ ჩვევებს დაუფლებულმა გლეხებმა, დროის განმავლობაში დაიწყეს სამფლობელოების დროებით მიტოვება და გამგზავრება პურის ფულის საშოვნელად. ეს გახდა აუცილებელი პირობა ხელოსნობის მეურნეობისაგან გამოსაყოფად . პროფესიული ხელოსნობის კატეგორიული ფორმით ჩამოყალიბებას პირობები შეუქმნა ახალმა, დახვეწილმა სოფლის მეურნეობის მეთოდებმა. მათი წარმოებისათვის საჭირო იყო რთული მოწყობილობა, აგრეთვე, სპეციალური ცოდნა და ჩვევები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სპეციალობის ჩამოყალიბებას. ხელოსნობით დაკავებულობა, ამ ოსტატების პროფესიად გადაიქცა. XI-XIII საუკუნეებში ხელოსანთა უმრავლესობამ დაიწყო სოფლის მიტოვება, იმიტომ რომ, აქ გამომუშავების შესაძლებლობა გლეხთა უაღრესი სიღატაკის გამო შეზღუდული იყო. ისინი, თავიანთი პროდუქციის გაყიდვის მიზნით ქალაქში სახლდებოდნენ. ამით ხელახლად ცოცხლდებოდა ანტიკური ქალაქები და საფუძველი ეყრებოდა ახალ ქალაქებს.

ქალაქების განვითარებასა და მათი მოსახლეობის ზრდას საფუძვლად დაედო აგრეთვე გლეხთა ბრძოლა ფეოდალური ზეწოლის წინააღმდეგ. სამფლობელოებიდან გადახვეწილი ყმა გლეხები, ხელოსნებთან და ვაჭრებთან ერთად, ჩამოყალიბებაში მყოფი ქალაქების პირველი მცხოვრებნი გახდნენ.

უჩვენეთ თავდაპირველი შუა საუკუნეების ქალაქების შექმნის ძირითადი მიზეზები.

ქალაქების შექმნამ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარებაში დიდი ცვლილებები გამოიწვია. მათ ეკუთვნის: პირველი, ქალაქსა და სოფელს შორის შრომის განაწილება, მათი შრომის გაცვლის გაფართოვება. ამ პერიოდში ქალაქელები სოფლელებს ხელსაწყოებით, ისინი კი ქალაქის მოსახლეობას სოფლის მეურნეობის პროდუქციით ამარაგებდნენ. ასე, რომ ქალაქები სოფლებს ქონებრივ-ფულადი ბრუნვისაკენ უბიძგებდნენ.

მეორე, გლეხებთან ფულის არსებობით, ფეოდალებს ისინი ნაწილობრივ ფულად გადასახადზე გადაჰყავდათ. ეს აძლიერებდა გლეხებზე ზეწოლას (შეზღუდვას), რომლის საპასუხოდ ფართოვდებოდა გლეხთა გამოსვლები.

მესამე, საამქროს ხელოსნობა ქალაქებში მრეწველობის განვითარების ძირითადი ფორმა გახდა: საამქროები დიდი ხნის მანძილზე ტექნიკურ გამოცდილებასა და წარმოებით პროცესს უზრუნველყოფდნენ.

მეოთხე, ქალაქების განვითარებამ ფართო გასაქანი მისცა საგარეო ვაჭრობის განვითარებას: ამ პერიოდში ევროპის ორი სავაჭრო რაიონი ჩამოყალიბდა. თუ მათგან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე მდებარე პირველი, ძირითადად ბიზანტიასა და მუსლიმანურ აღმოსავლეთთან საშუამავლო ვაჭრობას ახორციელებდა, ჩრდილოეთ ზღვის სანაპიროებზე მყოფი მეორე თავის მხარეში წარმოებული პროდუქციის გაცვლით იყო დაკავებული. საყურადღებოა ასევე, ევროპაში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციების განმახორციელებელი ბანკებისა და მსხვილი ბითუმად მოვაჭრე ბაზრობების შექმნის პროცესიც ძლიერდებოდა.

ქალაქ ბრიუგეს დაარსება

“...ციხე-სიმაგრის მაცხოვრებელთა მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მისი ხიდის კარებზე ვაჭრებმა ..., შემდეგ მოვაჭრეთა გამოკვებისა და თავშესაფარისათვის სასტუმროთა მეპატრონეებმა დაიწყეს წამოსვლები. მათ შორის სიტყვები “ხიდთან მივიდეთ” ჩვეულად გადაიქცა. აქ ისე გაფართოვდა საცხოვრებელი კერა, რომ მალე, უბრალო სიტყვათა თქმაში ხიდად წოდებული (მათ ენაზე “Brügge” ხომ ხიდს ნიშნავს), დიდი ქალაქი შეიქმნა”.

რომელმა ფაქტორმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეების ქალაქებად გადაქცევაში?



დასავლეთ ევროპის ქალაქები

მეხუთე, ქალაქების გამრავლებით, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებით, თავიანთ მიწებზე, ამ ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის სენიორების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. ზოგიერთმა მათგანმა თავისუფალი ქალაქ-*კომუნას** უფლებები მოიპოვა. ამან თავის მხრივ შემარყეველი დარტყმა მიაყენა ფეოდალური წყობის საძირკველს და საფუძველი დაუდო მის შემდგომ კრიზისს.

* **კომუნა** – სენიორისადან თვითმართვის უფლების მიმღები ქალაქის თემი

მეექვსე, ქალაქების შექმნამ გააფართოვა ევროპელების მსოფლმხედველობა და განავითარა მისი კულტურა, რომელმაც პირობები შეუქმნა მთლიანობაში ევროპული საზოგადოების განვითარებას. ყველა ამ ცვლილებამ მალე თავისი ასახვა ჰპოვა, დასავლეთ ევროპის საზოგადოების ისტორიის შემდგომ ფურცლებზე.

რა ცვლილებები მოხდა დასავლეთ ევროპის განვითარებაში ქალაქის შექმნით?

კითხვები და დავალებები

1. *განსაზღვრეთ კათოლიკური ეკლესიის მიერ აღმოსავლეთით ლაშქრობების ორგანიზების მიზეზები.*
2. *მოამზადეთ პრეზენტაცია სალაჰედდინ აიუბის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.*
3. *შეადარეთ ერთმანეთს, ბიზანტიის იმპერიის მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის წინა და შემდგომი საერთაშორისო მდგომარეობა.*
4. *შეავსეთ ცხრილი:*

ჯვაროსნული ლაშქრობების შენელების მიზეზები:	
საშინაო	საგარეო

5. *განსაზღვრეთ ევროპელების, ისლამურ ცივილიზაციასთან კავშირით მოპოვებული ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებები.*
6. *ჩაატარეთ განზოგადება, პროფესიული ხელოსნობის ჩამოყალიბების დაწყებითი ეტაპების შესახებ.*
7. *თვალი გადააგდეთ თანამედროვე დასავლეთ ევროპის რუკას. თქვენ დაინახავთ, რომ უამრავ ადგილთა სახელწოდებები მსგავს შეშადგენილ ნაწილებს მოიცავს. მაგალითად "burg"–გერმანულად "ციხე სიმაგრეს", "furt" ანუ "fort" – გერმანულად და ინგლისურად მდინარის გადასასვლელს, "bridge"– ინგლისურად "ხიდს", "castra"– ლათინურად "ბანაკს" და "sancte, sanctus, Sancti"– ლათინურად "წმინდას" ნიშნავს. განაზოგადეთ მოპოვებული ცნობები და გამოიტანეთ დასკვნა, შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის, ქალაქების შექმნის ადგილების შესახებ.*

18 ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნა დასავლეთ ევროპაში

საკვანძო სიტყვები

- **საპარლამენტო**
- **"რკინის მეფე"**
- **"წარღვნის წყენი"**
- **"თავისუფლების დიდი ქარტია"**

XI-XV საუკუნეები კლასიკურ ფეოდალურ პერიოდად იწოდება. ამ პერიოდში, დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ურთიერთობების სრულიად განმტკიცებასთან ერთად ადგილი ჰქონდათ ცენტრალიზებული წარმომადგენლობითი მონარქიებისა და თანამედროვე საპარლამენტო საფუძვლების ჩამოყალიბებას.*

პოლიტიკური ცენტრალიზაციის დასაწყისი საფრანგეთში. XI-XII საუკუნეებში, საფრანგეთში გრძელდებოდა ფეოდალური არეულობა. ხელისუფლებაში მყოფი კაპეტინგების დინასტიის ***დომენი**** ძლიერი ჰერცოგებისა და გრაფების ქონებას მოიცავდა. ამასთან ერთად, ქვეყნის დიდი ნაწილი ინგლისის მეფეთა ხელში იყო. ყველა ეს ფაქტორი აფერხებდა ქვეყნის განვითარებას. ამიტომაც კაპეტინგთა დინასტიის პოლიტიკა ამ ფაქტორების აღკვეთისაკენ იყო მიმართული. ამ ბრძოლაში მეფეები კათოლიკურ ეკლესიას, რაინდებსა და განვითარებად ქალაქ-კომუნებს ეყრდნობოდნენ. მათი დახმარებით, XIII საუკუნეში კაპეტინგებმა დაამარცხეს ავჯანყებული სენიორები. ასევე წარმატებით დასრულდა ომი ინგლისთან. იმავე საუკუნეში დადებული პარიზის ზავის საფუძველზე, ინგლისის მეფემ უარი განაცხადა საფრანგეთში არსებული მიწების უმრავლესობაზე.

* **საპარლამენტო** – პოლიტიკური სისტემა სახელმწიფო მმართველობაში, სადაც ხელმძღვანელი პოზიცია პარლამენტს ეკუთვნის

* **დომენი** – მეფის მიწის მემკვიდრეობითი საკუთრება

რატომ იყო, რომ ფეოდალი სენიორებისაგან განსხვავებით, კაპეტინგთა პოლიტიკას ეკლესიის, რაინდთა და ქალაქების მხარდაჭერა ჰქონდა?

"როგორც ცნობილია, ხელმწიფეებს გრძელი ხელები აქვთ..."



"მეფეთა წმინდა ვალი – უთვალავი ომებით ქვეყნის დამანგრეველ, მძარცველ, ღარიბების მომსპობ, ეკლესიების გამანადგურებელ ბოროტთა მოქმედებების კატეგორიული აღკვეთა... ერთ-ერთი ასეთი ბოროტმოქმედთაგანი – საშინელი თავის მომცველი ტომას მარლია, მათ (ციხე – სიმაგრეებს) გველეშაპის ბუდედ და ყაჩაღთა ადგილად აქცევდა, ასევე წვავდა და ძარცვავდა მთლიან შემოგარენს. ამ (საეკლესიო კრების) თხოვნის საფუძველზე, მეფე მიუახლოვდა ძლიერ დაცულ კრესასის ციხე-სიმაგრეს და მოულოდნელად ხელში ჩაიგდო იგი. ციხე-სიმაგრის დანგრევის შემდეგ, ქვეყანაში დაამყარა შეზღუდობა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ. როგორც ვხედავთ, მეფეებს გრძელი ხელები აქვთ..."

ნაწილი ლიუდოვიკო VI-ის ახლო პირის, სუკერის ნაწარმოებიდან. (XII საუკუნის პირველი ნახევარი)

რაზეა საუბარი ვარკვეულ წყაროდან მოცემულ ნაწილში?

მეფე, დომენის გაფართოების პარალელურად, გარკვეული ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას შეუდგა. ცენტრალური ხელისუფლება, რამდენიმე სამმართველოდ განშტოებული ფორმით მეფის საბჭოს ხელში მოხვდა. სხვადასხვა პროვინციებს მეფის ნაცვლები მართავდნენ. სასამართლო, გადასახადების აკრეფა და ადგილობრივი ჯარის შეკრება მათ უფლებამოსილებაში შედიოდა. მოხელეების დანიშვნისას მეფეები უნივერსიტეტებში "რომის სამართალს" დაუფლებულებს უპირატესობას ანიჭებდნენ. ისინი ძირითადად ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ.

რომელი ფაქტის საფუძველზე შეიძლება დადასტურებული იქნას მეფის ხელისუფლებასა და ქალაქელებს შორის კავშირი?

თავისი წინამორბედების პოლიტიკა ფილიპე IV-მ (1285-1314) განაგრძო. მან, საფრანგეთის დიდი ნაწილი შეიერთა. მაგრამ მცდელობის მიუხედავად ვერ შეძლო ფლადზიას დამორჩილება. ფლადზია ფრანგულ ოკუპაციას თავისი ეკონომიკისათვის სახიფათოდ თვლიდა, იმიტომ რომ მისი ქსოვის ხელოვნება ინგლისიდან მოტანილ მატყლს ეყრდნობოდა. ეკონომიკური ინტერესები, ფლადზიას ინგლისთან დაახლოების მიზეზი გახდა.

ფლადზიასთან ბრძოლას დაეცარიელებინა ფრანგული ხაზინა. ამიტომ ფილიპე IV-ს მისი მოკლე დროში შევსება სურდა. მას, რომის ნებართვის გარეშე ფრანგ სასულიერო პირებისათვის გადასახადი ჰქონდა დაკისრებული. ამის საპასუხოდ პაპი მეფეს დაემუქრა, რომ ეკლესიას მოსწყვეტდა. ფილიპე IV მიხვდა ამ მტრობის საფრთხეს და 1302 წელს პირველად მთავარი შტატები მოიწვია. ეს საფრანგეთში ცენტრალიზებული წარმომადგენლობითი მონარქიის შექმნის მიმართულებით ყველაზე სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენდა. სწორედ მთავარი შტატები დაეხმარა მეფეს, ეკლესიის ხელისუფლების უმაღლესობის დამტკიცების მცდელი პაპისათვის დარტყმის მიყენებაში. ოსტატურად ორგანიზებული კამპანიის შედეგად, საფრანგეთში კათოლიკურ ეკლესიას, "რკინის მეფე" ფილიპე IV-ის მსახურ ინსტრუმენტად გადაქცეულმა ახალმა პაპმა დაუწყო ხელმძღვანელობა.

პოლიტიკური ცენტრალიზაციის დასაწყისი ინგლისში. 1066 წელს ნორმანების დაპყრობის შედეგად ინგლისში ტახტზე ავიდა ვილჰემ I. მან გადადგა პირველი ნაბიჯები ხელისუფლების გაძლიერების მიზნით. პირველ რიგში მოახდინა ანგლოსაქსი თავადების ქონების კონფისკაცია, რომლის $^1/_7$ ნაწილი თვითონ მიითვისა. დანარჩენი ნაწილი კი ბარონებს შორის გაანაწილა. მათი სამფლობელოები ინგლისის სხვადასხვა საგრაფოებში მდებარეობდა. არამხოლოდ მეფის ვასალები, არამედ მათი ვასალებიც კი ვალდებულნი იყვნენ დაედგოთ მეფის ერთგულების ფიცი, გამოევლოთ სამხედრო სამსახური და მიწის მიღების შემთხვევაში გადაეხადათ გადასახადი.



მთავარი შტატების კრება

"ვალი ზედმეტობით დააბრუნა"

ფილიპე IV ისტორიაში, ასევე ტამპლიერთა ("შეტაძრეები") ორდენზე შულლის დაჭერითაც იყო ცნობილი. ეს ორგანიზაცია დიდი ხანი იყო, რომ ევროპაში ყველაზე დიდ საფინანსო დაწესებულებად იყო გადაქცეული. მათ კლიენტთა შორის საფრანგეთის მეფეც იყო. მას "ქრისტეს მსახურებისათვის" დიდი მოცულობის ვალი გააჩნდა. ფილიპე IV-მ ვალი ძალიან ორიგინალური ფორმით დააბრუნა: ორდენი ინკვიზიციაში იქნა დადანაშაულებული და მასთან მტრობა დაიწყო. ასობითი მღვდელ-რაინდი კოცონზე დაწვეს. ორდენის ქონება კი, კონფისკაციის დაექვემდებარა და მეფის ხაზინაში გადავიდა.

რატომ იყო რომ, ადრე მმართველებთან ბრძოლაში გამარჯვების იოლად მომპოვებელი პაპები ფილიპე IV-სთან ბრძოლაში დამარცხდნენ?

1086 წელს ვილჰელმ I-მა ინგლისში მოსახლეობისა და მათი ქონების აღრიცხვა მოახდინა. ადამიანებმა ეს ღონისძიება არა უბრალო დონის საშინელებად მიიღეს, ხოლო აღწერის შედეგების მაჩვენებელ წიგნს "წარღვნის წიგნი" უწოდეს. ამ ღონისძიების შედეგად თავისუფალ გლეხთა დიდი ნაწილი ყმა გლეხებად გადაიქცა.

XII საუკუნის მეორე ნახევარში მეფის ხელისუფლების ავტორიტეტი უფრო გაიზარდა. ეს, ჰაინრიხ II-ის რეფორმებთან იყო დაკავშირებული. სასამართლო რეფორმის თანახმად, ყოველი რაინდი, ქალაქის მაცხოვრებელი და თავისუფალი გლეხი უფლებამოსილი იყო გვერდი აევლო ადგილობრივ საბარონო სასამართლოსათვის და პირდაპირ მეფის სასამართლოსათვის მიემართა. ყველაზე მნიშვნელოვანი - დაიწყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოქმედება. ამ სასამართლოში ბრალდებული პირებისათვის გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენი სპეციალურ ჟიურს გამოჰქონდა. ასეთი სასამართლოები დღესაც არსებობს ზოგიერთ ქვეყნებში.

ხანგრძლივი ომები სამხედრო რეფორმის გატარებას მოითხოვდა. ამ რეფორმის თანახმად, რაინდთა წელიწადში რამოდენიმე დღით შეზღუდული სამხედრო სამსახური "დამცავ ფულად" წოდებული გადასახადის გადახდით იქნა ჩანაცვლებული. ამ გადასახადის აკრეფამ გასაქანი მისცა ხელფასიანი ჯარის გამოყენებას. ასეთ ჯარში ხელფასის ნაცვლად, მთელი წლის განმავლობაში სამხედრო სამსახურის გაწევაზე დათანხმებული რაინდები მსახურობდნენ.

როგორი ზეგავლენა მოახდინა ჰაინრიხ II-ის რეფორმებმა ფეოდალურ დიდებულთა მდგომარეობაზე?

ცენტრალიზაციის პროცესს თან სდევდა მწვავე ბრძოლა მეფესა და ბარონებს შორის. 1215 წელს მომხდარი აჯანყების შედეგად მეფე იძულებული გახდა ხელი მოეწერა "თავისუფლების დიდი ქარტია" სახელწოდების საბუთისათვის. ამ დოკუმენტში ასახვა ჰპოვა ქვეყნის სხვადასხვა თავისუფალი ფენების ინტერესებმა. ქარტიის ერთ-ერთი მუხლის თანახმად, შეიქმნა ძირითადად მსხვილი ფეოდალებისაგან შემდგარი სამეფო საბჭო. ეს საბჭო 1265 წელს შექმნილი ინგლისის პარლამენტის წინამორბედი იყო. XIV საუკუნეში განსაზღვრული იქნა პარლამენტის ძირითადი უფლებამოსილებანი. **გადასახადების დამტკიცების გარდა, პარლამენტი, კანონების მიღების და პოლიტიკურ საკითხებზე სასამართლო წარმოების უფლებამოსილებებსაც ფლობდა**. 1343 წლიდან პარლამენტი ორ პალატად დაიყო: ლორდთა პალატა და თემთა პალატა. პარლამენტის ამგვარი მოწყობა განსაზღვრული ცვლილებებით დღემდე შემონახულ-შემორჩენილა.

რა სახის გავლენა მოახდინა ქარტიამ ინგლისის პოლიტიკურ განვითარებაზე?

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

"დიდი თავისუფლების ქარტიიდან"

"1. ...უნდა განთავისუფლდეს ინგლისის ეკლესია და მისი უფლებები და თავისუფლებები სრული სახით მას უფლებამოსილებაში უნდა ვადაუცეს.

12. არც "დამცავი ფულია" და არც შეწყობა ჩვენი სამეფოს საერთო საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე არ უნდა იქნას აკრეფილი.

13. ლონდონი და სხვა ქალაქებიც ყველა ტრადიციულ თავისუფლებებსა და თავის დამოუკიდებელ ტრადიციებს უნდა ფლობდეს.

14. სამეფოს საერთო საბჭოს ორგანიზებებისათვის ჩვენ არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების, წინამძღვრების, გრაფების, დიდი ბარონებისა და ჩვენგან პირდაპირ ქონების მიმღები რაინდების მოწვევას ვბრძანებთ.

16. არავინ არ უნდა იქნას იძულებული გასწიოს სამსახური იმაზე მეტად, ვიდრე ეს განსაზღვრულია კანონით, თავისი ფეოდის ვათვალისწინებით.

39. არც ერთი თავისუფალი პირი, კანონიერი განაჩენის გარეშე ან უკანონოდ არ შეიძლება დაკავებული და საპატიმროში იქნას გამომწყვდეული, აკრძალულია მისთვის საკუთრების ჩამორთმევაც.

61. ბარონებმა მთლიანი სამეფოდან ნებისმიერი 25 ბარონი უნდა აირჩიონ, რადგან მათ მეფის მხრიდან მათთვის ბოძებული უფლებები და თავისუფლებები მთელი ძალებით უნდა დაიცვან და შეინარჩუნონ".

რომელი ფენის ინტერესებს იცავდა ქარტიის მოცემული მუხლები?

ასწლიანი ომი. 1328 წელს საფრანგეთში დასრულდა კაპეტინგთა დინასტიის მმართველობა. ის, მონათესავე დინასტია ვალუამ შეცვალა. ამის მერე, ფილიპ IV-ის შვილიშვილს (მისი ქალიშვილის ხაზით) - ინგლისის მეფეს საფრანგეთის ტახტზე პრეტენზია ჰქონდა წამოყენებული. მაგრამ ორ ქვეყანას შორის "ასწლიანი ომი"ს (1337-1453) დაწყების მიზეზებს, ძირითადად ტახტისათვის ბრძოლებთან ერთად, ინგლისის საფრანგეთში დაკარგული ტერიტორიების მოთხოვნა, აგრეთვე "ფლანდრიის საკითხის" გამწვავება წარმოადგენდა.

ასწლიანი ომი

კრესსა და პუატიესთან ახლოს ინგლისელების გამარჯვება, საფრანგეთის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილის დაპყრობით დამთავრდა. გაძარცვული იქნა ეს ტერიტორიები. ინგლისში წარმოებულმა ხანგრძლივმა ომებმა გადასახადებისა და ფეოდალური ზეწოლის მომატება გამოიწვია. ფეოდალური ზეწოლის გაზრდის საპასუხოდ საფრანგეთში (1358 წელს ჟაკერიის აჯანყება) და ინგლისში (1381 წელს უოთ ტაილერის აჯანყება) გლეხთა აჯანყებები მოხდა. ამ აჯანყებების ჩახშობის მიუხედავად, დაჩქარებული იქნა გლეხთა დამპყრობელთაგან გათავისუფლების პროცესი.

"ასწლიანი ომი" კი გრძელდებოდა. 1415 წელს, ინგლისელებმა აზენკურთან ახლოს გაანადგურეს ფრანგული ჯარი და აიღეს პარიზი. საფრანგეთის მდგომარეობა უაღრესად გაართულა ბურგუნდიის ჰერცოგის ინგლისის მხარეზე გადასვლამ. ამ დროს გამწვავდა ბრძოლა ტახტისათვის. ერთი მხრიდან მცირეწლოვანი ინგლისელი მეფე საფრანგეთის მმართველად გამოცხადდა, მეორე მხრიდან კი, საფრანგეთის პრინცი კარლი თავისი უფლებების აღიარებას მოითხოვდა.

1428 წელს ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ორლეანს. მდგომარეობა ძალიან დაძაბული იყო. ქალაქ ორლეანში საფრანგეთისა და ფრანგი ხალხის ბედი უნდა გადამწყდარიყო. მხოლოდ სასწაული იხსნიდა საფრანგეთს. ამ სასწაულმა თავისი გამოვლენა ჟანა დ'არკის მოქმედებაში ჰპოვა. მისმა, ბრძოლისაკენ ცეცხლიანმა მოწოდებამ ბიძგი მისცა, ქვეყანაში აქამდე უნახავი პატრიოტული სულის აღზევებას. ამ ხალხის წინააღმდეგობის შედეგად განთავისუფლდა ორლეანი და ქალაქ რეიმსში ჩატარდა კარლოს VII-ს ჩვეულებისამებრ გვირგვინის დადგმის ცერემონია. ჟანას ავტორიტეტით შეწუხებულმა თავადებმა მას უღალატეს. შედეგად ბურგუნდიელებმა ტყვედ ჩაიგდეს ჟანა და ინგლისელებს მიჰყიდეს. ჟანა 1431 წელს ქალაქ რუანში ინკვიზიციის კოცონზე დაწვეს. მაგრამ ჟანას სიკვდილმა ინგლისელებს ვერ უშველა. ფრანგი ხალხის პატრიოტულმა ენთუზიაზმმა, ბურგუნდიის ჰერცოგის ინგლისთან კავშირის შეწყვეტამ და როგორც იქნა, ინგლისის შიგნით ფეოდალურმა გაწევ-გამოწევამ დაახლოვა მისი მარცხი. 1453 წელს ომი საფრანგეთის გამარჯვებით დამთავრდა.

თქვენი აზრით, ნაჩვენები მიზეზებიდან, რომელი გახდა ინგლისის ასწლიან ომში დამარცხების ძირითადი მიზეზი?

დასავლეთი ევროპა "ასწლიანი ომის" შემდეგ. XV საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისსა და საფრანგეთში პოლიტიკური ცენტრალიზაციის უკანასკნელი ეტაპი იყო დაწყებული. ამ ეტაპზე ორივე ქვეყანაში გამწვავებული იყო ბრძოლა, ცენტრალიზაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. საფრანგეთში ბრძოლა ლიუდოვიკო XI-სა და მოკავშირე ფეოდალების სათავეში მდგარ ბურგუნდიის ჰერცოგს, მამაც კარლოსს შორის მიმდინარეობდა. ბრძოლაში წარუმატებელმა ლიუდოვიკო XI-მ თავის მიზანს მოტყუებით, მუქარითა და პროვოკაციის გამოყენებით მიაღწია. დაიშალა ფეოდალების გაერთიანებული ძალები, ხოლო კარლოსი მოკლული იქნა. XV საუკუნის ბოლოს დასრულდა საფრანგეთის პოლიტიკური გაერთიანება. მაგრამ გადამწყვეტი ცვლილებები ლიუდოვიკოს პერიოდში მოხდა. ის ქვეყანას მრავალრიცხოვანი მოხელეების დახმარებით მართავდა და მთავარ შტატებს უფრო და უფრო ნაკლებად იწვევდა. ყოველივე ეს უჩვენებდა, რომ საფრანგეთი აბსოლუტური მონარქიის მიმართულებით მიდიოდა.

ინგლისში კი, "ასწლიანი ომის" შემდეგ, ისტორიაში "წითელი ვარდისა და თეთრი ვარდის ომის" სახელწოდებით ცნობილი შინა ომი (1455–1485) დაიწყო. ეს იყო, ორი მეტოქე დინასტიის გარშემო გაერთიანებულ, ორ ჯგუფ დიდებულთა ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ეს ბრძოლა ინგლისის ძველი დიდებულების უმრავლესობის დაღუპვითა და ტიუდორთა დინასტიის (1485-1603) ხელისუფლებაში მოსვლით დასრულდა. დინასტიის ფუძემდებლის ჰენრი VII-ის ხელისუფლების წლებში, თემთა პალატის უფლებები შეზღუდული იყო. ასე რომ, ინგლისში, ისევე როგორც საფრანგეთში დაიწყო პოლიტიკური წყობის ახალი ფორმით ჩამოყალიბება.

რაში მდგომარეობდა XV საუკუნის ბოლოს ინგლისსა და საფრანგეთში დამყარებული პოლიტიკური წყობის სიახლე?

პირენეის ნახევარკუნძულზე, რეკონკისტას შედეგად შეიქმნა ესპანეთისა და პორტუგალიის სამეფოები. XV საუკუნის დასასრულს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, ამ ორი სახელმწიფოს შინა ცხოვრებაში. მეფეებმა ხელისუფლებას ჩამოაშორეს მემკვიდრეობითი თავადები და ისინი მომსახურე დიდებულებით შეცვალეს, რომლითაც ***კორტესების**** როლი შეამცირეს.

* **კორტესები** – წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ესპანეთსა და პორტუგალიაში

გერმანიისა და იტალიის დიდი ნაწილი, ისევე როგორც ადრე, სამთავროებისა და თავისუფალი ქალაქების ჯგუფისაგან შემდგარი საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ამ იმპერიაში არც საერთო კანონი და არც საერთო სასამართლო არ არსებობდა.

რით განსხვავდებოდა გერმანიისა და იტალიის პოლიტიკური წყობა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან?

XVI საუკუნის დასაწყისში, ევროპის ქვეყნები პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე იყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ წინაშე სხვადასხვა ამოცანები იდგა.

კითხვები და დავალებები

1. *რა შედეგები მოჰყვა ნორმანების მხრიდან ინგლისის დაპყრობას?*
2. *მიმდევრობით ჩამოთვალეთ ნაბიჯები, რომელიც მიმართული იყო "ასწლიან ომამდე" საფრანგეთსა და ინგლისში მეფის ხელისუფლების გაძლიერებისაკენ.*
3. *გამოიკვლიეთ XIII-XV საუკუნეებში ინგლისში საპარლამენტო წყობის შექმნისა და განვითარების საფეხურები.*
4. *მოამზადეთ პრეზენტაცია ჟანა დ'არკის შესახებ.*
5. *განსაზღვრეთ "ასწლიანი ომის" შემდეგ საფრანგეთსა და ინგლისში მომხდარი პოლიტიკური პროცესების საერთო მხარეები.*

19 კულტურა

საკვანძო სიტყვები

- ნიზამია
- ომარ ხაიამი
- ულუგბეგი
- მაჰმუდ კაშღარი
- მარკო პოლო
- მიქელანჯელო
- უნივერსიტეტი
- ლეონარდო და ვინჩი

XIII საუკუნემდე, მიუხედავად იმისა, რომ ისლამის გავრცელებამ მსოფლიო ცივილიზაციაში შეუცვლელი წვლილი შეიტანა, შუა საუკუნეების ბოლოს მდგომარეობა შეიცვალა. ევროპაში აღორძინების პერიოდად ცნობილ XIV-XVI საუკუნეებში, ევროპის კულტურამ კაცობრიობის ცივილიზაციას სამეცნიერო აღმოჩენებთან ერთად, ხელოვნების ძვირფასეულობაც უბოძა.

მეცნიერება და განათლება. აღმოსავლეთის მეცნიერებისა და კულტურის სფეროში დიდი წარმატებების მიღწევა, ძირითადად VIII-XIII საუკუნეების მომცველ ისლამის გავრცელების პერიოდს ემთხვევა.

დიდი სელჩუკთა სულთნის, ალპ არსლანის პერიოდში - XI საუკუნეში, ბაღდადში გახსნილი უმაღლესი მედრასა, მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტთაგანია. "ნიზამიად" წოდებულ ამ უნივერსიტეტში რელიგიურ მეცნიერებებთან ერთად, სამართალი, ფილოლოგია, მათემატიკა და ასტრონომიაც ისწავლებოდა.

ომარ ხაიამი

XI–XII საუკუნეებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ომარ ხაიამი, რომელიც იმ პერიოდის გენიალური პოეტი, მათემატიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი იყო. ომარ ხაიამი ისპაჰანის ობსერვატორიის ხელმძღვანელი ყოფილა. მის მიერ, ასტრონომიასთან დაკავშირებით შედგენილი "მალიქშაჰის ცხრილის" კატალოგის, რომელშიაც 100-ზე მეტი ვარსკვლავის სახელწოდებაა მოცემული, მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი იქნა დღემდე შემორჩენილი. ომარ ხაიამმა მალიქშაჰ I-ის საპატივსაცემოდ "ჯალალის კალენდარი" შეადგინა, მასში წამოყენებულია აზრი, დედამიწის მზის გარშემო ტრიალის შესახებ.

ძველი დროის კალენდრებიდან, რომლებია თქვენთვის ცნობილი?

მთვარის რუკაზე სახელშეტანილ დიდ თურქ ასტრონომთაგან ერთ-ერთი ულუგბეგია. დიდ თურქ მეცნიერს, ულუგბეგს XV საუკუნეში, სამარყანდში 55 მეტრი სიმაღლის, მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ობსერვატორია ჰქონდა აშენებული.



ულუგბეგის ობსერვატორია

XI საუკუნის ცნობილმა თურქმა მეცნიერმა, მაჰმუდ კაშღარმა 1077 წელს დაწერა ნაწარმოები "დივანი-ლუღათ--ით-თურქი", ხოლო თავის ნაწარმოების ბოლოს დართული ჰქონდა თურქი ხალხების საცხოვრებელი ტერიტორიების აღმწერი პირველი რუკა.

ოსმალეთის ადმირალს, პირი რაისს 1513 წელს მსოფლიოს დიდი რუკა ჰქონდა დახატული და ამ რუკაზე ამერიკის კონტინენტიც კი ჰქონდა შეყვანილი. როგორც ჩანს, თურქ მეცნიერებს ჰქონდათ ცნობები ამერიკის კონტინენტის არსებობის შესახებ.

პირი რეისის რუკა

პირი რეისი

ჩინეთში XI საუკუნეში დენთის, XII საუკუნეში ლითონის ზარბაზანი იქნა გამოგონილი. XI-XV საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში კულტურის სფეროში დიდ წინსვლებს ჰქონდა ადგილი. ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანი ევროპელების ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში, აღმოსავლეთში ისლამის ცივილიზაციასთან კავშირში ყოფნა და უამრავი ახალი ცნობების მოპოვება იყო. ჯვაროსნული ლაშქრობების დამთავრების შემდეგაც ევროპელებს აღმოსავლურ ქვეყნებზე ინტერესი არ განელებიათ. XIII საუკუნეში ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური მარკო პოლო გაემგზავრა შორეულ აღმოსავლეთში და ის მრავალი წლის განმავლობაში ჩინეთში ცხოვრობდა. მისი ნაწარმოებები, რომლებიც აზიური ქვეყნების შესახებ მოგვითხრობენ, დიდი ხნის მანძილზე ევროპელების მიერ იმ ქვეყნებზე წარმოდგენების განსაზღვრისა და გეოგრაფიული რუკების დახატვის გარანტს წარმოადგენდნენ.

როგორ ჰქონდა განსაზღვრული მაჰმუდ ქაშღარლის თავისი ნაწარმოების მიზანი?

თქვენი აზრით, რა იყო მარკო პოლოს ჩინეთში ცხოვრების მიზეზი?

ეკლესიური სკოლები უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ქალაქის თვითმმართველობის ორგანოებისა და მეფის სასახლის მოთხოვნებს მცოდნე ადამიანებზე. ამიტომაც იხსნებოდა საერო სკოლები, ჩნდებოდა პირველი უმაღლესი სასწავლებლები. XII საუკუნეში, იტალიაში გახსნილი იყო ბოლონიის უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტში ძირითადად სამართალი, მედიცინა და ხელოვნება ისწავლებოდა. პარიზის უნივერსიტეტმა, რომელიც უძველეს უმაღლეს სასწავლებელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს, 1200 წელს მეფისაგან მიიღო განკარგულება თავისი უფლებების დაკანონების შესახებ.

შუა საუკუნეებში შექმნილი ევროპული უნივერსიტეტებიდან, რომელი განაგრძობს დღეს თავის მოქმედებას?

XIII საუკუნის ინგლისის ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის როჯერ ბეკონის ნაწარმოებს "დიდი შრომა" შეიძლება იმ დროის ენციკლოპედია ეწოდოს.

XV საუკუნეში ტელესკოპით ციური სხეულების მნახველმა ვენეციელმა გალილეო გალილეიმ ახალი აღმოჩენები გააკეთა. მან დაამტკიცა ნიკოლაი კოპერნიკისა და ჯორდანო ბრუნოს ცდა მიწის მზის გარშემო ბრუნვის შესახებ.

დივანი-ლუღათ-ით-თურქ

მაჰმუდ ქაშღარი

"ეს წიგნი მე ანბანის რიგის მიხედვით შემიდგენია. ის ანდაზებით, გამონათქვამებით, ლექსებით, ... და პროზით მოცემული ნაწილებით გამიმდიდრებია. მე რთული გადაამარტივე, გაუგებარი აგიხსენი და წლების მანძილზე ჩემი საქმე გაწვავრძე. მე თურქების მიერ წაკითხული ლექსებიდან ნაწილები, ასევე მათ მიერ ბედნიერ და უბედურ დღეებში გამოყენებული ფრაგები ჩემს წიგნში დამინერგია, რათა უზრუნველყო მკითხველთა გაცნობა ამ ხალხთა გამოცდილებითა და ცოდნით".

მარკო პოლო



პარიზის უნივერსიტეტი

მეცნიერული ცოდნის გაფართოებამ და მცოდნე ადამიანების საჭიროებამ გაზარდა წიგნების ბეჭდვის აუცილებლობა. **1445 წელს გერმანიაში, იოჰან გუთენბერგმა გახსნა პირველი სტამბა**. მის მიერ დაბეჭდილი პირველი წიგნი ბიბლია იყო. ამ გამოგონებიდან წიგნის ბეჭდვა თანდათან მთელ ევროპაში გავრცელდა და ხელი შეუწყო ცოდნის უფრო სწრაფ და ფართო გავრცელებას.


როჯერ ბეკონი


გალილეო გალილეი

ნიკოლაი კოპერნიკი

ჯორდანო ბრუნო

ხელოვნება. XIV საუკუნეში იტალიაში შექმნილი და ჰუმანისტური იდეების განმასახიერებელი რენესანსის კულტურა, მოკლე დროში მთელ ევროპაში გავრცელდა. რენესანსის პერიოდის განმასხვავებელი მხარეები კულტურის ახალი და საერო ხასიათი, ასევე ადამიანისა და მისი მოქმედებების წინა პლანზე დაყენება იყო. ხელახლად გაიზარდა ინტერესი ანტიკურ კულტურაზე, თითქმის ადგილი ჰქონდა მის აღორძინებას.

რომელ საუკუნეებს მოიცავს აღორძინების რენესანსის პერიოდი და მის რომელ წარმომადგენლებს იცნობთ?

რენესანსის კულტურის ცენტრი იტალიის ქალაქი ფლორენცია იყო. ქალაქი რომი, ვენეცია და მილანიც ცნობილნი იყვნენ თავიანთი ხელოვნებით.

იტალიის რენესანსის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელის, გენიალური მხატვარის ლეონარდო და ვინჩის (1452-1519) ნაწარმოები "მონა ლიზა" (ჯოკონდა) მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ლეონარდო და ვინჩიმ თავის პერიოდს რამდენიმე საუკუნით წინ გაასწრო და პარაშუტის, ვერტმფრენის, დაივინგის კოსტიუმებისა და წყალქვეშა გემის მაკეტი დაამზადა. ლეონარდო და ვინჩი ადამიანის ორგანიზმის აგებულების შესასწავლად მკვდრის სხეულებზე ქირურგიულ ოპერაციებს ატარებდა.

ლეონარდო და ვინჩი


"მონა ლიზა" (ჯოკონდა)


ლეონარდო და ვინჩის იდეები

მიქელანჯელო არქიტექტორი, სამხედრო ინჟინერი, პოეტი, პირველ რიგში კი მოქანდაკე იყო. მას პეტრეს ტაძრის უზარმაზარი გუმბათის პროექტი ჰქონდა დამზადებული. რენესანსის პერიოდის გენიალური მხატვარი და მოქანდაკე მიქელანჯელო "გიგანტის" სახელწოდების, 5,5 მეტრის სიმაღლის "დავიდის" ძეგლის ავტორია. წმინდა პეტრეს ეკლესია, რომლის მშენებლობის ერთ ეტაპზე მიქელანჯელოსა და რაფაელსაც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, იმ პერიოდის ყველაზე შესანიშნავ არქიტექტორულ ნიმუშთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს.

გაიხსენეთ, თუ რომელ ქალაქებში მდებარეობს წმინდა პეტრეს ეკლესიები.

დავიდის ძეგლი

წმინდა პეტრეს ეკლესია

განსაზღვრეთ, თუ რა იყო ევროპასთან შედარებით მუსლიმანურ აღმოსავლეთში მხატვრობის განუვითარებლობის მიზეზები.

აღმოსავლურ ქვეყნებში ხელოვნების სახეობებიდან ყველაზე მეტად განვითარებული არქიტექტურა იყო. ინდ-ისლამური არქიტექტორულ ძეგლებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა XII საუკუნეში, დელიში აშენებული კუვვათულ-ისლამის მეჩეთი, XIII საუკუნეში კი, კუტბადდინ აიბაკის ბრძანებით, აგურით აშენებული 73 მეტრის სიმაღლის კუტბ-მინარის მინარეთი.

ალჰამბრა

თემურისა და მისი მემკვიდრეების ხელისუფლების პერიოდში, XIV-XV საუკუნეებში აშენებული, სამარყანდში მყოფი შაჰი-ზინდას მავზოლეუმის ანსამბლი აღმოსავლური არქიტექტურის ყველაზე მშვენიერ ნიმუშთაგან ერთ-ერთად ითვლება.

ესპანეთის გრანდას საემიროში, მმართველ არაბებს XIII-XV საუკუნეებში აშენებული ჰქონდათ ალჰამბრას სასახლე, რომელიც მუსლიმანური არქიტექტურის ყველაზე მშვენიერ ფასეულობად ითვლება.

ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტორთაგანი სინან ხოჯა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVI საუკუნეში.

განსაზღვრეთ დასავლური და აღმოსავლური არქიტექტურის საერთო მხარეები.

ლიტერატურა. შუა საუკუნის ქალაქებში პოეტები აგროვებდნენ სახალხო სიმღერებსა და თქმულებებს, ამით კი მარადიულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ. ევროპაში ფართოდ გავრცელებული იყო მამაცი და გულუხვი რაინდების განდიდება. XII საუკუნეში, საფრანგეთში დაწერილი "სიმღერა როლანდის შესახებ" ყველაზე პოპულარულ სარაინდო პოემას წარმოადგენდა. ნაწარმოების გმირი როლანდი იბრძოდა მტრის წინააღმდეგ და ლეგენდარულ გმირობებს იჩენდა. თავისი სენიორის წინაშე ერთგულების ფიცის დამდები როლანდი ბოლოს იღუპება.

შაჰი-ზინდა

შუა საუკუნის ქალაქებში იგავები და ზღაპრებიც ძალიან უყვარდათ. პოემაში "რომანი მელიას შესახებ" სვადასხვა ცხოველების (დათვი, მგელი, მელია, კურდღელი და სხვა.) ფორმით საზოგადოების ყველა ფენის სახე იყო გამოხატული.

კითხვები და დავალებები

1. *XI-XVI საუკუნეებში, რომელმა ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა თურქული სამყაროს კულტურის განვითარებაზე?*
2. *რა ფასეულობები უბოძა კაცობრიობას ამ პერიოდის აღმოსავლურმა კულტურამ?*
3. *შეადარეთ ერთმანეთს დასავლეთ ევროპასა და მუსლიმანურ აღმოსავლეთში შექმნილი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები. განსაზღვრეთ მათი მსგავსი და განმასხვავებელი მხარეები.*
4. *მოამზადეთ რეფერატი რენესანსის პერიოდის ევროპული კულტურის წარმომადგენლების შესახებ.*

გვიანი შუა საუკუნეები და ახალი ხანის დასაწყისი

შუა საუკუნეების უკანასკნელი ეტაპი ევროპაში დაიწყო XV საუკუნის ბოლოს და ას წლამდე დროის მანძილზე გრძელდებოდა. ტექნიკის სფეროში არსებული აღმოჩენები და გამოგონებები, შრომის განაწილების არსებობა და მანუფაქტორების გაჩენა, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენდა. ახალი ეპოქის მთავარი არსი კი თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბება და კაპიტალიზმის განვითარება იყო.

ევროპულ ქვეყნებში კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბებით ახალი ფენები–ბურჟუაზია და ანაზღაურებად მუშათა კლასი შეიქმნა. სიხარბემ ევროპელებს კოლონიურ დაპყრობებისაკენ უბიძგა. შუა საუკუნეების დასასრულს, მაუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ადგილს ჰპოვებდა აბსოლუტიზმის განმტკიცებას, ახალი ეპოქის პირველ ასწლეულებში (XVI საუკუნის მეორე ნახევარი – XVIII საუკუნეები) რევოლუცია–გადატრიალებების შედეგად დაიშალა არსებული მმართველობის სისტემები. რიგ ქვეყნებში შეიქმნა რესპუბლიკები და მიღებული იქნა კონსტიტუციები.

აზიის ქვეყნებში შუა საუკუნეები უფრო დიდ ხანს გაგრძელდა. იცვლებოდა ხელისუფლება, იქმნებოდა და იშლებოდა დიდი იმპერიები, მაგრამ სოციალური ცხოვრების ფორმა და თავისებურება, აგრეთვე მართვის მეთოდები უცვლელი რჩებოდა. ყოველივე ეს, დიდი მოგოლთა და ოსმალეთის იმპერიების დაშლის ძირითად მიზეზებს წარმოადგენდა.

აშშ–ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება

20 რეფორმაცია ევროპაში. პირველი ბურჟუაზიული რესპუბლიკა

საკვანძო სიტყვები

- "95 თეზისი"
- "12 მუხლი"
- ლუთერი
- პროტესტანტი
- კალვინიზმი
- ბურჟუაზიული რესპუბლიკა

XV საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა კათოლიკური ეკლესიის რეფორმირების აუცილებლობა. ამან სექტების რიცხვის გაზრდა გამოიწვია. ეკლესიის მეთაურებს უკვე უჭირდათ სექტანტების გაჩუმება, მათი ინკვიზიციის კოცონზე გაგზავნის გზით. XVI საუკუნის დასაწყისში კი, ევროპაში კათოლიკური ეკლესიის საფუძვლების შემარყეველი და დასავლეთ ევროპის მორალური აყვავებისათვის გზის გამხსნელი, თავისუფლად მოაზროვნე პიროვნება გამოჩნდა.

რეფორმაციის დასაწყისი. გერმანია შუა საუკუნის დასასრულს, ჯერ კიდევ კათოლიკური ეკლესიის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ძლიერი მეფის ხელისუფლების მქონე საფრანგეთში, ინგლისსა და ესპანეთში პაპების ხაზინის სასარგებლოდ აკრეფილი გადასახადები უაღრესად შემცირებული იყო. იმპერატორის ხელისუფლების შესუსტების შედეგად აშლილობის პერიოდში მყოფ გერმანიაში კი, პაპებს ქვეყნის გაძარცვისათვის ფართო გასაქანი ჰქონდათ გახსნილი.

XVI საუკუნის დასაწყისში, გერმანული ქალაქების მოედნებსა და ბაზრობებზე "სამოთხის ქვითრების" (ინდულგენსიები) გამყიდველი მღვდლების ხმები უფრო ძლიერად გაისმოდა. პაპის ელჩები მოსახლეობის დასარწმუნებლად წარმოადგენდნენ იდეებს, რომ "ეკლესიისათვის ფულის შეწირვის მომენტიდან, ცოდვილის სული დაიხსნებოდა *არაფიდან** და პირდაპირ სამოთხეში მოხვდებოდა". მათი სიტყვებით პატიების მოპოვება ნებისმიერი ცოდვის გამო, იოლად იყო შესაძლებელი.

ვიტენბერგის უნივერსიტეტის თეოლოგი პროფესორის, მარტინ ლუთერის პრეტენზიული ხმის ამაღლებამდე, კარგად გრძელდებოდა "სამოთხის ქვითრების გაყიდვა". ლუთერის თავისუფალი სული ეკლესიის დოგმების ვიწრო ჩარჩოებში არ ეტეოდა. თეოლოგი წერდა რომ, "ცოდვილის დახსნა - ღმერთის მიერ მისი შეწყალებაა". თავდაპირველად, ეს, უბრალო რელიგიური განხილვების ჩარჩოებიდან გაუსვლელი შეხედულება ლუთერის მხრიდან ვიტენბერგში 1517 წლის ოქტომბერში, სასახლის ეკლესიის კარზე პოპულარული "95 თეზისის" მიჭედების შემდეგ შეიცვალა. ამ თეზისებში ის უარყოფდა პაპის უფლებამოსილებას არაფზე*, აგრეთვე არც კათოლიკური ეკლესიის "სამოთხის ქვითრების" გაყიდვის უფლებას აღიარებდა. ლუთერის თეზისები დასავლეთ ევროპის რელიგიური რეფორმაციის ცეცხლში გახვევის, გაბედულ ბიძგს წარმოადგენდა.

თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ლუთერის შეხედულებები შეფასდეს? რელიგიის წინააღმდეგ გამოსვლად დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

21. ...''სამოთხის ქვითრების'' საშუალებით ადამიანის სასჯელისაგან დახსნისა და გადარჩენის აზრის მქონე მქადაგებელნი ცდებიან... 36. ყოველ გულწრფელად მოძღვრებულ პირს, ცოდვები ''სამოთხის ქვითრებისაგან'' დაპატიჟებლად მიეტევება.

ლუთერის 95 თეზისი

* **არაფი** – რელიგიური რწმენების თანახმად, სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის მდებარე ადგილია. სულები, აქედან სამოთხეში ან ჯოჯოხეთში იგზავნება.

ვიტენბერგის ეკლესია

“ვერაფერს ვერ უარვყოფ, იმიტომ რომ, შეუძლებელია სინდისის წინააღმდეგ წასვლა”. “95 თეზისის” შემდეგ, ლუთერმა თავისი წვრთნა ახალი დებულებებით განამდიდრა. ადრე პაპის გარეშეც, ეკლესიის მოღვაწეობის შესაძლებლობის შესახებ აზრის მქონე ლუთერმა, შემდგომში უარყო ეკლესიის, როგორც ორგანიზაციის მნიშვნელობა. აჯანყებული თეოლოგის აზრით, რომ მიმართონ ღმერთს, საამისოდ არავითარი რელიგიური შუამავალი არ საჭიროებს. ამ განცხადებით მან ბიოროკრატიული და ხარბი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, უფრო დემოკრატიული ხასიათის ადრეული ქრისტიანობა გამოიყვანა და ამან, მასსა და პაპს, ლეო X-ს შორის არსებული წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაამწვავა.

პაპს, მოკლე დროში ლუთერის მიერ რომში არ ჩამოსვლისა და თავის სექტაზე აშკარად უარის არ თქმის შემთხვევისათვის, მისი ეკლესიიდან გამოყოფის შესახებ დეკლარაცია ჰქონდა მომზადებული. აქამდე კი, თეოლოგის წიგნები დამწვარი უნდა ყოფილიყო.

სანამდვილეში, რით აიხსნებოდა პაპის მითითება ლუთერის წიგნების დაწვის შესახებ?

ამის საპასუხოდ ლუთერმა ვიტენბერგის უნივერსიტეტის ეზოში დაწვა დეკლარაცია და იმპერატორ კარლ V-ს მიმართა, რომლითაც მას პაპისაგან რომის ჩამორთმევა და მთლიანი საეკლესიო მიწების კონფისკაცია შესთავაზა. იმპერატორმა ეს თხოვნა პასუხის გარეშე დატოვა. მას პაპი ურჩი მთავრების წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებოდა.

ამის შემდეგ რომის პაპმა და კარლ V-მ, 1521 წელს, ლუთერის ქალაქ ვორმსის რაიხსტაგზე გახსნილ საეკლესიო სასამართლოში მიცემა გადაწყვიტეს. მაგრამ აქაც ლუთერმა უარყო სექტასთან დაკავშირებული ყოველგვარი ბრალდება და მოითხოვა მისი შეხედულების მცდარობის მტკიცება, ბიბლიიდან ციტატის მოყვანით. სასამართლო პროცესზე დაკავებულმა პოზიციამ მის მიმდევრებში უფრო დიდი რწმენა და სიმტკიცე გამოიწვია. ყველა, ლუთერის მიერ მის ბრალმდებელთა მისამართით გამოთქმულ სიტყვებს იმეორებდა. “ვერაფერს ვერ ვუარყოფ, იმიტომ რომ, შეუძლებელია სინდისის წინააღმდეგ წასვლა“.

ვორმსის რაიხსტაგმა ვერ შეძლო ლუთერის საქმის გადაწყვეტა. არც საშიში რეფორმატორის დაპატიმრება მოხდა. მის დასაცავად მრავალი მთავრები და რაინდები წამომდგარიყვნენ.

ლუთერი ვორმსში

პაპების წინააღმდეგ შექმნილი ოპოზიცია, თავდაპირველად თავისი შემადგენლობისა და მოთხოვნების მიხედვით, ძალიან კომპლექსური იყო. ვორმსის რაიხსტაგის შემდეგ, ამ სხვადასხვაობამ თავი უფრო აშკარად გამოავლინა და საეკლესიო რეფორმების მომხრეების ორ მტრულ მიმდინარეობად დაყოფის მიზეზი გახდა. საერო მთავრების, რაინდებისა და მდიდარი ქალაქელების დახმარებაზე დამყრდნობ ლუთერს, საეკლესიო

“სამოთხის ქვითრების” გამოვლენა

კათოლიკური ეკლესიის სწავლების მიხედვით, ადამიანი გარდაცვალებისთანავე განსაწმენდელში ხვდება. ეს ჯოჯოხეთისაგან განსხვავებით, რომის პაპის “უფლებამოსილებაში” იყო. ჯოჯოხეთის წამებისაგან დასახსნელად ადამიანს ჯერ სიცოცხლეში უნდა გაეწმინდა ცოდვები. ამ ძალიან მჭაცრ სასჯელს, სასულიერო პირები დიდი წადილით, განსაზღვრული ფულით ანაცვლებდნენ. ასე რომ, “სამოთხის ქვითრები” – ცოდვების მიტევების დამადასტურებელი წერილობითი საბუთები იყო შეძენილი. თავდაპირველად პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში გამოყენებული ეს საბუთები, თანდათან ფართოდ გავრცელდა და კათოლიკური ეკლესიის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

ეკლესიის, რომელი თავისებურების განსაზღვრის საფუძველს გვაძლევს “სამოთხის ქვითრების” გაყიდვა?

რეფორმების მშვიდობიანი გზით გატარება სურდა. მას სოციალური რეფორმები მხედველობაში არ ჰქონია. ლუთერის - ***ზომიერთა**** მოძრაობის წინააღმდეგ, ღარიბ-გლეხთა რეფორმაციის მეთაური ტომას მუნსერი გამოვიდა. ყოველივე ეს, გერმანიაში სოციალური რყევების დაწყებაზე მიუთითებდა.

* **ზომიერნი** – შუა პოლიტიკური ხაზის მომხრეები

შეაგროვეთ ცნობები რეფორმაციული მოძრაობის მონაწილეთა შემადგენლობისა და მოთხოვნების შესახებ.

1524-1525 წლებში ტომას მუნსერის ხელმძღვანელობის ქვეშ დაიწყო საეკლესიო და რაინდთა სამფლობელოების წინააღმდეგ მიმართული გლეხთა ძლიერი ბრძოლები. აჯანყებულთა მოთხოვნებმა, გლეხთა რაზმების მეთაურთა ყრილობაზე მიღებულ "12 მუხლში" ჰპოვა თავისი ასახვა. ლუთერმა ამ საბუთს დაუყოვნებლივ უპასუხა. მან გლეხები თავიანთი პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ მოუწოდა. მაგრამ გლეხთა ბრძოლების გაფართოებისა და აჯანყებულთა მიერ გამოწვეული არეულობის შესახებ გამგონე ლუთერმა, აჯ-ანყების ძალით ჩახშობისაკენ მოწოდება დაიწყო. გლეხთა ბრძოლების ჩახშობამ რეფორმაციულ მოძრაობას ბოლო ვერ მოუღო: მოძრაობაში ძირითადი ადგილი ლუთერის მეთაურობით ზომიერებმა დაიკავეს.

გაიხსენეთ გერმანიაში მომხდარი გლეხთა ბრძოლების შედეგები და შეადარეთ ისინი ჟაკლარისა და უოტ ტაილერის აჯანყებების შედეგებს.

ვ. ...აქამდე ჩვენ (გლეხები) ჩვეულებრივ "კერძო საკუთრებაში მყოფ" ადამიანებად გვთვლიდნენ. ჩვენ კი, წმინდა წიგნის შესაბამისად თავისუფლება გვსურს... თქვენ, როგორც ნამდვილმა ქრისტიანმა, ჩვენ მონობისაგან დიდი ნებით უნდა გაგვათავისუფლოთ. თუ არა, მაშინ უნდა დავგმტკიცოთ, რომ ჩვენი მონური მდგომარეობა ბიბლიას შეესაბამება.

ვ. ...დაე ჩვენმა მეპატრონეებმა ხარკი სამართლიანი სახით განსაზღვრონ, რათა გლეხებმა უქმად არ იშრომონ, იმიტომ რომ ყოველი მუშაკი თავისი ჯამაგირის ღირსია.

10. ...ჩვენ გვაწუხებს, ზოგიერთების მხრიდან თქმის კუთვნილი მინდვრებისა და საძოვრების მითვისება. ჩვენ ამ მიწების საერთო საკუთრებაში დაბრუნება გვსურს.

ტომას მუნსარის 12 მუხლი

"ვისიცაა ქვეყანა, რჯულიც მისაა". გლეხთა ბრძოლების ჩაშობის შემდეგ, კათოლიკ მთავრებს რეფორმაციის გაუქმებაც სურდათ. ამან თავის მხრივ ლუთერის მომხრე რაინდებიც აიძულა თავიანთი ძალები გაეერთიანებინათ. გერმანია ფეოდალური ქაოსის ზღვარზე იმყოფებოდა. ამის აღკვეთის მიზნით იმპერატორ კარლ V-მ, 1524 წელს მიიღო გადაწყვეტილება რეფორმაციის შეწყვეტის შესახებ.

ამის საპასუხოდ, 14 ქალაქმა და 5 გერმანულ სამთავრომ გამოთქვეს წერილობითი პროტესტი, ამით ისინი გამოვიდნენ ლუთერის მოძღვრების მომხრეებად და თავიანთი თავი სარწმუნოებრივი თავისუფლების მქონედ გამოაცხადეს. ამ დროიდან რეფორმაციის მომხრეებს "პროტესტანტები" (პროტესტის მქონე), ახალ ეკლესიას კი "პროტესტანტული ეკლესია" უწოდეს.

რატომ შეშობდა კარლ V, რომ საშინაო ქაოსი დაიწყებოდა? დაუკავშირეთ თქვენი პასუხი XVI საუკუნის პირველი ნახევრის საერთაშორისო მდგომარეობას.

ლუთერის მოძღვრება ფართოდ გავრცელდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მოძღვრებამ დარტყმა მიაყენა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტარულ მოძღვრებას, გაანთავისუფლა ადამიანთა ფსიქიკა და გონება. ჯერ კიდევ რეფორმაციის ფუძემდებლის პერიოდში, პროტესტანტული ეკლესიის სამი ძირითადი მიმდინარეობა შეიქმნა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია.

მთელი ქვეყანა, თავიანთი სამფლობელოების ეკლესიის ხარჯზე გამზრდელი პროტესტანტ მთავართა კავშირის ხელში იყო. კარლ V-მ მათი და-მარცხება 40-იანი წლების ბოლოს შეძლო. ამის შემდეგ ის კათოლიკური მიმართულების აღდგენისა და ყველა მთავრის უფლებების შეზღუდვისათვის მზადებას შეუდგა. ეს ნაბიჯი მის გადამწყვეტ შეცდომას წარმოადგენდა.

იმპერატორის ძალის გაზრდამ, კათოლიკურობისა და პროტესტანტობის მიუხედავად, ყველა მთავარი მის წინააღმდეგ გააერთიანა. თვით პაპმაც მალული მხარდაჭერა აღმოუჩინა მთავრების კავშირს. ხანგრძლივი ბრძოლისა და მოლაპარაკებების შემდეგ, მტრულმა მხარეებმა 1555 წელს, "ვისიცაა ქვეყანა, რჯულიც მისია" მისიის პრინციპის დამადასტურებელი აუგსბურგის ხელშეკრულება დადეს.



გაიხსენეთ კალვინის ეკლესიის თავისებურებანი.

რატომ გამოვიდნენ კათოლიკი მთავრები და პაპი იმპერატორის პოლიტიკის წინააღმდეგ? განმარტეთ აუგსბურგის ხელშეკრულებით დამტკიცებული პრინციპის მნიშვნელობა.

აღნიშნულ პირობებში რეფორმაცია წარმატებით ტარდებოდა. შესაძლებელი იყო ასეთი წარმოდგენა, რომ თითქოს მალე, მთლიანი ევროპა მას მიიღებდა. მაგრამ კათოლიკური ეკლესია უბრძოლველად პოზიციების დათმობას არ აპირებდა. კათოლიკურმა ეკლესიამ ისარგებლა პროტესტანტული ეკლესიის აზრობრივ და ორგანიზაციულ საკითხთა შეუსაბამობით და შეუტია მას. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ გერმანიაში, ესპანეთში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში კათოლიკურმა ექს-რეფორმაციამ გამარჯვება მოიპოვა, მას თავისი ყოფილი პოზიციების აღდგენისა და ფეოდალური წესების დაშლის პროცესის შეჩერების ძალა აღარ შესწევდა.

რა საშუალებებით შეძლო კათოლიკურმა ეკლესიამ ევროპის რიგ ქვეყნებში რეფორმაციის გაუქმება?

ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუცია. XVI საუკუნის დასაწყისში, ნიდერლანდია ესპანეთის ხელისუფლებას დაექვემდებარა. ესპანეთის ჰაბსბურკთა მმართველი დინასტია ქვეყნის საშინაო დამოუკიდებლობის მოშლით, მის კოლონიური პროვინციის მდგომარეობაში ჩაყენებას ცდილობდა. დღითიდღე იზრდებოდა გადასახადები. ესპანეთის მმართველი ფენის განზრახვა, ნიდერლანდიაში კალვინიზმის მიმართულების გაუქმების შესახებ, ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე დიდი რისხვის მიზეზი გახდა. 1550 წელს გაცემული განკარგულება, ამ "უარმყოფელობის" არ დამთმობ მამაკაცებს ხმლის საშუალებით სასიკვდილო სასჯელით, ხოლო ქალებს მიწაში ცოცხლად დამარხვით ემუქრებოდა. ფილიპე II-ის ხელისუფლების პერიოდში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. ამან ისტორიაში პირველად, ამ უთანხმოების რევოლუციად გადაქცევა გამოიწვია. ნიდერლანდებმა დაიწყეს ბრძოლა თავისუფალი ცხოვრების, მუშაობისა და რწმენის უფლებების მოპოვების მიზნით.

ფილიპე II

რა უშლიდა ხელს ნიდერლანდიის განვითარებას?

კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული, 1566 წლის აჯანყება რევოლუციის დაწყების ძირითადი მიზეზი გახდა. ხალხი ანგრევდა კათოლიკურ ეკლესიებს და ესპანური ტყვეობის ძირითადი ინსტრუმენტის, კათოლიკურ მიმართულებასთან დაკავშირებით სიძულვილს გამოხატავდა. ეს მოვლენა, ფილიპე II-ის მიერ მთლიანი ნიდერლანდიის დაპყრობისათვის მიზეზი გახდა. ქვეყანაში მეფის ნაცვალმა, ჰერცოგ ალბამ საგანგებო სასამართლო - "ამბოხების საქმეთა განმხილველი საბჭო" შექმნა.

რა მნიშვნელობას ატარებდა მოძრაობა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ? რა როლი ენიჭება მას, ნიდერლანდიის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიაში?

სისხლიანმა ტერორმა და გადასახადების გაზრდამ ქვეყნის გაკოტრება და ესპანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ დიდებულთა ოპოზიციის გაძლიერება გამოიწვია. მისი ხელმძღვანელი ორანელი ვილჰელმი გახდა. მაგრამ გერმანული ხელფასიანი ჯარის დახმარებით ბრძოლის ტაქტიკამ არ გაამართლა.

პირველი ბურჟუაზიული რესპუბლიკა. 1572 წელს "ზღვის თვალებმა" (ნიდერლანდიაში ესპანელთა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი აჯანყებულები) ბრილის ფორტი დაიკავეს. ეს, ქვეყნის ჩრდილოეთით საერთო ეროვნული აჯანყების დასაწყისი გახდა. 1574 წელს, ესპანელების მხრიდან ლეიდენის ბლოკადა მარცხით დამთავრდა. ორი წლის შემდეგ, მათ დაანგრიეს და გადაწვეს ნიდერლანდიის ეკონომიკური ცენტრი ქალაქი ანტვერპენი. ამ მოვლენების შედეგი გახდა ის, რომ ფეოდალური წესების დამცველი და შემნარჩუნებელი, აგრეთვე კათოლიკური მიმართულების ერთგული სამხრეთი პროვინციები კალვინისტური ჩრდილოეთის მხარეს გადავიდნენ. მოვლენების ამგვარმა მსვლელობამ ფილიპე II აიძულა სამხრეთ პროვინციების წარმომადგენლებთან ეწარმოებინა მოლაპარაკებები. ამის შედეგად, 1579 წელს ხელმოწერილი იქნა არასის უნია. ამ საბუთით დამტკიცებული იქნა რევოლუციაზე უარის მთქმელი, სამხრეთი პროვინციების დიდებულთა ადრინდელი პრივილეგიები და ქალაქების ადრინდელი დამოუკიდებლობა.

ბრილის დაკავება "ზღვის თვალების" მხრიდან

როგორ შეძლო ესპანეთმა აჯანყების ჩახშობა ნიდერლანდიის სამხრეთით?

ჩრდილოეთით მყოფმა 7 პროვინციამ კი, იმ წელს ხელი მოაწერა უტრეხტის უნიას, ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების, აგრეთვე ერთიანი ფულისა და საზომი ერთეულების განსაზღვრის შესახებ. მთავარი შტატები, შექმნილი ჰოლანდიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოდ იქნა გამოცხადებული.

ახალგაზრდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად ხანგრძლივი ბრძოლა მოუწია. თავის ძალებზე, აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის მხარდაჭერაზე დაყრდნობით არა ერთგზისი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. "დაუმარცხებელი არმადას" მარცხმა კი, სრულიად შეარყია ესპანეთის ძლიერება. 1609 წელს მებრძოლმა მხარეებმა 12 წლიანი ზავი დადეს. ეს ესპანეთის მხრიდან ჩრდილოეთ ნიდერლანდიის დამოუკიდებლობის ფაქტობრივ აღიარებას ნიშნავდა. სამხრეთ ნიდერლანდია კი, ესპანეთის ხელისუფლების დაქვემდებარებაში დარჩა.

რომელმა საგარეო ფაქტორებმა შეუწყო ხელი ჰოლანდიას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში?

1621 წელს ხელახლა დაიწყო ესპანეთ-ჰოლანდიის ომი. 1648 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების მიზნით მოწვეულ ვესტფალიის კონგრესზე ესპანეთმა სრულიად აღიარა, ისტორიაში პირველი ბურჟუაზიული რესპუბლიკის-ჰოლანდიის დამოუკიდებლობა. ასე, რომ, 80-წლიანი წინააღმდეგობის შედეგად ნიდერლანდია თანამედროვე კალვინისტურ ჰოლანდიად და კათოლიკურ ბელგიად დაიყო. საფრანგეთის ზეწოლით დადებულმა **ვესტფალის ზავმა** გერმანიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა განსაზღვრა. ამ მოვლენამ საფრანგეთ-გერმანიის დაპირისპირება კიდევ სამ საუკუნეს გააგრძელა.

ვესტფალის ზავი

კითხვები და დავალებები

1. *ტექსტის საფუძველზე, რამდენიმე წინადადებით დაახასიათეთ ლუთერის მოღვაწეობა.*
2. *დაასაბუთეთ რელიგიური რეფორმაციის კავშირი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარი ფეოდალური წყობის კრიზისთან.*
3. *განსაზღვრეთ რეფორმაციის გავლენა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მომავალ განვითარებაზე.*
4. *შეადგინეთ ნიდერლანდიის ბურჟუაზიული რევოლუციის ქრონოლოგიური ცხრილი.*
5. *განსაზღვრეთ ნიდერლანდიის ბურჟუაზიული რევოლუციის როლი და ადგილი მსოფლიო ისტორიაში.*

21 ინგლისი და საფრანგეთი

საკვანძო სიტყვები

- აბსოლუტური მონარქია
- "აგრარული გადატრიალება"
- "სამრეწველო გადატრიალება"
- სტიუარტები
- ბურბონები
- რელიგიური ომები
- იაკობინელთა დიქტატურა
- თერმიდორები

დასავლეთ ევროპის ამ ორმა ძლიერმა სახელმწიფომ, შუა საუკუნეების დასასრულიდან მოყოლებული, თავიანთ ისტორიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს და აბსოლუტური მონარქია ჩამოაყალიბეს. გარკვეული დროის შემდეგ კი, ის რევოლუციებით მოისპეს. ამ პერიოდში ამ ქვეყნების მმართველი დინასტიები შეცვლილი იყო. იქმნებოდა ახალი სამეურნეო სისტემა, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ წყობაში.

ინგლისი. XVI საუკუნეში ფეოდალ-აგრარულ ქვეყანად ცნობილ ინგლისში, კაპიტალისტური ურთიერთობები ყალიბდებოდა. სოფლის მეურნეობაში, XV საუკუნიდან მოყოლებული ადგილი ჰქონდა აღზევებას. "ახალი თავადები", "ღობეების" შემოვლებით გლეხთა მიწებს უფრო ხელსაყრელი პირობებით, მოკლე ვადიანი იჯარით გასცემდნენ ან მათი სათესი ნაკვეთების საძოვრებად გადაქცევით, იქ მეცხვარეობას ავითარებდნენ, ასევე ხსნიდნენ მაუდის ნაჭრის მწარმოებელ მანუფაქტურებს, მისდევდნენ სამთო საქმეებსა და ვაჭრობას. XVIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელებული გლეხების მიწებიდან შევიწროებისა და მათ ადგილას ანაზღაურებადი შრომის გამომყენებელი მეურნეობების ორგანიზების პროცესს "აგრარული გადატრიალება" ეწოდება. ინგლისის მანუფაქტურის ეტაპზე მყოფი მრეწველობის საწყისი სფერო "სამეფოში სიცოცხლის წყარო და ვაჭრობისა და მრეწველობის ქვაკუთხედი" სახელწოდების მაუდის ქსოვა იყო.

ჰენრი VIII

ელისაბედ I

რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი XVI საუკუნეში ინგლისის ეკონომიკაში?

ჰენრი VIII ტიუდორის პერიოდში შექმნილი და მეფის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ანგლიკანური ეკლესია ოფიციალურად სახელმწიფო ეკლესიად გამოცხადდა. ინგლისში აბსოლუტური მონარქიის ძირითადი თავისებურებათაგანი იყო ის, რომ ფენების წარმომადგენლობითი ორგანო, პარლამენტი განაგრძობდა თავის არსებობას.

ელისაბედ I-ის პერიოდს (1558-1603) ინგლისის აბსოლუტიზმის "ოქროს საუკუნეს" უწოდებენ. მისი ეკონომიკური პოლიტიკა ***პროტექციონიზმის**** პრინციპს ეყრდნობოდა.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა ირლანდიის დაპყრობა და გაძლიერებული იქნა ინგლისის გავლენა შოტლანდიაზე. 1587-1588 წლებში შემდგარი საზღვაო ბრძოლები ესპანეთის საზღვაო ფლოტის ძირითადი ნაწილის განადგურებით დამთავრდა. დაიწყო ინგლისის ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევა. იმის გამო, რომ ელიზაბეთ I-ს შვილი არ ჰყავდა, შოტლანდიის მეფე სტიუარტთა დინასტიის წარმომადგენელი, იაკოვ VI თავის მემკვიდრედ ჰყავდა გამოცხადებული.

* **პროტექციონიზმი** – საგარეო საქონლის ქვეყანაში შემოტანის შეზღუდვისა და შესაბამისი ადგილობრივი საქონლის წარმოების მხარდაჭერისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა

რატომ უწოდებენ ელისაბედ I-ის პერიოდს ინგლისის აბსოლუტიზმის "ოქროს საუკუნეს"?

1603 წელს ინგლისის ხელისუფლებაში მოსული იაკოვ I სტიუარტი **(1603–1625)**, სრული აბსოლუტიზმის მომხრე იყო. კარლ პირველიც მამამისის ამ პოლიტიკას განაგრძობდა. 1628 წელს, პარლამენტის მხრიდან მეფისათვის წარდგენილი "სამართლის შესახებ *პეტიციით*"*, პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის მიერ გადასახადების მოთხოვნა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე უკანონო დაპატიმრებები იყო დაგმობილი. კარლ I-მა გამოაცხადა, რომ ამის შემდეგ ქვეყანას თვითონ მართავდა და დაითხოვა პარლამენტი. მაგრამ შოტლანდიაში რელიგიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით მომხდარ "ეპისკოპოსთა ბრძოლებში" მარცხმა აიძულა იგი, 1640 წელს პარლამენტი უკან გამოეძახებინა. "ხანგრძლივ ვადიანი პარლამენტის" (1640-1653) ამოქმედებით რევოლუციური ცვლილებები მოხდა. პარლამენტმა გაასამართლა მეფის რამდენიმე მოხელე, გააუქმა მეფის მიერ გამოყენებული უკანონო მართვის წესები და გადასახადები, განთავისუფლებულნი იქნენ პოლიტიკური პატიმრები, ბოლო მოეღო დაგმობას რელიგიურ ნიადაგზე და ა.შ. მეფესა და პარლამენტს შორის გამწვავებული წინააღმდეგობა სამოქალაქო ომის (1642-1646) მიზეზი გახდა.

რატომ იყო, რომ სტიუარტთა დინასტიის მეფეები უპირატესობას ანიჭებდნენ პარლამენტთან წინააღმდეგობის პოლიტიკას?

პირველი სამოქალაქო ომის შემდეგ უფრო ფართო რეფორმების გატარების მომთხოვნი, ლეველერების სახელწოდების დემოკრატიული სახალხო მოძრაობა გამოჩნდა. ისინი პოლიტიკური უფლებების თანასწორობას მოითხოვდნენ. 1648 წელს მაისი-აგვისტოს თვეებში მომხდარ მეორე სამოქალაქო ომში, მეფის შოტლანდიის დახმარებით გამარჯვების იმედი არ გამართლდა. 1649 წლის იანვარში მეფე სიკვდილით იქნა დასჯილი. მაისში პარლამენტმა გააუქმა მეფის ხელისუფლება და პარლამენტის ლორდთა პალატა, აგრეთვე გააკეთა განცხადება რესპუბლიკის შექმნის შესახებ. დამოუკიდებელ რესპუბლიკაში (1649-1653) მთლიანი ხელისუფლება არმიის ხელმძღვანელობას ეკუთვნოდა. 1653 წლის დეკემბერში არმიის მთავარსარდალი, კრომველი ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ლორდ-პროტექტორად (1653-1658) იქნა დანიშნული. კრომველის შემდეგ ლორდ-პროტექტორად დანიშნული მისი შვილის მიერ გენერლების ზეწოლით გადადგომის შემდეგ, ახალმა თავადებმა და ბურჟუაზიამ სტიუარტებთან შერიგება გადაწყვიტეს. 1660 წელს ინგლისში, კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნებული სტიუარტების აბსოლუტიზმზე მიდრეკილებამ პარლამენტი აიძულა 1688 წელს მოეხდინა სასახლის გადატრიალება და ჰოლანდიის მმართველი ორანლი ვილჰელმი ხელისუფლებაში მოეწვია. ინგლისის ისტორიაში ამ მოვლენას "ბრწყინვალე რევოლუცია" ეწოდება. ამის შემდეგ ინგლისში დამყარდა საპარლამენტო მონარქია.

თქვენი აზრით, შეძლო თუ გერა XVII საუკუნეში ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ქვეყნის პრობლემების მოგვარება?

XVIII საუკუნის შუა წლებში, მსოფლიო ბაზარზე ადგილობრივი საქონლის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, თავდაპირველად ქსოვის მრეწველობაში, ხოლო შემდეგ სხვა სფეროებში "*სამრეწველო გადატრიალება*"* დაიწყო. ინგლისი მსოფლიოს წამყვან სამრეწველო ქვეყნად გადაიქცა.

"დაუმარცხებელი არმადას" მარცხი

ლა მანშის ბრძოლა

ათწლეულების განმავლობაში ინგლისელი საზღვაო ყაჩაღების მიერ ესპანეთის გემების ძარცვამ და ჩაძირვამ ესპანეთის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. გარდა ამისა, ინგლისის დედოფალი, ელისაბედ I მხარს უჭერდა ჰოლანდიელების ბრძოლას ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ. ამ დროს ბრიტანეთი იმედოვნებდა, რომ ესპანეთზე გამარჯვება, მისი, არა მარტო ზღვაზე გაბატონების მიზეზი გახდებოდა, არამედ ბოლოს მოუღებდა ესპანეთის ახალ სამყაროსთან ვაჭრობის სფეროში ჰეგემონიას.

* **პეტიცია** – უმაღლეს სახელისუფლო ორგანოებზე მიმართული კოლექტიური თხოვნა, მიმართვა ან საპროტესტო წერილი

* **სამრეწველო გადატრიალება** – ხელითი შრომის მექანიკურით შეცვლისა და მანუფაქტურების მსხვილ ფაბრიკებად გადაქცევის პროცესი

XVIII საუკუნეში, ინგლისის მონაწილეობით ომები ევროპაში მისი ავტორიტეტის გაზრდისა და კოლონიური სამფლობელოების გაფართოების მიზეზი გახდა. 1707 წელს შოტლანდიამ, ხოლო 1801 წელს ირლანდიამ დაკარგეს თვითმმართველობის უფლებები და ინგლისს შეუერთდნენ.

საფრანგეთი. საფრანგეთმა XVI საუკუნეში ბოლო მოუღო შინაგან დაპირისპირებებს და ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ქვეყანა მოსახლეობის რიცხვისა და ტერიტორიის სიდიდის მიხედვით დასავლეთ ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფო იყო. საფრანგეთში, რომელიც ფეოდალურ-აგრარული ქვეყანა იყო, გლეხთა უმრავლესობას პირადი თავისუფლება გააჩნდათ. საფრანგეთის მრეწველობაში ფართოდ იყო გავრცელებული საცალო მანუფაქტურები. XVI საუკუნეში საფრანგეთი თეთრეულის ნაჭრის წარმოების მიხედვით ევროპის მოწინავე ქვეყანას წარმოადგენდა.

ინგლისის რევოლუცია

რა ძირითადი თავისებურებები გააჩნდა საფრანგეთის ეკონომიკურ ცხოვრებას XVI საუკუნეში?

XVI საუკუნის I ნახევარში დაიწყო აბსოლუტური მონარქიის შექმნა. XVI საუკუნის II ნახევარში მომხდარი რელიგიური ბრძოლის შედეგად მეფის ტახტზე ჰენრი IV-ის სახელით ბურბონთა დინასტიის (1594--1830) წარმომადგენელი ავიდა. ლიუდოვიკო XIV-ის (1643-1715) მმართველობის პერიოდში აბსოლუტურ მონარქიას "ოქროს საუკუნეს" ჰქონდა. მკვეთრად შემცირდა პროვინციების კლასობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილებები. მეფის მთავრობა ***მერკანტილისტურ პოლიტიკას**** ატარებდა. მაგრამ მეფის მიერ 32 წლის განმავლობაში წარმოებული ომები მძიმე დარტყმებს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას.

*** მერკანტილისტური პოლიტიკა** – სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მხედველობაში იღებს ღონისძიებებს, როგორიცაა პროტექციური ღონისძიება, აქტიური სავაჭრო ბალანსი და სხვ.

როშელმა ისტორიულმა პირობებმა შეუწყო ხელი ბურბონების ხელისუფლებაში მოსვლას საფრანგეთში?

XVIII საუკუნის შუა წლებში, აჩქარებული იქნა მრეწველობისა და ვაჭრობის, ასევე ნაწილობრივ სოფლის მეურნეობის განვითარება. ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ წყობასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ეკონომიკურად გაძლიერებული ბურჟუაზია თავისუფალი მეწარმეობისათვის ხელის შემშლელი ფეოდალური წესების - მონოპოლიის უფლების, მძიმე გადასახადების, საამქროს წესებისა და კლასობრივი საგადასახადო სისტემის წინააღმდეგ გამოდიოდა, აგრეთვე ცდილობდა თავისი როლის გაზრდას პოლიტიკურ მმართველობაში. ამ პერიოდში "ცნობიერებებში რევოლუციის" მომხდენმა ფრანგულმა განმანათლებლებმა, ფართო ფარგლები მოიცვეს. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები, არსებული წყობის საფუძვლების გაუქ-

მეგასა და თანასწორი მოქალაქეობივი უფლებებითა და ადამიანთა "ბუნებრივი თავისუფლებებით" უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩამოყალიბებას მოითხოვდნენ. ვოლტერი და მონტესკიე ინგლისური ნიმუშის კონსტიტუციური მონარქიის, ხოლო რუსო დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრეები იყვნენ. განმანათლებლების მიერ წამოყენებულმა იდეებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს XVIII საუკუნის ბოლოს მომხდარ რევოლუციაზე.

რა ძირითადი იდეები გაანდათ ფრანგ განმანათლებლებს?

აბსოლუტიზმის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, მეფე ლიუდოვიკო XVI-მ (1774-1793) ისურვა ცვლილებების შეტანა საგადასახადო სისტემაში, მაგრამ ამ დროს თავადთა წინააღმდეგობას წააწყდა. მეფემ გადაწყვიტა მთავარი შტატების მოწვევა და ორჯერ გაზარდა აქ ***მესამე კლასის**** წარმომადგენლობა. 1789 წლის 5 მაისს, ვერსალში მთავარი შტატები, როგორც კი მუშაობას შეუდგა, მესამე კლასის დეპუტატები, ამ ორგანოში თავიანთ რიცხვით უმრავლესობაზე დაყრდნობით მისი თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევას შეეცადნენ. ივლისის დასაწყისში დეპუტატებმა თავი დამფუძნებელთა კრებად გამოაცხადეს. მეფის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებით კრების დათხოვნის განზრახვით შეშინებულმა პარიზის მოსახლეობის დაბალმა და შუა ფენამ, 14 ივლისს მოაწყო შეიარაღებული აჯანყება და ხელთ იგდო ბასტილიის ციხესიმაგრე. ამით დაიწყო რევოლუციური ცვლილებების პერიოდი (1789-1794).

ფრანგულმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რამდენიმე საფეხური განვლო. 1789-1792 წლების მომცველ პირველ საფეხურზე, ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქია დამყარდა, გატარდა ადმინისტრაციული რეფორმები, დადგინდა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე, გატარებული იქნა საეკლესიო რეფორმები, გაუქმდა ძირითადი ფეოდალური წესები. ავსტრიამ და პრუსიამ ინგლისის ძალისხმევით დაამყარეს კავშირი საფრანგეთში რევოლუციის ჩახშობის მიზნით. 1792 წლის აპრილში დაწყებული ომები 1815 წლამდე გაგრძელდა.

რა იყო რევოლუციის პირველი საფეხურის მთავარი შედეგი?

1792 წლის 10 აგვისტოს პარიზში მომხდარი აჯანყება, მეფის ტახტიდან ჩამოგდებით დასრულდა, რომლითაც რევოლუციის მეორე პერიოდი დაიწყო. საერთო საარჩევნო უფლების საფუძველზე ჩატარდა ახალი საკანონმდებლო ორგანოს - კონვენტის არჩევნები. კონვენტმა განაცხადა, რომ შეიქმნა რესპუბლიკა. მეფის გასამართლებასა და სიკვდილით დასჯას არაერთგვაროვნად შეხვდნენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. ხელახალი სამხედრო წარუმატებლობა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლების გაზრდის მიზეზი გახდა.

* **მესამე კლასი** – საფრანგეთში რელიგიური მსახურებისა და თავადების გარდა, მთელი მოსახლეობა ამ კლასს ეკუთვნოდა. პირველი და მეორე კლასისაგან განსხვავებით, ისინი გადასახადებს იხდიდნენ.

1. ადამიანები იბადებიან და ცხოვრობენ თავიანთი თავისუფლებითა და თანასწორუფლებიანობით.
7. არავის არ შეიძლება წაეყენოს ბრალი, არავინ არ შეიძლება დაკავებული ან დაპატიმრებული იქნას, თუ ეს არ გამომდინარეობს კანონიდან ან მისგან გათვალისწინებული პროცედურებიდან.
9. დანაშაულის გამოცხადებამდე ყოველი პირი უდანაშაულოდ ითვლება.
10. არავინ არ შეიძლება შეიზღუდოს თავის შეხედულების გამო, მისი რელიგიური შეხედულების გამოც, იმ პირობით რომ, მათმა განმარტებამ კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი სიმშვიდე არ დაარღვიოს.
11. აზრისა და პოზიციის თავისუფალი გამოხატვა ადამიანის ყველაზე ძვირფას უფლებათაგანს წარმოადგენს.
12. ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სახელმწიფოს ძალა: ეს ძალა იქმნება არა უფლებამოსილთა პირადი ინტერესებისათვის, არამედ ყველას ინტერესების მომსახურებისათვის.
15. საზოგადოებას უფლება აქვს ანგარიში მოსთხოვოს ნებისმიერ თანამდებობის პირს, მისთვის დაკავალებულ მმართველობის სფეროსთან დაკავშირებით.
17. იმის გამო, რომ საკუთრება ხელშეუვალ და წმინდა უფლებას წარმოადგენს, არავის არ შეიძლება ჩამოერთვას იგი.

ამონაწერები დეკლარაციიდან
ადამიანისა და სამოქალაქო
უფლებების შესახებ

შეადარეთ მოცემული მუხლები აზერბაიჯანის კონსტიტუციის შესაბამის მუხლებთან.

რა სიახლეებს ჰქონდა ადგილი მეორე საფეხურზე?

1793 წლის 2 ივნისს, ***იაკობინელებმა**** მოახდინეს გადატრიალება და ხელთ იგდეს ხელისუფლება. იაკობინელთა დიქტატურის პერიოდში სოფელში მთლიანად გაუქმდა ფეოდალური წესები, მიღებული იქნა მკაცრი კანონები სპეკულაციის წინააღმდეგ, გლეხებს დაურიგეს მიწის ნაკვეთები და მიღებული იქნა ახალი კალენდარი. იაკობინელებს შორის, ქვეყნის შემდგომი განვითარების შესახებ აზრთა სხვადასხვაობის გამწვავებამ შეასუსტა მათი ხელისუფლება. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს კონკურენტებმა და 1794 წლის 27 ივლისს მათი შეტევის შედეგად (ახალი კალენდრით 9 თერმიდორს) იაკობინელთა ხელისუფლება დაემხო.

ამ გადატრიალების განმხორციელებელი და ტერმიდორებად წოდებული პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლები რევოლუციის დროს გამდიდრდნენ. ისინი რევოლუციური პროცესის შეჩერებასა და ვრცელი დაპყრობითი ომის წარმოებას მოითხოვდნენ.

ვის ინტერესებს განასახიერებდა იაკობინელთა დიქტატურის ღონისძიებები?

1795 წელს მიღებული იქნა საფრანგეთის ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიხედვით აღმასრულებელი ხელისუფლება 5 პირისაგან შემდგარ დირექტორიას ებარა. დირექტორიის "საქანელების პოლიტიკა" სახელწოდების შიდა პოლიტიკა არასტაბილური იყო. 1799 წლის 9 ნოემბერს (18 - ბრუმერს) ნაპოლეონმა თავისი ერთგული ჯარის საშუალებით მოახდინა გადატრიალება და ხელში ჩაიგდო ხელისუფლება. "18-ბრუმერს" გადატრიალების შედეგად, საფრანგეთში საკონსულო რეჟიმი დამყარდა. ამით საფრანგეთის ისტორიაში დაიწყო ნაპოლეონ ბონაპარტის პერიოდი.

რევოლუცია ბასტილიიდან დაიწყო

ბასტილია – XIV საუკუნის დასასრულს სახელმწიფო დამნაშავეთა შესანახად აშენებული ციხე-სიმაგრე. 1789 წლის 14 ივლისს აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს და გაანადგურეს ციხე-სიმაგრე.

* **იაკობინელები** – საფრანგეთის რევოლუციის დროს შექმნილი, ავტორიტეტული პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები

"18 ბრუმერის" გადატრიალება

კითხვები და დავალებები

1. *შეიძლება თუ არა XVIII საუკუნეს "ინგლისის ბატონობის საუკუნე" ეწოდოს?*
2. *შეიძლება თუ არა ლიუდოვიკო XVI საფრანგეთის ბურჟუაზიის პასუხისმგებელ პირად ჩაითვალოს?*
3. *რომელმა ფაქტორებმა შეუწყეს ხელი ნაპოლეონ ბონაპარტის საფრანგეთის ხელისუფლებაში მოსვლას?*
4. *რა მსგავსი მხარეებით ხასიათდება ელისაბედ I-სა და ლიუდოვიკო XIV-ის ხელისუფლება?*
5. *განსაზღვრეთ ფეოდალ-ავრარული ქვეყნის თავისებურებები.*

22 დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და კოლონიური დაპყრობები. აშშ-ის შექმნა

საკვანძო სიტყვები

- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები
- კარაველა
- მონათვაჭრობა
- "ინდუსები"
- "ბოსტონის ჩაის ფუფუნება"
- "დამოუკიდებლობის დეკლარაცია"

შუა საუკუნეების დასასრულს, ევროპელების მიერ სიმდიდრის მოსაპოვებლად, თავიანთი ქვეყნიდან შორეულ მხარეს შესრულებულმა საზღვაო მოგზაურობებმა, დიდი ცვლილებები გამოიწვია მათ წარმოდგენებში მსოფლიოს შესახებ. ახალი ტერიტორიების აღმოჩენა და გამოყენება ევროპაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში მნიშვნელოვანი წარმატებების, ხოლო ადგილობრივ ხალხთა ისტორიაში ტრაგედიების მიზეზი გახდა.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. ევროპელი მეზღვაურების XV-XVII საუკუნის შუა წლების გეოდრაფიული აღმოჩენები, ადრინდელთაგან თავისი ფართო მასშტაბით განსხვავდებოდა. XIV-XV საუკუნეებში ევროპაში სასაქონლო წარმოების გაზრდის კვალობაზე უფრო დიდი ფულის მასაზე საჭიროების შექმნამ და ფულის მოჭრისათვის ფასიანი ლითონების უკმარისობამ, აგრეთვე აღმოსავლურ ქვეყნებთან ჩვეულებრივი სავაჭრო ურთიერთობების უზრუნველმყოფელი დიდი აბრეშუმის გზის ოსმალეთის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ, სიმდიდრის ქვეყანად წარმოსახულ ინდოეთში საზღვაო გზების ძიების აუცილებლობამ, ევროპელები აიძულა სახიფათო მოგზაურობები შეესრულებინათ. ახლა, შორეულ საზღვაო მოგზაურობების ორგანიზებისათვის საკმაო გეოგრაფიული ცოდნა (ახალი რუკები), ტექნიკური სიახლეები (კარაველა, კომპასი და სხვ.) და სამხედრო უპირატესობა (ცეცხლსასროლი იარაღები) არსებობდა.



დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში, თავდაპირველად ესპანელი და პორტუგალიელი მეზღვაურების, XVI საუკუნის შუა წლებში კი, ინგლისელი, ფრანგი, რუსი და ჰოლანდიელი მეზღვაურების მოგზაურობების შედეგად, საკმაოდ გაფართოვდა მეცნიერული წარმოდგენები მსოფლიოს შესახებ. ერთმანეთს გადაეყარა ცივილიზაციები.

ევროპელების მიერ აფრიკის, აზიისა და ამერიკის კონტინენტებზე დაპყრობილი ტერიტორიები მათ კოლონიებად გადაიქცნენ. ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი მონურ მდგომარეობაში ჩააყენეს, ხოლო დანარჩენები განადგურებულნი იქნენ. იაფფასიან მუშახელზე მოთხოვნის გაზრდით, ახლად ჩამოყალიბებულ მსოფლიო ვაჭრობაში გავრცელებული იქნა მონათვაჭრობა. თანდათან თავისი მნიშვნელობა დაკარგა დიდმა აბრეშუმის გზამ, რომელიც ამ გზაზე მდებარე აღმოსავლური სახელმწიფოების ეკონომიკის დაშლის საფუძველი გახდა.

ამერიკელი ხალხები "ძველ მსოფლიოს" ხვდებიან. XV საუკუნის დასასრულს, ამერიკაში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ ამ კონტინენტის 1492 წელს ევროპელებისათვის აღმომჩენი კოლუმბის მიერ მცდარად "ინდოელებად" ან "ინდუსებად" წოდებული მრავალრიცხოვანი ტომები ცხოვრობდნენ. მათი უმრავლესობა სამ ცივილიზაციურ ცენტრში ცხოვრობდნენ: იუკატანში მაიები, მექსიკაში აცტეკები, ანდის მთებზე ინკები. მიუხედავად იმისა, რომ აქ გამოიყენებოდა მონათა შრომა, თემებში თავისუფალი გლეხები და ხელოსნები უფრო მეტი იყვნენ.

ერთიანი სახელმწიფოების არ არსებობის, ასევე მეცნიერებასა და ხელოვნებაში მნიშვნელოვანი წარმატებების მიხედვით "ამერიკის ძველ ბერძნებად" წოდებულ მაიების ცივილიზაცია ჩვენი ეპოქის პირველ საუკუნეებში განვითარების პერიოდს გადიოდა. მაიების ქალაქ-სახელმწიფოების ყველაზე ძლიერი პერიოდი VII-VIII საუკუნეებს მოიცავდა. XVI-XVII საუკუნეებში მაიების ტერიტორიები ესპანელებმა დაიპყრეს.

რატომ იყო რომ, მაიები "ამერიკის ძველ ბერძნებად" იწოდებოდნენ?

აცტეკებს XIV-XV საუკუნეებში ძლიერი სახელმწიფო ჰქონდათ შექმნილი. მათი სახელმწიფო მექსიკის ყურედან წყნარ ოკეანემდე არსებულ ტერიტორიებს მოიცავდა. მათ დედაქალაქ ტენოჩტიტლანდში (მეხიკო) 100 ათასამდე მოსახლეობა ცხოვრობდა. მისაბმელიანი ცხოველებისა და ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალების არ მქონე აცტეკებს, მხოლოდ ქვეითთათვის გათვალისწინებული გზები გაჰყავდათ. აცტეკი მამაკაცების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამხედრო საქმეს. მოსახლეობის მხოლოდ მეხუთედი იყო დაკავებული სოფლის მეურნეობითა და საკვები პროდუქტების წარმოებით. XVI საუკუნის 20-იან წლებში ესპანელებმა დაშალეს ასტეკთა იმპერია.

განსაზღვრეთ აცტეკთა და ინკების სახელმწიფოების დაშლის მსგავსი მხარეები.

"მზის შვილთა მეფობად" წოდებულ ინკების იმპერიას, XII საუკუნიდან მოყოლებული თავიანთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჯარებით მეზობლების დამორჩილება ჰქონდათ დაწყებული. მათი დედაქალაქი ქალაქი კუსკო იყო. შექმნილი იყო საფოსტო კავშირი, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიას მოიცავდა. საშინაო დაპირისპირებებსა და შუალედურ ომებს სახელმწიფო დასუსტებული ჰქონდათ. XVI საუკუნის 30-იან წლებში ესპანელებმა ინკების დაქვემდებარებაში მყოფი ტომების დახმარებით, მათი ქვეყანა დაიპყრეს. ევროპელების წამოსვლებმა შეაჩერა ამერიკის დამოუკიდებელი განვითარება.

ცნობილია, რომ ქრისტიანებს თავიანთი ტირანიითა და უსამართლობებით 12 მილიონზე მეტი ინდუსი... მოუსპიათ... ქრისტიანები მათ ორი ხერხით სპობდნენ: უსამართლო, სისხლიანი, სასტიკი და დესპოტური ომითა და ...ადამიანების ...ყმებად გადაქცევით... მკვლელობებისა და განადგურების მიზეზი და ერთადერთი მიზანი, ქრისტიანების მიერ ოქროს ხელში ჩაგდება და გამდიდრება იყო... და რასაც ვამბობ, ვიცი, იმიტომ რომ საკუთარი თვალებით მინახია...

ბართოლომე დე ლას კასასი (1474-1566) მოკლე ცნობები ინდისტანის (ამერიკის - -რედ.) განადგურების შესახებ

XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნეში, ამერიკის კონტინენტის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში მცხოვრები ხალხები ევროპული სახელმწიფოების, ძირითადად, ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიურ ტყვეობაში მოხვდნენ. კოლონიები ***მეტროპოლიებისათვის**** სიმდიდრის წყაროს წარმოადგენდნენ. კოლონიური ტყვეობა, ლათინურ ამერიკაში ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვის სწრაფი კლებისა და ეროვნული შემადგენლობის შეცვლის მიზეზი გახდა.

ევროპელების დასახლება ჩრდილოეთ ამერიკაში. ესპანელებმა, იმის გამო, რომ თავიანთი ყურადღება კონტინენტის სამხრეთით მდებარე მდიდარი სახელმწიფოების გაძარცვისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ჩრდილოეთ ამერიკაში ფეხი ვერ მოიკიდეს. ჩრდილოეთ ამერიკაში, 1607 წელს ინგლისელმა კოლონიზატორებმა გეიმსტაუნის, ხოლო 1608 წელს ფრანგმა კოლონიზატორებმა კვებეკის დასახლებები შექმნეს. ინგლისისაგან განსხვავებით, საფრანგეთში კოლონიებში გადასასახლებელი "ზედმეტი მოსახლეობა" არ იყო. კანადაში, რიცხობრივად ადგილობრივი მოსახლეობისაგან

* **მეტროპოლია** – ძველ ბერძნულ ენაზე "დედა ქალაქი", რომელშიაც კოლონიების მქონე სახელმწიფოები იგულისხმება

ინკების სახელმწიფო



ინკთა სახელმწიფოს გერბი

ამა ლლულლა, ამა სუვა, ამა გილლა
(ნუ იცრუებ, ნუ მოიპარავ, ნუ იზარმაცებ)

ინკთა სახელმწიფოს დევიზი

რამდენიმეჯერ ნაკლები და საკმარისი სამხედრო ძალის არ მქონე ფრანგები თავიანთი სავაჭრო და უსაფრთხოების ინტერესების გამო, იძულებულნი იყვნენ მათთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინათ. კანადაში ფრანგების კოლონიალური მმართველობა ღრმა კრიზისს განიცდიდა. **ჩრდილოეთ ამერიკაში გამწვავებული ინგლის–საფრანგეთის კონკურენციული შვიდწლიანი ომი (1756–1763) ინგლისის გამარჯვებით დამთავრდა**. კანადა დაპყრობილ იქნა ინგლისელის ჯარების მიერ.

განსაზღვრეთ ფრანგების მიერ კანადის დაკარგვის მიზეზები.

ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტიკის ოკეანის სანაპიროებზე ინგლისის კოლონიების დაარსების პროცესი XVII საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე გრძელდებოდა. ჯეიმსთაუნის მხარის ხელში ჩაგდებიდან ცოტა ხნის შემდეგ ტერიტორიულად გაფართოებულ კოლონიას ვირჯინია დაერქვა. კოლონიას მართავდა გუბერნატორი. 1619 წელს კოლონიის მართვისათვის კოლონისტების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ამერიკაში პირველი წარმომადგენლობითი ორგანო - ასამბლეა დაარსდა.

XVII საუკუნის 20-30-იან წლებში აქ კოლონიების ჩამოყალიბებაში ***პურიტანები**** იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. მათ დაარსეს მასაჩუსეტები, ახალი პლიმუტი და სხვა კოლონიები. XVII საუკუნის 80-იან წლებში დაარსებულ პენსილვანიის კოლონიაში ადგილობრივ ტომებთან მეგობრული ურთიერთობები იქნა შენარჩუნებული და დაცული. ჯორჯიას კოლონია 1732 წელს დაარსდა სხვა ინგლისელი კოლონიების სამხრეთიდან ესპანელების და ჰინდუს ტომების შემოსევებისაგან დაცვის მიზნით.

* **პურიტანები** – XVI-XVII საუკუნეებში ინგლისში პროტესტანტების რწმენის დამცველები

როშელი კოლონიების დაარსებას გაუკეთეს ორგანიზაცია პურიტანებმა?

კოლონიების მოსახლეობის რიცხვი არა მხოლოდ ბრიტანეთის კუნძულებიდან წამოსული ხალხისაგან, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან წამოსულების ხარჯზეც იზრდებოდა. კოლონიებში ცხოვრობდნენ ინგლისელები, ირლანდიელები, ფრანგები გერმანელები, ჰოლანდიელები, ესპანელები და სხვა ხალხები. კოლონიებში მოსახლეობა რელიგიური რწმენის და სოციალური წარმომავლობის თვალსაზრისით არ იყვნენ ერთგვაროვანი. სამხრეთის კოლონიებში იყვნენ უამრავი შავკანიანი მონები.

XVII საუკუნის შუა ხანებში ინგლისში მომხდარი მოვლენების დროს კოლონიების მოსახლეობა მეფისა და პარლამენტის მომხრეებად გაიყო. კოლონიებმა მმართველობის საკითხებში მეტროპოლიაზე დამოკიდებულების საკმაო შემცირებას მიაღწიეს. თუმცა ისინი დამოკიდებული იყვნენ ინგლისიდან იმპორტირებულ საქონელზე. XVII საუკუნის შუა წლებიდან დაწყებული ინგლისის მთავრობა ცდილობდა სრულ კონტროლზე აეყვანა კოლონიების ეკონომიკა. ინგლისის პარლამენტის 1750 წელს მიღებული კანონის საფუძველზე კოლონიებში იკრძალებოდა ლითონის წარმოება. 1763 წელს მიღებული სხვა კანონის საფუძველზე კოლონიებს უნდა გადაეზიდათ იმპორტული საქონელი ინგლისის გემებით. 1763 წლის მეფის დეკლარაციის თანახმად კოლონისტებს ეკრძალებოდათ აპალაჩის მთების დასავლეთით მდებარე ადგილობრივი ტომების მიწებზე გადასვლა. 1765 წელს პარლამენტის "**ბეჭდის გადასახადის**" შესახებ კანონის მიღება ნიუ-იორკში კოლონისტების წარმომადგენლობის მიერ გახდა სხდომის ჩატარების მიზეზი. მიღებულ დოკუმენტში კოლონისტების წარმომადგენლობის მონაწილეობა სანამ არ იქნებოდა უზრუნველყოფილი ინგლისის პარლამენტს არ ჰქონდა უფლება კოლონისტებისათვის დაეწესებინა გადასახადი. გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ინგლისიდან შემოტანილ საქონელზე გამოცხადდეს ბოიკოტი. კოლონისტების ბოიკოტური მოძრაობის დასუსტების მიზნით ინგლისის პარლამენტმა Ost-Hind სავაჭრო ფირმას მისცა კოლონიებში ჩაის იაფად გაყიდვის უფლება. ამის პასუხად 1773 წლის დეკემბერში კოლონისტებმა ბოსტონის პორტში ინგლისის გემებიდან ჩაის ყუთები ყურეში გადმოცალეს.

აშშ-ს ჯარისკაცების სამხედრო ტანსაცმელი

“***ბოსტონის ჩაის ფუფუნებად***” წოდებული ამ მოვლენის კვალდაკვალ მთავრობამ კოლონიების შესახებ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მისი შედეგები. 1774 წლის სექტემბერში ფილადელფიაში I კონტინენტალურ კონგრესზე შეკრებილმა კოლონიების წარმომადგენლებმა მთავრობისა და პარლამენტის მიერ კოლონიებისადმი ურთიერთობის პოლიტიკა მწვავედ გააკრიტიკეს და მოითხოვეს უკანონო გადასახადების გაუქმება. გამოსვლების ჩახშობისათვის ამერიკაში გაიგზავნა ახალი ინგლისური ჯარი. ლექსინგტონისა და კონკორდის ახლოს კოლონისტებსა და ინგლისის ჯარის დანაყოფებს შორის მომხდარი შეიარაღებული შეჯახება გახდა 13 კოლონიის თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ინგლისის წინააღმდეგ (1775-1783) ომის დაწყების მიზეზი. 1775 წელს მაისში ფილადელფიაში ჯორჯ ვაშინგტონის მეთაურობით გამართულ II კონტინენტალურ კონგრესზე მიღებულ იქნა ერთიანი ჯარის დაარსების გადაწყვეტილება. კარგად გაუწვრთნელი და ცუდად შეიარაღებული კოლონისტების ჯარი ზედიზედ მარცხდებოდა. ინგლისის სამხედრო ფლოტის მიერ ამერიკის სანაპიროების ბლოკირება კოლონისტების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა.

“დამოუკიდებლობის დეკლარაციის” მიღება

კაცობრიობის ისტორიაში ისეთი ჟამი მწოდება, როცა ერთი ერისათვის მისი სხვა ერთან დამაკავშირებელი ძაფის გაწყვეტა, ბუნების კანონებისა და ღვთის მიერ მასთვის ბოძებული პრივილეგიების შესაბამისად მსოფლიოს ძალებს შორის თანაბარი პოზიციის დაკავება აუცილებელი ხდება და კაცობრიობის აზრისადმი პატივისცემას მოითხოვს რათა ამ ერმა განმარტოს მისი დამოუკიდებლობისაკენ ბიძგის მიმცემი მიზეზი.

ჩვენ ეს ისეთ სიმარტლედ მივიჩნიეთ, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება, ყველა ადამიანი თანასწორი დაიბადნენ და უფალმა თავის მორჩილ ადამიანებს გარკვეული ხელშეუხებლობა უბოძა, რომ მათ რიგებში სიცოცხლისათვის თავისუფლებისათვის და ბედნიერებისათვის ლტოლვის უფლებები შედის. ამ უფლებების უზრუნველყოფისათვის ადამიანები ქმნიან სამართლიანი, მართებულების თანხმობაზე სანდო მთავრობას.

დოკუმენტში როგორაა დასაბუთებული ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრებ ადამიანების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება?

რა მიზეზებმა აიძულეს კოლონიები დაეწყოთ ბრძოლა მეტროპოლიის წინააღმდეგ?

1776 წლის 4 ივლისს კონგრესმა თ. ჯეფერსონის ავტორობით მიიღო “**დამოუკიდებლობის დეკლარაცია**” ამ დეკლარაციის მიხედვით ინგლისის მეფეს წაუყენეს 27 მუხლიანი ბრალდება. პროექტიდან პლანტატორების მოთხოვნით ამოღებულ იქნა მუხლი მონობის ადამიანის უფლებებთან შეუსაბამობის შესახებ. დეკლარაციის მიხედვით ყოველი კოლონია გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და აღინიშნა მათი ერთიან კავშირში - **ამერიკის შეერთებულ შტატებში** გაერთიანება. ადამიანის “ბუნებრივი თავისუფლებები” და ხალხის ნებისყოფის შესახებ აზრი ატარებდა პროგრესულ ხასიათს.

1777 წლის ოქტომბერში სარატოგას ახლოს მომხდარ ბრძოლაში ინგლისის ჯარების დამარცხებამ აშშ-ს საგრძნობლად აუმაღლა საერთაშორისო ავტორიტეტი. აქამდე მისმა ფარულად დამხმარე საფრანგეთმა სცნო აშშ-ს დამოუკიდებლობა, მასთან სავაჭრო და სამოკავშირეო ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი. ესპანეთმა და ჰოლანდიამაც აშშ-თან შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ხოლო რუსეთის მეთაურობით სახელმწიფოების ერთმა ჯგუფმა ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო გემების წინააღმდეგ ინგლისის ძალადობის აღკვეთისათვის 1780 წელს დაარსეს “შეიარაღებული ნეიტრალური კავშირი”. ამან თავის მხრივ ინგლისს არ მისცა საშუალება აშშ ჰყოლოდა ეკონომიკურ ბლოკადაში. 1781 წელს იორქთაუნის ახლოს სამხედრო ოპერაციები ინგლისის ჯარების დანებებით დამთავრდა. 1783 წლის სექტემბერში პარიზში ხელმოწერილი ზავის საფუძველზე, ინგლისმა ცნო აშშ-ის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ამავე დროს მას დაეთმო ტერიტორიების ალეგარის მთებიდან მისისიპამდე.

რომელი ქვეყნები იყვნენ აშშ-ის მოკავშირეები დამოუკიდებლობის ომში?

დამოუკიდებლობის ომის პერიოდში აშშ-ის შიდა დამოუკიდებლობის მომხრე პატრიოტებსა და მათ მოწინააღმდეგეებს ლოიალისტებს შორის სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ომის შემდეგ მოსახლეობის $^{1}/_{5}$-მა ანუ ლოიალისტების უმრავლესობამ ქვეყანა დატოვა და ინგლისის სხვა კოლონიალურ ქვეყნებში, ძირითადად კანადაში გადასახლდნენ.

საკონსტიტუციო მეჯლისი ფილადელფიაში

ომის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწეების წინაშე არსებული მთავარი საკითხი ახლადშექმნილი სახელმწიფოს გაძლიერება იყო. 1787 წელს ფილადელფიაში მოწვეულმა საკონსტიტუციო სხდომამ მიიღო ახალი კონსტიტუცია. 1789 წელს ძალაში შესული კონსტიტუციის საფუძველზე აშშ-ში ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოებად დაყოფა და მათი გაწონასწორებული ურთიერთობები მიმდინარეობდა. დაარსდა უმაღლესი აღმასრულებელი მთავრობის წარმომადგენელი ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება. სასამართლოების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეების სამუდამო დანიშნვის წესი იქნა შემოტანილი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - კონგრესის სენატად წოდებულ ზედა პალატაში შტატები ერთნაირი რაოდენობით, ხოლო წარმომადგენლობითი პალატად წოდებულ ქვედა პალატაში ამომრჩევლების რიცხვის მიხედვით იყვნენ წარმოდგენილი. 1791 წელს კონგრესმა კონსტიტუციაში მიიღო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, მათი დაცვის ამსახველი 10 დანართი - "**კანონი უფლებების შესახებ**".

რომლებია აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები?

1789 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში შტატების ყველა წარმომადგენელმა ამ თანამდებობაზე ღირსად ცნო ჯორჯ ვაშინგტონი. აშშ-ის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, მისი დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე პოლიტიკური სისტემების ფორმირებაში, შიდა და საგარეო პოლიტიკური მიმართულებების განსაზღვრაში 1789-1797 წლებში განსაკუთრებული როლი ჰქონდა ხელისუფლების მეთაურს ჯ. ვაშინგტონს. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ქვეყნის მრეწველობისა და საფინანსო სისტემის განვითარებისათვის მიღებულ იქნა აუცილებელი გადაწყვეტილებები. ჯ. ვაშინგტონი თავის საგარეო პოლიტიკაში ევროპაში მიმდინარე მოვლენების მიმართ იყო ნეიტრალური პოზიციის მომხრე.

აშშ-მა XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო ქვეყნის გაძლიერება და დასავლეთის ნახევარისფეროში ჰეგემონობისათვის აქტიური მცდელობები. მომდევნო საუკუნეებში აშშ გადაიქცა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ.

კითხვები და დავალებები

1. *რომლებია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მიზეზები?*
2. *შეადარეთ მაიას, აცტეკისა და ინკის საზოგადოებები.*
3. *როგორ დამყარდა ფრანგების ურთიერთობები კანადის ადგილობრივ მოსახლეობასთან? ეცადეთ ამ მიზეზების ახსნა.*
4. *თქვენი აზრით, ინგლისის კოლონისტებსა და მეტროპოლიის ხელისუფლებას შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა ომის გარდა კიდევ რომელი საშუალებებით შეიძლებოდა?*
5. *რომლებია მსგავსი მხარეები 1787 წელს აშშ-ში მიღებულ კონსტიტუციის შინაარსსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციას შორის?*

23 რუსეთის სახელმწიფო

საკვანძო სიტყვები

- ივანე IV
- ზემსტვოს მეჯლისი
- ოპრიჩინა
- რიურიკები
- მეფე
- იმპერია
- რომანოვები
- პეტრე I
- ნაშტადტის ზავი
- ეკატერინე II

დიდი მოსკოვის მთავრის ვასილი III-ის პერიოდში (1505-1533) დამთავრდა რუსული მიწების მოსკოვის სამთავროს გარშემო ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესი. ხოლო XVIII საუკუნეში წარმატებული საგარეო პოლიტიკის შედეგად რუსეთი დაკავებული ტერიტორიების მიხედვით გადაიქცა მსოფლიოს ყველაზე დიდ იმპერიად.

რუსეთის პირველი მეფე. დიდმა მთავარმა ივანე IV მრისხანემ (1533-1584) ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის 1547 წელს მიიღო მეფის ტიტული. ბოიარების ხელისუფლების შეზღუდვისათვის, როგორც გარკვეული ფენების წარმომადგენელთა ორგანო მოიწვია ზემსტვოს კრება. გატარებული სამხედრო რეფორმების მიხედვით ჯარში გაუქმდა თანამდებობის გვარიშვილობით დაკავების წესი. შეიქმნა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით შეიარაღებული ახალი ჯარი. ივანე IV-ის კანონმდებლობის მიხედვით, გლეხებს მიეცათ ფეოდალებისაგან გადასახლების უფლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ "იურის დღეს". მექრთამეობისათვის სახელმწიფო მოხელეებზე დაწესდა მკაცრი სასჯელები. გაუქმდა მათი მოსახლეობის ხარჯზე შენახვის წესი. გატარებული რეფორმების შედეგად რუსეთში მემკვიდრეობითი მონარქიის წყობაში მოხდა ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირება. **1565-1572 წლებში განხორციელდა ფეოდალური არისტოკრატიის მოღალატეობის ალბათობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სახელმწიფო ტერორისტული პოლიტიკა – ოპრიჩინა.** ოპრიჩინას შედეგად მეფის ხელისუფლება საგრძნობლად გაძლიერდა, მაგრამ, ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა დამძიმდა. შეიქმნა XVII საუკუნის დასაწყისში მომხდარი სამოქალაქო ომის პირველადი პირობები.

ივანე IV მრისხანე

რომელი რეფორმები გატარდა ივანე IV-ს პერიოდში?

როგორი გავლენა მოახდინა ოპრიჩინას პოლიტიკამ რუსეთის მდგომარეობაზე?

XVI საუკუნის II ნახევარში რუსეთის სახელმწიფომ ფართო დამპყრობლური ომების წარმოებით საკუთრი ტერიტორია გაიფართოვა და საერთაშორისო არენაზე ავტორიტეტი აიმაღლა.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები და შედეგები

1558–1583 – ლივონიის ომში რუსეთის დამარცხება

1552 – ყაზანის სახანოს ოკუპაცია
1556 – ასტრახანის სახანოს ოკუპაცია
1559 – ყირიმის სახანოზე წარუმატებელი ლაშქრობა

რომანოვების ხელისუფლებაში მოსვლა. 1598 წელს რუსეთში დასრულდა რიურკების დინასტიის ხელისუფლება. ზემსტვოს კრების გადაწყვეტილებით გავლენიანი არისტოკრატი ბორის გოდუნოვი რუსეთის მეფედ გამოცხადდა. მის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად ქვეყანაში დაიწყო ქაოსი, სახელმწიფო სტრუქტურების მოშლა, ადგილობრივი არისტოკრატების ცენტრზე დაუმორჩილებლობა, სამოქალაქო ომი და უცხოელთა შეტევები.

მინინი და პოჟარსკი



რუსეთის დაპყრობები XVI საუკუნეში

ზემსტვოს მეჯლისმა რომანოვები რუსეთის ხელისუფლებაში მოიწვია

XVII საუკუნის დასაწყისში მოხდა რუსეთში *რეჩ პოსპოლიტას** სამხედრო შემოჭრა. მინინისა და პოჟარსკის მეთაურობით რუსეთის სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ უცხოელი დამპყრობლების ქვეყნიდან გაძევების შემდეგ, 1613 წელს ზემსტვოს მეჯლისის გადაწყვეტილებით რუსეთის ხელისუფლებაში მოყვანილ იქნა რომანოვების დინასტია. მეფის ალექსი მიხაილოვიჩის პერიოდში (1645-1676) მონარქიზმის განმტკიცების მიზნით **1649 წელს მიღებულ იქნა "მეჯლისის კოდექსი".** გლეხები სამუდამოდ მიწაზე იყვნენ მიმაგრებული, ხოლო სახელმწიფო იღებდა გაქცეული გლეხების უვადო ძებნის ვალდებულებას. პოსადისის მოსახლეობა საცხოვრებელ *პოსადზე** იყო მიმაგრებული. ფეოდალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ XVII საუკუნის ყველაზე დიდი საპროტესტო მოძრაობა იყო დონის კაზაკების აჯანყება სტეფანე რაზინის მეთაურობით.

* **რეჩ პოსპოლიტა** – არსებობდა 1569-1795 წლებში. შექმნილი იყო პოლონეთის სამეფოსა და დიდი ლიტვის სამთავროს გაერთიანების შედეგად

* **პოსადი** – ქალაქის გარეუბნები

რომელი წესები განსაზღვრა 1649 წლის "მეჯლისის კოდექსმა"?

როგორი შეფასება ეძლევა სტეფანე რაზინს რუსეთისა და აზერბაიჯანის ისტორიაში?

XVII საუკუნის რუსეთის ეკონომიკაში მოხდა რიგი სიახლეებისა. 1620-1630 წლებში რუსეთში ჰოლანდიელების მიერ დაარსებული იქნა მეტალურგიის პირველი მანუფაქტურები. გაიზარდა ქალაქების რიცხვი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობა წარმოებდა არხანგელსკიდან, ხოლო აზიის ქვეყნებთან ქალაქ ასტრახანის პორტის საშუალებით.

XVII საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე იდგა სამი ამოცანა: ბალტიის ზღვაზე გასვლის დაუფლება, ყირიმის ხალხების თავდასხმების აღკვეთით, სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქაოსის წლებში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება.

ზაპოროჟიეს კაზაკების რეჩ პოსპოლიტას ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო მოძრაობით მოსარგებლე რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება ამ ტერიტორიის თავის შემადგენლობაში გაერთიანების შესახებ. რეჩ პოსპოლიტას ომის (1654-1667) დასასრულს დადებული ანდრუსოვოს შეთანხმებით მარცხენა სანაპიროს უკრაინა-კიევი, ბრიანსკი და სმოლენსკი რუსეთისათვის უნდა გადაცემულიყო. ოსმალეთის სახელმწიფოს მარცხენა სანაპირო უკრაინის პრეტენზიებთან დაკავშირებით რუსეთსა და ოსმალეთი-ყირიმის გაერთიანებულ ძალებს შორის 1676-1681 წლებში მომხდარი ომი ბახჩასარაის ზავით დამთავრდა, ოსმალეთის იმპერიამ კიევის გარშემო ზოგიერთ ტერიტორიებზე ხელისუფლება შეინარჩუნა.

რა ამოცანები იდგა XVII საუკუნის რუსეთის სავარეო პოლიტიკის წინაშე?

რუსეთის იმპერიად გადაქცევა. პეტრე I-ის წინაშე (1682-1725) იდგა რუსეთის თბილ ზღვებზე გასვლის უზრუნველყოფის ამოცანა. 1695-1696 წლებში რუსეთის ჯარებმა თურქების აზოვის ციხე ჩაიგდეს ხელში და აქ აშენდა ტაგანროგის ციხე. იმისათვის, რომ ევროპის სახელმწიფოები თავის მოკავშირეებად ექცია, ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ მომავალ ომში, სავაჭრო, ტექნიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარებისათვის პეტრე I-მა ფართო წარმომადგენლობასთან ერთად დაიწყო მოგზაურობა ევროპის ქვეყნებში.

პეტრე I

განმარტეთ თბილ ზღვებზე გასასვლელის მნიშვნელობა.

რუსეთს, დანიას, პოლონეთსა და საქსონიას შორის შვედეთის წინააღმდეგ ჩრდილოეთის კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. **1700 წელს შვედეთთან დაიწყო "ჩრდილოეთის ომი".** ომში პირველი ბრძოლები რუსეთისათვის წარუმატებელი იყო, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა მის სასარგებლოდ შეიცვალა. **1703 წელს მდინარე ნევის სანაპიროზე ხელში ჩაგდებულ ტერიტორიაზე ქალაქ სანკტპეტერბურგს ჩაეყარა საფუძველი**. 1709 წელს პოლტავის ბრძოლაში დამარცხებული შვედეთის მეფე ოსმალეთში გაიქცა. საფრანგეთისა და შვედეთის დაჟინებული თხოვნით ოსმალეთის იმპერიამ რუსეთს ომი გამოუცხადა. 1711 წელს მდინარე პრუტის სანაპიროზე ალყაში მოქცეული პეტრე I იძულებული გახდა არახელსაყრელ ზავზე მოეწერა ხელი. აზოვის ციხე უნდა დაებრუნებინა ოსმალეთისთვის, უნდა აეფეთქებინა ტაგანროგის ციხე, შვედეთის მეფისათვის უნდა მიეცა თავის ქვეყანაში დაბრუნების საშუალება. მიუხედავად ამ წარუმატებლობისა რუსეთი გამოვიდა გამარჯვებული "ჩრდილოეთის ომიდან".

პეტრე I-ის მიერ ქ. სანკტ-პეტერბურგის პროექტის დამტკიცება



რუსეთი XVI საუკუნის მეორე ნახევარში - XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

1721 წელს ხელმოწერილი ნიშტადტის ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთს ფინეთი უნდა დაებრუნებინა და ბალტიის ზღვის სანაპიროებზე ხელში ჩაგდებული ვრცელი ტერიტორიების სანაცვლოდ შვედეთისათვის უნდა გადაეხადა 1,5 მილიონი რუბლი. 1721 წელს სენატმა ამ გამარჯვების გამო პეტრე I რუსეთის იმპერატორის, "დიდი" და "ქვეყნის მამა" ტიტულებით დააჯილდოვა. **რუსეთი გადაიქცა იმპერიად.**

ნიშტადტის ზავის ხელმოწერა

რომლებია ნიშტადტის ხელშეკრულების პირობები?

პეტრე I-მა განახორციელა სხვადასხვა სფეროს მომცველი რეფორმები. მთელი ქვეყნის ტერიტორია დაიყო 8 გუბერნიად. ახლად შექმნილ სენატს უნდა მოემზადებინა ახალი კანონები და უნდა გაეკონტროლებინა სახელმწიფო მოხელეების მუშაობა. 1718-1721 წლებში დაარსებული 12 კოლეგია სახელმწიფოს ხარჯზე მუშაობდა. ეკლესია დაუმორჩილეს სახელმწიფოს. პეტრე I-ის ხელისუფლების წლებში აამოქმედეს პროტექციონიზმის პოლიტიკა. ქარხნის მეპატრონეებს მიეცათ გლეხების შესყიდვის უფლება. 1722 წელს მოცემული "წოდებების შესახებ ცხრილი" მოსამართლეთა ფენის რიგებში სხვა სოციალური ფენის ნიჭიერი და უნარიანი წარმომადგენლების შესვლას უზრუნველყოფდა. მერვე ხარისხს მიღწეული (სულ 14 ხარისხი იყო) ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე და ოფიცრის მემკვიდრე აზნაურის წოდებას ეუფლებოდა. რუსეთში საფუძველი ჩაეყარა საპასპორტო სისტემას.

პეტრე I-ის რეფორმებს ქვეყანაში მოწინავე ევროპასთან შედარებით ჩამორჩენები უნდა აღმოეფხვრა, მაგრამ ეს ჩამორჩენები მხოლოდ შეამცირა. რეფორმების შედეგად რუსეთში დამთავრდა მონარქიზმის ფორმირება. გენიალური ფრანგი მოაზროვნე ვოლტერი პეტრე I-ის რეფორმებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, "სხვა ხალხების მიერ 500 წელიწადში მიუღწეველს, რუსებმა 50 წელიწადში მიაღწიეს".

რა მიზნებს ემსახურებოდა პეტრე I-ის რეფორმები?

იმპერიის აღმავლობის ხანა. სასახლის გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსული ეკატერინე II-ის პერიოდში (1762-1796) რუსეთში გაძლიერდა მონარქია. 1785 წელს აზნაურების შესახებ გაცემული ბრძანებულების მიხედვით ისინი თავისუფლდებოდნენ სახელმწიფოს სავალდებულო სამსახურიდან, გადასახადებისაგან და სხეულის სასჯელისაგან. ქალაქის რეფორმების მიხედვით, მისი მოსახლეობა ყოველ სამ წელიწადში ირჩევდა თვითმმართველ ორგანოს - დუმას, ქალაქის მმართველს და სასამართლოს მოსამართლეებს. ქალაქის დუმა ინფრასტრუქტურას, გაშენიანებას, სახალხო განათლებას, სავაჭრო წესებს იცავდა და სხვა საკითხებს წყვეტდა. სკოლის რეფორმების საფუძველზე გუბერნიისა და მაზრის ცენტრებში დაარსდა სახალხო სკოლები.

ეკატერინე II

რომელ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ეკატერინე II-ის დროს რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?

რუსეთის საგარეო პოლიტიკა ეკატერინე II-ის დროს

ძირითადი მიზნები	მიღწევის გზები	შედეგები
შავ ზღვაზე გასასვლელების ხელში ჩაგდება და სამხრეთის საზღვრების გაფართოება. "ბერძნული პროექტის" განხორციელება: ბიზანტიის აღდგენა, მოლდოვას, ვალახიასა და ბესარაბიისაგან შემდგარი დაკიას შექმნა.	რუსეთ-ოსმალეთის ომი 1768–1774 წლები	ქიჩიქ კაინარჯას ზავი (10 ივნისი 1774 წელი): • რუსეთმა ხელში ჩაიგდო შავი ზღვის სანაპიროებზე მდ. დნეპრისა და ბუგს შორის ტერიტორია; • რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე საკუთარი საზღვაო ფლოტის დაარსების უფლება; • ბოლო მოეღო ყირიმის სახანოს ოსმალების სახელმწიფოზე დამოკიდებულებას; • ოსმალეთის სახელმწიფო რუსეთს უხდიდა კონტრიბუციას 4,5 მლნ რუბლს.

	1783 წელი – ყირიმის ხანს იძულებით ხელი ააღებინეს ხელისუფლებაზე	ყირიმი შეუერთდა რუსეთს, დაიწყო ახალი ქალაქების მშენებლობა.
	1783 წელი – ქართლ–კახეთის სამეფოსთან გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა	აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა.
	რუსეთ–ოსმალეთის ომი 1787 – 1791 წლები	იასის ზავი (29 დეკემბერი 1791 წელი): • დამტკიცდა ყირიმის რუსეთთან შეერთება და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის პროტექტორატში გადასვლა; • რუსეთს გადაეცა მდინარე დნესტრსა და ბუგს შორის არსებული ტერიტორიები; • რუსეთის ჯარები გაყვანილი იქნა, მოლდოვადან, ვალახიიდან და ბესარაბიიდან.
უკრაინისა და ბელორუსიის მიწების შეერთება რუსეთთან	რეჩ პოსპოლიტას გადანაწილება	
	1772 წელი (მონაწილეობდნენ რუსეთი, პრუსია, ავსტრია)	აღმოსავლეთ ბელორუსია და ლივონიას ერთი ნაწილი შეუერთდა რუსეთს.
	1783 წელი (მონაწილეობდნენ რუსეთი და პრუსია)	უკრაინის მარჯვენა სანაპირო და ბელორუსიის ცენტრალური ტერიტორიები შეუერთდა რუსეთს.
	1795 წელი (მონაწილეობდნენ რუსეთი, პრუსია და ავსტრია)	ლიტვა, კურლანდია და დასავლეთი ბელორუსია შეუერთდა რუსეთს.
სამხრეთ კავკასიაში ახალი ტერიტორიების დაპყრობა	1795–1796 წლებში "ირანის საფრთხის" მიზეზით რუსეთის ჯარების გამოგზავნა რეგიონში	რუსეთის ჯარებმა დაიმორჩილა ზოგიერთი ჩრდილო აზერბაიჯანის სახანო, მაგრამ ეკატერინეს სიკვდილის შემდეგ გაყვანილ იქნენ აქედან.

1796 წელს ხელისუფლებაში მოსული პავლე I–ის ტახტის მემკვიდრის შესახებ მიღებული კანონის მიხედვით რუსეთში ქალების ხელისუფლებაში მოსვლას ბოლო მოეღო. თავადების თვითნებობები შემცირდა. გატარდა ღონისძიებები გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის: საბეგარო დღეები კვირაში სამ დღემდე შემცირდა, გლეხების უმიწოდ გაყიდვა აიკრძალა. ინგლისისა და ავსტრიის მიერ სამოკავშირეო მოვალეობების შეუსრულებლობების გამო, 1798 წელს პავლე I გამოვიდა საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილი კავშირიდან. ამან გამოიწვია ინგლისისა და ავსტრიის უკმაყოფილება. ქვეყნის შიგნითაც უამრავი მტრები გაერთიანდნენ პავლე პირველის ხელისუფლების წინააღმდეგ.

კითხვები და დავალებები

1. *რომელი ტერიტორიები დაიპყრო რუსეთმა XVI საუკუნის მეორე ნახევარში?*
2. *რა მსგავსებებია ეკატერინე II–სა და პეტრე I–ის მოღვაწეობას შორის?*
3. *რა ღონისძიებები განახორციელა პავლე I–მა შიდა და საგარეო პოლიტიკაში?*
4. *მოამზადეთ რეფერატი ეკატერინე II–ის მოღვაწეობის შესახებ.*
5. *ცდილობდა ივანე IV აბსოლუტური მონარქიის შექმნას? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.*
6. *ასახეთ რომანოვების ხელისუფლებაში მოსვლის პირობები.*
7. *შეაფასეთ დროის მიხედვით პეტრე I, როგორც სახელმწიფო მოღვაწე.*

24 ოსმალეთის სახელმწიფო

საკვანძო სიტყვები

- **სელიმ I იავუზი**
- **"გრანდიოზული ასწლეული"**
- **"აღმოსავლეთის საკითხი"**
- **"ბერძნული პროექტი"**

ბიზანტიის დაცემის შემდეგ 100 წელზე მეტხანს ოსმალეთის იმპერია ბატონობდა ძველ სამყაროში. რა იყო ამისი მიზეზი? რატომ იყო, რომ იმპერიამ შემდგომში დაკარგა ძალა და XVII საუკუნის ბოლოდან ევროპის ექსპანსიური პოლიტიკის წინაშე უსუსური გახდა?

"ორი წმინდა ქალაქის მმართველი". ოსმალეთის სულთანმა სელიმ I–მა იავუზის (1512–1520) ტახტზე ასვლის შემდეგ მთელი სამუსლიმანოს მბრძანებლის ხალიფას ტიტულისათვის სეფიანთა და *მამლუქების** სახელმწიფოების მბრძნაებლებთან დაიწყო ომი. იგი პირველ რიგში შაჰ ისმაილ სეფევის დაეჯახა, ჩალდირანის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ სელიმმა დაიწყო მზადება სირიისა და ეგვიპტის დასალაშქრად. მოსამზადებელი ღონისძიებების დასრულების შემდეგ, ოსმალეთის ჯარებმა მამლუქების საზღვრები გადალახეს და 1516 წელს მათი ჯარი მარჯიდაბიქის ტბასთან გაანადგურეს. იმ დროის მსოფლიოში ყველაზე ძლიერ არტილერიად წოდებულმა ოსმალეთის არტილერიამ ბრძოლაში გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. 1516 წლის 29 აგვისტოს ქალაქ ჰელების მეჩეთში პარასკევის ნამაზის დროს სელიმ I-მა "ორი წმინდა ქალაქის (მექა და მედინას) მბრძანებლის" ტიტული მიიღო. ამრიგად, სელიმ I–მა საკუთარი თავი მთელი მუსულმანური სამყაროს ხალიფად გამოაცხადა.

* **მამლუქები** – ეგვიპტელი მმართველების კავკასიელი ხალხებისაგან შემდგარი რჩეული საბრძოლო რაზმების მებრძოლი-მონები

რა მიზნის მიღწევას ცდილობდნენ სალიფას ტიტულისათვის ბრძოლის მწარმოებელი სახელმწიფოები?

1517 წელს ოსმალებმა აიღეს კაირო. სელიმ I იავუზის გამარჯვებების შედეგად მამლუქების სახელმწიფომ კრახი განიცადა. პალესტინა, სირია და ეგვიპტე გადაიქცნენ ოსმალეთის იმპერიის ოლქებად.

სელიმ I–ის ხელისუფლების დროს იმპერიის ბატონობა ხმელთაშუა ზღვაზეც გაძლიერდა. 1518 წელს ადმირალ ხეირადდინ ბარბაროსამ ესპანეთის საზღვაო ფლოტი გაანადგურა და ალჟირი დაიპყრო. სულთან სელიმ I-ის მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა ოსმალებს საშუალება მისცა ხელახალი ლაშქრობები წამოეწყოთ ევროპის მიმართულებით, თუმცა ამ გეგმების აღსრულება სულთან სულეიმან I–ის (1520–1566) სახელთან არის დაკავშირებული.

სელიმ I იავუზი

პაპი ლეო X

"პალესტინაში ქრისტიანების წმინდა ადგილების ოსმალების ხელში გადასვლით პაპმა ლეო X ძ ჯვაროსნული მსვლელობის ორგანიზება აუცილებლად ჩათვალა. მან მოუწოდა ევროპის მბრძანებლებს გაერთიანებულიყვნენ ოსმალების წინააღმდეგ და ერთიანი ძალებით ემოქმედათ. თუმცა პაპის ამ დიპლომატიურმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო იმიტომ, რომ ყოველი მბრძანებელი ოსმალებთან ურთიერთობებს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე აყალიბებდა, ხოლო ოსმალებმა ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის არსებული კონკურენციით მოხერხებულად ისარგებლეს. ამრიგად, დაგეგმილი ჯვაროსნული მსვლელობა ჩავარდა".

ქეროლაინ ფინქელი

"ოსმალეთის იმპერიის ისტორია" წიგნის საფუძველზე

რომელმა მოვლენებმა შეუშალა ხელი ევროპაში ოსმალების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას XVI საუკუნის პირველ ათწლეულში?

სელიმ I–ის რომელმა გამარჯვებებმა მისცა საშუალება ოსმალებს რომ, ხელახლა გაელაშქრათ ევროპის მიმართულებით?

სულთან სულეიმან I–ის ლაშქრობები. სულთან სულეიმან I-ის სამიზნე იყო ოსმალების საზღვრის ახლოს მდებარე სიმაგრედ წოდებული ქალაქი ბელგრადი. 1521 წელს ოსმალებმა ალყაშემორტყმული ქალაქის მცველების წინააღმდეგობა გატეხეს და ქალაქი აიღეს. გაიხსნა გზა უნგრეთის მიმართულებით.

1526 წელს ქალაქ მოხაჩის ახლოს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა უნგრეთისათვის. აქ უნგრულ–ჩეხური ჯარები ებრძოდნენ ოსმალებს. სულეიმან I–მა უნგრელ ცხენოსნებს განგებ მისცა თავისი ჯარის პირველი რიგის გარღვევის საშუალება. თუმცა, პირველი რიგის უკან მტრის ჯარზე ცეცხლის გამხსნელი არტილერია იყო განთავსებული. ამ მარცხმა უნგრეთი აქცია ოსმალეთის იმპერიის ვასალად.

მოხაჩის ბრძოლა

განსაზღვრეთ ქალაქ მოხაჩის ახლოს ბრძოლაში გამოყენებული ტაქტიკის და ტრადიციული "თურანის ტაქტიკის" საერთო და განმასხვავებელი თვისებები.

1529 წელს ავსტრიის მბრძანებლის მიერ უნგრეთის ტახტზე პრეტენზიის პასუხად სულეიმან I-მა ვენაზე პირველად მოაწყო ლაშქრობა. ელვისებურმა შეტევამ შედეგი არ გამოიღო. ზამთრის მოახლოებამ, სურსათის თადარიგისა და სამხედრო სურსათ–სანოვაგის სიმცირის გამო სულთანი იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

1535 წელს სულეიმან I–მა საფრანგეთის მეფესთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომ ამ ქვეყნის ვაჭრებს მისცემდა პრივილეგიას ვაჭრობაში. ამით დასრულდა ვენეციის ბატონობა ხმელთაშუა ზღვაზე. მნიშვნელოვანი იყო ამ ხელშეკრულების პოლიტიკური არსი. ეს ხელშეკრულება ერთის მხრივ ავსტრიისა და მეორის მხრივ ესპანეთისა და წმინდა რომის იმპერიის მმართველი ჰაბსბურგის დინასტიის წინააღმდეგ მიმართული ორი ქვეყნის კავშირს ამტკიცებდა.

რა ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები ჰქონდა 1535 წლის ხელშეკრულებას?

1541 წელს ოსმალებმა კიდევ ერთი ახალი დიდი შეტევა განახორციელეს ავსტრიის წინააღმდეგ. ამის პასუხად ესპანეთმა ალჟირის სანაპიროზე 500 გემისაგან შემდგარი ფლოტი გააგზავნა. ამ დროს ბუნება მათ წინააღმდეგ გამოვიდა. ზღვაში ამოვარდნილმა ქარბუქმა ესპანეთის ფლოტის მესამედი გაანადგურა. მიუხედავად ამისა ესპანელებმა დიდი ენთუზიაზმით შეუტიეს ციხეს. თუმცა მათი შეტევა დამთავრდა წარუმატებლად. ამ მარცხის შემდეგ ესპანელები შეურიგდნენ ალჟირში ოსმალების ბატონობას.

1547 წელს ედირნაში ოსმალეთის იმპერიასა და ავსტრიას შორის ზავს მოეწერა ხელი. ამ ზავის შედეგად უნგრეთის მხოლოდ ჩრდილო–დასავლეთი ნაწილი დარჩა ავსტრიელი ჰაბსბურგების მმართველობის ქვეშ, ხოლო მის დიდ ნაწილს ოსმალეთის იმპერია დაეპატრონა.

ოსმალებსა და ჰაბსბურგებს შორის ომები მომდევნო წლებშიც გაგრძელდა, თუმცა სულეიმან I–მა ვერ მიაღწია ავსტრიის წინააღმდეგობის სრულ გატეხვას. ამას ჰქონდა ორი მიზეზი. პირველი: ესპანეთისა და წმინდა რომის იმპერიის მხრიდან ავსტრიას ჰქონდა დიდი მხარდაჭერა; მეორე, აღმოსავლეთში სეფიანებთან გაგრძელებული ომი ოსმალებს საშუალებას არ აძლევდა მთელი ძალებით ევროპის კოალიციის წინააღმდეგ შემოეტრიალებინა სამხედრო მოქმედებები. მიუხედავად ამისა, სულთან სულეიმან I–ის ხელისუფლების წლები ისტორიაში მხოლოდ ომების წლებად კი არ მოიხსენიება, იგი ისტორიაში შევიდა როგორც იმპერიის აყვავების ხანა.

სულთან სულეიმანის ბარელიეფი აშშ-ის კონგრესში

რატომ შეძლო ავსტრიამ ოსმალების თავდასხმებისათვის წინააღმდეგობის გაწევა?

"გრანდიოზული ასწლეულის" დაწყება და დამთავრება. ქრისტიანულმა ევროპამ სულთან სუმეიმან I–ს "დიადი" უწოდა. მუსულმანურ აღმოსავლეთში მას კანონიერი უწოდეს, იმიტომ, რომ მან ახალი კანონების კრებული შექმნა და თვითონაც ღირსეულ გამოსვლებს აკეთებდა როგორც მმართველი. მაგალითად, ქრისტიანი გლეხების შესახებ კანონი მათ მდგომარეობას ქრისტიანულ ქვეყნებში მიმაგრებული გლეხების მდგომარეობასთან შედარებისას ისეთ დონეზე ამსუბუქებდა, რომ მეზობელი ქვეყნების გლეხები ამჯობინებდნენ თავიანთი ქვეყნებიდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებას. მემატიანე ასე წერდა: "მე, უამრავი უნგრელი გლეხი მინახავს, რომლებმაც თავიანთი სახლები დაწვეს ... თურქების ტერიტორიაზე გაიქცნენ, რადგან იცოდნენ, რომ იქ მოსავლის მეათედი ნაწილის ჩაბარების შემდეგ ისინი არანაირ გადასახადს აღარ გადაიხდიდნენ ან არავითარი შევიწროება არ ექნებოდათ".

როგორ შთაბეჭდილებებს ტოვებს ეს ცნობა ოსმალეთის მმართველობის შესახებ?

თუმცა სულთან სულეიმანის გარდაცვალების შემდეგ "გრანდიოზული ასწლეული" დასრულდა. ძალიან მალე უძრაობის ნიშნები გაჩნდა და XVII-XVIII საუკუნეებში ამ ნიშნებმა იმპერია რეგრესისაკენ მიაბრუნა.

ოსმალეთის იმპერიის დასუსტების მიზეზები

შიდა მიზეზები

1. მმართველი დინასტიის გავლენის დასუსტება და თანდათანობით გაზრდილი სასახლის გადატრიალებები.
2. სახელმწიფო მოხელეების თვითნებობა და მართვის სისტემის მოშლა.
3. გადასახადების გაზრდა, მეურნეობის მოშლა და სახაზინო შემოსავლების შემცირება.
4. თიმარისა და ზიამათის სისტემების მოშლა და სახელმწიფო სამხედრო ძალების შემცირება.
5. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების სუსტი გამოყენება.

საგარეო მიზეზები

1. კაპიტალიზმის განვითარება დასავლეთ ევროპაში.
2. გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად საერთაშორისო არენაზე პოზიციის დაკარგვა.
3. დასავლეთ ევროპის ქვეყნების კაპიტულაციის უფლებების გაფართოება.
4. დასავლეთ ევროპის ქვეყნების კოალიცია, ხოლო აღმოსავლეთში სეფიანებთან ომის წარმოება.
5. ევროპის სახელმწიფოების მხრიდან ოსმალეთის ქონების გადანაწილების დაწყება.

უდავოა, რომ იმ მძიმე პერიოდშიც კი, იყო მცდელობები ოსმალეთის იმპერიის წარსულის სიძლიერის აღდგენის მიმართულებით. ამათგან ყველაზე თვალშისაცემი იყო დიდი ვეზირების ქოფრულუ მეჰმეთ ფაშას (XVII საუკუნის მეორე ნახევარი) და იბრაჰიმ სელიმ III-ის (XVIII საუკუნის ბოლო) რეფორმები. თუმცა ეს რეფორმები მოძველებული ფეოდალური წყობის ჩარჩოდან გამოუსვლელობის გამო გახდა წარუმატებელი, გარდა ამის სახელმწიფო მმართველობის სხვა მიმართულები ღრმად არ მოიცვა და ძირითადად ჯარის გაძლიერებისაკენ იყო მიმართული. სულთნის მმართველობის შიდა საკითხების მოგვარების შეუძლებლობა მის საგარეო კრიზისსაც ამწვავებდა.

რატომ ვერ აღკვეთა რეფორმებმა რეგრესი?

"აღმოსავლეთის საკითხი". ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ძლიერების რეგრესის პირველი ნიშანი იყო მისი ესპანეთის, ვენეციისა და გენუას გაერთიანებული საზღვაო ფლოტის მხრიდან ლეპანტოს საზღვაო ბრძოლაში (1571) დამარცხება. ამ დამარცხებამ იმპერიის შიდა მდგომარეობა გაამწვავა. პოლიტიკური კრიზისი არა მხოლოდ ვენეციაზე გამარჯვებამ, არამედ კვიპროსის და კრიტის კუნძულების შემოერთებამაც კი ვერ შეასუსტა.

ოსმალეთის იმპერიის მთავარ კონკურენტად ავსტრია რჩებოდა, ხოლო მათ შორის არსებული დაპირისპირების ძირითადი საბრძოლო მოედანი იყო უნგრეთი. 1683 წელს ოსმალეთის ჯარმა პირველ ბრძოლებში ავსტრიელები დაამარცხა, შემდეგ მათ დაედევნენ და ვენა ალყაში მოაქციეს. ჰაბსბურგების დასახმარებლად მოვიდნენ პოლონეთისა და გერმანიის სამთავროების სამხედრო ძალები. ოსმალები დამარცხდნენ. ეს მოვლენა გახდა ოსმალების შევიწროვების დასაწყისი ცენტრალური ევროპიდან.

რა შედეგები ჰქონდა 1683 წელს ვენისათვის ოსმალეთის ჯარის დამარცხებას?

1684 წელს რომის პაპის ინიციატივით ოსმალების წინააღმდეგ შეიქმნა ავსტრიის, პოლონეთის, ვენეციისა და მალტასაგან შემდგარი "**წმინდა კავშირი**". 1686 წელს მას რუსეთიც შეუერთდა. ვრცელი ევროპის ქვეყნების კოალიციის წინააღმდეგ რამდენიმე ფრონტზე წარმოებული ბრძოლები ოსმალეთის იმპერიის მძიმე მარცხით დასრულდა. კარიოვიცას ზავის (1699) პირობების მიხედვით უნგრეთი, ხორვატია და ტრანსილვანია ავსტრიას, პოდოლია - პოლონეთს, ხოლო დალმაცია და მორეა - ვენეციას გადაეცა.

ოსმალეთის იმპერიამ პირველად ევროპაში ასეთი ვრცელი ტერიტორიები დაკარგა, ამიტომაც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მის დაბრუნებას ცდილობდა. ამისათვის საერთაშორისო პირობებიც იყო ხელსაყრელი: ევროპის ქვეყნების ერთი ნაწილი ესპანეთის ტახტისათვის, ხოლო დანარჩენები ბალტიის ზღვაზე ბატონობისათვის იბრძოდნენ. ოსმალებმა გაიმარჯვეს ვენეციაზე, თუმცა ავსტრიასთან კიდევ ერთხელ დამარცხდნენ.

პოჟარევაცკის ზავის (1718) პირობების მიხედვით ჩრდილოეთი სერბია ქალაქ ბელგრადთან ერთად ავსტრიას გადაეცა, ხოლო ვენეციამ მორეანი ოსმალებს დაუბრუნა. მორიგ ომში ოსმალებმა გამარჯვება შეძლეს და ბელგრადის ზავის (1739) პირობების მიხედვით წინა ზავით ავსტრიისათვის გადაცემული მიწები უკან დაიბრუნეს.

რომელი მოვლენები უქმნიდა პირობას XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიას საგარეო პოლიტიკის გააქტიურებისათვის?

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერია დამარცხდა რუსეთთან ომში. ამ დამარცხებამ იმპერიის კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა. ასეთ პირობებში საერთაშორისო პოლიტიკაში წარმოიშვა "**აღმოსავლეთის საკითხი**". მისი არსი მდგომარეობდა ოსმალეთის იმპერიის გაუქმებასა და მისი ტერიტორიების გადანაწილებაში. თუმცა ძალიან მალე მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ. "აღმოსავლეთის საკითხის" გადაწყვეტა გადავიდა საერთაშორისო პოლიტიკის მეორე პლანზე.

რა იყო "აღმოსავლეთის საკითხის" წარმოშობის მიზეზები საერთაშორისო პოლიტიკაში?

რატომ ვერ გადაწყვიტეს ევროპის ქვეყნებმა "აღმოსავლეთის საკითხი" XVIII საუკუნის ბოლოს?

1793 წელს ევროპის სახელმწიფოების კავშირმა ომი დაიწყო საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ოსმალეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. პრუსიის მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით ზეწოლას დიდმა ვეზირმა ასეთი პასუხი გასცა: ჩვენი სახელმწიფოს საფრანგეთთან მეგობრული ურთიერთობები არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს წყობაზე. მიუხედავად იმისა რესპუბლიკა იქნება თუ მონარქია, ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება ფრანგ ხალხთან. თქვენ ფრანგებს **"იაკობინელებს"** უწოდებთ, ხოლო ჩვენ **"ფრანგებს"**.



ოსმალეთის იმპერია

რით განსხვავდებოდა ოსმალეთის იმპერიის დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციასთან სხვა ქვეყნების დამოკიდებულებებისაგან?

ეკატერინე II-ს "ბერძნული პროექტი"

"აღმოსავლეთის საკითხის" გადაჭრის გზებიდან ერთ-ერთი რუსეთის მბრძანებლის ეკატერინე II-ს მხრიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებში "ბერძნული პროექტის" სახელწოდებით იქნა წამოყენებული. მის ძირითად თეზისებს ეკუთვნის:

1. *მოლდავიის, ვალახიას და ბესარაბიას ერთიან, დამოუკიდებელ დაკიას სახელმწიფოსთან შეერთება: ახალი სახელმწიფოს მეთაური უნდა ყოფილიყო მართმადიდებელი მთავარი;*
2. *სტამბოლის აღება და ოსმალების გაყვანა ევროპიდან;*
3. *ოსმალეთის სახელმწიფოს ყოფილ ტერიტორიაზე რუსეთის ხელმძღვანელობით და რომანოვების დინასტიის წარმომადგენელი მონარქის მიერ მართული საბერძნეთის იმპერიის დაარსება.*

ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში რუსეთის წინაშე ღრმელი შესაძლებლობები იხსნებოდა.
პირველი: *ივი ბალკანებში გადამწყვეტ პოლიტიკურ ბატონობას ეუფლებოდა.*
მეორე, *შავი ზღვის სრუტეებით კონტროლირებას შეძლებდა, ეს კი თავის მხრივ როგორც საზღვაო სახელმწიფო, პოზიციის გაძლიერებას ნიშნავდა.*
მესამე, *იქნებოდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოების პირობები.*

რუსეთის მიზნები ცხადი იყო. "ბერძნული პროექტით" უკმაყოფილების ღიად გამომხატველი ევროპელი დიპლომატებისათვის მათი გულის მოგების მიზნით რუსეთმა გზა შეარჩია ევროპის სახელმწიფოების ოსმალეთის იმპერიის მიწების გადანაწილებაში ჩართვისათვის: ავსტრიას, ბოსნიასა და სერბიის ერთ ნაწილზე არსებული პრეტენზიების დაკმაყოფილება, საფრანგეთს-ეგვიპტეში აქტიური თავისუფლების მინიჭება, ინგლისს – მისი დიდი საზღვაო სახელმწიფოს სტატუსს პირდებოდა, თუმცა ევროპის ქვეყნებს შორის დაპირისპირებებმა, რუსეთს ბერძნული პროექტის განხორციელების საშუალება არ მისცა.

ბერძნული პროექტის ანალიზის მიხედვით განმარტეთ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის არსი.

1798 წელს ნაპოლეონ ბონაპარტმა ოსმალების მორჩილებაში მყოფ ეგვიპტეში ჯარი შეიყვანა. ამის შედეგად, ოსმალეთის იმპერიამ საგარეო პოლიტიკაში მოახდინა ცვლილება და საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ კავშირში დიდ ბრიტანეთთან, ავსტრიასთან და თავის მუდმივ მტერთან - რუსეთთან ერთად შევიდა. ოსმალეთის სახელმწიფოს სერიოზული წინააღმდეგობა გახდა ნაპოლეონის ლაშქრობის წარუმატებლობის მიზეზი.

ბრძოლა ეგვიპტის პირამიდებთან ახლოს

რატომ შეიცვალა ოსმალეთის დიპლომატიამ საერთოევროპული პოლიტიკური პოზიცია XVIII საუკუნის ბოლოს?

კითხვები და დავალებები

1. *განსაზღვრეთ ოსმალეთ-რუსეთის ომის გავლენა ისლამურ სამყაროზე.*
2. *გვიჩვენეთ ოსმალეთის იმპერიის გაფართოების სამი ძირითადი მიმართულება XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.*
3. *განსაზღვრეთ ოსმალეთის იმპერიის დაშლის შიდა და საგარეო მიზეზებს შორის ურთიერთობები.*
4. *დააკვირდით რუკაზე XVII საუკუნის ბოლოდან XVIII საუკუნის ბოლომდე ოსმალეთის იმპერიის საზღვრების ცვლილებებს.*

25 ჩინეთი, ინდოეთი და ცენტარლური აზია

საკვანძო სიტყვები

- ცინი
- თვითიზოლაციის პოლიტიკა
- ექბერ შაჰი
- მარათხი
- შეიბანიები

აღნიშნულ დროში უძველესი სახელმწიფოების ტრადიციების მქონე ჩინეთსა და ინდოეთში მოიკოჭლა განვითარებამ, ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს. ამან თავის მხრივ გაადვილა ევროპის სახელმწიფოების ამ ქვეყნებში ჩარევა.

მინის დინასტიის დაცემა. XVI – XVII საუკუნეების მიჯნაზე მინის სახელმწიფოს დაეწყო დასუსტების პერიოდი. იმპერატორის დაუდევრობით მოსარგებლე სასახლის არისტოკრატები მართავდნენ სახელმწიფოს. სუსტი საიმპერატორო ხელისუფლება, ოლქებში ძლიერი ოჯახების ხელისუფლება, მათი მფარველი სასახლის არისტოკრატების გაძლიერება, უსარგებლო შიდა პოლიტიკა, გარე საფრთხის ზრდა, ბუნებრივი კატასტროფები აუარესებდა ქვეყნის მდგომარეობას. ქვეყანა მოიცვა შიმშილმა. შედეგად, დაიწყო გლეხთა აჯანყებები. 1644 წელს აჯანყებულებმა ჩინეთის დედაქალაქი პეკინი აიღეს. მინის დინასტიის ხელისუფლებას ბოლო მოეღო. თავიანთი სიმდიდრის დაკარგვის შიშით მსხვილმა ფეოდალებმა აჯანყების ჩახშობისათვის ჩჯურჩჯენები (შემდგომში მანჯურები დაარქვეს) მოიწვიეს ქვეყანაში. 1644 წელს მანჯურებმა პეკინი აიღეს. მანჯურებისა და ჩინეთის ფეოდალების ერთობლივი მცდელობის შედეგად აჯანყება ჩაახშეს. მანჯურებმა ნელ-ნელა დაიკავეს ქვეყნის დანარჩენი ნაწილიც. ჩინეთში დაიწყო უცხო ტომების - მანჯურების (ცინი) დინასტიის ხელისუფლება (1644-1911).

1644 წელს აჯანყებულების მიერ პეკინის აღებისას იმპერატორმა ჩუნ ჩჟენმა თავი ჩამოიხრჩო, თუმცა აჯანყების მეთაურს წერილი დაუტოვა. წერილში ეწერა "სახელმწიფო მოხელეებმა მიღალატეს. ისინი ყველანი არიან სიკვდილის ღირსნი... მათი ყველასი დახოცვაა საჭირო, რათა ისწავლონ იმპერატორის კარგი სამსახური... მე ვტოვებ სიცოცხლეს იმიტომ, რომ არ მინდა დავრჩე ვალში სიცოცხლესთან, რომელიც ასე მეზიზღება".

ვასილიევი ლ.ს.
აღმოსავლეთის ისტორია,
II ტომი, მოსკოვი, 1998 გვ.564

რომლებია მინის დინასტიის დაცემის მიზეზები?

ცინის დინასტია. მანჯურების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტრადიციული ჩინური მმართველობის წესს არ შეხებიან. სახელმწიფოს სათავეში მანჯურების ცინის დინასტიის წარმომადგენელი ***ბოგდიხანები**** იდგნენ. ისინი შეუზღუდავ ხელისფულებას ფლობდნენ. იმპერატორი ითვლებოდა "**ცის შვილად**". იმისათვის, რომ დაემტკიცებინა მზესთან მსგავსება, იგი თავიდან ფეხებამდე იმოსებოდა ყვითელი სამოსით. სხვას არავის არ ჰქონდა უფლება თუნდაც ყვითელი ძაფით შეეკრა ტანსაცმელი. მანჯურები ჩინელებისაგან მოითხოვდნენ მორჩილებას. მორჩილების სიმბოლო იყო ჩინელი კაცების სიკვდილის შიშით შენახული ნაწნავი. მანჯურის დინასტიის ძირითადი სამხედრო საყრდენი იყო "**რვა დროშიანი ჯარი**", აქაც მანჯურებთან მხარდამხარ მსახურობდნენ დინასტიის ერთგული ჩინელები.

სახელმწიფო მოხელეების რომელი მოქმედების გამო ისინი ცნო იმპერატორმა სიკვდილის ღირსად?

* **ბოგდიხანი** – მინისა და მანჯურის დინასტიების წარმომადგენელი ჩინეთის იმპერატორების ტიტული. მონღოლურ ენაზე ბოგქაან "წმინდა ხელისუფალს" ნიშნავს

ჩინეთში დამკვიდრებულმა მანჯურებმა მალე დაიწყეს მეზობელი ტერიტორიების დაპყრობა. XVIII საუკუნის შუამდე ხელში ჩაიგდეს ჯუნგარია, კაშკარი, აღმოსავლეთ ტიბეტი. კორეამ მიიღო ჩინეთის ვასალობა. რუსები შეავიწროვეს ამურთან. ამ დაპყრობითი ომების შედეგად XVIII საუკუნეში ჩინეთის ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა.

თქვენი აზრით, რატომ არ შეეხნენ მანჯურები ჩინეთის ადრინდელი მმართველობის წესს?

კიდევ რომელ ხალხებს იცნობთ, რომლებიც სხვა რომელიმე ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, იმ ქვეყნის მმართველობის წესს არ შეეხნენ ან კიდევ შეიტანეს უმნიშვნელო ცვლილებები?

მანჯურებმა მიწის დამუშავებისა და გადასახადების აკრეფის მოწესრიგებისათვის გაატარეს აგრარული რეფორმები. მანჯურის მებრძოლებს ამ სახაზინო მიწებიდან მიწები დაურიგეს. ამ, მიწების გაყიდვა არ შეიძლებოდა. სოფლის თემში გაძლიერდა ყურადღება მიწათმოქმედების განვითარებაზე. უპატრონოდ დარჩენილი და გლეხების მიერ დამუშავებული მიწები გადავიდა მათ მემკვიდრეობით გამოყენებაში. ასეთი მიწების დამმუშავებლებისაგან სამი წლის განმავლობაში გადასახადს არ იღებდნენ. წინა დინასტიის დროს დაწესებული ზოგიერთი მძიმე საგადასახადო თანხა გაუქმდა. ამის შედეგად მანჯურის ხელისუფლების პირველი ორი საუკუნის განმავლობაში ჩინეთში მოხდა ინტენსიური განვითარება. სწრაფად გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი, უკვე XVIII საუკუნის ბოლოს ჩინეთში ცხოვრობდა დაახლოებით 300 მილიონი კაცი.

XVIII საუკუნეში ჩინეთის მსხვილ ქალაქებში განვითარდა აბრეშუმის მრეწველობა. ამ სფეროში მუშაობდა ასობით ათასი ადამიანი. ჩინეთში მოქმედებდა ჭურჭლის წარმოების სახელმწიფო მანუფაქტურები, ვითარდებოდა ჩაის წარმოება, მარილის ამოღება, ტყავის წარმოება, სამშენებლო საქმეები და მადნის მრეწველობა.

ჩინეთი, ინდოეთი, ცენტრალური აზია XVI-XVII საუკუნეებში

რა შედეგი მოჰყვა მანჯურების მიერ გატარებულ აგრარულ რეფორმებს?

თვითიზოლაციის პოლიტიკა. ჩინეთში მისიონერების დინება დაიწყო ჯერ კიდევ მინის დინასტიის ხელისუფლების ბოლოს. ისინი ცინის სასახლეშიც მნიშვნელოვან პოზიციას ფლობდნენ. მანჯურიელების ჩინეთში ბატონობის პერიოდში ევროპის ქვეყნების ვაჭრებისაგან და ფლოტისაგან დახმარების მიღების გამო, მათ უკეთებდნენ გარკვეულ შეღავათებს. ინგლისი, ჰოლანდია, საფრანგეთი, პორტუგალია და რუსეთი ჩართული იყვნენ კონკურენციაში ჩინეთის ბაზრის ხელში ჩასაგდებად. XVIII საუკუნის დასაწყისში ჩინეთმა დაიწყო უარის თქმა მისიონერების სამსახურზე. მოგვიანებით დაიხურა ეკლესიები და მისიონერები, ასევე, ყველა უცხოელი ვაჭარი ქვეყნიდან გააძევეს. 1757 წელს ჩინეთის ხელისუფლებამ აკრძალა ევროპელების ამ ქვეყანაში შემოსვლა. ვაჭრობის ნებართვა ევროპელებს მხოლოდ ქანტონის (ქუანჩქოუ) ქალაქ-პორტის საშუალებით

ჩინეთის იმპერიის დროშა მანჯურების დროს

მიეცათ. თვითრეალიზაციის პოლიტიკის გატარებით მთავრობამ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცების მცდელობით, ჩინეთის განვითარება შეასუსტა, იგი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგებიდან დაბლა ჩამოაგდო, გააიოლა ევროპის სახელმწიფოების შეტევა ჩინეთზე.

თქვენი აზრით, რა იქნებოდა მიზეზი ჩინეთის მთავრობის მიერ ევროპელების ამ ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვის მიუხედავად მათთვის ქანთონის პორტის საშუალებით სავაჭროდ შემოსვლის ნებართვის მიცემისაა?

დიდი მოღოლის სახელმწიფოს შექმნა. XVI საუკუნის დასაწყისში ინდოეთში არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო. ქვეყანაში არსებულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდი იყო დელის სასულთნო. დელის ბოლო სულთანმა იბრაჰიმ ლუდიმ ხელისუფლების გაძლიერებისათვის მსხვილ ფეოდალებთან და არისტოკრატებთან შეურიგებელი ბრძოლა დაიწყო. ამიტომაც მსხვილმა ფეოდალებმა ქაბულის მმართველს ზაჰირადდინ ბაბურს თხოვნით მიმართეს, რომ ისინი გამოეხსნა სულთნის ძალადობისაგან. ინდოეთისათვის შემტევმა ბაბურმა **1526 წლის 29 იგნისს ფანიფატის ბრძოლაში იბრაჰიმ ლუდის ჯარები გაანადგურა და საფუძველი ჩაუყარა დიდი მოღოლის სახელმწიფოს**. მალე ბაბურმა დაიმორჩილა ჩრდილოეთ ინდოეთის ძირითადი ნაწილი.

რა მსგავსებაა ცინის სახელმწიფოსა და მოღოლის სახელმწიფოს დაარსებაში?

საზოგადოებრივ–ეკონომიკური ურთიერთობები. დიდი მოღოლის სახელმწიფო იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო. ხელმწიფის ხელისუფლება არ იყო შეზღუდული. დაპყრობილი მიწები შედიოდა სახელმწიფო მიწის ფონდში. ამ მიწებს ეწოდებოდა ხალისა. ხალისადან პირობითი მიწა-*ჯაგირი* ეძლეოდათ. ჯაგირის მიწები მოიცავდა დიდ ტერიტორიას. ჯაგირის მფლობელების უმრავლესობა მუსლიმანი იყო. სახელმწიფოზე დაქვემდებარებული და ხარკის მიმცემი ინდოელი თავადების კერძო მიწებს ეწოდებოდა *ზემინდარლიკი*. სუფი შეიხების, მუსლიმანების რელიგიის მიმდევრებით მემკვიდრეობით გადასული და გადასახდელისაგან თავისუფალ მიწებს უძრავ ქონებას ან კიდევ *სოიურგალს* უწოდებდნენ. დელის სულთნებისაგან განსხვავებით დიდი მოღოლი მეფეები ისლამის რელიგიის ძალით გავრცელებას არ აპირებდნენ. პირიქით ბაბურის შაჰის პერიოდში *ჯიზიაც* კი გაუქმებული იყო. ჰინდები უკვე დაშვებული იყვნენ ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე.

რა სარგებლობა შეიძლებოდა მოეტანა სახელმწიფოსათვის იმას, რომ დიდი მოღოლის შაჰები ისლამური რელიგიას არ ავრცელებდნენ ძალით?

სახელმწიფოს "**ოქროს საუკუნე**" ემთხვევა შაჰ ექბერის (1556-1605) ხელისუფლების პერიოდს. სახელმწიფოს შინაგანად გაძლიერებით დაკავებულმა შაჰ ექბერმა მთელი ქვეყნისათვის დაადგინა ერთიანი კანონები და მოაწესრიგა საგადასახადო სისტემა.

"როგორც თქვენი ელჩიც მოწმეა, ჩვენ შეძლება ითქვას გვაქვს ყველაფერი. ჩვენ ძალიან მხატვრულად მომზადებულ ნაწარმს არ ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას და თქვენი ქვეყნის საქონელზე არ გვაქვს მოთხოვნილება".

ცინის იმპერატორის მიერ ინგლისის მეფის გიორგი III-სათვის 1793 წელს გაგზავნილი წერილიდან. ვასილიევი ი.ს. აღმოსავლეთის ისტორია, II ტომი, მოსკოვი, 1998, გვ.569.

ამით ჩინეთის იმპერატორს რისი თქმა უნდოდა ინგლისელებისათვის?

დიდი მოღოლის საიმპერატორო საბრძოლო დროშა

შაჰ ექბერი

მოსახლეობას აღებული მოსავლის $^1/_3$-მდე გადასახადს ახდევინებდნენ. ქვეყნის ცენტრალურ ოლქებში გლეხებს გადასახადი ფულის სახით უნდა გადაეხადათ. ამან ქვეყანაში დააჩქარა საბაზრო ეკონომიკის განვითარება. იმპერატორმა გადასახადების აკრეფა თავის ყველაზე სანდო ფეოდალ-ჯაგირდარებს დაავალა. ყოველ ჯაგირდარს აკრეფილი გადასახადის ხარჯზე უნდა ჰყოლოდა დაქირავებული ჯარი და უნდა შეენახა საბრძოლო სპილოების ჯგუფი. ჯაგირდარებს არ ჰქონდა სამუდამო მიწა. ისინი აღებულ მიწებს საშუალო ანგარიშით 10 წელიწადს პატრონობდნენ. შემდეგ იმპერატორი იმპერიის სხვა დაშორებულ რეგიონებში მათ აძლევდა ახალ მიწას. ეს კეთდებოდა იმიტომ, რომ ფეოდალები იქ არ გაძლიერებულიყვნენ და დამოუკიდებელ მმართველებად არ ქცეულიყვნენ.

აქტიურ დამპყრობელური პოლიტიკის გამტარებელმა შაჰ ექბერმა ქუჯარათი, ბენკალიანი, ქაშმირი აიღო და მალევე დაიმორჩილა ჩრდილოეთი ინდოეთი, ცენტრალური ინდოეთი, თანამედროვე ავღანეთის ერთი ნაწილი. შაჰ ექბერის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა იმპერიის ტერიტორიები კიდევ უფრო გააფართოვეს და თავიანთი ხელისუფლება შეიძლება ითქვას გაავრცელეს მთელს ინდოეთში. ამასთან ერთად, ნელ-ნელა შეწყდა ჯაგირდების გამოცვლა. ჯაგირდები გახდნენ მემკვიდრეობითი მიწის პატრონები. ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა და ქვეყანაში გამოჩნდა ასობით დამოუკიდებელი მმართველი. XVIII საუკუნეში დაიწყო სახელმწიფოს ნგრევა.

ჯაჰან შაჰი

"დიდი ბიუროკრატიული (გაზვიადებული) აპარატისა და ლაშქრის შენახვა ხალხს მძიმე ტვირთად აწვა. ეს ტვირთი დიდი მოღოლი ხელმწიფის ჯაჰან შაჰის (1627–1658) საცარი მშენებლობებით დაკავებით კიდევ უფრო მძიმდებოდა. თანდათანობით სისტემური სახით გადასახადების გადამხდელებისაგან იღებდნენ ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ...".

სინხა ნ. კ., ბენერჯი ა. ჩ.
ინდოეთის ისტორია

როგორ გესმით გამოთქმა სახელმწიფოს "ოქროს საუკუნე"?

შეაფასეთ ჯაგირდარების გამოცვლის შეჩერება.

წყაროს საფუძველზე გამოკვლიეთ გადასახადების ზრდის მიზეზები

სახელმწიფოს კრახი. XVIII საუკუნის 30-იან წლებში ინდოეთის ტერიტორიაზე იყო ფენჯაბი, მარათხი, ბენგალი, აუდი ჰეიდარაბადისნაირი მსხვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ამ ქვეყნების ერთმანეთთან ბრძოლის წარმოება აადვილებდა უცხოელების შემოსვლას. **1739 წელს ნადირ შაჰმა მოღოლის ჯარი დაამარცხა, დელი აიღო**. მოღოლის სახელმწიფომ აღიარა ნადირ შაჰზე დამოკიდებულება. 1747 წელს ნადირშაჰის მოკვლის შემდეგ დაინგრა მის მიერ დაარსებული დიდი იმპერია. ეს კი გახდა აჰმედ შაჰ დურანის მეთაურობით დამოუკიდებელი ავღანეთის სახელმწიფოს შექმნის მიზეზი. მალევე ავღანებმა დაიწყეს ჩრდილოეთ ინდოეთის დიდი მოღოლის სახელმწიფოს მიწების დაპყრობა, ამ დროს მარათხის სახელმწიფო აღსდგა მოღოლების დასაცავად. ხანგრძლივი ავღან-მარათხის ომები 1761 წელს პანიფატის ბრძოლით დამთავრდა. მარათხების ბრძოლაში დამარცხებით მოხდა დიდი მოღოლის სახელმწიფოს კრახი. გამარჯვების მიუხედავად ავღანები ვერ გამაგრდნენ ინდოეთში.

თქვენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო მარათხების მიერ დიდი მოღოლების სახელმწიფოს დაცვის მიზეზი?



ოსტ-ჰინდ ფირმის დროშა

ინგლისის ოკუპაცია. ასეთ პირობებში ევროპელებმა ინდოეთში გააძლიერეს სამხედრო აგრესია. მართალია ინდოეთში ჩამოსული პირველი ევროპელები პორტუგალიელები იყვნენ, შემდგომში ამ ქვეყანაში ჰოლანდიელებმა, განსაკუთრებით, ფრანგებმა და ინგლისელებმა გამოიჩინეს ინტერესი. ინგლისმა ინდოეთის ოკუპაცია განახორციელა ოსტ-ჰინდ ფირმის საშუალებით. ინდოეთის სამთავროებიდან შეღავათების გამომძალავმა ოსტ-ჰინდის ფირმამ მიიღო ინდოეთში

ფულის მოჭრისა და შეიარაღებული ჯგუფების (*სიფაჰების**) შენახვის უფლება. ამან, თავის მხრივ, მომომავალში გააადვილა ინგლისელების საქმე ინდოეთის დაპყრობაში. ინგლისსა და საფრანგეთს შორის გამართული ომის (1756-1763) მთავარი მიზეზებიდან ერთ-ერთი იყო ინდოეთში ბატონობისათვის ბრძოლა. ომში გამარჯვებულმა ინგლისელებმა 1770 წელს ბენგალიაში და ჩრდილოეთ ინდოეთის სხვა მიწებზე დააარსეს თავიანთი მმართველობა. XVIII საუკუნის ბოლოს ინგლისელებმა სამხრეთ ინდოეთის ჰეიდარაბადის და მაისორისნაირი სახელმწიფოებიც დაიპყრეს.

სიფაჰები და ინგლისელი ოფიცერი

* **სიფაჰი** – საბრძოლო რაზმი, რომლის ჯარისკაცები ინდოელებია, ხოლო ოფიცრები-ინგლისელები.

როგორ გააადვილა ოსტ-ჰინდის ფირმამ ინგლისელების მიერ ინდოეთის დაპყრობის საქმე ფულის მოჭრისა და შეიარაღებული ჯგუფების შენახვის უფლების მიღებით?

ცენტრალური აზია. XVI საუკუნეში ცენტრალური აზია იყო შეიბანის სახანოს მმართველობაში. 1599 წელს ამ სახანოს დაცემის შემდეგ მისი მდებარეობის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს სამი ძირითადი სახანო დაარსდა - ბუხარის, ხივასა და კოკანდის სახანოები. XVII საუკუნეში ცენტრალური აზია გახდა ჯუნგარის სახანოს უწყვეტი დამანგრეველი შემოსევების მსხვერპლი, ხოლო 1740 წელს დაპყრობილ იქნა ნადირ შაჰის მიერ. ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ ბუხარას, ხივას და კოკანდის სახანოებმა ხელახლა აღიდგინეს დამოუკიდებლობა და XIX საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი არსებობა.

რა იყო XVII – XVIII საუკუნეებში ცენტრალურ აზიაზე უცხოტომელების მიერ ხშირი თავდასხმების მიზეზები?

ბრძოლის არაჩვეულებრივი ხერხი

ინდოეთში ლაშქრობის დროს პირველად საბრძოლო სპილოებთან შეშხვედრმა ნადირ შაჰმა არაჩვეულებრივი ტაქტიკა გამოიყენა.

“თავის შტაბში მარტოდ დარჩენილმა ნადირ შაჰმა დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ გამოსულიყო მძიმე მდგომარეობიდან. სპილოები რომ დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ დამტკიცებისათვის მან სხვადასხვა ხერხები მოიფიქრა, ერთ ხერხზე გაჩერდა. ცხოველები მოულოდნელი ღრიალისაგან და ან მათთვის უცნობი რამის საგნისაგან ფრთხებოდნენ. ამის მცოდნე ნადირმა მოიფიქრა აქლემების ზურგზე თონეების დადება და მათში ცეცხლის დანთება და აქლემების ინდოეთის სპილოებთან ბრძოლაში გაშვება. ამ სურათის მნახველი სპილოები დაფრთხნენ, უკან გაქცევა დაიწყეს. ინდოეთის ჯარის რიგები გაარღვიეს”.

ქიშმიშევი ს.ო.
ნაწარმოებიდან “ნადირ შაჰის ჰერატის, კანდაჰარის, ინდოეთის ლაშქრობები და სიკვდილის შემდეგ ირანში მომხდარი მოვლენები”

კითხვები და დავალებები

1. *დროის ისარზე გვიჩვენეთ ჩინეთისა და ინდოეთის ისტორიების შესახებ მოვლენები.*
2. *აღნიშნეთ კონტურულ რუკაზე ჩინეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები.*
3. *მოამზადეთ რეფერატი ექვერ შაჰის საქმიანობის შესახებ.*
4. *ცხრილის ფორმით დაალაგეთ XVI-XVIII საუკუნებში ინდოეთზე განხორციელებული თავდასხმები.*
5. *შეადარეთ ჩინეთისა და ინდოეთის სახელმწიფოებში ევროპელების ავრესია.*
6. *კიდევ ერთხელ გადახედეთ შესწავლილ თემებს და შეადგინეთ შედარებითი ცხრილი მსოფლიო სახელმწიფოების “ოქროს ხანის” შესახებ.*

საკვანძო სიტყვები

- განათლება
- მეცნიერებათა აკადემია
- სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი
- სულთან ეჰმედის მეჩეთი
- თაჯ მაჰალი
- ვერსალი
- ლუვრი
- მოცარტი

XVII-XVIII საუკუნეები ხასიათდება დასავლეთში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდის ბოლო ეტაპად. ამ პროცესმა თავისი გავლენა მოახდინა კულტურის ყველა სფეროზე, ხოლო ევროპის უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესუსტება დაკავშირებული იყო ევროპელების კოლონიალურ პოლიტიკასთან. ამ პერიოდში აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის მისთვის დამახასიათებელი კულტურული თვისებებით გამორჩეული ოსმალეთის იმპერია ცდილობდა ესარგებლა მოწინავე ევროპის გამოცდილებით. რუსეთიც ცდილობდა დასავლეთის მიღწევები გამოეყენებინა საკუთარი განვითარებისათვის.

განათლება და მეცნიერება. XVII-XVIII საუკუნეებში მანუფაქტურების გამრავლება და ვაჭრობის განვითარება ევროპაში გამოგონებების რიცხვის მატების მიზეზი გახდა.

ევროპის ისტორიაში XVIII საუკუნე ითვლება განათლების პერიოდად. ეს პერიოდი დაკავშირებული იყო თავისუფალ აზროვნებასა და *რაციონალიზმზე** დაფუძნებული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარებასთან. ინგლისში XVII საუკუნეში რევოლუციის გავლენით შექმნილმა განათლებამ მოიცვა ევროპის ქვეყნები და რუსეთი. უფრო მეტად გამოირჩეოდნენ ფრანგი განმანათლებლები.

* **რაციონალიზმი** – ჭკუის, შემეცნების ერთადერთ წყაროდ მიმჩნევი იდეალისტური ფილოსოფიური მიმდინარეობა

XVII საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი მეცნიერებას აფასებს როგორც ადამიანის გამარჯვებას ბუნებაზე და მეცნიერული მეთოდების გამოცდილებაზე დაფუძნებას თვლიდა მნიშვნელოვნად. ამ პერიოდის მეცნიერების ყველაზე დიდი მიღწევა იყო ინგლისელი მეცნიერის ისააკ ნიუტონის მიერ მიზიდულობის კანონის აღმოჩენა.


ისააკ ნიუტონი

ჰოლანდიელმა ბუნებათმცოდნემ ა. ლევენჰუკმა მიკროორგანიზმების შესასწავლად 150-300-ჯერ გამადიდებელი ლინზა გამოიგონა.

XVII საუკუნეში ცენტრალიზებული ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის ფეოდალური ნარჩენების წინააღმდეგ მებრძოლმა საფრანგეთის ბურჟუაზიამ თავისი ძალები დროებით გააერთიანა მეფის ხელისუფლებასთან. ამის შემდეგ ფრანგული კულტურა გადავიდა განვითარების ახალ ეტაპზე. XVII საუკუნეში ლუდოვიკ XIII-ის პერიოდში პარიზში კარდინალ რიშელიეს მიერ შექმნილი საფრანგეთის აკადემია ითვლებოდა ოფიციალურ ცენტრად ლიტერატურისა და ენის სფეროში.

ფრანგმა მეცნიერმა რენე დეკარტმა საფუძველი ჩაუყარა ანლიტიკურ გეომეტრიას.

XVII საუკუნეში ოსმალეთის სახელმწიფოს ეკონომიკურმა დასუსტებამ გავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე. რელიგიური და სამოქალაქო მეცნიერების განვითარებაში იგრძნობოდა უძრაობა. XVIII საუკუნეში ამ სფეროში ოსმალეთის სულთნებმა იგრძნეს ევროპასთან ჩამორჩენა და განათლების სისტემის აგება დაიწყეს ევროპის განათლების მოდელის შესაბამისად. 1773 წელს სულთან მუსტაფა III-ის ხელისუფლების პერიოდში მოქმედება დაიწყო სტამბოლის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა. თავიდან ეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გათვალისწინებული იყო გემთმშენებლობისა და საზღვაო რუკების სპეციალისტების მომზადებისათვის.

სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი
(თანამედროვე ხედი)

XVIII საუკუნის იმპერიაში სტამბის გახსნა იყო პროგრესისაკენ სწრაფვის ნათელი მაგალითი. 1727 წელს სულთან აჰმედ III-მ სტამბის გახსნას და რელიგიური საკითხების გარდა სხვა თემებთან დაკავშირებულ წიგნების ბეჭდის ნებართვის გრძანებას მოაწერა ხელი. **სტამბის დამაარსებელი იბრაჰიმ მუთაფარიკის სტამბაში პირველი წიგნი 1729 წელს დაიბეჭდა**. პირველ ხანებში იბეჭდებოდა ისტორიის, გეოგრაფიისა და სამხედრო საქმისადმი მიძღვნილი წიგნები.

თქვენი აზრით, რა იყო ოსმალეთის სახელმწიფოს ევროპის ქვეყნებისაგან ჩამორჩენის მიზეზი?

რუსეთში ევროპული განვითარება ალექსი რომანოვის პერიოდიდან დაიწყო, მაგრამ ამ მიმართულებით ყველაზე დიდი ნაბიჯი გადაიდგა პეტრე I-ის ხელისუფლების წლებში. მის დროს მოსკოვში *ნავიგაციის**, არტილერიის, ინჟინერიისა და სამედიცინო სკოლები, ხოლო პეტერბურგში დაარსდა საზღვაო აკადემია. 1725 წელს დაიწყო მოქმედება მეცნიერებათა აკადემიამ.

მიხაილ ვასილევიჩ ლომონოსოვი

1755 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ფუძემდებელს მ.ვ. ლომონოსოვს რუსეთის მეცნიერების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. იგი იყო ორგანული და ფიზიკური ქიმიის დამაარსებელი და პირველი ქიმიის ლაბორატორიის ორგანიზატორი.

* **ნავიგაცია** – მეზღვაურობა, გემთმშენებლობა

განსაზღვრეთ XVIII საუკუნის ოსმალეთის და რუსეთის განათლების სისტემების მსგავსი და განსხვავებული მხარეები.

არქიტექტურა და ხელოვნება. ამ პერიოდის ოსმალეთის არქიტექტურის დიდებული ნაწარმოებია სულთან ეჰმედის მეჩეთი. იგი აგებულია არქიტექტორი მეჰმედ აღას მიერ 1609-1616 წლებში.

სულთან ეჰმედის მეჩეთი

ინდოეთში XVII საუკუნეში ისლამის კულტურის გავლენით შეიქმნა ლამაზი არქიტექტურული ნიმუშები. დიდი მოღოლი მბრძანებლის ჯაჰან შაჰის ცოლის მუმთაზ მაჰალ ბანუ ბეიმინის საპატივსაცემოდ აღმართული მავზოლეუმი (1631--1653) ითვლება ინდოეთის მარგალიტად.

თქვენი აზრით, მავზოლეუმი რომელი თვისებების გამო გვაგონებს ისლამური არქიტექტურის ნიმუშებს?

ვერსალის სასახლის სარკეებიანი სალონი

XVII საუკუნის I ნახევარში საფრანგეთის დედაქალაქი ციხე-ქალაქიდან ნელ-ნელა გადაიქცა სარეზიდენციო ქალაქად, ახლა უკვე პარიზის სახე გამოიკვეთებოდა სასახლეების, პარკების, ქუჩების თანამედროვე სისტემით.

ლუდოვიკ XIV-ის პერიოდში აშენებული ცნობილი ვერსალის სასახლე იყო საფრანგეთის მონარქიის სიმბოლო. სასახლეში ზომებითა და შიდა დეკორაციის სიდიადით ყურადღების მიმპყრობი 2300 ოთახია. სასახლის ყველაზე ცნობილი სალონია - სარკეებიანი სალონი, სიგრძით 70 მეტრიან კედლებს შორის ოქროს წყლით ამოვლებული ძეგლებიანი და ჩირაღდნებიანი უზარმაზარი სარკეებია მოწყობილი. სარკიანი სალონის აშენებისათვის საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა ვენეციიდან ჩამოაყვანინა სარკეების ხელოსნები.

რომელი აზერბაიჯანელი ხანის სასახლეში იყო სარკეებიანი სალონი?

ზამთრის სასახლე სანკტ-პეტერბურგში (ახლანდელი ერმიტაჟის მუზეუმი)

ამ პერიოდში ევროპის არქიტექტურა გავლენას ახდენს რუსეთის არქიტექტურაზე. საკუთარი ქვეყნის ევროპულ ყაიდაზე გადაყვანის მიზნით პეტრე I XVIII საუკუნის დასაწყისში ახალი დედაქალაქის - სანქტ-პეტერბურგის მშენებლობისათვის ევროპიდან იწვევდა ცნობილ არქიტექტორებს. ეკატერინე II-ის დროს როსტელი და როსისნაირი არქიტექტორები "ჩრდილოეთ ვენეციად" წოდებულ ამ ქალაქში ქმნიან რიგ არქიტექტურულ მარგალიტებს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ზამთრის სასახლე.

ევროპაში რელიგიის გავლენის შემცირების შემდეგ ხელოვნების ყველა დარგში განვითარება მოექცა ყურადღების ცენტრში. გერმანელმა კომპოზიტორმა და მუსიკოსმა ბახმა შექმნა ათასზე მეტი მუსიკალური ნაწარმოები. ავსტრიელი მუსიკოსისა და კომპოზიტორის ვ. მოცარტის მიერ დაწერილი ოპერები "დონ ჟუანი", "ფიგაროს ქორწილი" თანამედროვე პერიოდშიც ითვლება ლამაზ მუსიკალურ ნაწარმოებად.

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

ვ. მოცარტის რომელი საოპერო სიუჟეტი არის დაკავშირებული ოსმალეთის იმპერიასთან? გამოთქვით მოსაზრებები მისი აქტუალური სიუჟეტის შერჩევის მიზეზების შესახებ.

მუზეუმები. XVIII საუკუნის ბევრ ქვეყნებში მუზეუმები იქცნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილებად. მათი ორგანიზება იყო იმ ქვეყნების კულტურისათვის მიცემული ფასეულობების თვალსაჩინო მაგალითი ევროპის მდიდარი, დიდებული ხელოვნების სამლოცველოთაგან ერთ-ერთი არის საფრანგეთის ლუვრის მუზეუმი. იგი 1793 წელს საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში, წარსულში მეფის სასახლის შენობაში გაიხსნა და მასიური სახით ხალხის სამსახურში გადაეცა. მუზეუმი ერთხანს ნაპოლეონის სახელს ატარებდა. ისტორიულად ცნობილია, რომ ნაპოლეონის ჯარის ძალადობის შედეგად მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მხატვრებისა და სკულპტორების დიადი ნაწარმოებები საფრანგეთში იქნა მოტანილი. ლუვრის ექსპონატებს შორის იყო ლეონარდო და ვინჩის "ჯოკონდა", რაფაელის "ლამაზი ბაღები", ასევე ლუვრში გამოფენილია ესპანეთიდან ინდოეთამდე ისლამური კულტურის ამსახველი ისტორიული ექსპონატები.



ბრიტანეთის მუზეუმის ექსპონატები

განმარტეთ პოლიტიკური მოვლენების გავლენა კულტურის განვითარებაზე.

1753 წელს პირველად ლონდონში გაიხსნა ბრიტანეთის მუზეუმი. ბრიტანეთის მუზეუმში ხელოვნების პირველყოფილი პერიოდიდან დაწყებული, ევროპისა და აზიის შუა საუკუნეების ნაწარმოებები, კულტურის ნიმუშებია შეგროვებული. ეგვიპტის ***სარკოფაგი**** და მუმიები, აფრიკის, ამერიკის ეთნოგრაფიული ნიმუშები, ხელნაწერები, საყოფაცხოვრები ნივთები, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი ჰალიკარნას მავზოლეუმის ძეგლები და ბარელიეფები არის მუზეუმის დიდებული ნიმუშები. ექსპონატებით მდიდარი ეს მუზეუმი 6 მილიონ ექსპონატს ფლობს.

* **სარკოფაგი** – ძველ ხალხთა ქვის კუბო

თქვენი აზრით, რატომ გამოითხოვება ევროპის ცნობილ მუზეუმებში აფრიკისა და აზიის ძვირფასი ნაწარმოებები?

XVIII საუკუნის დასაწყისში პეტრე I-მა რუსეთში საფუძველი ჩაუყარა პირველ მუზეუმს. ამ მუზეუმს ერქვა კუნსტკამერა. “დიდი ელჩობის” პერიოდში პეტრემ თვითონ ჩამოიტანა ამ მუზეუმებისათვის უამრავი ექსპონატი, მათ შორის ბუნების საოცარი ნიმუშები.

კუნცკამერა

შეაგროვეთ და წარადგინეთ ინფორმაცია ევროპაში მოზარულობის გავლენის ქვეშ მოქცეული პეტრე I-ის მიერ რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი სიახლეების შესახებ.

ლიტერატურა. ცნობილმა ინგლისელმა დრამატურგმა, პოეტმა უილიამ შექსპირმა იცხოვრა და იმოღვაწეა XVI საუკუნის პირველ ნახევარში. იგი არის სულ ცოტა 17 კომედიის, ათობით ისტორიული პიესის, 11 ტრაგედიის და სონეტების ავტორი. მისი ნაწარმოებები: “ჰამლეტი”, “რომეო და ჯულიეტა”, “მაკბეტი”, “მეფე ლირი” ითვლება მსოფლიო ლიტერატურის მარგალიტებად.

თომას მორი

უილიამ შექსპირი

XVI საუკუნის უკვდავმა ინგლისელმა ჰუმანისტმა, ფილოსოფოსმა და სახელმწიფო მოღვაწემ ტომას მორმა მის მიერ დაწერილ წიგნში “უტოპია” საზოგადოებრივი წყობის იდეალური სისტემის შესახებ ასახა თავისი წარმოდგენა.

ცნობილი ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტესის ნაწარმოებს “დონ კიხოტი” იცნობს მთელი მსოფლიო.

ინგლისის ლიტერატურა ამ პერიოდში დანიელ დეფოსა და ჯონატან სვიფტისნაირი მწერლების ნაწარმოებებით ხვდება ისტორიაში. ხოლო გერმანული ლიტერატურა გოეთესა და შილერის სახელებთან არის დაკავშირებული.

ვოლტერი



ჟან ჟაკ რუსო

XVI-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთის ლიტერატურაში უფრო მეტ ხოტბას ასხამენ ხელისუფლებას, სიყვარულს, გმირობას, ბუნებას. აღმოსავლეთისაგან განსხვავებით განმანათლებლობის პერიოდის დასავლეთის ლიტერატურა უფრო მეტად აკრიტიკებს ხელისუფლებას, არსებულ მმართველობას, სახელმწიფო წყობას, ადამიანებს მიმართულებას აძლევდნენ დემოკრატიული ცხოვრების ღირებულებებისაკენ. ევროპის ლიტერატურაში ბომარშეს, ვოლტერის, დიდროს, რუსოსნაირი განმანათლებლების ნაწარმოებები იკავებს მნიშვნელოვან ადგილს. მათ ნაწარმოებებში უფრო ნათლად ჩანს ზემოთ აღნიშნული თვისებები.

ამ მწერლების რომელ ნაწარმოებებს იცნობთ? დაადგინეთ მათი ნაწარმოებების სახელწოდებები და გვიჩვენეთ ცხრილის სახით.

კითხვები და დავალებები

1. *თქვენი აზრით, პროგრესის მაძიებელი მბრძანებლები რატომ ცდილობდნენ ზღვაოსნობასა და გეომოშენებლობასთან დაკავშირებული განათლების კერების გახსნას?*
2. *განსაზღვრეთ XVII-XVIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მეცნიერების განვითარების მიზეზები.*
3. *პერიოდის ნიმუშების მიხედვით დაამტკიცეთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა კულტურაზე.*
4. *მოამზადეთ რეფერატი სახელმწიფოსა და ხალხისათვის მუზეუმების მნიშვნელობის შესახებ.*

გამოყენებული ლიტერატურა

აზერბაიჯანულ ენაზე

1. გოიუმოვი რ. აზერბაიჯანის არქეოლოგია. ბაქო, 1983.
2. ჰეიათ ჯ. თურქების ისტორიისა და კულტურის ერთი გადახედვა. ბაქო, 1993.
3. კრამერი ნ. ისტორია შუმერიდან იწყება. ბაქო, 2012.
4. კუმილიოვი ლევ. ძველი თურქები. ბაქო, 1989.
5. კუდრათოვი დ. თურქი ხალხების ისტორია. ბაქო, 2000.
6. მაჰმუდოვი ი. მ. შუა საუკუნეების ისტორია. ევროპა ადრეულ შუა საუკუნეებში. ბაქო, 2012.
7. ოზდექ რაფიკი. თურქის ოქროს წიგნი. I და II ნაწილი. ბაქო, 1991–1992.
8. ველიხანლი ნ. მ. არაბთა ხალიფატი და აზერბაიჯანი. ბაქო, 1993.
9. იუსუფოვი ი. ძველი აღმოსავლეთის ისტორია. ბაქო, 2007.

რუსულ ენაზე

10. Артаманов М.И. История Хазар. Москва, 1962.
11. Великие империи мира. Москва, 2011.
12. Все войны древности. Москва, 2009.
13. Всемирная история. В 24-х томах. Том 1–10. Минск, 1999.
14. Зуев М.Н. История России. Москва, 2000.
15. История востока. В 6 томах. Т. 2. Москва, 1999.
16. История древнего Востока. Москва, 1979.
17. История древнего мира. В 3-х томах, часть 2. Москва, 1989.
18. История культуры народов мира. В 10-ти книгах. Москва, 2005.
19. История средних веков. Под ред. Карпова С.П. Том 1-2. Москва, 2001.
20. История средних веков. Крестовые походы. Москва, С.-Пб. 2001.
21. История США. В 4-х томах, том 1. Москва, 1983.
22. Маныкин А.С. Новая и новейшая история стран Западной Европы и Америки. Москва, 2004.
23. Мифы народов мира. В 2-х томах. Москва, 1980, 1982.
24. Новая история стран Европы и Америки. Под ред. Юровской Е.Е. и Кривогуза И.М. Том 1-2. Москва, 1998.
25. Чизхольм Д. Мировая история в датах. Москва, 1999.
26. Кишмишев С.О. Походы Надир шаха в Герат, Кандагар, Индию и события в Персии после его смерти. Тифлис, 1889.

ინტერნეტ რესურსები

27. www.history.az
28. www.history.ru
29. http://www.britishmuseum.org/
30. http://hermitagemuseum.org/wps/portal/hermitage/
31. http://collections.vam.ac.uk/

ÜMUMİ TARİX 10

Ümumtəhsil məktəblərinin 10-cu sinfi üçün
Ümumi tarix fənni üzrə

DƏRSLİK

(Gürcü dilində)

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	**Təvəkkül Əliyev** **Rövşən Hətəmov** **Niyaməddin Quliyev** **Pərviz Ağalarov** **Şamil Əmrahov** **Faiq Babayev** **Elşən Qasımov** **Kamran Əsədov** **Elnur Hüseynov**
İxtisas redaktoru	**Nərgiz Qasımzadə**
Tərcümə edən və redaktor	**Çalabi Abdurahmanov**
Buraxılışa məsul	**Sevil İsmayılova**
Baş redaktor	**Gültəkin Cəfərova**
Üz qabığının dizaynı	**Zaur Abbasov**
Səhifələyici	**Ramin Abdurahmanov**
Texniki redaktor	**Fəridə Səmədova**
Texniki direktor	**Xəqani Fərzalıyev**
Nəşriyyat direktoru	**Kəmalə Qarayeva**

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi:
2017-107

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi. Fiziki çap vərəqi 9. Formatı 70x100 $^{1}/_{16}$.
Səhifə sayı 144. Ofset kağızı. Jurnal qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

"Şərq-Qərb" ASC
AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küç., 17.

Pulsuz